ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ი ნ გ ა ა დ ა მ ი ა

საქართველო ბაირონის შემოქმედებაში

(ტრანსლატოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით)

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის **(Ph.D)**
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი – ფილოლ. მეცნ. დოქტორი,
პროფესორი ინესა მერაბიშვილი

თბილისი 2012

სარჩევი

შესავალი ---------- 4

ნაწილი I. ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები ---------- 8

ნაწილი II. ბაირონი, საბერძნეთი და საქართველო ---------- 16

თავი 1. ბაირონის მითი ---------- 16

თავი 2. საბერძნეთი და საქართველო:

2.1. ბერძნული ცივილიზაციის გავლენა ქართულ-ევროპულ ცივილიზაციაზე—20

2.2. ძვ. კოლხეთი ანტიკურ წყაროებში ---------- 22

2.3. ქართულ-ბერძნულ ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა---------- 27

თავი 3. ბაირონი და საბერძნეთი ---------- 32

თავი 4. ბაირონი და საქართველო ---------- 47

ნაწილი III. თარგმანმცოდნეობის განვითარების ეტაპები

თავი 1. თარგმანის თეორია, როგორც ლიტმცოდნეობის დარგი ---------- 62

თავი 2. თარგმანის ლინგვისტიკის განვითარების ეტაპები ---------- 68

თავი 3. ტექსტის ლინგვისტიკა და მისი კვლევის ობიექტი ---------- 78

თავი 4. პოეტური ტექსტის გრამატიკული კატეგორიები ---------- 86

ნაწილი IV. საქართველოსთან დაკავშირებული ბაირონის ტექსტის ინტერპრეტაცია ქართული და რუსული თარგმანების მასალაზე

თავი 1. ტექსტის შინაარსის თარგმანში შენარჩუნების საკითხი, ფაქტობრივი ინფორმაციის რეალიზაციის მაგალითზე---------- 102

თავი 2. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფრომაცია ---------- 121

თავი 3. შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია ---------- 143

თავი 4. ალუზია, არა მხოლოდ როგორც სტილისტური ხერხი, არამედ როგორც ბაირონის ცხოვრების წესი ---------- 158

თავი 5. ქართული ხალხური ლექსის, „თავფარავნელი ჭაბუკის“, მითოლოგიური სიახლოვე ბერძნულ მითოსთან, ბაირონის ლექსთან – „სესტოსიდან აბიდოსამდე“ და პოემასთან – „აბიდოსელი სარძლო“ ---------- 174

დასკვნა ---------- 193

გამოყენებული ლიტერატურის სია ---------- 194

შესავალი

„მე მსურს ვიყო მსოფლიო მოქალაქე" – ასე მისწერს ლორდ ბაირონი დედას 1810წლის 23 ივნისით დათარიღებულ წერილში. იგი მიჩნეულია იმ ერთადერთ პოეტად რომელმაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია ევროპის კულტურისა და პოლიტიკის განვითარებაზე. არ ვიცით, რა გზით განვითარდებოდა ევროპის კულტურა უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე, რომ არა ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი და ბაირონიზმი, რომ არა ბაირონის მეამბოხე მაგრამ უკეთილშობილესი სული, მსოფლიო მწუხარება და ჯვარცმად მიჩნეული თავგანწირვა.

ჭეშმარიტად მშვენიერნი არიან მისი ამაყი გმირები, რომელთა სულში ღვივის ადამიანის უანგარო სიყვარულის „პრომეთესეული ნაპერწკალი", განმსჭვალულნი პრომეთესეული მხნეობით, მისი სული აღსავსეა პრომეთესეული სიძულვილით ყოველგვარი ჯალათობისა და ტირანიის მიმართ.

ლორდ ბაირონი თავისი შთამბეჭდავი ცხოვრებით პრომეთეს განასახიერებს. ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეი" ინსპირირებული ლორდ ბაირონი საკუთარი თავის რეალიზებას ნაპოლეონ ბონაპარტის მიბაძვაში ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი დამარცხებულია მითოლოგიურ პრომეთესთან მიმართებაში, ბაირონი თავად მიისწრაფვის პრომეთეს რეინკარნაციისაკენ. პრომეთე მან თავისი ცხოვრების წესით გააცოცხლა, როცა სიცოცხლე საბერძნეთის მიწას, ბერძენი ხალხის გათავისუფლებას შესწირა. ეს იყო გმირული სიკვდილი და ამით ის პრომეთეს მიუახლოვდა, ანუ იყო ის, რაც ასე აკლდა ნაპოლეონისეულ ლეგენდას. მედეას ტიპაჟს რეალურ ცხოვრებაში პოულობს მარგარიტა კონის სახით. მედეას სახე მისთვის ქალის იდეალად იქცა.

მითიური გმირების წარმოსახვამ იგი ჰელესპონტის ნაპირებთან მიიყვანა, სადაც ჰეროსა და ლეანდრის მითის უკვდავყოფა შეძლო. ბაირონმა ლეგენდარული ლეანდრის გმირობა საკუთარ თავზე გამოსცადა. სრუტის გადაცურვის შემდეგ იგი წერს მხიარულ სტრიქონებს „სესტოსიდან აბიდოსამდე". ბერძნული მითის ქართული ვარიანტის ზოგიერთი დეტალი ახლოს დგას ბაირონის ლექსთან. ბაირონმა მითოლოგიური ჰელესპონტის გადაცურვით სათავე დაუდო სრუტეთა მარათონულ გადაცურვას, რითაც გააცოცხლა ლეანდრისა და ჰეროს სიყვარულის ლეგენდა. ბაირონის აღნიშნული ლექსის

ანალოგად ქართულ მითოლოგიაში გვესახება „თავფარავნელი ჭაბუკი". ამ ორი ლექსის სიუჟეტური მსგავსება ემყარება მითოლოგიას.

ლორდ ბაირონი მიჩნეულია იმ ერთადერთ ინგლისელ პოეტად, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია ევროპის კულტურასა და პოლიტიკის განვითარებაზე. არანაკლებ ღირებულია მისი გავლენა ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაზე.

თუ გოეთეს მოვიშველიებთ, "ინგლისელებს შეუძლიათ ილაპარაკონ ბაირონის შესახებ რაც სურთ, მაგრამ უფრო დიდი პოეტი მათ არ ჰყავთ", ხოლო მაძინიმ დასძინა: "კონტინენტზე შექსპირის შესწავლა რომ დაიწყეს, ეს ბაირონის გამო მოხდაო", რადგან ბაირონმა, მართლაც, იხსნა ინგლისური ლიტერატურა ხანგრძლივი იზოლირებისაგან (პროფ. ვ. დე სოლა პინტო). შატობრიანი კი გაბედავს და იტყვის: "ინგლისელებს სიფრთხილე მართებთ, თუ მათ დაამსხვრიეს იმ კაცის იმიჯი, რომელმაც ისინი ააღორძინა, მაშ, რაღა დარჩებათო?!"

ბაირონის კვლევა აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიოში და ბაირონის საერთაშორისო ასოციაცია დაახლოებით 40 ქვეყნის საზოგადოებას აერთიანებს, მათ შორისაა საქართველოც. მიუხედავად ქართველ მკვლევართა პუბლიკაციების სიმრავლისა, ბაირონის შემოქმედება საქართველოსთან მიმართებაში, მით უმეტეს, თარგმანის თეორიის თვალსაზრისით, არასოდეს ყოფილა სადოქტორო დისერტაციის კვლევის ობიექტი.

ნაშრომში ვრცლადაა გაშუქებული, თუ რა სულიერი სიახლოვე აკავშირებდა ლორდ ბაირონს საქართველოსა და საბერძნეთთან, როგორ აისახა საქართველოსადმი ბაირონის დამოკიდებულება მის შემოქმედებასა და ცხოვრებაში.

სამეცნიერო სიახლე

სადისერტაციო ნაშრომი "საქართველო ბაირონის შემოქმედებაში" (ტრანსლატოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით) არაერთ სიახლეს შეიცავს:

1. ბაირონის შემოქმედება საქართველოსთან მიმართებაში თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით ცალკე სამეცნიერო კვლევის ობიექტი არასოდეს ყოფილა. კვლევამ ნათელყო, რომ ბაირონის რუსულ თარგმანებში საქართველოსთან დაკავშირებული სტროქონები არასწორად იყო წარმოდგენილი.

2. ნაშრომში პირველად გამოვლინდა ბაირონის შემოქმედებაში ასახული ლეანდრისა და ჰეროს ცნობილი მითის პარალელური დამოკიდებუკება ქართულ ხალხურ ლექსთან „თავფარავნელი ჭაბუკი".

3. თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, რომ "თავფარავნელი ჭაბუკი"-ს ვახტანგ კოტეტიშვილისეული ინტერპრეტაცია არ შეესაბამება ლექსის შინაარსსა და მასში ასახულ ექსტრალინგვისტურ სინამდვილეს, ხოლო მიღებული დასკვნის შედეგად აღმოჩნდება, რომ ქართული ფოლკლორის ეს თვალმარგალიტი უკვე სრულ შესაბამისობაში მოდის ჰეროსა და ლეანდრის ევროპულ მითთან.

თემის აქტუალობა

ბაირონის კვლევა აქტიურად მიმდინარეობს მრავალ ქვეყანაში. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტის შემოქმედებაში საქართველოს ასახვის საკითხის შესწავლა, მით უმეტეს, თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურია, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე დასავლეთისათვის.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ ბაირონის სულიერი სიახლოვე ძველ კოლხეთთან, კოლხ მედეასთან, საქართველოსთან, იმ მხარესთან, რომელსაც პოეტი არასოდეს სწვევია, მაგრამ მხურვალე სტრიქონებს უძღვნის მას. ამასთანავე, ნაშრომში განხილულია ის მითოლოგიური პარალელები, რომლებიც საბერძნეთს, საქართველოსა და ინგლისს ერთმანეთთან აკავშირებს. ჩვენი მიზანია, ამ ფონზე შევისწავლოთ ბაირონის შემოქმედებაში საქართველოს ასახვის საკითხი ამჯერად უკვე თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით.

ნაშრომის პრაქტიკული და მეცნიერული ღირებულება

ნაშრომი მეცნიერულად ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა ბაირონის საქართველოსადმი დამოკიდებულების სრულიად ახალ მასალას.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგები და გამოტანილი დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს ბაირონის შემოქმედების პრობლემური საკითხების შემდგომი შესწავლისათვის.

კვლევის მასალა

კვლევის მასალად გამოყენებულია, ძირითადად, ბაირონის შემოქმედება ინგლისურ ენაზე და მისი ქართული და რუსული თარგმანები, ასევე ლიტერატურული აზრის გავრცელების ფაქტები ქართულ და ინგლისურ წყაროებში. დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ ხალხურ ფოლკლორსა და ბერძნულ მითოლოგიას.

ნაწილი I
ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები

ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურა ვერ განვითარდებოდა ამა თუ იმ ეპოქის საერთო სააზროვნო სივრციდან მოწყვეტილი. სხვადასხვა ეროვნულ მწერლობას შორის ყოველთვის არსებობდა შინაგანი კავშირები და განვითარების საერთო კანონზომიერებანი. ქართული ლიტერატურა ადრეულ ეტაპზე შევიდა მსოფლიო ლიტერატურის ორბიტაში (ანტიკური ხანიდან მოყოლებული) იგი ჯერ ისტორიული პროცესების შესაბამისად აღმოსავლურ და ბიზანტიურ, ხოლო შემდეგ დასავლეთის ლიტერატურულ წრებრუნვაში მოექცა.

ქართული ლიტერატურის კვლევამ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან სხვადასხვა კუთხით მიმართებაშ კი თავი იჩინა მე-19 საუკუნიდან ე. ი. როცა ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობებს უფრო გამოკვეთილი ხასიათი მიეცა. ე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულმა მწერლებმა, კრიტიკოსებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ეროვნული მწერლობის კრიტიკული ანალიზის დროს დაიწყეს უცხოური ლიტერატურის ძეგლებთან ერთგვარი ანალოგიების დაძებნა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების დამოწმება, პერსონაჟების, ჟანრების, მხატვრული ხერხების მსგავსება-განსხვავების ძიება, უცხოეროვნული ლიტერატურის ანალიზი.

ამ ორი ქვეყნის ლიტერატურულ ურთიერთობათა უშუალო ფაქტებს წინ უსწრებდა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ლიტერატურულ ძეგლებში ფრაგმენტულად და თანდათანობით გამოვლენილი ცნობები პირველში – ბრიტანეთსა და მის კულტურაზე, ხოლო მეორეში – იბერიასა და კოლხეთზე.

ჩვენთვის საგულისხმოა თუ რა ცნობები არსებობს ძველი კოლხეთის შესახებ ინგლისურ წყაროებში. ამის შესახებ საკმაოდ მწირ, მაგრამ საგულისხმო მასალას იძლევა მე-13 საუკუნის ინგლისელი ქრონისტების – ბართლომე ინგლისელის, როჯერ ბეკონისა და მათე პარიზელის თხზულებანი. ფრანცისკელთა ორდენის ბერის, ბართლომე ინგლისელის (დაახ. 1190-1250წწ.), თხზულების „საგანთა თვისებების შესახებ", გეოგრაფიულ ნაწილში ვხვდებით მცირე ინფორმაციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ იბერია არის ოლქი აზიაში, პონტოს ახლოს, სომხეთის მეზობლად, სადაც იზრდება ნაყენებისათვის სასარგებლო ბალახეული. ამასთანავე ცნობილია, რომ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ბერძენი და რომაელი ავტორები არაერთხელ

ახსენებენ კოლხეთსა და იბერიაში გავრცელებულ მცენარეებს. აღსანიშნავია კოლხი მედეას წვლილი დასავლურ ცივილიზაციაში. ბართლომე ინგლისელი ეხება აგრეთვე კავკასიის მთას და მისი სახელწოდების ეტიმოლოგიასაც. იგი მოიხსენიებს რომ მთის მრავალ სახელწოდებათა შორის, ყველაზე გავრცელებული ყოფილა „კავკასია", რაც აღმოსავლურ ენაზე სითეთრეს ნიშნავს.

ბართლომე ინგლისელის ცნობას საქართველოს სამკურნალო ბალახეულის შესახებ ერთგვარად ავსებს როჯერ ბეკონი (1214-1292წწ.), რომელიც თავის „დიდ თხზულებაში" აღწერს მონღოლების მიერ დაპყრობილ ხალხებს და ამბობს, რომ პონტოს ზღვის გადაღმა ცხოვრობენ იბერები და გეორგიანები. როჯერ ბეკონის თხზულება ერთ-ერთი პირველია ინგლისურ წყაროებში, სადაც მოხსენიებულია იბერთა და გეორგიანთა სახელმწიფო. სატახტო ქალაქს „ტეფელისი" ეწოდება და იქ ძმა-მქადაგებლებს აქვთ ტაძარი. აქ ერთგვარი მინიშნებაცაა ქართველების ქრისტიანობაზე. ტექსტში მოხსენიებული ტაძარი, გურამ კუტალიას აზრით, არის 1240წ. თბილისში რომის პაპის მიერ გამოგზავნილი „წმ. დომინიკეს ორდენის მონაზვნების" მიერ დაარსებული მონასტერი (კუტალია, 1981; 86-93). ქრისტიანული ეკლესიისა და მისი „მტრების" შესახებ უფრო ფართოდ არის საუბარი ბენედექტიანური მონასტრის ბერის, მათე პარიზელის (დაახ. 1200-1259წწ.), „დიდ ქრონიკაში", რომელმაც შემოგვინახა კონსტანტინოპოლის პატრიარქის, გერმანე მე-20-ის (1222-1240წწ.), მიერ რომის პაპ გრიგოლ მე-9-თან 1232წ. გაგზავნილი მიმართვა. ვალენტინა მატუზოვა მიუთითებს, რომ ბერძნული ტექსტი არაა გამოცემული „დიდ ქრონიკაში" შესულია მიმართვის ლათინური თარგმანი. ამ მიმართვაში ქართველები მოხსენიებულნი არიან „მრავალ დიდ ხალხთა" და „ძლიერთა" შორის.

ამ მიმართვის დაწერიდან ერთი საუკუნის შემდეგ არსებითი ცვლილებები არ მომხდარა ქრისტიანულ სამყაროში. ერში საუკუნის შემდეგაც კვლავ იგივე პრობლემებს დასტრიალებენ მორწმუნე ქრისტიანები. მათ კვლავ ბერძნული და ლათინური ეკლესიების გაერთიანება და საერთო მტრის, სარაცინელების წინააღმდეგ გალაშქრება ეწადათ. ამ ვითარების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია სებასტოპოლისის (სოხუმის ისტორიული სახელწოდება) კათოლიკეთა ეპისკოპოსთან და ინგლისის სხვა ეპისკოპოსებთან გაგზავნილი წერილი. იგი დაწერილია სებასტოპოლისში, საქართველოს სამეფოში, ინგლისის მეფის წმ. დუარდის, სახელწოდების დღეს, ქრისტეშობიდან 1330წ. რაც შეეხება ქართულ წყაროებში ინგლისის ცნობას, კ. კეკელიძის გამოკვლევით (კეკელიძე, 1956; 168-

182). ქართულ მწერლობაში „ბრიტანიაი, დიდი იგი ჭალაკი” და „ბრიტანელნი” მოხსენიებული აქვს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სახელგანთქმულ მოღვაწესა და მთარგმნელს, ექვთიმე ათონელს, ხოლო საერთოდ ძვ. ქართულ მწერლობაში ინგლის-შოტლანდიისა და ინგლისური მწერლობის გამოძახილი თავმოყრილი აქვს ტრ. რუხაძეს. საინტერესოა თვით გაერთიანებული სამეფოს სახელწოდების ცვლა და გაცნობის პირველი ეტაპები ქართულ პრესაში. თავდაპირველად ხმარებაშია პირდაპირ რუსული გამოთქმა, „ველიკობრეტანია” (1861წ), შემდგომ ამისა – „დიდი ბორიტანია” (1969წ.) მერე – „ინგლიზეთი” (1874წ.) და ბოლოს ილია ჭავჭავაძეს თავის ჟურნალ ივერიაში (1877წ.) შემოაქვს ტერმინი, „ინგლისი”, რაც საყოველთაო აღიარებას პოულობს და სამუდამოდ რჩება ხმარებაში. ქართული ჟურნალები „ცისკრიდან” მოკიდებული, შეძლებისდაგვარად, საკმაო ყურადღებას აქცევს ინგლისის ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას, მის მწერლობასა და ხელოვნებას.

მოკლედ, ასეთია ის დოკუმენტური მასალა, სადაც ასახულია ქართველი და ინგლისელი ხალხის ერთმანეთით დაინტერესების, ერთმანეთის ცოდნისა და ურთიერთობის დონე შუა საუკუნეებში. ასე ფრაგმენტულად დაედო სათავე ამ ორი ხალხის კულტურულ ურთიერთობას, რომლებიც შემდგომ პერიოდში უფრო მრავალფეროვანი გახდა.

ეროვნული სულის ერთ-ერთი მკაფიო გამომხატველია მხატვრული ლიტერატურა. მხატვრულმა ლიტერატურულმა აზრმა განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და სხვა ხალხთა მოწინავე კულტურებთან შეინარჩუნა ორიგინალობა და თვითმყოფადობა. ჩვენს ქვეყანას იზოლირებულად არ უცხოვრია არასდროს. მას ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა ჰქონდა სხვა, მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან, მისი კულტურა და ლიტერატურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთზემოქმედების სფეროში. აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი პოლიტიკური გავლენის მიუხედავად ქართული საზოგადოებრივი აზრი დასავლესისაკენ იყო მიმართული. ყველაზე ადრეული ქართულ-ბერძნული ურთიერთობებია. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში არსებულმა განსხვავებულმა კულტურულ-პოლიტიკურმა ორიენტაციამ, გარკვეულად, ხელი შეუწყო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას.

IV-Vს-დან მოყოლებული ქართული კულტურის კერებმა, როგორც საზღვარგარეთ – ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ასევე საქართველოში – გელათსა და იყალთოს აკადემიებში, დიდი და მნიშვნელოვანი როლი

შეასრულეს საზოგადოდ ქართული კულტურისა და, კერძოდ ქართულ-საზღვარგარეთულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში.

ქართული ლიტერატურის მსგავსად, ინგლისურმა მწერლობამაც განვითარების გრძელი გზა გამოიარა. იგი ბერძნულ-რომაულ, ნორმანულ, დანიურ, ფრანგულ კულტურასა და ლიტერატურასთან ურთიერთობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა.

ბრიტანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე იმყოფებოდა ხან კელტების, ხან გერმანიკული ტომების, ხანაც რომაელების, დანიელებისა და ნორმანების ბატონობის ქვეშ, რაც მათ კულტურულ ცხოვრებაში უცხოური ელემენტების შეჭრის ერთგვარ საფუძველს წარმოადგენდა. ეს ელემენტი, უმეტესწილად, აკლიმატიზაციას განიცდიდა და გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდეგ ბრიტანულ ნიადაგს ესისხლხორცებოდა. ჯერ კელტებმა, ხოლო შემდეგ ანგლოსაქსებმა ბრიტანეთში ზეპირსიტყვიერება შეიტანეს, გავრცელდა ბატალური სცენებისა და გმირობის ამსახველი ალიტერაციული ლექსები. მას შემდეგ რაც რომაელებმა დაიწყეს ბრიტანეთის სისტემატური დალაშქვრა ბრიტანეთში ქრისტიანობის ელემენტებმა შეაღწიეს, მაგრამ წარმართები დევნიდნენ ქრისტიანობას. წარმართებისაგან დევნილი ქრისტიანები კი აშენებდნენ ეკლესიებს და ხალხში ქრისტიან წმინდანთა წამების ისტორიებს ავრცელებდნენ.

მე-6 საუკუნის ბოლოდან რომაელმა ბერებმა კვლავ იწყეს ბრიტანეთის კუნძულზე ჩასვლა და ანგლოსაქსების გაქრისტიანება. ეს პროცესი მე-7 საუკუნის მე-2 ნახევარში დასრულდა. რომაული ცივილიზაცია ხელახლა შევიდა ქვეყანაში. რომაელმა ბერებმა კვლავ ჩაიტანეს მდიდარი სასულიერო ლიტერატურა, ლათინურ თუ ბერძნულ ენებზე შექმნილი სასულიერო წიგნები, საქართველოს მსგავსად, ბრიტანეთის მონასტრებიც კულტურისა და განათლების ძლიერ ცენტრებს წარმოადგენენ. შწავლა-განათლებასთან ერთად აქ დიდ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ – იქმნებოდა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ლიტერატურა.

ისტორია ცხადყოფს, რომ როგორც ქართველი, ასევე ინგლისელი ხალხი სწორად აფასებდა დამპყრობელი ქვეყნის კულტურის საგანძურს და ეროვნული კულტურის გამდიდრების მიზნით ცდილობდა საუკეთესო აეთვისებინა მისგან.

ლიტერატურული აზრი ვითარდებოდა და იხვეწებოდა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ-ლიტერატურული აზროვნების კონტექსტში. ქართული

ლიტერატურული და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარება მე-12 საუკუნის საქართველოში წარიმართა იმ გზით, რომლითაც ვითარდებოდა ქრისტიანული აზროვნება მე-12-13 საუკუნეების ევროპაში. მე-12ს-ის ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში შეინიშნებოდა იგივე პროცესი, რაც ახალ პროგრესულ აზროვნებას მოჰყვა მე-12-13ს-ის ევროპაში. ეს მსგავსება ეპოქის საერსო სულისკვესებით აზროვნების განვითარების საერთო კანონზომიერებით უნდა იყოს განპირობებული. მე-12-ის ქართულ ლიტერატურაში იგივე პრობლემები იჩენს თავს, რომლებიც დგება მე-12-13 საუკუნის ევროპაში. ქართული ლიტერატურული აზრის განვითარება ამ გზით შეწყდა მე-12ს-ის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური კატასტროფის გამო,. ხოლო ევროპული ლიტერატურა გაგრძელდა, განვითარდა და რენესანსულ აზროვნებამდე მივიდა. ე-19საუკუნიდან კი კიდევ უფრო ღრმავდება ქართული მწერლობის სწრაფვა „ევროპეიზმისაკენ“ (ასათიანი, 1974; 64-70).

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში არის შემთხვევები როდესაც ერთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიული თუ კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალები მეორე ქვეყანაში არაპირდაპირი გზით, სხვა ქვეყნის ლიტერატურის მეშვეობით შედის. ქართულ და ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, საქართველო, შესაძლოა უმეტესად ანტიკური წყაროებიდან გაეცნოთ, მაშინ საინტერესოა, როდის შეაღწია ბრიტანეთის კუნძულზე კლასიკური ლიტერატურის იმ ნიმუშებმა, სადაც ძველი კოლხეთია მოხსენიებული. კოლხურმა თემატიკამ, ვიდრე ბრიტანეთში შევიდოდა, გარკვეული საფეხურები გაიარა – იგი ჯერ ბერძნულ მითოლოგიაში აისახა, ხოლო შემდეგ ბერძენი ავტორების მიერ ლიტერატურულად გადამუშავდა. ეს ლიტერატურული წყაროები გვიანი შუასაუკუნეებიდან გავრცელდა ინგლისში. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია განათლების სისტემა, ვინაიდან იმ პერიოდში მეტად პოპულარული იყო და ფართოდ ისწავლებოდა ლათინური ენა. იმ დროის განსწავლული საზოგადოება, საშუალო და მაღალი კლასები ამ ლეტერატურას უმეტესად ლათინურ ენაზე ეცნობოდნენ. იმისათვის რომ, დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ლიტერატურულ ძეგლებში შესული კოლხური თემატიკის ბრიტანესში გადასვლის ქრონოლოგია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ინგლისის უძველესი წიგნთსაცავის – ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის, კატალოგებში მოიძიება რამდენიმე ანტიკური ძეგლის ინგლისური და ლათინური თარგმანები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდანვე ქართული საზოგადოებრივი აზრი, პრესა, მწერლობა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს დასავლეთ ევროპის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებას. ევროპის ქვეყნებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოში იმთავითვე იწვევს ინგლისი და ინგლისური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება.

საინტერესოა სწორედ, როგორი გამოვლინება ჰპოვა ქართულ მწერლობაში ინგლისურმა მწერლობამ მე-19 საუკუნის მანძილზე? როგორი იყო ინგლისური პოეტური გენიის გავლენა ქართულ მგოსნებზე?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ბაირონის გავლენა მე19ს-ის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაზე. დიდ გალაკტიონს უთქვამს: „პოეტი რომ მოკლა, ტყვია არ არის საჭირო, მას სიტყვა კლავს და სიტყვა აცოცხლებსო". ბაირონი სიცოცხლეში რამდენჯერმე მოკლეს, მაგრამ მისი სიტყვის ძალა დღესაც აფხიზლებს კაცობრიობას.

შემთხვევით არ მიხსენებია გალაკტიონი, თუკი ბაირონი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით სულიერად უკავშირდებოდა საქართველოს, ქართველ მწერალთა შემოქმედებაში კი ნათლად იგრძნობა ამ დიდი პოეტური მუხტის მატარებელი პოეტის კვალი. ბაირონის პოპულარობა შეიძლება აიხსნას არა მარტო მისი გენიით, არამედ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მისი დიდი მხარდაჭერით, რაც ასე ეხმაურება იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას.

ქართული ბაირონოლოგია საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. ნიკო ბერძენიშვილი 1849წ. აღნიშნავდა, თუ როგორი პოპულარული იყო ბაირონი ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებაში. მანამდე კი იყო ა. გრიბოედოვი, რუსი დიპლომატი, რომელიც ახლო ურიერთობაში იყო საქართველოს არისტოკრატიასთან საქართველოში მოღვაწეობის დროს. მისი ნაწარმოები, „ვაი ჭკუისაგან", გამოძახილი იყო ბაირონის ტრაგიკული ტანჯვისა.

ალ. ჭავჭავაძის პოემაში „გოგჩა", თვალნათლივ იგრძნობა ბაირონის ზეგავლენა. მსგავსად ბაირონისა, მთავარი თემა არის პატრიოტიზმი, ბუნების მშვენიერება, სიყვარული და მეგობრობა ხალხთა შორის. ალ. ჭავჭავაძის სახლი იყო ლიტერატურული სალონი, სადაც თავს იყრიდა საქართველოს რუსეთისა და ევროპის პროგრესულად მოაზროვნე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მაგრამ განსაკუთრებულია ბაირონისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სიახლოვე. ამ ორი ადამიანის ბედის უკუღმართობა, სულის ობლობა, მსოფლიო მწუხარება, უიღბლო სიყვარული... მსგავსებაა მათ პოეტურ ფრაზებშიც. ბაირონი „ჩაილდ

ჰაროლდიდან" – „BUT I HAVE LIVED, AND I HAVE NOT LIVED IN VAIN!" „ვიცი ვიცხოვრე მე ამქვეყნად არა ამაოდ!"

ყველაზე დამახასიათებლად ბაირონიზმი გამოვლინდა ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. „დაწყევლილი ყრმის" მთელი შემოქმედება გამსჭვალულია „ჩაილდ ჰაროლდის" გენიოსი ავტორის სულისკვეთებითა და საერთო განწყობილებით, ბაირონის პოეზიის მძლავრი გავლენა ასულდგმულებდა ნ. ბარათაშვილის თაობის სხვა პოეტებსაც. ცნობილია აგრეთვე ნ. ბარათაშვილის მეგობარი პოეტის, მიხეილ თუმანიშვილის ერთი ლექსი „უდაბნო", რომელიც ასეთ ქვესათაურს ატარებს „მიბაძვა ბაირონისა."

ბაირონის ლექსების პირველ ქართულ თარგმანს ჩვენ ვპოულობთ ჯერ კიდევ ი. კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში." პირველი ავტორი რომელმაც პრესის საშუალებით გააცნო მკითხველ საზოგადოებას ბაირონის სახელი, იყო ილია ჭავჭავაძე. იგი 1859წ. ბეჭდავს „ცისკარში" ბაირონის ლექსს, ებრაული მელოდიების ციკლიდან სათაურით „სტიროდეთ". ეს ლექსი სტუდენტ ილიას ჯერ კიდევ წინა წელს ჰქონდა ნათარგმნი პეტერბურგში. ბაირონის პირველ მთარგმნელთა რიცხვს ეკუთვნის აკაკი წერეთელიც. 1865წ. „ცისკარშივე" იგი ბეჭდავს ლექსს „იეფთაის ასულის" თარგმანს.

ნ. ბარათაშვილის „მერანი" სულიერი გამოძახილია ბაირონის მწუხარებისა:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის,
ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი,
მერანო ჩემო მაინც დარჩება."

ი. ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვებით მოიხსენია ბაირონი: „მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონს."

კ. წერეთელი კი, „საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებული", ასევე მიმდევარი იყო ბაირონისა, ორ დიდ პოეტს შორის სიახლოვე მითოლოგიურ საწყისებზე იკვეთება, ესაა პრომეთე და მედეა, მთავარი საყრდენი მათი შემოქმედებითი ცხოვრებისა. აკ. წერეთელი საქართველოს მოიხსენიებს ალეგორიული სახით – როგორც ამირანი-პრომეთე გაწყვეტს ჯაჭვს, ასევე საქართველო ეღირსება ნანატრ თავისუფლებას. მის დრამაში „მედეა" შესისხლხორცებულია ამ ორი მითის შინაგანი სამყარო.

„კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,

არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი!
სიხარულით შეიცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!!”

ეს სტრიქონები პოემიდან „თორნიკე ერისთავი”, პოეტის ისეთი ჭეშმარიტი ტკივილისაგან არის დაბადებული, რომ ჩვენს ლიტერატურაში დარჩა როგორც ნიმუში პოეტის სამშობლოსადმი მოწამეობრივი ერთგულებისა და ისევე ძვირფასია ჩვენთვის, როგორც მორწმუნისათვის – წმინდანის სხეულის ნაწილი. ეს არის კვალი სულიერი კავშირისა. რომლითაც გადაჯაჭვულია ბაირონი და აკ. წერეთელი.

და ბოლოს, გ. ტაბიძე „პოეტების მეფედ” წოდებული, თავისმა თანამედროვეებმა „ქართველ ბაირონად” მონათლეს. სამყაროს სევდიანი ჭვრეტა, რომანტიკულობა, რევოლუციური სული, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, სიყვარულში ცამდე ამაღლება, პოეზიის მწვერვალების დაპყრობა და ა.შ. – ესაა ამ დიდი გენიოსისათვის დამახასიათებელი შტრიხები. გალაკტიონი, რომლის შემოქმედება ფართოდ ასახავს მსოფლიო კულტურასა და ლიტერატურას, რადგან „მის სულში მთელი მსოფლიოა გარდატეხილი” , იგი თავისი ლექსებით ავლენს უაღრესად საინტერესო კავშირს ევროპულ ლიტერატურულ სახეებთან, კერძოდ კი ბაირონის პოეზიასთან და მის მერი ჩავორსთან. გ. ტაბიძე ასე მოიხსენიებს ბაირონს:

„ამაყი ლორდი დგას, დროა ძველი,
ბაირონს უსმენს მერი ჩავორსი.”

ბაირონის პიროვნებასა და მისი პოეზიის რემინისცენციებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა და დაეთმობა მომავალში (მერაბიშვილი, 2003; 134-247).

ნაწილი II

ბაირონი, საბერძნეთი და საქართველო

თავი 1

ბაირონის მითი

თანამედროვე ევროპული აზროვნების საწყისები, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების რთული პროცესი, თვით ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის დაწყებაც კი მჭიდროდ უკავშირდება დიდი ინგლისელი მწერლის – პოეტის ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონის სახელს.

თვით ბაირონის პირადი ცხოვრება ამზადებდა მას იმ საოცარი ბობოქარი პიროვნული ცხოვრებისათვის, რომელიც მართლაც რომ სრულიად ახალგაზრდა კაცმა სანთელზე უსწრაფესად ჩაწვა. ბაირონის მეამბოხე სული იწვევდა მის ირგვლივ მყოფი საზოგადოების გაღიზიანებას. მან პირველი პროტესტი მორცხვად დაიწყო, მაგრამ ბევრი დრო არ დასჭირვებია თამამად ეთქვა სათქმელი ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. მისი თავშესაფარი პოეზია გახდა, მისი გმირები დემონური არსებანია, რომელთაც უყვართ თავიანთი თავი, არიან უცხონი ადამიანებისათვის და არიან შურისმაძიებელნი. მის გმირებში თავმოყრილია იმდენი სიამაყე და ძლიერება, იმდენი ეგოიზმი, რომ იგი განმარტოებით დგება მსოფლიოს ნანგრევებზე, სავსე სევდით მსოფლიო არარაობის გამო. ბაირონი თავისი ქცევის სტილით, თვით შემოქმედებითაც, პროტესტს აცხადებდა, არ სურდა პირობითი ჩარჩოების მიღება და ამიტომ სულიერად ძალიან უახლოვდებოდა აჯანყებულ პრომეთეს!

ბ. ბელინსკიმ ბაირონს „მე-19 საუკუნის პრომეთე“ უწოდა (Белинский В., 454.). ბაირონი ყოველთვის გრძნობდა, რომ იგი მსოფლიოს მოქალაქე იყო და პასუხს ზოგადად მთელი კაცობრიობის წინაშე აგებდა. ლორდ ბაირონი მიჩნეულია იმ ერთადერთ ინგლისელ პოეტად, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია ევროპის კულტურისა და პოლიტიკის განვითარებაზე. ბაირონი ის ერთადერთი პოეტია, რომელსავ ბერტრან რასელმა „დასავლესის ფილოსოფიის ისტორიაში” მთელი თავი მიუძღვნა, რომელზედაც ჯუზეპე მაძინიმ თქვა: „ჩვენ არ გვინახავს უფრო ელვარე გამოცხადება მარადიული სულის ბორკილაყრილი გონისაო”, ხოლო გოეთემ დასძინა: „ინგლისელებს შეუძლიათ ილაპარაკონ ბაირონის შესახებ რაც სურთ, მაგრამ უფრო დიდი პოეტი მათ არ

ჰყავთ", ასევე ისიც თქვა: „ბაირონი არც კლასიკოსია და არც რომანტიკოსი, იგი თვით ჩვენი ეპოქაა."

„კონტინენტზე შექსპირის შესწავლა რომ დაიწყეს ეს ბაირონის გამო მოხდაო", ეს სიტყვები მაძინის ეკუთვნის, რამეთუ ბაირონმა მართლაც იხსნა ინგლისური ლიტერატურა ხანგრძლივი იზოლირებისაგან (პროფ. ვ. დე სოლა პინტო). ამიტომაცაა რომ ასე გაბედულად იტყვის შატობრიანი: „ინგლისელებს სიფრთხილე მართებთ. თუ მათ დაამსხვრიეს იმ კაცის (ბაირონის) იმიჯი, რომელმაც ისინი ააღორძინა, მაშ რაღა დარჩებათ?!" (მერაბიშვილი, 2002; 11).

ბაირონისეული ვარცხნილობა და ჩაცმის სტილი რომანტიკული ამბოხების ნიშანი იყო. მის გავლენას განიცდიდნენ ვიქტორ ჰიუგო, ალფონს ლამარტინი, ჰაინრიხ ჰაინე, ადამ მიცკევიჩი, შანდორ პეტეფი, ეჟენ დელაკრუა, ბენჟამენ დიზრაელი, ჰექტორ ბერლიოზი, ოტო ბისმარკი, ალექსანდრე პუშკინი, ალექსანდრე ჭავჭავაძე... "нет я не Байронъ я другой,"–– იტყვის მისგან მონუსხული ლერმონტოვი, ხოლო გრიბოედოვის პიესაში „ვაი ჭკუისაგან", გაისმის არტისტული გამოძახილი იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც ბაირონს სამშობლოში გადახდა. ბაირონის მონათესავე სული ობოლი ბარაშვილში ატირდება, გალაკტიონს თანამედროვენი ქართველ ბაირონად მონათლავენ.

აი, რას იტყვის მის შესახებ ფიოდორ დოსტოევსკი: „მოვიდა დიადი და მძლავრი გენიოსი, მგზნებარე პოეტი. მის ბგერებში გაისმა კაცობრიობის მაშინდელი სევდა და რწმენის ყოვლად უიმედო დაკარგვა საკუთარ დანიშნულებასა და იდეალებში. ეს იყო ახალი და ადრე არგაგონილი მუზა შურისძიებისა და ნაღვლისა, წყევლისა და სასოწარკვეთისა. ბაირონიზმის სული მოედო თითქმის მთელ კაცობრიობას, და ისიც ერთიანად გამოეხმაურა მას."

აქვე უნდა აღინისნოს ისიც, რომ ბაირონიზმი არის უპრეცედენტო მოვლენა იმ თვალსაზრისით, რომ არც მანამდე და არც მას შემდეგ არ შემდგარა არც ერთი მწერლის სახელობის ლიტერატურული მიმდინარეობა, რაც ერთიანად მეტყველებს ბაირონის უდიდეს გავლენასა და მნიშვნელობაზე.

ახალგაზრდა ლორდს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დაეძლია ცხოვრებისეული სირთულეები, და რადაც არ უნდა დაჯდომოდა მიეღწია დიდების მწვერვალისაკენ. აი, რას მისწერს ჰაროუდან დედამისს:

„მე შემიძლია გავიკაფო გზა ცხოვრებაში, და მე ამას გავაკეთებ. სხვაგვარად დავიღუპები... მე გავიკვლევ გზას დიდების მწვერვალისაკენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსინდისობით".[1]

---

[1] აქაც და შემდგომ : Byron's Letter and Journals in 12 volums, edited by Leslie A. Marchand,

ჰაროუს სკოლაში სწავლისას ბაირონი აცნობიერებს თავის ეპოქას და აფასებს მოვლენებს. ბუნებით დემოკრატიული სულისკვეთების ყმაწვილი, იგი აშკარა სიმპათიებს გამოხატავს იმ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, ვინც ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის. ბაირონი მხარს უჭერს ნაპოლეონ ბონაპარტის იდეებს, ვინაიდან იგი განმათავისუფლებლად ესახება. როდესაც მისი სანასკოლელები ნაპოლეონის ბიუსტს შეესივნენ დასამსხვრევად, ის ბაირონს დაუცავს.

ახალგაზრდა ბაირონი გამოირჩეოდა ფენომენური მეხსიერებით. ერთი წაკითხვით მას შეეძლო რამდენიმე გვერდი ზეპირად გადმოეცა, მრავალი ასეთი გვერდი დიდხანს შემორჩა მის მეხსიერებას. ამას ადასტურებს მისი მეგობრების მოგონებები, ეს ჩანს თვით მისი ჩანაწერებიდანაც, სადაც წაკითხული და ათვისებული ლიტერატურის სია საოცრად ვრცელია. ის მოიცავს, პირველ ყოვლისა, მსოფლიო ქვეყნების ისტორიას, დაწყებული ჰეროდიტედან, გიბონით დამთავრებული, კლასიკას, იურისპრუდენციას რელიგიურ ლიტერატურას, საერთაშორისო სამარსალს, ასტრონომიას, ფილოსოფიას და ა.შ. და ა.შ.

ამერიკელი ბაირონოლოგი, ლესლი მარიანდი, აღნიშნავს, რომ პირველი მოგზაურობისთანავე ბაირონს უკვე აქვს გადაწყვეტილი გახდეს მსოფლიო მოქალაქე, რაც მის ყოველ მოქმედებაში აისახება. ამიტომაც 1810 წლის 12 ივნისით დათარიღებულ წერილში ასე მიწერს დედას: „მე მსურს ვიყო მსოფლიო მოქალაქე“.

სწორედ ამიტომ წავიდა იგი საბერძნეთში საბრძოლველად. ბაირონში ჩვენი აზრით სწორედ პრომეთესეული მუხტი იდო და ამიტომ შეძლო მან სხვისი სამშობლოს დასაცავად მთელი თავისი პირადი ქონების გაღება, რაც ინგლისელთა აზროვნების სტერეოტიპისათვის გაცილებით უფრო ფასეულია. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი ღვთისმეტყველის, ვიკლიფის თქმით, „ადამიანის პირადი ქონება შეუვალია, რადგან იგი ადამიანს ღვთის ნებით აქვს მოპოვებული“.

სამშობლოდან დევნილი ინგლისის პერი დიდი ტიტულებისა და უცნაური ინდივიდუალობის მფლობელი ადამიანია, ამიტომაც დაასრულა მან თავისი ცხოვრება იმ ერის ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც ოდესღაც ყვაოდა.

მითოლოგიური საწ’ისები ბაირონის შემოქმედებაში ცხოვრებისეულ რანგშია ა’ვანილი& მის შემოქმედებაში ალუზია ანუ ქარაგმა^ როგორც სტილისტური ხერხი^ აბსოლიტურად უნიკალურ შინაარსს იძენს& ლორდ ბაირონი არა მარტო ქარაგმით მოუხმობს მითოლოგიურ^ ბიბლიურ თუ ისტორიულ გმირებს^ არამედ მისტიურ ურთიერთობაში შედის მათთან& წარსულის შთამბეჭდავი წარმოსახვა^ თუნდაც მითიური და ლეგენდარული^ მის წინაშე რეალობასავით ცოცხლდება^ უფრო მეტიც^ მას თავად უჩნდება ამ რეალობაში მონაწილეობის სურვილი&

ლორდ ბაირონის ბუნებიდან და თავად მისი შემოქმედების ხასიათიდან გამომდინარე^ რამეთუ ცნობილია^ რომ მისი ‘ოველი ნაწარმოები მისივე ცხოვრების გამოძახილია^ ბაირონი თავად იქცა ეპოქის მითოლოგიურ გმირად^ მისი სულიერი სამ’არო რეალობად იქცა& პრომეთე-ამირანი^ მედეა^ ლეანდრისა და ჰეროს მითი თუ თავფარავნელი ჭაბუკი^ თვით ნაპოლეონი _ მან თავისი მითიური გმირების განხორციელების არეალად საბერძნეთი აირჩია^ ძველი ელადა^ საიდანაც სწორედ ეს მითიური გმირების გამოძახილი მოუხმობდა& @ჭეშმარიტი მოღვაწეობა&&& ღირსეული აღსასრული სევდიან მიწა-წ’ალზე#^ “...Despair in the Land of Honourable Death”. ეს სიტ’ვები მისი ცხოვრების კრედოს წარმოადგენდა&

ბაირონი უფრო გავლენიანი პიროვნება იყო მთელ კონტინენტზე, ვიდრე ინგლისში. „ის უფრო მითია, ვიდრე რეალობა” – იტყვის ბერტნარდ რასელი (Russell Bertrand, 1955; 716-21). კარნტონის (Karantonis) მიხედვით კი თუ ასეთი გავლენიანობა ახლოს მიდის მითის პროპორციებთან, მაშინ საბერძნეთმა კიდევ ერთხელ შეძლო მიეთვისებინა მისივე დამსახურება როგორც უმშვენიერესი მითების ფუძემდებელმა. საბერძნეთის მშფოთვარე დროს ბაირონი გაბატონებული პერსონაჟებითურთ თავად ხდება ეროვნული გმირი, მის მიერ შექმნილი პერსონაჟის შეცნობის შემდეგ, ნათლად ჩანს პოეტის რეალური სახე. ძველი კოლხეთი და ბერძნული სამყარო ერთნაირადაა გარდატეხილი მის სულიერ სამყაროში. სტელიოს სპერანტზეს (Stelios Sperantzas) თქმით მისოლუნგი ბაირონისათვის იყო სტიმულის მიმცემი: „მან მიატოვა ილუზირებული ცხოვრება და გახდა პრაქტიკული ჭკუის გონიერი ინგლისელი”, რითაც საფუძველი ჩაუყარა თავისი პირადი ცხოვრებით ადამიანის თავისუფლებისაკენ და სულიერი სრულყოფისაკენ სწრაფვას მან ბიძგი მისცა ევროპული აზროვნების სტილის ჩამოყალიბებას.

თავი 2

საბერძნეთი და საქართველო

2.1. ბერძნული ცივილიზაციის გავლენა ქართულ-ევროპულ ცივილიზაციაზე

მე–20 საუკუნის მიწურულს საქართველომ ხანგრძლივი სულიერი ტანჯვისა და დიდი ფიზიკური მსხვერპლის გაღების შედეგად მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და იმთავითვე დაიწყო სწრაფვა ევროპის კულტურულ–ისტორიულ სივრცეში ჩასართველად, რომლისგანაც ჩვენი სამშობლო ისტორიულ გარემოებათა გამო ხელოვნურად იყო გამოთიშული.

ევროპულ ფასეულობათა ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს ახალი ადამიანის თავისუფალი პიროვნების, შექმნა წარმოადგენს, რომელიც ადამიანის უფლებათა განუხრელად დაცვის პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს.

ევროპული აზროვნების, ზოგადად ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ ნაკადს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ძველი ბერძნული ფილოსოფია წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ სათავეს ძველი ბერძნული მითებიდან იღებს.

„ადამიანის ერთადერთი მარადიული საკუთრებაა სიბრძნე", – იტყოდა მეშვიდე ბრძენი ბიანტი და ამ ჭეშმარიტების პოეტური ილუსტრაციაა მითიც. რაც დრო გადის მით უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით უბრუნდება განათლებული კაცობრიობა ანტიკას, რომლის წიაღშიც ჩადებულია ევროპის კულტურული საძირკველი. ტერმინი „მითის" საშუალებით აისახება მითოლოგიური სიუჟეტი, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში უხსოვარი დროიდან გამოყენება. მითის ან მითოლოგიის ხსენებისას ვგულისხმობთ ადრეული ისტორიული ეპოქის ადამიანთა მიერ შექმნილ ზეპირსიტყვიერ სიუჟეტებს, რომლებშიც აისახება საკულტო თუ რელიგიური სამყარო და რომელიც აისახა უძველეს ბერძნულ-რომაულ, ბიბლიურ, შუმერულ და სხვა ლიტერატურულ წყაროებში. ბერძნული ცივილიზაციის გავლენა ხომ ფასდაუდებელია მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. იგი არის ძირი, რიმლიდანაც აღმოცენდა თანამედროვე ცივილიზაცია. აქ კაცი ყოველ ნაბიჯზე ხვდება ევროპული კულტურის საწყისებს. ამიტომ ამ ქვეყნის არა მარტო კულტურის თითოეული ძეგლი, არამედ თითქმის

ყოველი ოლქი, დასახლება მთა და მდინარე ელინელთა მითებისა და ისტორიის წყალობით კაცობრიობისათვის დიდი ხანია კარგად ცნობილ სიმბოლოდ იქცა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ არცერთი ხალხის მითოსს არ მოუხდენია ისეთი მძლავრი ზეგავლენა ევროპელთა, და არა მარტო ევროპელთა აზროვნებაზე, როგორც ბერძნულმა მითოსმა მოახდინა. ბერძნული მითების სხვადასხვა ციკლებს შორის ფაბულის სირთულითა და ინფორმაციული სიღრმით გამოირჩევა თქმულებები პრომეთეზე და თქმულებათა ვრცელი ციკლი არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაზე, ლეანდრისა და ჰეროს სიყვარულის ამბავი და სხვა.

დღევანდელი თვალსაწიერიდან მთელი მსოფლიოს წინაშე რეალობასავის გაცოცხლებულა უძველესი მითოლოგიური თქმულებები. ტიმ სევერინმა საბერძნეთიდან საქართველომდე (ისტორიულ კოლხეთამდე) გაცურვით, ძველელადური ნიმუშის ხომალდით „არგო," გააცოცხლა არგონავტების მითი, ჰაინრიხ შლიმანმა ტროას გათხრებით – ჰომეროსის „ილიადა," ხოლო ჯ. ნ. გორდონ ბაირონმა ლეგენდარული ჰელესპონტის დარდანელის სრუტის გადაცურვით – ლეანდრისა და ჰეროს სიყვარულის ლეგენდა.

სამწუხაროდ, ძველი კოლხეთის ზღაპრული ძლიერება, მისი მაღალი კულტურა მხოლოდ ბერძნულმა მითებმა და არქეოლოგთა აღმოჩენებმა მოიტანეს ჩვენამდე, მიწის სიღრმეებში დაცული ოქროს, და არა მარტო ოქროს, საოცარი სამკაულები , ნამდვილად მეტყველებენ ჩვენი წინაპრების მაღალ კულტურაზე.

ძველ საბერძნეთთან კოლხეთის კავშირზე უთვალავი ფაქტი მეტყველებს. ასეთი კავშირ-ურთიერთობის საბუთია ვანის არქეოლოგიური გათხრები, შავი ზღვისპირეთის ძეგლები, გადმოცემები, მითები, საქართველოში დღემდე შემორჩენილი ბერძნული საკუთარი და არა მარტო საკუთარი სახელები. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ ძვ. კოლხეთის უშორეს წარსულთან დაკავშირებული მითები პრომეთე-ამირანსა და არგონავტებზე, ევროპული აზროვნების განვითარების მძლავრ იმპულსს შეიცავდა.

2.2 ძველი კოლხეთი ანტიკურ წყაროებში

როგორც ცნობილია, ყველაზე პოპულარული უძველესი თქმულებები, რომლებმაც კოლხური თემატიკა ფართოდ წარმოაჩინეს, არის მითები არგონავტებსა და პრომეთეზე. მწერლობაში მასი რეალიზაციის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეიქმნა. ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა" ლათინურ ენაზე, გამოცემული 1606 წელს და მისი პირველი ინგლისური თარგმანი, დათარიღებული 1771 წლით. აქვეა დაცული ევრიპიდეს თხზულებათა ლათინური გამოცემა, დაბეჭდილი 1571 წელს, და მისი ტრაგედიების პირველი ინგლისური თარგმანი, რომელიც 1781-83 წლებს განეკუთვნება. ამავე წიგნთსაცავშია ესქილეს „პრომეთეს" 1518 წელს გამოცემული ბერძნული დედანი, 1663 წელს დაბეჭდილი მისი ბერძნული და ლათინური ტექსტი და 1777 წელს შესრულებული ინგლისური თარგმანი. არის ასევე ჰეროდიტეს „ისტორია" ლათინურად 1474 წელს გამოცემული, ინგლისურად 1584 და 1709 წლებში სრულად დაბეჭდილი, სტრაბონის „გეოგრაფია" 1549 წლის ლათინური და 1848 წლის ინგლისური თარგმანების სახით, „ილიადას" 1474 წლის ლათინური და 1612 წლის ინგლისური გამოცემები, „ოდისეას" 1527 წლის ლათინური და 1665 წლის ინგლისური თარგმანები. ყოველივე ამის ფონზე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ბაირონის ძველი კოლხეთით დაინტერესება სულაც არ ყოფილა შემთხვევითი, იმასაც თუ გავითვალისწინებთ რომ ბაირონი სწავლობდა ჯერ ჰაროუს არისტოკრატიულ სკოლაში, ხოლო შემდეგ კემბრიჯის უნივერსიტეტში და ამასთანავე პოეტის ყველა ბიოგრაფი ერთხმად აღნიშნავს, რომ ბაირონი საოცრად ბევრს კითხულობდა და ამდენად წარმოუდგენელია იგი არ გასცნობოდა იმჟამად უკვე არსებული ანტიკური მითების სხვადასხვა სახის გამოცემებსა და კომენტარებს, რომელიც მწერლისეული ინტერპრეტაციით გაიელვებს მის შემოქმედებაში.

ამ მცირე ბიბლიოგრაფიული ცნობების საფუძველზე, ალბათ, შეიძლება გამოვთქვათ კიდევ ერთი ვარაუდი, რომ ინგლისის გარკვეულ წრეებში არაპირდაპირი გზით, ანტიკური ლიტერატურის საშუალებით, გვიანი შუა საუკუნეებიდან იცნობდნენ საქართველოს ისტორიის ეპიზოდებს, გეოგრაფიას, ყოფას, წარმოდგენა ჰქონდათ უძველესი ქართული სამყაროს ურთიერთობაზე ბერძნულთან. ერთხელ კიდევ ღრმად შევავლოთ თვალი ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებს და მათ გავლენას მხატვრულ ლიტერატურაზე.

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში განსაკუთრებულია საბერძნეთისა და რომის მნიშვნელობა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში აღმოცენებული სწორუპოვარი ანტიკური კულტურა, უძველესი საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე შეადგენს მეცნიერთა თაობების საგანგებო მსჯელობის საგანს.

ანტიკური მემკვიდრეობით დაინტერესებას ძველ საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციათა წარმოქმნის მიზეზები აიხსნება როგორც ბერძნული კულტურის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით, ასევე ბერძნულ-ქართულ სამყაროთა უშუალო კონტაქტებით–საქართველოს უძველესი მოსახლეობის ურთიერთობით წინაბერძნულ და ბერძნულ მოსახლეობასთან, რამაც ასახვა ჰპოვა მითოლოგიაში, მხატვრულ ლიტერატურასა და მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებში.

მეცნიერებაში არაერთი ცდაა ჩატარებული იმის დასამტკიცებლად, რომ უძველეს ქართველურ ტომებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც წინაბერძნულ, ასევე ბერძნულ ტომებთან, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მცირე აზიაში სახლობდნენ.

თვით ბერძენ ავტორთა ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ძვ. კოლხეთის თემამ, რაც არგონავტთა შესახებ გავრცელებულ მითში აისახა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება სპეციალური ნაშრომი, რომელშიც თავმოყრილი და გაანალიზებულია ბერძნული წყაროების ცნობები არგონავტების მითისა და ძველი კოლხეთის შესახებ.

გასული საუკუნის დამლევს ბერძნული კულტურის საწყისთა კვლევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, ეს პროცესი დღესაც გრძელდება. წინაბერძნული მოსახლეობის პრობლემას სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. პელასგების ეთნოგენეზისის საკითხების კვლევისას მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო მითებში, თქმულებებსა და ბერძნულ წყაროებში დაცულმა ცნობებმა პელასგების გენეტიკური კავშირის შესახებ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომებთან ძვ. ბერძნულ და რომაულ ავტორებთან, რომლებიც თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ვხვდებით მითითებებს პელასგებისა და კავკასიური კოლხური ტომების იდენტურობის შესახებ. ამ თვალსაზრისით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღებით იქნა შესწავლილი არგონავტთა თქმულება და ის მრავალრიცხოვანი ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები, რომლებიც შეიცავდნენ თქმულებების სხვადასხვა ვერსიებსა და ცნობებს ქართველ ტომთა შესახებ. ამ

საკითხის კვლევისას მნიშვნელობას იძენს არგონავტთა თქმულების კორინთული ვერსია, რომელშიც ასახული იყო კოლხური წარმომავლობის ტომთა მჭიდრო კავშირი პელასგურ სამყაროსთან.

ძველი კოლხეთის ამოუცნობ სამყაროსთან დაკავშირებული მითების ციკლს მიეკუთვნება აგრეთვე ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე". ავჯანყებული ტიტანი, ჩამოთვლის რა მის მიერ ადამიანის მოდგმისთვის მოტანილ სიკეთეს, ცეცხლის ბოძებასთან ერთად ასახელებს დამწერლობის, მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და წამალმკეთებლობის სწავლებასაც კი. თვით ბერძენი დრამატურგის აზრით, პრომეთე, ავჯანყებული ტიტანი, კაცობრიობას ცოდნას გადასცემს.

უკვე დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო ბერძნული პრომეთეს მითისა და კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის თქმულების ურთიერთმიმართების პრობლემამ. უძველესი თქმულებები ამირანის შესახებ თანამედროვე შედარებით მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკას საშუალებას აძლევს პრომეთეს მითის მრავალი ნიუანსის წინა პლანზე წამოსაწევად (Шенгелия И., 1950, 3-20). მითის ყველაზე აღიარებული ვარიანტი, რომელიც პრომეთეს ცეცხლის მოპოვებას მიაწერს, დღესაც დაცულია ქართულ წყაროებში. მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად ზევსისა და პრომეთეს ბრძოლა ძველი და ახალი საწყისების დაპირისპირებად უნდა მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით პრომეთე – ამირანის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს (ყაუხჩიშვილი; 1964; 33-34).

პრომეთეს მითის მიმართ მრავალმხრივი ინტერესი დღემდე არ განელებულა მეცნიერებაში. მითი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: გმირის (ტიტანის) მიერ ცეცხლის მოპოვება და მისი ბრძოლა ზევსთან. პრომეთეს თემა სხვადასხვა რედაქციით, ვარიანტებით არის წარმოდგენილი ანტიკურ ლიტერატურულ ტრადიციაში ჰეროდესთან, ესქილესთან, სოფოკლესთან, პლატონთან და სხვა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აპოლონიოს როდოსელი და მისი „არგონავტიკა".

აპოლონიოს როდოსელი პირველი ბერძენი ავტორია, რომელიც პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად პირდაპირ კავკასიონის მითებს ასახელებს:

„აქედან ჩაუცურეს მაკრონებს, ბექირების უსაზღვრო მიწას, ამაყ საპირებს და მათ შემდეგ ბიძერებს. საამო ქარის შემწეობით სწრაფად და განუწყვეტლივ მიიწევდნენ წინ. და აი უკვე გამოჩნდა პონტოს უკიდურესი ყურე და კავკასიის მთების მაღალი მწვერვალებიც აღიმართნენ. აქ სპილენძის

ბორკილების პირქუშ კლდეებზე მიჯაჭვული პრომეთე თავისი ღვიძლით კვებავდა არწივს...“ (ურუშაძე, 1970; 173).

ყოველივე ეს, მეტად საინტერესოს ხდის პრომეთეს „ქართული ორეულის”, ამირანის, პრობლემას, უფრო ზუსტად პრომეთესა და ამირანის შესახებ არსებული გადმოცემების ტრადიციების ურთიერთმიმართების საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება ბერძნული და ქართული მითის სიუჟეტურ-თემატურ მსგავსებაზე. მართალია, მრავალი მეცნიერის აზრით პრომეთეს მითი საბერძნეთში უნდა შექმნილიყო, მაგრამ ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები სხვათა მოსაზრებაც ხსენებული მითის სკვითური თუ ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ, მეტადრე კი სტრაბონის, ფილოსტრატესა და არიანეს მტკიცებით მისი კავკასიურ თქმულებებთან კავშირის შესახებ. აღნიშნული ავტორები მიუთითებენ კიდეც იმ ადგილზე სადაც მიაჯაჭვეს გმირი (ასათიანი, 1996).

როგორც ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებმა ცხადყო პრომეთეს მითი ბერძნულმა სამყარომ წინაბერძნული მოსახლეობისაგან შეითვისა (ყაუხჩიშვილი, 1964; 33-34), ხოლო ქართულ სინამდვილეში დაცულ და საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა ვარიანტების სახით გავრცელებულ ამირანის თქმულებასა და პრომეთეს შორის აშკარა მსგავსება შეინიშნება (ჩიქოვანი, 1971). ლეგენდა ამირანის შესახებ სათავეს ჩვ.წ.აღ-მდე 2 მლნ. წ-დან იღებს, ხოლო ანტიკური ლეგენდა კი სათავეს საბერძნეთში იღებს.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით მივუთითოთ ამირანსა და პრომეთეს მითებს შორის არსებულ მსგავსებებზე: ორივე მითის ძირითად თემას შეადგენს ციური ცეცხლის მოტაცება და ღმერთთან ჭიდილი; ორივე მითში ცეცხლის მომტაცებელი დაკავშირებულია მჭედლობასთან; ორივე მითის მიხედვით გმირი მიჯაჭვულია კავკასიის მთაზე – კავკასიონზე.

თანამედროვე შედარებითი მითოლოგია და ფოლკლორისტიკა აღიარებს, რომ პრომეთეს მითმა ქართულ-კოლხური ამირანის თქმულების ნიშნები მიიღო და ამ მარადიულ სახეთა ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა ნაყოფიერ თემას წარმოადგენს (Lang D. M ., 1966); ამირანი, პრომეთეს მსგავსად, „კულტურული გმირის” როლში გვევლინება. პრომეთეს მითი გამონაკლისი არ არის, ძველ კოლხეთთან ანტიკური მითოლოგიის კავშირს სხვა თქმულებების მიხედვითაც ეფინება ნათელი (ურუშაძე, 1964; 121-122).

ბედისადმი, განგების ნებისადმი დაუმორჩილებლობა ამირანი-პრომეთეს ერთადერთი და მთავარი დანაშაულია. იგი მარტო უჯანყდება უმაღლეს ნებას და მოკვდავთ ცეცხლს ანუ სიბრძნეს – სინათლეს, აზიარებს. ეს აჯანყება კაცობრიობის ისტორიაში პიროვნების თავისუფლებისათვის უპირველეს აჯანყებად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც მართალია მარცხით დამთავრდა, ამირანი-პრომეთე კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს, მაგრამ სამაგიეროდ მოხდა პრეცენდენტი ადამიანის მიწაზე არა მხოლოდ არსებობის, არამედ მასში შემოქმედებითი უნარის გაღვივებისა და შემდეგში მისი დაცვისა.

ასე რომ, პრომეთეცა და მედეაც არის ქართული ვარიანტი, რომელიც საუკეთესოდ გავრცელდა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნულ ცივილიზაციაზე მთლიანად. ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე" და ევრიპიდეს „მედეა", არის მთავარი ღერძი, რომელიც გამოავლენს არა მარტო ბაირონსა და საბერძნეთს შორის არსებულ კულტურულ კავშირებს, არამედ სულიერ სიახლოვეს თვით ბაირონსა და საქარსველოს შორის. წერდა კიდეც ბაირონი ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს" შესახებ.

"Of the Prometheus of Aeschylus I was passionately fond as a boy, (it was one of the Greek plays we read thrice a year at Harrowi) inded that and the Medea were the only ones, except the seven before Thebes, which ever much pleased me. The Prometheus if not exactly in my plan, has always been so much in my head, that I can easily conceive its influence over all or anything that I have written" (The Poetical Works of Lord Byron, Complete in One Volume (Byron.New York, 1869,p. 202)

„ესქილეს პრომეთეთი მე საოცრად გატაცებული ვიყავი ბაშვობაში, ეს იყო ერთ-ერთი იმ ბერძნულ პიესათაგან, რომელსაც ჰაროუში სწავლისას წელიწადში სამჯერ გვაკითხებდნენ, სწორედ ის და მედეა განსაკუსრებით გულზე მხვდებოდა. თუ პრომეთე მე ჩემს გეგმებში ზუსტად არ დამისახავს, ის იმდენად მაქვს გონებაში გამჯდარი, რომ მე ადვილად ვპოულობ მის გავლენას ყველაფერზე, რაც კი ოდესმე დამიწერია".

2.3. ქართულ-ბერძნულ ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა

ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობები ძირითადად ეყრდნობა საგანმანათლებლო, სამწერლო მოღვაწეობას, რომლებიც ძირითადად ეკლესია-მონასტრებში ხორციელდებოდა და გაიელვა კიდეც ბაირონის შემოქმედებაში.

ქართულ-ბერძნული ურთიერთობის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ-ის მე-7ს-ის მე-2 ნახევარში შავი ზღვის სანაპიროზე ინტენსიური ბერძნული კოლონიზაციების წარმოშობა წარმოადგენს.

ბერძენი მწიგნობრების თანახმად, კი ცნობილია, რომ მე-9-7 საუკუნეებში ჩვ.წ.აღ-მდე ორი ქართული სახელმწიფო, კოლხა და იბერია ყვაოდა. ბერძენი მწერლები სტრაბონი და ჰეროდიტე გვამცნობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ქართველები, მსგავსად ანტიკური სამყაროს სხვა ხალხებისა, განიცდიდნენ უპირველეს ყოვლისა ბერძნების, მოგვიანებით კი ქრისტიანული ეთიკის ზეგავლენას.

ქრისტიანული რელიგია საქართველოში გავრცელდა პირველი საუკუნიდან და 337წ. კი ის ოფიციალურად იქნა მიღებული სახელმწიფო რელიგიად. ამ დროისათვის საქართველოში უკვე არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც ახალგაზრდა ქართველ სტუდენტთა შორის ცოდნას იღრმავებდნენ რიტორიკასა და ფილოსოფიაში ბიზანტიიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც. დიდი ქართველი ფილოსოფოსი პეტრე იბერი (მე-5ს-ის მოღვაწე), არის ავტორი წიგნებისა, სადაც აღწერილია ათენის პირველი ეპისკოპოსის, დიონისეს მოღვაწეობა.

საქართველოს შესახებ მრავალმხრივ ინფორმაციას გვაწვდიან ბიზანტიელი მწერლები. ყურადღებას იქცევს მე-4ს-ის გამოჩენილი ფილოსოფოსისა და რიტორის ცნობა, რომლის თანახმად კოლხეთში, ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა. თემისტიოსი მიმართავს ერთ-ერთ ახალგაზრდას: „მეც ჩემო კარგო ახალგაზრდა, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიდან წამოსულმა დაისადგურა, რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ. და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი... გახადეს

ელინური და აქციეს მუზების ტაძრად.”[2] როგორც ჩანს, თემისტიოსს კოლხეთში მდინარე ფაზისის მახლობლად არსებულ რიტორიკულ სკოლაში მიუღია განათლება, აქვე მიუღია განათლება თემისტიოსის ძმას, ევგენიოსს, რომელიც შემდგომში ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინოპოლში.

დიდი ყურადღება ენიჭება მჭიდრო კონტაქტებს ბიზანტიურ სამყაროსთან. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ძვ. საქართველოში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ბერძნული კულტურის უშუალო მემკვიდრესა და მის ახალ ნიადაგზე განმავითარებელთან – ბიზანტიასთან. ურთიერთობის თვალსაზრისით ფართო შემოქმედებითი საქმიანობა იშლება მწიგნობრულ ცენტრებში. ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობათა მანძილზე ითარგმნა არაერთი უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის პერიოდი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობისა, როდესაც მოღვაწეობდნენ ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები როგორებიც არიან ექვთიმე და გიორგი ათონელები (მთაწმინდელები), ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვანი. „ერთი სიტყვით” – როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს – „ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუში იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელ ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში, ეგრეთ წოდებული „რენესანსი” წარმოშვა” (ჯავახიშვილი, 1965; 301).

ქართული კულტურის ისტორიისათვის უსაზღვროდ ფასეულია გელათის, იყალთოს აკადემიებისა და ძვ. საქართველოს სხვა მწიგნობრული კერების როლი კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და შენარჩუნების საქმეში. საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მონასტრებთან პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე სირიაში, ათონსა და პეტრიწონში, სადაც არაერთი ჩვენი სახელოვანი წინაპარი მოღვაწეობდა.

უძველესი ფილოსოფიური სკოლა განახლდა საქართველოში მე-10-13ს.-ში, როცა ქვეყანამ განვითარების ზენიტს მიაღწია, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ ისე კულტურულ სფეროში. სწორედ დავით აღმაშენებლის დროს

[2] იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთეს ალ.გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა,თბ.1961, გვ. 50-53

დაარსდა განათლების უდიდესი კერა, გელათის აკადემია, სადაც მოიწვიეს გამოჩენილი სწავლულები, ბრძენკაცები, იურისტები, თეოლოგები, რომელთა უმრავლესობას დიდი კავშირები ჰქონდა სხვადასხვა მონასტრებთან და, კერძოდ, მანგანის აკადემიასთან კონსტანტინოპოლში. ასეთი საგანმანათლებლო მოღვაწეობის გამო, გელათის აკადემიას პირობითად უწოდებდნენ "Second Athos" ან „New Hellas". „ამ სავანეში ითარგმნა და დაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო" (კეკელიძე. თსუ, შრომები, მე-6:139-160).

ლორდ ბაირონს დიდი პოეტის სახელი „ჩაილდ ჰაროლდის" პირველი ორი სიმღერის გამოქვეყნებამ მოუტანა. ეს იყო 1812 წელს, როდესაც აღმოსავლეთში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა 24 წლის პოეტმა თქვა: „ერთ მშვენიერ დღეს სახელგანთქმულმა გავიღვიძეო". „ჩაილდ ჰაროლდის" მეორე სიმღერაში (27-ე სტანზა) პოეტი აღწერს ათონის მთას, ანუ მთას მეცნიერებისა, როგორც ხშირად უწოდებდნენ მას. დიდი გულდასმითაა შესწავლილი ლორდ ბაირონის ბიოგრაფია, მითუმეტეს, საბერძნეთის პერიოდი, რამეთუ ბაირონი საბერძნეის ეროვნულ გმირად იქცა. ასეთ ვითარებაში გვაქვს უფლება ვირწმუნოთ, რომ ბაირონი არასოდეს სწვევია ათონის მთას რადგან ეს ფაქტი არსად არაა აღნუსხული. მიუხედავად ამისა, გვანცვიფრებს იმ განცდის სიღრმე, რომელიც ათონისადმი მიძღვნილ სტრიქონებშია მოქცეული, საკუთრივ, მწუხრის ჟამს ღვთისმოსავი მწირის აღწერა, იმ მწირისა, რომელსაც ბედად ერგო წარსულის დავიწყება.

"More blest the life of godly eremite,
Such as on lonely Athos may be seen,
Watching at eve upon yhe giant height,
Which looks o'er waves so blue, skies so serene,
That he who there at such a hour hath been
Will listful linger on that hallowed spot;
Then slowly tear him from the witching scene,

Sigh forth on wish that such had been his lot,

Then turn to hate a world he had almost forgot. “ (Frederick Page, (stanza 27), 1970).

ბუნებრივია, ჩნდება მოსაზრება, რომ გიორგი მთაწმინდელის „მწუხრის ზარები” ბერძნულ ენაზე ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთში, რაც, უდავოდ, ბაირონის ყურადღებას არ გამოეპარებოდა, მითუმეტეს, თუ ის ვრცელდებოდა მელოდიასთან ერთად, როგორც საგალობელი. ახლა, რაც შეეხება ბაირონისა და ტომას მურის მეგობრობას. მათ ერთმანეთი გაიცნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაირონი პირველი მოგზაურობიდან ინგლისში დაბრუნდა. მური აღტაცებულია ბაირონის აღმოსავლური პოემებით („გიაური”, „აბიდოსელი პატარძალი”, „კორსარი” „ლარა”). ბაირონი ურჩევს მურს მზერა აღმოსავლეთისკენ მიაპყროს.

ათონის მთა, რომელიც სიმაღლით 6,667 ფუტია მდებარეობს ეგეოსის ზღვაზე. ათონის მთა ანუ წმინდა მთა, წარმოადგენს ერთობლიობას მართლმადიდებელ ქრისტიანთა და 20-მდე დამოუკიდებელი მონასტრისა. განდეგილი პირველად ეწვია ათონს ჩვ.წ.აღ.-ით 850 წელს და მე-10 საუკუნისთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო პატარა სამონასტრო კომპლექსი, ლავრა “Lavra in Greek”. 963წ. ბერი ათანასე ტრაპიზონიდან აარსებს პირველ რეგულარულ მონასტერს, “The Great Lavra”. იმავე საუკუნეში ორი მონასტერი იქნა აშენებული, ერთი მათგანი იყო იბერიის ანუ ქართული მონასტერი, სადაც უამრავი ქართველი ბერი მოღვაწეობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო გიორგი მთაწმინდელი (1009-1065წ.) გამოჩენილი მწიგნობარი, პოეტი, მთარგმნელი, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ათონის მთაზე და ხელი შეუწყო პროგრესული ლიტერატურის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. თანახმად მწიგნობართა ვერსიისა (რუს მწიგნობართა მე-19ს.-ის მე-2 ნახევრის), ტომას მურის ბრწყინვალე ლექსის “Evening Bells”, პირველწყაროს წარმოადგენს სწორედ გიორგი მთაწმინდელის ასევე დასათაურებული ლექსი “Evening Bells”.

ვერსიის თანახმად, გიორგი მთაწმინდელმა შექმნა ეს ლექსი, როგორც ეკლესიური ჰიმნი ბერძნულ ენაზე. საბერძნეთიდან, კერძოდ, ათონის მთიდან, მან მიაღწია რუსეთამდე (რუხაძე, 1960; 11) რუსეთის მონასტერი ათონზე დაარსდა მე-12ს-ში. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან რუსეთის გზით ვითარდებოდა, თუმცა, რუსულ-ქართულ ურთიერთობებს სათავე, ჯერ კიდევ, კიევის რუსეთის ეპოქაში (მე-9-10სს-ში) აქვს. როგორც დადგენილია რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მე-17 საუკუნიდან ორმხრივი ხასიათი აქვს,

წიგნები ითარგმნებოდა როგორც ქართულიდან რუსულად, ისე რუსულიდან ქართულად. თანახმად S.S. Volpe, გიორგი მთაწმინდელის ლექსი "Evening Bells", რუსული წყაროებიდან აღწევს სწორედ ტომას მურამდე, სავარაუდოდ, ასეთი სათაურით – "Air The Bells of St. Petersburg" and "Russian Air''.

ივანე კოზლოვის რუსული ვარიანტი, "Evening Bells" გამოჩნდა 1827წ. ასი წლის შემდეგ თომას მურის პუბლიკაციიდან და ის შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც პოეტური თარგმანი. აქედან გამომდინარე, ტომას მურის "Evening Bells " წარმოდგება ეკლესიური გალობიდან, რომელიც გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის. თომას მური, ისევე როგორც მისი განსწავლული თანამედროვენი, მშვენივრად იცნობდა საქართველოს. „ლალა რუკში" ტომას მური ხომ ქართველ ქალებსა და თბილისურ აბანოებზე გვესაუბრება (მერაბიშვილი, 2005):

"A lovely Georgian maid,
With all the bloom, the freshened glow
Of her own country maiden's looks,
When warm they rise from Tiflis brooks."
("Lalla Rookh")

უფრო მეტიც, ცნობილი დეკაბრისტის, ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის, საქვეყნოდ ცნობილი ციტატა, „дайте Кавказу мир и не ищите земного рая на Евфрате он здесь, он здесь" არის პარაფრაზი ტომას მურის გამონათქვამისა პოემიდან, „LiGHT OF THE HAREM'' – „ჰარამხანის ნათება."[3]

[3] ა.ბესტუჟევ მარლინსკი თავად მიუთითებს ამ ციტატის პირველწყაროზე. იხ. "Русские повести и рассказы, "ч.3, СТБ., 1838, ст. 196

თავი 3

ბაირონი და საბერძნეთი

ფასდაუდებელია ბერძნული ცივილიზაციის გავლენა მსოფლიო ცივილიზაციაზე, იგი არის ძირი, რომლიდანაც აღმოცენდა თანამედროვე ცივილიზაცია. აქ კაცი ყოველ ნაბიჯზე ხვდება ევროპული კულტურის საწყისებს. ამიტომ ამ ქვეყნის არა მარტო კულტურის თითოეული ძეგლი, არამედ თითქმის ყოველი ოლქი, დასახლება, მთა და მდინარე ელინელთა მითებისა და ისტორიის წყალობით კაცობრიობისათვის დიდი ხანია კარგად ცნობილ სიმბოლოდ იქცა. ის კულტურა, რომელსაც ამჟამად ძვ. ბერძნულს ვუწოდებთ და მისი შემქმნელი ხალხი ძვ.წ.აღ-ის პირველ ათასწლეულში გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ვიდრე დღეს თანამედროვე საბერძნეთია.

ანტიკური ელადა განფენილი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ბერძნებმა თავიანთი უძველესი ისტორიისა და კულტურის შესახებ თავადვე შემოგვინახეს ვრცელი ინფორმაცია უმდიდრესი წერილობითი წყაროებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა სახით. ანტიკური კულტურა თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ უმძლავრეს საყრდენს წარმოადგენს და დღესაც სტიმულს აძლევს თავისი აღუმატებელი სიმაღლეებით..

ბერძნულ ლიტერატურაში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ის ვითარება, რომელიც შეიქმნა საბერძნეთში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ანუ ეროვნული რევოლუციის წარმატებით განხორციელების შედეგად.

როგორც ცნობილია, 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ, ბერძნების დასახლებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ოთომანთა იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა. მართალია ცალკეულმა რეგიონებმა (კრეტამ, კვიპროსმა..) გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავი დააღწიეს ასეთ ბედს იმით, რომ მათ დასავლეთი უწევდა მფარველობას, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისინი თურქთა ბატონობის სფეროში მოექცნენ. ელინთა სახელმწიფოს აღდგენის, მათი თურქთა იმპერიის ბატონობიდან დახსნის საკითხი აღელვებდა არა მარტო ბერძნებს, არამედ ევროპის ბევრ სახელმწიფოსა. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მწიფდებოდა განთავისუფლების იდეა. მე-18ს-ის მიწურულისათვის ბერძენმა ხალხმა მოიკრიბა ძალები იმისათვის, რომ დაეწყო აქტიური მოქმედება ამ მიზნის განსახორციელებლად. ამას ხელს უწყობდა ევროპასა და რუსეთში

იმხანად შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ასევე თავად თურქეთის იმპერიის შესუსტების ტენდენციებიც.

1821წ. დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა, რომელმაც 7 წელს გასტანა და 1830 წელს დაგვირგვინდა ნანატრი თავისუფლების მოპოვებით. რასაკვირველია ჯერ კიდევ რჩებოდა თურქების ფარგლებში ბერძნებით დასახლებული ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილი. აგრამ, შეიძლება ითქვას, რომ საბერძნეთის ისტორიაში დაიწყო სავსებით ახალი ეტაპი, რომელსაც თავისუფალი ქვეყნის აღმშენებლობის ხანა შეიძლება ვუწოდოთ.

ბერძნულ სამყაროში მომხდარმა მოვლენებმა მსოფლიოში ორგვარი რეაქცია გამოიწვია. ერთის მხრივ, ევროპაში საკმაოდ მომძლავრდა ელინოფილური ტენდენციები. ამის გამოხატულება იყო ის რეალური დახმარება თუ მზადყოფნა დახმარებისათვის, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნები, კონკრეტული პიროვნებები იჩენდნენ საბერძნეთის მიმართ. ამგვარი სიმპათიის ნათელ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ჯ. ბაირონისა და საბერძნეთის ურთიერთობის საოცრად რომანტიკული ისტორია. საბერძნეთის ამბებით დაინტერესებულმა ბაირონმა გადაწყვიტა გამგზავრებულიყო საბერძნეთში და იარაღით ხელში დახმარებოდა აჯანყებულებს. ბაირონმა გაყიდა თავისი ქონება ინგლისში, საკუთარი სახსრებით შეიძინა გემი „გერკულესი". შეიძლება ითქვას, რომ ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ გემით „გერკულესი" მიემგზავრება ბაირონი საბერძნეთის წმინდა მიწის დასაცავად. გერკულესი ხომ იგივე ჰერაკლეს ნიშნავს ბერძნულ მითოლოგიაში, იგი ბერძენთა უდიდესი ეროვნული გმირია და მას ბოროტ ძალთა წინააღმდეგ სიკეთის ბრძოლის განსახიერებად მიიჩნევენ. ბაირონმა აღჭურვა გემი საჭირო იარაღით და საბრძოლო საშუალებებით და საბერძნეთში ჩავიდა საბრძოლველად. გახდა რა ერთი მეთაურთაგანი, ბაირონმა ბევრი რამ გააკეთა ამბოხებულ ბერძენთა დასარაზმავად და შესამჭიდროვებლად. მან დაიმსახურა ბერძენი ხალხისა და საერთოდ, ევროპის მოწინავე საზოგადოების დიდი სიყვარული. მომაკვდავი ბაირონი ისევ საბერძნეთზე ფიქრობდა: „საბრალო ხალხი, საბრალო საბერძნეთი. მე შევსწირე მას ჩემი დრო, ჩემი ფული, ჩემი ჯანმრთელობა —— რა შემიძლია გავაკეთო კიდევ? ახლა მე საბერძნეთს ვსწირავ ჩემს სიცოცხლეს".

აღმოსავლეთმა დიდად შესძრა რომანტიკოსი პოეტებისა და მწერლების ცხოვრება. თავად ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი" აღმოსავლეთში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა. პორტუგალია, ესპანეთი, მალტა, თურქეთი, საბერძნეთი. ბაირონის გარდა საბერძნეთს ბევრი გულშემატკივარი და მხარდამჭერი ჰყავდა

ევროპელ მწერალთა და პოეტთა შორის, მაგრამ ევროპელ ფილელენისტებს საკუთარი სიცოცხლე საბერძნეთისათვის ზვარაკად არ გაუღიათ. მათ შემთხვევაში სისხლი მხოლოდ სტრიქონებში იღვრებოდა, „ყველაზე ბედნიერი მე საბერძნეთში ვიყავი და თუ ოდესმე რამე დამიწერია.. ეს იყო საბერძნეთში ან საბერძნეთის გამო" — წერდა ბაირონი.

იბადება კისხვა რატომ იყო დაინტერესებული ბაირონი საბერძნეთის კულტურისა და საერთოდ პროელინური სამყაროთი და რატომ შესწირა მან თავი საბერძნეთის დამოუკიდებლობას?

G`Greece now face... three courses _ to win her liberty, to become a Colony of the sovereigns of Europe, or to become a Turkish province. _ Now she can choose one of the three _ but civil war cannot lead to anything but the last two. If she enviers the fate of Wallachia or of the Crimea she can obtain it tomorrow, if that of Italy, the day after tomorrow. But if Greece wanrs to become forever free, true, and Independent she had better decide now, or never again will she have the chance, never again." (BLJ 11: 71) (Marchand, 1981;71).

„საბერძნეთის დღევანდელი სახე.. სამი სვლა მოიპოვო დამოუკიდებლობა, გახდე ევროპის სუვერენული სახელმწიფოს კოლონია ან იყო თურქეთის პროვინცია. ამ არჩევანიდან მხოლოდ ერთი უნდა აირჩიოს საბერძნეთმა. სამოქალაქო ომს შეუძლია მხოლოდ ბოლო ორ მიზნამდე მიიყვანოს იგი. თუ საბერძნეთს სურს ყირიმის ხვედრი, ამის მიღწევა ადვილად შეუძლია. თუ მას სურს, იყოს სამუდამოდ თავისუფალი და დამოუკიდებელი, უმჯობესია ახლავე გააკეთოს არჩევანი; ან არასდროს მიეცემა ამის გაკესების შესაძლებლობა."

ეს უკომპრომისო სტრიქონები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც საბერძნეთზე ზემოქმედების გეგმა. ის გვიხატავს მოქმედი ადამიანის პორტრეტს. ბაირონი ხაზს უსვამს საბერძნეთის ისტორიულ როლს მე-19 საუკუნეში. ბაირონის დამსახურებაა საბერძნეთის უმალ ევროპეიზაცია, განაცხადებს საბერძნეთის პრემიერ მინისტრი, ელეფტერიოს ვანიზელოსი (Eleftherios Venizelos), Newstead Abbey-ზე 1931წ. სადაც იგი ქებას ასხამს ბერძნების წინდახედულებასა და პოლიტიკურ ალღოს, რამაც გამოიწვია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის გაერთიანება. დაახლოებით 50 წლის შემდეგ, პოეტი და კრიტიკოსი, ანდრეას კარანტონისი (Andreas Karantonis), ბაირონის ამ სახიფათო წამოწყებას საბერძნეთში ახასიათებს, როგორც პოლიტიკურ სვლას. ბერთრანდ რასელის (Bertrand Russell) თქმით კი, ბაირონი უფრო გავლენიანი პიროვნება იყო მთელს კონტინენტზე, ვიდრე ინგლისში; „ის უფრო მითია ვიდრე სინამდვილე". კარანტონის მიხედვით „თუ ასეთი გავლენიანობა ახლოს მიდის მითის პროპორციებთან, მაშინ

საბერძნეთმა კიდევ ერთხელ შესძლო მიეთვისებინა მისივე დამსახურება, როგორც უმშვენიერესი მითების ფუძემდებელმა.'' ბაირონი 1821წლის საბერძნეთის მშფოთვარე დროს ახასიათებს თავისივე დამახასიათებელი, გაბატონებული პერსონაჟებითურთ. ბაირონის მიღება საბერძნეთში კონცენტრირებულია მისი ცხოვრებისა და გარდაცვალების აქტუალურ მოვლენებზე და იმ დამსახურებაზე, რომელსაც იგი გამოხატავდა ბერძნების ბრძოლაში მჩაგვრელი თურქების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე ბაირონის მიერ შექმნილი პერსონაჟი თავად ხდება ეროვნული გმირი, რომლის შეცნობის შემდეგ ნათლად ჩანს პოეტის სახე (Trayiannoudi, 2005; 419).

მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ამომწურავად და, ამავდროულად, გადაჭარბებული ემოციით აღწერს, ლორდ ბაირონის ჩამოსვლას, მიღებასა და მოღვაწეობას საბერძნეთში, ესაა პიეტრო გამბას (PietroGamba) ნაწარმოები, „ბაირონის მოგზაურობა საბერძნეთში.'' Ellinika Hronika (ბერძნული გაზეთი), სადაც გამოქვეყნებულია ეს მასალა, არის ერთ-ერთი იმ გაზეთთაგანი, სადაც შემონახულია საბერძნეთის თავისუფალი მეცნიერული ნაშრომები. ეს გაზეთი პირველად 1823 წ. გამოვიდა ბაირონის ნაწილობრივი დაფინანსებით, რედაქტორი ორი წლის განმავლობაში იყო შვეიცარიელი ჯონ მეიერი (John Meyer).

გამბას მიხედვით, რომელიც ასახავს საბერძნეთისა და ბაირონის დამოკიდებულების მნიშვნელობას, მისოლუნგი არის ადგილი, რომელიც ბაირონმა აირჩია განმანთავისუფლებელი მოძრაობის საწყისად, რათა დაებრუნებინა ძველი საბერძნეთის დიდება. გულგატეხილი ქალაქი, რომელსაც დეპრესიის გარდა არაფერი მოუტანია ხალხისთვის, მოულოდნელად გადაიქცა რევოლუციური მოძრაობის სტუმართმოყვარე კერად. გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო შესაძლებელი იყო შტაბის მოთავსება, იგი ბუნებრივად იყო დაცული ლაგუნის მიერ, რის გამოც თურქების ჯარი თავს არიდებდა ქალაქში შეჭრას. ამავდროულად მისოლუნგის დასავლეთ სანაპირო ბრიტანეთის პრეფექტურის ქვეშ იმყოფებოდა. მისოლუნგი გახდა თავისუფლების სიმბოლო სანამედროვე საბერძნეთის ისტორიისა და ლიტერატურისათვის. ეს იყო წმიდათა-წმიდა ადგილი, სადაც მდებარეობს საბერძნეთის გმირთა სამარხები (როგორიცაა ბაირონი და ბოსტარი).

პირადად ბაირონისთვის მისოლუნგი იყო პრინც მავროკარდოს, განმათავისუფლებლებს შორის ერთადერთი ცივილიზებული პიროვნების, პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მყოფი ქალაქი. ბაირონის დამოკიდებულება ნაჩვენებია მის წერილებში შეფარული გრძნობითა და ემოციით. მწერალი

საჯაროდ აცხადებს მის დამოკიდებულებას ბერძნებისადმი და გამოთქვამს შიშს და უნდობლობას ზოგიერთი ბერძენის მაქინაციებსა და შესაძლებლობებზე. საბერძნეთზე კი საუბრობს, როგორც „გმირების, ხელოვნებისა და თავისუფლების მოტრფიალე ქვეყანაზე.'' (BLJ.11:57-103)

ბაირონის ნაყოფიერი მოღვაწეობა მისოლუნგში დაიწყო „ცივილიზებულ-განმანთავისუფლებელ'' პრინც მავროკარდოსთან თანამშრომლობით. მათი მიზანი იყო იდეის ძიება, რომელსაც მართალია ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდებოდა, თუმცა, ნელი სვლით მონებს ფხიზელ მოქალაქეებად გადააქცევდნენ. ბერძნების ცხოვრებაში შეჭრილ ქაოსსა და კომფლიქტებს შორის, ამ ორმა პიროვნებამ წარმატებით შეძლო შეეცვალა უარყოფითი პოლიტიკური პროგნოზები და ბრიტანეთსა და საბერძნეთს შორის არსებული საკმაოდ მწვავე ურთიერთობის განეიტრალება. გამბას წერილიდან საბერძნეთი უნდა გამხნევდეს და ენდოს ინგლისს, როგორც მეგობარს, ხოლო ინგლისმა უნდა სცნოს მისი დამოუკიდებლობა, ვიდრე კოლონიზაცია, რომელიც მის ინტერესებშია.

ბაირონის დამსახურება სწორედ ისაა, რომ Ellinika Hronika, როგორც პოლოტიკურ-ისტორიული შუამავალი მოიცავდა და ავრცელებდა ამ ინფორმაციებს გამომცემლობის ორი წლის მანძილზე. გაზეთი ზომიერად შეიცავდა ლიტერატურულ შედევრებს, მათ შორის იყო ბაირონის ლექსი „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი'', "On This Day I Complete My Thirty-Sixth Year", რაზედაც მთარგმნელი აღფროვანებით ამბობს: „მეჩვენებოდა, თითქოს, ბაირონის გულისწადილს ვკითხულობდი''-ო.

"Awake (not Greece _ she is awake!)
Awake my spirit! think through whom
The Life _ blood tracks its parent lake
And then strike home!
....
If thou regret'st thy youth, wty live?
The Land of honourable Death
Is here: _ up to the Field! and give
Away thy Breath!'' (Frederick Page, 1970).

1824-ის 12 იანვარს მისოლუნგში, დასავლეთ საბერძნეის მაღალ თანამდებობაზე მყოფი პოლიტიკოსებისა და სამხედროების ოქმის გამოქვეყნება იყო Ellinika Hronika-ს ერთ-ერთი პირველი მასალა, რომელიც გადმოგვცემს გენერალური ანსამბლეის თავმჯდომარის, მაკროკარდოს, მიერ წარმოთქმულ

სიტყვას, სადაც რამდენჯერმე ხაზი გაუსვა ბაირონის ინტერესს ბერძენი ხალხის მდგომარეობის შესახებ. შიდა ჩხუბები და ინტრიგები არულებდა ბრიტანელების მიერ ფინანსური დახმარების გაწევას. ეს კი დაბრკოლებას უქმნიდა ბერძნების ბრძოლის შესაძლებელ წარმატებას. გაზეთი კი ხელს უწყობდა ბაირონის დიპლომატიური და პოლიტიკური შეხედულებების გაგებასა და მოწონებას. ყოველივე ამან განაპირობა ბაირონის გულთბილი მიღება მისოლუნგსა და სრულიად საბერძნეთში.

ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ბაირონის ზღვით მოგზაურობა კეტალონიიდან მისოლუნგამდე. შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ მას თან ახლდა გრაფი გამბა, რომელმაც მოახერხა რევოლუციისთვის რეალური თანხის შოვნა. სწორედ ამ წერილში აღინიშნა ბაირონის მოსალოდნელი ხვედრი საბერძნეთში. 24 დეკემბერს გამთენიისას ბაირონმა მიაღწია მისოლუნგამდე, სადაც მას ხალხი დიდებულად დახვდა, რათა საკადრისი პატივი მიეგოთ დიდსულოვანი ადამიანისთვის, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ბერძენი ერის ხელახალ აღორძინებაში. 1824წ.-ის 17 მარტს მისოლუნგის საკრებულოს წარმომადგენლებმა, ბაირონის წვლილი საბერძნეთში საჯაროდ აღიარეს. იგი დასახელებული იქნა, როგორც ეროვნული ქველმოქმედი და ბერძენი ერის განმანათლებელი.

დაახლოებით ერთი თვის იშემდეგ, 1824წ-ის აპრილს, საბერძნეთის დროებითმა მთავრობამ გამოსცა უფრო ვრცელი განცხადება, რომელიც ასევე არქივში იქნა შეტანილი. მასში გამოცხადდა 21 დღიანი ეროვნული გლოვა „ჯორჯ გორდონ ლორდ ბაირონის" საპატივცემულოდ. ბაირონის სიკვდილისადმი მიძღვნილ პროკლამაციას თან ახლდა ისეთი მაღალფარდოვანი გამონათქვამები, როგორიცაა: „სახელგანთქმული ლორდის ღირსება და დამსახურება", „დიადი ფილელენი", „ნამდვილი ლიბერალი", „ეროვნული მამა და ქველმოქმედი." ბაირონს ასევე აღუთქვეს უკვდავება და მარადიული ხსოვნა საბერძნეთში.

რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მოძრაობის, აღიარება საბერძნეთში, საკმაოდ ნელა მოხდა, რადგან ის უცხოეთიდან განიცდიდა ზემოქმედებას.

ბაირონიზმი არის პოლიტიკური მიღწევის შედეგი, რომელიც მოიცავს ბაირონის ჩამოსვლასა და გარდაცვალებას საბერძნეთში და მის მიერ ევროპული რომანტიზმის შემოტანას. ტერმინი „ბაირონიზმი" განმარტებულია, როგორც ბაირონის კრიტიკული და შემოქმედებითი ლიტერატურა. ის აღნიშნავს საბერძნეთში პოლიტიკურ და ისტორიულ წვლილს, ისევე როგორც

მოღვაწეობას, რომელიც მან ნათლად გადმოგვცა თავის შემოქმედებაში. ბაირონის არსებობა და მოღვაწეობა საბერძნეთში აღიარებული იქნა, როგორც თვით ბაირონული გმირის განსახიერება. გეორგიოს ვაფოპულოსი ზუსტად აღნიშნავს, რომ ბაირონი იყო მწერალი და აკადემიკოსი, რომელიც კარგად აცნობიერებდა სიცოცხლის არსს, როცა წერდა და ქმნიდა ხელოვნების ნიმუშს. საბერძნეთისათვის ბაირონის ხელოვნება იყო სიცოცხლე, ხოლო მისი ცხოვრება თავად ხელოვნება.

როგორც ჩანს, საბერძნეთის ცისა და ზღვის ლაჟვარდი, მისი დიადი წარსული, მართლაც, სხვა ძალით აღაფრთოვანებდა პოეტის შთაგონებას, სხვა ხიბლით უფერადებდა სტრიქონს, სხვა სევდით უნაღვლიანებდა ისედაც მწუხარე გულს. თურქეთის უღელქვეშ მყოფი ელადა ხომ დაკნინებული, დაბეჩავებული და გაძარცვული დახვდა ბაირონს. ამიტომ იტყვის პოეტი: „საბერძნეთო, საბერძნეთო ... შენი მზის გარდა აქ ყველაფერი ჩასვენებულა".

ბაირონის დაინტერესება საბერძნეთის მიმართ, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან დაიწყო ჰაროუში სწავლის დროს, და ეს დაინტერესება გადაიზარდა გატაცებაში, ერთის მხრივ, მშფოთვარე ბაირონის იდეებსა და ცვალებად, ზოგჯერ რთულ და გულწრფელ დამოკიდებულებაში საბერძნეთის მიმართ.

ჯერ კიდევ აბერდინში (ABERDEEN) ადრეულ ასაკში ბაირონი იღებდა კლასიკურ განათლებას ადგილობრივი მეურვისაგან, რომელიც აცნობდა მას ROMAN VERGIN და ROMAN CICERO, ხოლო შემდეგ ჰაროუში 1801 წელს, როგორც ყველა ინგლისელი ბავშვი მისი ასაკისა, ვალდებული იყო საჭირო დონეზე შეესწავლა ბერძნული და ლათინური. თავის ჩანაწერებში ბაირონი ყოველგვარი სინანულის გარეშე ამბობს: (დათარიღებული 1821წ. 15 ოქტომბერი – 1822წ. 18 მაისი სათაურით "" Detached Thoughts,"):

"I sometimes wish that – I had studied languages with more attantion _ those which I know, even the classical (Greek and Latin in the usual proportion of a sisth form boy) and a smattering of modern Greek."

`USUAL PROPORTION" – ეს სიტყვები იყო დამამტკიცებელი საბუთი 1807წ. გამოქვეყნებული მისი თარგმანისა "Houers of Idleness". როცა ბაირონი იყო 19 წლის. თარგმანები ანაკრეონის, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე" და ევრიპიდეს „მედეა", სადაც მედეა მიტოვებული და გაძევებულია, ბაირონში აღძრავს მზრუნველობასა და ინტერესს. მედეა ეხება ბაირონის ფსიქოლოგიას. ვერავითარი

თარგმანი ვერ აღძრავდა ისეთ ღრმა სულიერ მღელვარებას ბაირონში როგორიც ამ თარგმანებმა გამოიწვიეს (Berry,1987:156)

ყოველი ინგლისელი სკოლის მოსწავლე ღრმად ეცნობოდა საბერძნეთის კლასიკურ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი, როგორც ვიცით ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეს". გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც 1807წ-ის მაისით თარიღდება მიწერილი თავისი ჰაროუსა და კემბრიჯელი მეგობრის, ი.ნ.. ლონგისადმი, ის წერდა: „..როცა ომი დამთავრდება, მე ვიმოგზაურებ არა საფრანგეთსა და იტალიაში არამედ – საბერძნეთსა და თურქეთში".

თავისი პირველი ვიზიტის შემდეგ საბერძნეთში 1809-11წ.-ში, ის იკავებს ადგილს ლორდთა პალატაში, სავსე ენერგიითა და ბოღმით. იგი აღფრთოვანებულია საბერძნეთის ბუნების სილამაზით, მხარით „სადაც მზე ანათებს" „ორ თვეს ყოველ წელიწადს', რაზედაც ის მოგვიანებით დაწერს „bepoSI" და შეადარებს ინგლისის ამინდს პირობითად "The Bride of Abidos"– ში. განსხვავებით სხვა იმდროინდელი ინგლისელი მოგზაურებისა, საბერძნეთში ბაირონს აინტერესებდა „Living Greece" – ცოცხალი საბერძნეთი, ვიდრე მისი წარსულის ძებნა. ნარჩენები საბერძნეთის ბრწყინვალე წარსულიდან იწვევს მასში უფრო წუხილს, ვიდრე ნათელ მოგონებებს. თანამედროვე საბერძნეთის მიმართ იგი პირველ ხანებში ამბივალენტურია. ის „ჩაილდ ჰაროლდის" მე-2 თავს იწყებს მიმართვით "Augusts Athena! Where are thy men of might? Thy grand in soul? Gone glimmering through the dream of things that were… " – ბრწყინვალე ათენი! სად არის ძლევამოსილი კაცი? ამაღლებული სული? უკუაგდე მოციმციმე ფიქრები."

ბაირონის დაინტერესება საბერძნეთითა და მისი ხალხით კიდევ უფრო იზრდება. მისმა პირველმა ხანმოკლე ვიზიტმა კონსტანტინოპოლში კიდევ უფრო გაზარდა ნოსტალგია საბერძნეთისადმი. თავისი განწყობა ყოველივე ამის გამო მან გამოხატა თავისი მეგობრის ჰენრი დრურისადმი მიწერილ წერილში: „მე მიყვარს საბერძნეთი, რომელიც სინამდვილეში არამზადაა, მთელი თავისი თურქული ნაკლოვანებებით სიმამაცის გარეშე ..." და შემდეგ განაგრძობს: „მე მკვდარი ვარ სიყვარულით სამი ბერძენი გოგონასადმი, რომლებთანაც მე ვცხოვრობდი. ისინი 15 წლამდე არიან, ორი მათგანი დამპირდა კიდეც, რომ ინგლისამდე გამაცილებდა". 'dtkfathb rb bvbs lfbo'j^ hjv 1809 წლის დეკემბერში, შობა დღეს, ბაირონი და მისი მეგობარი, ჰობჰაუზი, ათენს ეწვივნენ. იმხანად ათენში სასტუმრო, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ამიტომ ბაირონმა ბინა იქირავა. ეს იყო ქვრივი ქალის, გვარად მაკრის სახლში, რომლის მეუღლე ბრიტანეთის ვიცე-კონსული ყოფილა. ქალს სამი მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდა: ტერეზა, მარიანა და

კატინკა. სამივე 15 წლამდე ასაკის ყოფილა. როგორც ჩანს, ყველაზე სათნო და თვალწარმტაცი ტერეზა იყო. ეს კი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ 21 წლის ბაირონი სიყვარულის მორევში გადაშვებულიყო, რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ შორიდან უფაქიზეს ტრფიალში გამოიხატებოდა.

მაკრის სახლში ცხოვრების პერიოდში ბაირონს კვლავ სტამბულში წასვლის საშუალება მისცემია და გამგზავრების წინ ლექსით აღუბეჭდავს თავისი ტრფიალი ტერეზა მაკრისადმი. ეს გახლავთ ცნობილი ლექსი, მიძღვნილი ათენელი ქალწულისადმი.

ამ ლექსის გამო არანაკლებ ცნობილი შეიქნა თავად მშვენიერი ტერეზა მაკრი. მოგვიანებით ტერეზა ცოლად მისთხოვდა ინგლისელს, გვარად ბლაკს, მაგრამ როგორც ამბობენ, ბაირონისაგან ბოძებული სახელით ის მთელი ცხოვრება ნებივრობდა. ამ ლექსზე შარლ გუნოს მუსიკა დაუწერია, თუმცა, თავად ლექსი ცალკე აღებული, უკვე იყო მუსიკა. სახლი, რომელშიც მაკრის ოჯახი ცხოვრობდა, ახლა აღარ არსებობს, მაგრამ ათენელებმა კარგად იციან ეს ადგილი ახლანდელი მონასტერაკის უბანში.

ბაირონის ამ ლექსს რეფრენად გასდევს ბერძნული სიტყვები: “Ζώη μοῦ, άς᾽γ ω᾽”, რაც ჟღერს, როგორც “ზოი მუ, სას აღაპო” და ქართულად ნიშნავს „ჩემო სიცოცხლევ, მე შენ მიყვარხარ“.

Maid of Athens, Ere We Part

Ζώη μοῦ, σάς ἀγαπω

Maid of Athens, ere we part,
Give, oh give me back my heart!
Or, since that has left my breast,
Keep it now, and take the rest!
Hear my vow before I go,
Ζώη μοῦ, σάς ἀγαπῶ.

By those tresses unconfined,
Wooed by each AEgean wind;
By those lids whose jetty fringe
Kiss thy soft cheek's blooming tinge
By those wild eyes like the roe,

Ζώη μοῦ, σάς ἀγαπῶ.

By that lip I long to taste;
By that zone-encircled waist;
By all the token-flowers that tell
What words can never speak so well;
By love's alternate joy and woe,
Ζώη μοῦ, σάς ἀγαπῶ.

Maid of Athens! I am gone:
Think of me, sweet, when alone.
Though I fly to Istambol,
Athens holds my heart and soul:
Can I cease to love thee? No!
Ζώη μοῦ, σάς ἀγαπῶ ((Frederick Page, 1970)).

ათენელ ქალწულს

განშორების ჟამი დადგა,
ათენელო ქალწულო!
გული, გული დამიბრუნე,
გთხოვ, არ ამითვალწუნო.
თუმცა ის ხომ შენ გეკუთვნის,
შენი ტრფობით ამაყობს,
ვიდრე წავალ შემოგფიცებ,
Ζώη μοῦ, άς ᾽γ ῶ.
ქარი გეტრფის ეგეოსის,
როცა გიშლის დალალებს,
შენი გიშრის წამწამთ რხევა
ვარდის ღაწვებს ალაღებს.
შენი თვალის ეშხმა მომსპო,
შველის მზერას რად მაპყრობ,
ტანი ლერწამს რად მიგიგავს?
Ζώη μοῦ, άς ᾽γ ῶ.

ოდეს გნახე, მე იმ დღიდან
შენი კოცნა მწყურია,
ტრფობის ნიშნად ყვავილს გიძღვნი,
სიტყვა განწირულია.
სული განცდას ვეღარ იტევს,
ლამის მკერდი გააპოს,
სიყვარული შემომფიცე,
Zώη μοῦ, άς ᾽γ ω῾.
განშორების ჟამი დადგა,
სტამბულს მივემგზავრები,
შენს ფიქრებში დავიბუდებ,
როცა მარტო დარჩები,
გული ათენს უნდა დარჩეს,
გული როგორ გავაპო,
შენს სიყვარულს როგორ დავთმობ,
Zώη μοῦ, άς ᾽γ ω῾.[4]

ბაირონის პროელინური სამყაროთი დაინტერესება, როგორც კულტურული ისე პოლიტიკური სავსებით რეალურია. ბაირონი ყველა დროის მკითხველისათვის ერთნაირად გასაგებია მისი გამჭოლი და გამომწვევი ტონით.

“Fair Greece! Sad relic of departed worth! Immortal, though no more; though fallen, great! who now shall lead thy scattered children forth, And long accustomed bondage uncreate?”

„ელადა, ძველი გულადობის სამარა, თუმცა, დაემხო – შენ მაინც უკვდავება გელის. შენ დიადი ხარ, მაგრამ დიდი ხანია, განისვენებ. შენი შვილებიდან რომელი დაამხობს მონობის უღელს?“ („ჩაილდ ჰაროლდი“, canto 2 , stanza LXXIII).

ამ სულისჩამწვდომმა ხმამ ეხოსავით გაიჟღერა ბევრ სხვა ლირიკოს პოეტთა შორის.

ბაირონის პარლამენტში პირველი გამოსვლიდან ორი კვირის თავზე ქვეყნდება „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“, I და II სიმღერები.

ახალგაზრდა კაცის მიერ თავგადასავლის ძიება – ეს მარადიული თემაა. პოეტური ავტობიოგრაფია და ლექსად დაწერილი სათავგადასავლო ამბავი ადრეც ყოფილა შექმნილი, თავად ხმელთაშუა ზღვისაც, მაგრამ „ჩაილდ ჰაროლდის“

[4] აქაც და შემდგომ თარგმანი ი. მერაბიშვილისა^ ბაირონი ქართულად^ თბ&^ 2002^ გვ&27

მსგავს სიახლის სურნელს, თხრობის ენერგიულობას, სითამამესა თუ ენის სილაღეს ვერაფერი შეედრებოდა. ნაწარმოების მთავარი გმირია ერთი დაუდევარი არისტოკრატი, რომელსაც თავგადასავალი სწყურია. ასეთ გმირთან ყოველი ახალგაზრდა საკუთარ თავს აიგივებდა, ამავე დროს მასში ხედავდნენ თავად ავტორს ქმნილებისა, ისეთივე ლამაზსა და განწირულს სევდისათვის, როგორიც მისი გმირი იყო.

საყურადღებოა ნაწარმოების სათაური – " Pilgrimage" (მოგზაურობა), როგორც „პილიგრიმი“, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სათავგადასავლო მოძრაობას, არამედ საკუთარი თავის ამოცნობას, საკუთარი „მეს“ გასარკვევად განკუთვნილ მოგზაურობას. სწორედ ამიტომაც გაეშურა პირველ მოგზაურობაში ლორდ ბაირონი, რამეთუ სურდა დაემკვიდრებინა პირადი დამოუკიდებლობა და ენახა სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მისი რომანტიკული იმპულსია, აგრეთვე, ნახოს ის იდეალი, რომელიც, როგორც აღმოჩნდება, არ არსებობს. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა საბერძნეთს - მისი ოცნების ქვეყანას და მისი მსოფლმხედველობის პირველწყაროს.

საბერძნეთის აღორძინების იდეა არასოდეს ტოვებდა ბაირონის გონებას, რასაც ის „ დონ ჟუანში” (მნე-3 კანტო The Isles of Greece) პოეტური მგრძნობელობით გამოხატავს ფრაზაში% “that Greece might still be free”.

Canto 3 of “Don Juan” სცენა მიმდინარეობს ჰაიდეს ბერძნულ კუნძულზე. მგზნებარე სიყვარული იულიასადმი, ხომალდის დაღუპვა, ბრწყინვალე სტროფები, რომელიც ეძღვნება საბერძნეთის კუნძულს, სადაც დონ ჟუანი ზღვის ყაჩაღის ქალიშვილს, ჰაიდეს ხვდება.

“The isles of Greece, The isles of Greece
Where burning Sappho loved and suns,
Where grew the arts of war and peace
Where Delos rose and Phoebus sprung
Eternal summer gilds them yet
But all, except their sun, is set.” ((Frederick Page, 1970).

წარსულის დიდების, რომლის მემკვიდრეა მთელი ევროპა, ეხლა მხოლოდ მოგონებაღა დარჩა. ბაირონი კარგად იცნობდა ანტიკურ საბერძნეთს ჰაროუში სწავლის დროს.

“The mountains look on Marathon—

And marathon looks on the sea;
And musing there an hour alone
I dream'd that Greece might still be free,
For standing on the persians grave,
I could not deem myself a slave."

იცოდა სამასი სპარტანელის ისტორია და წუხდა ახლანდელი საბერძნეთის მდგომარეობით, რომელიც თურქეთის უღელქვეშ გმინავდა.

"Where are they? (those heroic Greeks)
And where art thou
My voiceless country?"

Voiceless is Hellas, ამ სტრიქონების ავტორი ღრმად იდელიზებული პიროვნებაა და ბერძენი ხალხისადმი კეთილგანწყობილი პოეტი მზად იყო, როცა დრო დადგებოდა, თავად აეღო ლიდერობა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბაირონის საბერძნეთით დაინტერესება, ბუნებრივია, მისი მებრძოლი სულიდან გამომდინარეობს. „ჩაილდ ჰაროლდის"-მე-2 ქებაში ბაირონი ძირითადად ლაპარაკობს დამონებული საბერძნეთის შესახებ. ქების დასაწყისში ის გადმოგვცემს იმ ნაღვლიან ფიქრებს, რომელიც ბაირონს ებადება საბერძნეთის ძველი დროის გახსენებაზე. ბაირონი გმობს ინგლისის კოლონიზატორულ პოლიტიკას. განა ინგლისმა თურქეთთან ნერთად, არ დაადო მონობის უღელი ბერძენ ხალხს? „ო, საბერძნეთო,-- ამბობს ბაირონი ოხრად გაქციეს, ვისი თვალები არა ღვრის მწარე ცრემლებს შენი დამახინჯებული სახის ცქერისას? წყეული იყოს ის საათი, რიცა შენი წმინდა ადგილების გასაძარცვად აქ მოვიდა ინგლისი, როცა მან გაანადგურა შენი სამფლობელო!"

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ კონსტანტინეპოლში ბრიტანეთის იმჟამინდელი ელჩი, ლორდ ელგინი. ისარგებლა რა საბერძნეთის დასუსტებით, მან მოხსნა კრეატიდის ერთ-ერთი ქალწულის ქანდაკება აკროპოლისზე ერეხთენონის ფრიზები, კიდევ მრავალი სხვა რამ და ეს ყველაფერი ინგლისს გაუგზავნა, რათა შემდგომ ბრიტანეთის მუზეუმისათვის მიეყიდა, სადაც ისინი დღესაცაა დაცული. ბაირონი წინ აღუდგა ამგვარ მოქმედებას, შეაფასა როგორც ძარცვა და საქვეყნოდ ამხილა. („ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები", „მინერვას წყევლა", „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა"). მის მეგობარ ჯონ კემ ჰობჰაუზს ასეთი არგუმენტი მოუშველიებია ლორდ ელგინის დასაცავად, რომ, თითქოსდა, ამ საგანძურის ლონდონის მუზეუმისათვის გადაცემა ხელს შეუწყობდა ინგლისში მომავალი არქიტექტორებისა და მოქანდაკეების

აღზრდას. მაზე ბაიონს მისთვის ჩვეული გონებამახვილობითა და იუმორით უპასუხია: „ თურმე ათენი იმისთვის იძარცვება, რომ ინგლისელებმა ძეგლების გამოქანდაკება ისწავლონ. მათ კი ამის ისეთივე ნიჭი აქვთ, როგორიც ეგვიპტელებს ციგურებით სრიალისო.''

ხუმრობა ხუმრობად დარჩა, მაგრამ ეს ყოველივე სამუდამო იარად დააჩნდა ბაირონის გულს. ალბათ, ამიტომაც საკვირველი არაფერი იყო იმაში, რომ გარდაცვალების შემდეგ ხმა გავრცელდა, ბაირონის აჩრდილი ნახეს, ბრიტანელებს საბერძნეთისათვის საგანძურის დაბრუნებას ევედრებოდაო. ეს დეტალი, როგორც ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს წიგნში, „ბაირონი ქართულად'', მოხერხებულად შეახსენა ათენში გამართულ ბაირონის საერთაშორისო კონფერენციაზე 1994წ. დამსწრე საზოგადოებას ამერიკელმა პროფესორმა, მარსელო გარინომ. მას წინ ისიც უსწრებდა, რომ ინხანად საბერძნეთის კულტურის მინისტრმა, აწ განსვენებულმა ქალბატონმა ელინა მერკურიმ, 50 ქვეყნის წამყვან მოღვაწეთა ხელმოწერა შეაგროვა და ბრიტანეთის მთავრობას საბერძნეთისადმი ძეგლის დაბრუნების თხოვნით მიმართა, თუმცა, ამაოდ. დღეს ამ კეთილშობილურ წამოწყებას სათავეში უდგას ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, ცნობილი ბრიტანელი მოღვაწე და მწერალი, ვილიამ სენტ კლერი, რომელიც იმედოვნებს, რომ საკითხი საბერძნეთისათვის დადებითად გადაწყდება (მერაბიშვილი, 2002; 121-122).

ბაირონი წინ აღუდგა ამგვარ ძარცვას არა მარტო საბერძნეთისადმი სიყვარულის გამო, არამედ, საერთოდ, კაცთმოყვარეობის პრინციპიდან გამომდინარე, რაც მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი.

ბაირონი იგონებს საბერძნეთის დიდებულ წარსულს. ძველი ელადის გახსენებით მას სურს აჯანყებისათვის გაამხნევოს ახალი საბერძნეთი, ელადელ გმირთა აჩრდილების გამოწვევით საბრძოლო სულისკვეტება ჩაუნერგოს მისი დროის ბერძნებს. „ელადა, ძველი გულადობის სამარე, თუმცა, დაემხო, შენ მაინც უკვდავება გელის. შებ დიადი ხარ, მაგრამ დიდი ხანია განისვენებ. შენი შვილებიდან რომელი დაამხობს მონობის უღელს?'' და ბაირონი მოუწოდებს, ნუ დაელოდებიან დახმარებას უცხოთა მხროდან, თვითონ იხსნან საკუთარი თავი. „ტყვეები ბორკილებს თავიანთი ხელებით ამსხვრევენ, როცა მათ ზეშთააგონებთ თავისუფლების ხმა''. აირონი ესალმება პროგრესული ძალების გამოსვლას, ხალხის მასების შეიარაღებულ აჯანყებას. ღოგორც ავღნიშნეთ, ჩაგრული ერების ერთადერთ ხსნას ბაირონი აჯანყებაში ხედავს.

ედვარდ ტრელონისათვის კი ბაირონს მიუწერია: „თუ პოეტი ვარ, საბერძნეთს უნდა ვუმადლოდეო,” ბაირონს უწინასწარმეტყველებია კიდეც; „წინათგრძნობა მაქვს, საბერძნეთში გარდავიცვლებიო.”

„მსოფლიო მოქალაქედ” აღიარებული მწერალი თავს მოვალედ თვლიდა, ჩაგრულთა გვერდით დამდგარიყო და ებრძოლა იმ საყოველთაო თავისუფლებისათვის, დედამიწაზე რომ უნდა დამყარებულიყო დიდი და მცირე ერებისათვის თანაბრად.

მას აღაშფოთებდა არაერთი ბერძენის უპატიოსნება და არაკეთილსინდისიერება, რაც ხშირად ეროვნული გაჭირვებით ყოფილა შენიღბული, მაგრამ მისთვის დღესავით ნათელი იყო, რომ თავისუფლების მოპოვება საჭირო იყო არა ცალკეული უღირსი პირებისათვის, არამედ მთელი ბერძენი ხალხისათვის, რომლის ნათელი სახე ჯერ კიდევ მომავლიდან იყურებოდა.

1920წ.-თაა დათარიღებული მისი ლექსი, „სტანსები”, რომელიც პოეტის ცხოვრების კრედოს წარმოადგენს. „ იყო რაინდი, კაცთა მოდგმის რჩეულთ ხვედრია.” ამ ლექსშივე აქვს ნაწინასწარმეტყველები თავისი სიკვდილი. და მართლაც, ოთხი წლის შემდეგ ბაირონმა საბერძნეთის თავისუფლებას შესწირა სიცოცხლე.

„თუ ძველი რომის და ელადის ღირსებას იხსნი,
გმირის სიკვდილით დიდი ნატვრა აგისრულდება”.

აისრულა კიდეც „დონ ჟუანში” ნათქვამი: „მე ვიბრძოლებ სულ მცირე სიტყვებით, და როცა საშუალება მომეცემა – საქმით”.

ბაირონი თავისი ლექსით „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი”, ეხმიანება თავის ბედს, თუმც, იმედის ნაპერწკალი აქვს, რომ მის სახელს სამარადჟამო უკვდავება ელის.

„ხმალი, დროშები და ბრძოლის ველი,
დღეს საბერძნეთის სახელი გვიხმობს.
ვერ ინატრებდა ძველი სპარსელიც
ეკეთესს ჯილდოს!”

„სტანსებში” კი ამბობს:
„და თუ სიკვდილსაც გადავურჩი, გწამდეს გელიან
დაფნა, დიდება, შეძახილი და ფანფანები”.

იგი გარდაიცვალა, მაგრამ მისი შემოქმედების ზეგავლენა დღესაც იგრძნობა მსოფლიო ლიტერატურაზე.

თავი 4

ბაირონი და საქართველო

„ჩვენ არ ვიქნებით მართალნი კაცობრიობის წინაშე, თუ არ მოვინახულეთ უცხო ქვეყნები. სწორედ ამ შთაბეჭდილებებით, და არა წიგნებით უნდა ვიმსჯელოდ მის შესახებ" – წერდა ბაირონი დედამისს ერთ-ერთ წერილში.

ბაირონი, მართლაც ეწვია უცხო ქვეყნებს, მოინახულა კუნძული მალტა, პორტუგალია, ალბანეთი, ესპანეთი, თურქეთი, საბერძნეთი. პირველ მოგზაურობაში მას კომპანიონობას უწევდა მისი კემბრიჯელი მეგობარი, მომავალში ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, ჯონ ჰობჰაუზი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ განსაკუთრებულია ბაირონის დაინტერესება საქართველოსა და ქართველებით, სულ სხვა სულიერი სიახლოვე აკავშირებს ინგლისელ ლორდს საქართველოსთან, რომელსაც არასოდეს სწვევია. საქართველოს თემა გაიელვებს მის ნაწარმოებებში: „სარდანაპოლი", „დონ ჟუანი", „გიაური". ბაირონი იცნობდა ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროს საქართველოს შესახებ (გაწერელია, 1973), იცოდა საქართველოს ბუნების სილამაზე, ქართველი ქალის გარეგნული მშვენიერება, ამიტომაცაა მიმობნეული სიტყვები საქართველო, კავკასია, ქართველი, კოლხი, მედეა, ბაირონის ფასდაუდებელ შემოქმედებაში. ქართველ ქალს მთელი თავისი მშვენიერებით ბაირონი თავის ნაწარმოებებში ყოველთვის მედეას უკავშირებს: „მშვენიერი მედეა", „ჩემი მის მედეა" – ასე მოიხსენიებს მას ხშირად პოეტი. მედეას სახე ბაირონთან არგონავტების, ოქროს საწმისის, იასონისა და კოლხეთის გარემოცვაშია წარმოდგენილი. რთხელაც, როცა იგი თავის უბედო ქორწინებას მოთქვამდა – მედეა ინატრა, მე უნდა მედეა შემხვედროდაო, სხვა არავინო, მედეა იყო ჩემთვის საჭირო, სხვასთან ყველასთან იგივე მელოდაო. თითქოს, მედეა იცნო, ეძიებდა და გადაეყარაო. თომას მურისადმი მიწერილ წერილში –– მედეა ვპოვეო: „თვალები შავი, თეძო მაღალი , 22 წლისა, ამორძალის ძალღონისა და მედეას ხასიათის. „ხანჯალი რომ გავუწოდო, შიგ გულში

ჩასცემს, ვიზეც ვეტყვი. მეც ჩამცემს გულში, როდი დამინდობს, თუ ვაწყენინებ. აი, როგორი ქალი მომწონს'' (ჩხეიძე 1979; 57). ეს სიტყვები მარგარიტა კონისადმია მიმართული. ამ უბრალო წარმოშობის გაუნათლებელ ქალს, ბაირონი შემთხვევით გადაჰყრია ვენეციაში, პოეტს იგი თავისთან წაუყვანია პალაციო მოჩენიგოში და მალე ქალი წერა-კითხვის დაუფლებასთან ერთად ბაირონის პირად ცხოვრებასაც დაუფლებია. თუმცა, არც ეს განცდა აღმოჩნდა ბაირონისათვის მუდმივი, იქნებ, იმიტომ, როგორც ოთარ ჩხეიძე აღნიშნავს, რომ მარგარეტი არ იყო შთამომავალი ღმერთებისა, შთამომავალი დიდებულთა.

ბაირონის შემოქმედებაში მედეას სახე გაიგივებულია ქართველი ქალის სახესთან, მის მშვენიერებასა და კდემამოსილებასთან. ეჭვგარეშეა აგრეთვე ის შთაბეჭდილებები, რომელიც ბაირონს მიღებული ჰქონდა ისტორიული წყაროებიდან საქართველოს შესახებ, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში უკვე მრავალგზის იყო აღწერილი.

"Wish that I could lay down the dull tiara,
And share a cottage on the Caucasus
With thee, and wear no crowns but those of flowers." (26)

მარად ჭეშმარიტი შთაგონების წყაროა ბაირონისათვის კავკასიონი. შთამბეჭდავია სცენა, რომელიც კავკასიონის მთების ფონზე თამაშდება მისტერიაში, „ცა და დედამიწა". „სარდანაპალში" კი ქალის წამოწითლებულ სახეს პოეტი კავკასიონზე დაისის მზით ავარდისფერებულ ქათქათა თოვლს ადარებს. „ღრუბლებით გარშემოვლებული კავკასიონი, სადაც მარად არწივები ბუდობენ", მისი გმირებისთვისაც საოცნებო მხარედ ქცეულა. ასურეთის უკანასკნელი მეფე სარდანაპალი ასე მიმართავს მიჯნურ ქალს: „ნეტავ კავკასიონის მთებში პატარა ქოხში მაცხოვრა შენთან ერთად. მე იქ შვებით დავთმობდი გვირგვინს ყვავილების გვირგვინის ფასად."

ამ სიტყვებით აალაპარაკა სარდანაპალის მეფე მირაზე, მის საყვარელ ბერძენ მონაზე და ლეილა – „გიაურში". ''was flown her master's rage in likeness of a Georgian page"(66).

კავკასიონისა და კავკასიის ცოდნა ბაირონისათვის მარტო საქართველოს ცოდნით არ განისაზღვრება. იგი არა ერთხელ მოიხსენიებს არარატის მთას, სომხეთსა თუ ჩერქეზეთს. ღსანიშნავია, რომ 1816-17 წლებში, იტალიაში ყოფნის დროს ბაირონი ხშირი სტუმარია ვენეციიდან ორი მილის დაშორების

მდებარე წმინდა ლაზარეს კუნძულისა, სადაც 1717 წლიდან მხიტარისტების სომხური მონასტერი მოქმედებდა. ბაირონი დაინტერესებულა სომხურით, როგორც აღმოსავლურ ენათაგან ერთ-ერთი ურთულესი ენით, და უცდია კიდეც იქ ყოფნის პერიოდში დაუფლებოდა მას.

მაგრამ თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სულიერ სიახლოვეს, მაშინ კავკასიის ქვეყნებს შორის, და არა მარტო კავკასიისა, საქართველო განსაკუთრებულად წარმოჩინდება. ის, რაც ასე შთამბეჭდავად დააჩნდა ბაირონის სულსა და შემოქმედებას, კერძოდ, პრომეთე და მედეა – მკვეთრად ატყვია ქართულ მითოსსა და ქართულ ხასიათს.

ბაირონი აპირებდა საქართველოს მონახულებას, ლაპარაკობდა მასზე, როგორც „სილამაზის მშვენიერ მხარეზე" – " Beauty's native clime", ჩვენ ვპოულობთ გეგმას მისი პირველი მოგზაურობის შესახებ სტატიაში, „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები", "English Bards and Scotch Reviewers".

"Yet once again, adieu'ere this sail
That wafts me hence is shivering in the gale;
And Afric's coast and Calpe's adverse height,
And Stamboul's minarets must greet my sight,
Thence shall I stray though beauty's native clime, _
Where Kaff is clad in rocks, and crown'd with snows sublime".(446)

ამ ლექსში Kaff აღნიშნავს კავკასიას და ფრაზა Beauty's native clime"– „სილამაზის მშობლიური მხარე" – მიანიშნებს საქართველოზე. ბაირონის თხზულებათა მე-19 გამოცემაში (1868წ. ნიუ-იორკის გამოცემა), რომელსაც დართული აქვს ილუსტრაციები მინაწერებით ტომ მურის, ვალტერ სკოტის და სხვა, ამ ფრაზას აქვს ერთსიტყვიანი კომენტარი – "GEORGIA''.

ბაირონი არ იყო საქართველოში ნამყოფი, მაგრამ იგი კარგად იცნობდა მის ისტორიულ წარსულსა და ბუნებას, ის მიანიშნებს თავის ნაწარმოებებში ამ მხარეზე და ქართველ მოსამსახურე გოგონაზე, როგორც მშვენიერების სიმბოლოზე. თავისი პირველი მოგზაურობის დროს ფალმაუსიში, ბაირონი წერდა რა წერილს თავის მეგობარს, მეთიუსს, ამ ქალაქს ის ადარებდა

საქართველოს –#&&&delectable region, as I do not think Georgia itself can emulate in capabilities or incitements...” (Marchand, 1974 61). „საამებელი და ამაღელვებელი მხარეა, არა მგონია, თავად საქართველოს შეეძლოს მეტოქეობა გაუწიოს მას ... ჩვენ აქ ჰიაცინტებითა და სხვა სურნელოვანი ყვავილებით ვართ გარსშემორტყმულნი, ვაპირებ გავაკეთო ლამაზი თაიგული და იმ ეგზოტიკას შევადარო, რისი ნახვაც აზიაში მელის. ერთ ნიმუშს აუცილებლად თან წავიღებ”.

„დონ ჟუანის” მე-4 ნაწილიი აღწერილია ჰარამხანა, სადაც განსაკუთრებულად ყავს დახასიათებული ქართველი გოგონა მთელი თავისი მშვენიერებით, აქ გვახსენდება სტროფი, სადაც თვით ჟუანი გამოწყობილი ქალის ტანისამოსში, რომელშიც გამოიყურება, შედარებულია ქართველ მოსამსახურე გოგონასთან.

’’But no one doubted on the whole that she
Was what her dress bespoke, a damsel fair,
And fresh, and “beautiful excedingly
Who with the brightest Georgians might compare” (681) (Frederick Page 1970).

აქვე არ შეიძლება არ მოვიშველიოთ მე-18ს-ის უდიდესი ინგლისელი ისტორიკოსის ედვარდ გიბონის შემდეგი კომენტარი საქართველოსა და ქართველი ქალის სილამაზის შესახებ:

’’It is in the adjacent climates of Georgia, Mingralia and Circassia, that nature has placed, at least to our eyes, the model of beauty, in the shape of the limbs, the colour of the skin, the symmetry of the features and the expression of the countenance: The men are formed for action, the women for love”. (681)[5]

„ალბათ მოსაზღვრე ჰავის გამოა საქართველოს, სამეგრელოსა და ჩერქეზისა, რომ ბუნებამ შექმნა ადამიანის სილამაზის მოდელი კიდურების, სახის ფერის, სიმეტრიული ნაკვთებისა და გამომეტყველების სახით, აქაური მამაკაცები ღმერთს საბრძოლველად გაუჩენია, ქალები კი სიყვარულისთვის”.

და, რასაკვირველია გიბონის კომენტარი იყო ერთ-ერი წყარო, რომლიდანაც ბაირონმა იცოდა საქართველოს შესახებ. მაგრამ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვირწმუნოთ, რომ სანამ ბაირონი ესტუმრებოდა კონსტანტინოპოლს,

[5] The Poetical Works of Lord Byron, London , 1896

1810წ. ის შეხვდა ქართველ გოგონას, ბაირონს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ქართველთა ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად არაერთი ქართველი ქალი აღმოჩენილა სამშობლოს გარეთ, მოწყვეტილი თავის ოჯახსა და სახლს იძულებით, მსგავსად ლამაზი ქართველი ბიჭებისა, რომლებიც შესყიდულნი იყვნენ, როგორც მამელუქები. ''MAMELUKE" იყო სახელი ბაირონის არაბული ცხენისა, რომლითაც ის მგზავრობდა თავისი ბოლო მოგზაურობის დროს მისალონგიაში. „დონ ჟუანის" მე-4 ნაწილში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ჟუანი დროებით ცხოვრობდა "Saraylio wall" და იპოვა მონათა ბაზარი სავსე ქართველი და კავკასიელი ტყვეებით სხვადასხვა მიზნისა და დანიშნულებისათვის. მე-6 ნაწილში ვკითხულობსთ.

Of those who had mast genious for this sort
Of sentimental friendship, where three,
Lolah, Katinka and Dudu, in short,
(To save description), fair as fair can be
Were they, according to the best report,
Lolah was dusk as India and as warm,
Katinka was a Georgian, white and red
With great blue eyes, a lovely hand and arms,
And feet to small they scarce seemed made to tread,
But rather skim the earth."(681)

ამ ნაწილის ბოლოს ჩვენ ვიგებთ დუდუს ქართველური წარმომავლობის შესახებ. სულთანი ეძახის დუდუს და ჟუანას „ქართველი და მისი საყვარელი"---- ,,the Georgian and her paramour". დუდუს დახასიათება ასეთია:

@A kind of sleeping Venus seemd Dudu,
Yet very fit to "murder sleep" in those
Who gazed upon her cheek's transcendent hue,
Her Attic forehead and her Phidian nose:
Few angels were there in form, tis true,
Thinner she might have been, and yet scarce lose,
Yet, after all, 't would puzzle to say where
It would not spoil some saparate charm to pare.
She was not violently lively, but

stole on your spirit like a May-day breaking;

Her eyes were not too sparkling, yet, half-shut,

Then put beholders in a tender taking;

She look'd (this simile's quite new) just cut

From marble, like Pygmalion's statue waking,

The mortal and the marble still at strife,

And timidly expanding into life." (681)

კატინკა იყო სახელი მაჯრის ახალგაზრდა გოგონასი, რომლის სახლშიც დროებით ცხოვრობდა ბაირონი ათენში, ის იყო და, ცნობილი ტერეზა მაკრისა (''The Maid of Athens''). ეს ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ კომენტარი გავუკეთოთ წინადადებას ''Katinka was a Georgian", აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კატინკა შეიძლება იყოს შემოკლებული ვარიანტი რუსული სახელისა კატერინა, ბერძნული კატერინი, ასევე ახლოს დგას ქართული წარმომავლობის სახელთან როგორიცაა: ეკატერინე ან კატო, ქეთევანი ან ქეთი, რაც შეეხება დუდუ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ადვილად სახეცვალებადი ფორმაა ქართული სახელებისა დუდუხანა, დუდა, დოდო.

ეს დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ბაირონი „დონ ჟუანში" გვაძლევს რეალურად ქართულ სახელებს მოსამსახურეებისა. აქვე ავღნიშნავთ, რომ ბაირონი სანამ ათენში იმოგზაურებდა, შეხვდა გოგონას, რომელსაც ერქვა დუდუ როგი –– ბერძნულ-ფრანგული წარმომავლობის.

ათენში დროებით ყოფნის დროს, მან დაწერა ლექსი „პორტრეტის ქვეშ მიწერილი სტრიქონები" – "Lines Written Beneath a Picture"(1811).

" Dear object of defeated care!

Though now of love and thee bereft,

To reconcile me with despair,

Thine image and my tears are left

'Tis said with Sorrow Time can cope,

But this I feel can never be true:

For by the death-blow of my Hope

My memory immortal grew "(556) (Frederick Page 1970).

„ალალი იყოს ზრუნვა ჩემი უფაქიზესი,

რაც მიმატოვე, დამაობლა თვით სიყვარულმა,

შენი ხატება კვლავ იქნება სევდის მიზეზი,

რომ უშენობა დაიტიროს ცრემლმა ფარულმა.

თუმც, ნათქვამია, დრო განკურნავს ყველა იარას,

 ული, ეს ჩემი, ყველებურად აღარ ხალისობს

და თუ იმედი სულ დაიმსხვრა და დაინაცრა,

მე ხსოვნა შენი გადამირჩა სამარადისოდ.”

ბაირონის თხზულებათა სრულ გამოცემებში, მხედველობაში გვაქვს 11837 წლის პარიზის გამოცემა 1869 წლის ნიუ-იორკის გამოცემა და აგრეთვე მეოცე საუკუნის გამოცემები, აღნიინული ლექსი ერთი და იმავე კომენტარით არის წარმოდგენილი, მოცემულია ნაწყვეტი, საკუთრივ, პოეტის წერილიდან დედამისის, მისის ბაირონისადმი. ბაირონი აღნიშნავს, რომ პირველმა მოგზაურობამ აღმოსავლეთში მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან გაიცნო უცხო ქვეყნები და უცხო ხალხი. „ვის არ შეხვდებით ამ გზებზე ” – წერს პოეტი ფრანგებს, იტალიელებს, დანიელებს, ბერძნებს, თურქებს, სომხებს და სხვა. ეს წერილი დათარიღებულია 1811 წლის 14 იანვრით და გაგზავნილია ათენიდან, სადაც იმ ხანად ცხოვრობდა პოეტი. ამავე წერილში პოეტი იმასაც აღნიშნავს, რომ ცნობილ ბავარიელ მხატვარს დაუკვეთა ათენის ხედები და სხვა. (#I have a famous Bavarian artist taking some views of Athens, etc., for me”).

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, არსებობდა სურათიც იმ ქალშივილისა, ვისაც ბაირონმა ეს სტრიქონები მიუძღვნა. აღნიშნულმა კომენტარმა კიდევ უფრო გააღვივა ინტერესი ლექსისადმი და ბროკჰაუზის გამოცემამ გასაოცარი ამბავი გვამცნო. «В любопытном, но сомнительной достоверности сочинении под заглавием: Life, Writings, Opinions and Times of Right Honorable G.G. Noel Byron”, находится длинный и обстоятельный рассказ о неудачной попытке Байрона спасти от пазорной жизни одну грузинскую девушку, купленную им за 800 пиастров на рынке рабов. Нет основания думать, что это история внушена настоящим стихотворением, но если она справедлива, то стихотворение, вероятно, имеет с нею некоторую связь»(Кольридж). (Венгерова, 1904, стр. 555)

როგორც ქ-მა ი. მარაბიშვილის გამოკვლევებმა ცხადყო, დღეს გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ ლექსი, „პორტრეტის ქვეშ მიწერილი სტრიქონები", ქართველი ქალისადმია მიძღვნილი და შთაგონებულია პოეტის ცხოვრების სწორე დიმ ეპოზოდით, რომელიც მცირე აზიაში მოგზაურობის დროს ქართველ ქალთან შეხვედრას გულისხმობს, რაზეც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება პორტრეტს, სამწუხაროდ, ის დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მის არსებობაზე მიგვანიშნებს საკუთრივ პოეტის წერილი დედისადმი, სადაც აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ათენში ბაირონისათვის ხატავდა ცნობილი ბავარიელი მხატვარი. ამ დროს ლორდ ბაირონი კაპუცინის მონასტერში ცხოვრობდა. აი, რას წერდა ბაირონი თავის მეგობარ ჰოჯსონს 1811 წლის 20 იანვარს, ე. ი., იმ თვეში, როდესაც შეიქმნა „პორტრეტის ქვეშ მიწერილი სტრიქონები":

„მე ახლა კაპუცინის მონასტერში ვცხოვრობ. ჩემ უკან აკროპოლისია, ჩემგან მარჯვნივ ტაძარი, ჩემ წინ სტადიონია, ხოლო ჩემგან მარცხნივ ქალაქი. აქ არ მოიწყენ, აქ ყველაფერი თვალწარმტაცია".

ბაირონის პირველი მოგზაურობა უმთავრესად „ჩაილდ ჰაროლდის" I და II სიმღერებში აისახა. 1811 წლის 14 ივლისს ბაირონი სამშობლოში დაბრუნდა.

1811 წლის შემოდგომით, ნიუსტედში ყოფნისას ბაირონი სევდით აღსავსე სტრიქონებს უმატებს "ჩაილდ ჰაროლდს" და ქმნის ლექსს, „თირზას", რიგით პირველს, თირზასადმი მიძღვნილი ლექსების სერიიდან. თირზასადმი მიძღვნილი ექვსი ლექსი ადრესატის თვალსაზრისით ყოველთვის გასაიდუმლოებულად გამოიყურებოდა. ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ თავად ბაირონი არასოდეს ამხელდა, თუ ვის გულისხმობდა თირზას მიღმა. როგორც ცნობილია, ბაირონმა მეუღლეს არაერთხელ უჩვენა ქალის თმა და უთხრა, რომ იგი ეკუთვნოდა თირზას – ქალიშვილს, რომელიც დაიღუპა მისი მოგზაურობის პერიოდში. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, ბაირონის თანახმად, ეს სახელი პირობითია და შემორჩა მის მეხსიერებას ბავშვობაში წაკითხული ლიტერატურიდან (გესნერი), სადაც კაენის ცოლს ერქვა მაგალა, ხოლო აბელისას – თირზა.

მრავალწლიანი კვლევისა და ძიების შედეგად ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ თირზასადმი მიძღვნილი ციკლი ლექსებისა შთაგონებული უნდა იყოს იმ ქართველი გოგონას დაღუპვით, რომლის ამბავიც აღწერილია 1825 წელს ლონდონში ანონიმურად დასტამბულ სამტომეულში: "ცხოვრება, თხზულებები,

შეხედულებანი და დრონი მისი უგანათლებულესობის ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონის, ლორდ ბაირონისა".

როგორც წიგნის თავფურცელი მოწმობს, წიგნის ავტორია საბერძნეთის სამხედრო სამსახურში მყოფი ინგლისელი ჯენტლმენი, მეგობარი მისი უგანათლებულესობისა, რომ წიგნი ასახავს იმ მასალას, რომელიც მოთავსებული იყო მის მემუარებში და რომელიც გარდაცვალების შემდეგ უნდა გამოცემულიყო, მაგრამ განადგურდა.

როგორც ფართო საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ბაირონის მემუარები პოეტის გარდაცვალებისთანავე გაანადგურეს მისმა მეგობრებმა იმ მოსაზრებით, რომ მისი სახელისათვის სკანდალი აერიდებინათ, რამაც, ვფიქრობთ, გაცილებით მეტი ეჭვი და ჭორი შემატა მტერთა მიერ ისედაც შელახულ სახელს პოეტისას.

მრავალ საინტერესო ეპიზოდთან ერთად, წიგნის მესამე ტომში სრულ ათ გვერდზე მოთავსებულია ამაღელვებელი ამბავი ბაირონის ქართველ ქალთან შეხვედრისა, რაც არასოდეს ყოფილა საქართველოსთვის ცნობილი. შემოკლებით, მაგრამ ტექსტთან ახლოს, გთავაზობთ წიგნში მოთხრობილ ამბავს:

1809-1810 წლებში, მცირე აზიაში მოგზაურობის დროს, ალექსანდრიაში, მონათა ბაზარზე ლორდ ბაირონი შესწრებია საქართველოდან და ჩერქეზეთიდან ჩამოყვანილი ტყვე ქალების საჯარო გაყიდვას. მისი ყურადღება მიუპყრია ერთ ძალზედ ლამაზ ქალიშვილს, რომელიც, ჩანდა, აგონიაში ჩაეგდო თავის ბედკრულ მდგომარეობას და ხმამაღლა მოსთქვამდა. მისი უგანათლებულესობა იქაურ დიალექტზე, ლინგვა ფრანკაზე[6], შუა აზიაში, თურქეთსა და საბერძნეთში რომ იყო მიღებული, დალაპარაკებია მას. მართალია გაჭირვებით, მაგრამ ქალიშვილს მაინც გასაგებად აუხსნია მისთვის, რომ ის იყო ქრისტიანი მშობლების ერთადერთი შვილი, დაბადებული საქართველოში, თბილისში, შეძლებული მემამულის ოჯახში, და რომ ის ქურთებს მოუტაციათ იმ დროს, როდესაც ცხვარს თამაშით გასდევნებია მამამისის საძოვრებზე. გოგონა უკვე რამდენჯერმე ყოფილა გაყიდული და ახლა მის პატრონს იგი ალექსანდრიაში ჩამოეყვანა, საიდანაც ქალებს, როგორც პირუტყვს, კონსტანტინოპოლში მიერეკებოდნენ. გოგონა სამშობლოში დაბრუნებას იხვეწებოდა და იმის თქმაც მოუხერხებია, ჩემი ერთი ნახვისათვის მშობლები მთელ ქონებას გაიღებენო.

ბაირონს, მისთვის ჩვეული კიხოტური მანერით, უმალ გადაუწყვეტია ქალიშვილის განთავისუფლება და მონებით მოვაჭრეს ფასზე მოლაპარაკებია. მას

[6] XIX საუკუნეში საბერძნეთში, თურქეთსა და ეგვიპტეში ხმარებული ხელოვნური ენა, რომლითაც უმთავრესად მოგზაურები და ვაჭრები სარგებლობდნენ.

გოგონა 800 პიასტრად უყიდია და დროებით ინგლისის კონსულის ოჯახში მოუთავსებია, თვითონ კი შედგომია გზების ძებნას, რომ ქალიშვილი სამშობლოში დაებრუნებინა.

გოგონა ცამეტი წლის ყოფილა. ბაირონს კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ ასაკში აღმოსავლეთში ქალი ხშირად დედაც კი ხდებოდა. თუმცა, ბაირონი, რომელიც მაშინ თვითონაც ძალზედ ახალგაზრდა, ოცდაორი წლის უნდა ყოფილიყო, მშვენიერ ქალიშვილში მხოლოდ ბავშვს ხედავდა და გულწრფელად სურდა მისთვის დიდი ბედნიერება, სამშობლოში დაბრუნება ებოძებინა. ქალიშვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ ღვთისაგან მოვლენილი უცნობი მას შინ დაბრუნებას უპირებს. ალექსანდრიიდან თბილისისაკენ ქარავანი სამ წელიწადში ერთხელ ძლივს მოძრაობდა. სამწუხაროდ, მორიგი ქარავანი სულ ახალი გამგზავრებული ყოფილა. ბაირონს გაუგია, რომ თბილისს მიემგზავრებოდა ირლანდიელი სერ ჰენრი ფლეტჩერი[7], რომელიც მოგზაურობასთან ერთად აბრეშუმითა და შალით ვაჭრობით იყო დაინტერესებული. ლორდ ბაირონსაც მისთვის თხოვნით მიუმართავს და ამ სამსახურისათვის საკმაო თანხაც შეუთავაზებია. ბაირონთან შედარებით ფლეტჩერი, მიუხედავად დიდებული წარმოშობისა, ძალზე მოკრძალებული ქონების პატრონი ყოფილა და ამ წინადადებას სიამოვნებით შეხვედრია, ფულიც წინასწარ მიუღია. ბაირონს უთხოვია მისთვის, ქალიშვილი მშობლებისათვის პირადად ჩაებარებინა, ხოლო მათგან ამის დამადასტურებული წერილი გამოეგზავნა. მიუხედავად მოგზაურისაგან მიღებული პატიოსანი სიტყვისა, ბაირონს მხლებელი პირისათვის ფარულად გაუტანებია წერილი თბილისში, რათა ის იქ ერთ-ერთი აგენტისათვის გადაეცათ. ბაირონი სთხოვდა აგენტს, მისთვის გოგონას ჩაბარების ამბავი ეცნობებინათ. წინდახედულ ლორდს იმის განკარგულებაც გაუცია, რომ ქალიშვილისათვის ბიჭის სამოსელი შეეძინათ და შიგ ძვირფასი ქვები გამოეკერათ, რათა მოულოდნელი გასაჭირის შემთხვევაში მას საკუთარი თავის შველა შეძლებოდა. დამშვიდობებისას ბაირონს უთხოვია გოგონასთვის, გზიდან პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ეცნობებინა თავისი ამბავი.

ქალიშვილისგან წერილი არ მოსულა, მაგრამ აგენტი იტყობინებოდა, რომ ფლეტჩერი თბილისში მის გარეშე ჩავიდა, ხოლო შეკითხვაზე – სად იყო გოგონა,

[7] ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს პირი თავის ნამდვილ გვარს და სახელს, შესაძლოა, არც გაუმხელდა ბაირონს და სხვა იქ მყოფთ.

ფლეტჩერს უპასუხია: „ბაირონმა აზრი შეიცვალა და ტყვე-ქალი თავისთვის დაიტოვაო“.

ბაირონისათვის უკვე დღესავით ნათელი იყო, რომ აქ ღალატს ჰქონდა ადგილი, და ის ამ ამბავს გაურკვეველს არ დატოვებდა.

ბაირონს ხელახლა გაუგზავნია წერილები თბილისში, ახლა უკვე თურქი კურიერის საშუალებით, სადაც სთხოვდა იმავე აგენტს, გაერკვია, ხომ არ მალავდა ფლეტჩერი ქალს და რა გზით აპირებდა თბილისიდან გამგზავრებას. პასუხად მიუღია ცნობა, რომ ფლეტჩერს, მართლაც, ახლდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გულმოდგინედ მალავდა და მასთან ერთად აპირებდა ევროპაში გამგზავრებას ოტომანთა იმპერიის გავლით. ბაირონს წინდაწინ მოუნახულებია წერილში აღნიშნული სანაპირო, საიდანაც ფლეტჩერი აპირებდა გამგზავრებას, პირადად სწვევია ფაშას და მისთვის ჩვეული მჭერმეტყველებით ქალიშვილის ამბავი გაუნდვია. ფაშა გულგრილი არ დარჩენილა და დახმარებაც აღუთქვამს.

აგენტის ცნობა გამართლებულა. ფლეტჩერი, მართლაც, ხელში ჩაუვარდა ფაშას, რომელმაც უმალ აცნობა ახალგაზრდა ლორდს ირლანდიელი ქრისტიანის დაპატიმრების ამბავი, ხოლო მისი თანმხლები ახალგაზრდა ქალის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა. წერილის მიღებისთანავე ბაირონი დაუყოვნებლივ გამგზავრებულა ფაშასთან და ახალგაზრდა ქალში თავისი უფაქიზესი ზრუნვის საგანი ამოუცვნია. მათი განშორების შემდეგ უკვე თოთხმეტი თვე ყოფილა გასული. ქალიშვილი საგრძნობლად შეცვლილიყო უარესობისაკენ და მის ჯანმრთელობას ბზარიც გასჩენოდა. გამგზავრებიდან მესამე დღეს ფლეტჩერს ძალისათვის მიუმართავს, რათა გოგონა თავის ხასად ექცია. ქალს, როგორც საკუთარ ტყვეს, ისე ეპყრობოდა. მისი ძვირფასეულობაც თვითონ მიუთვისებია, ხოლო ჯალამბარიდან ფეხსაც არ ადგმევინებდა, რათა მისი არსებობა იქ მყოფთათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. თბილისი ისე გაუვლიათ, რომ საქართველოს ცა თვალით არ დაანახა და საბრალოს ამის შესახებ ვერც ვერაფერი შეუტყვია.

განაწამები და იმედჩამქრალი, ის უკვე ბედსაც შეგუებოდა და ცხოვრებისაგან კარგს აღარაფერს ელოდა. მაგრამ ბაირონის გამოჩენას ერთიანად შეუძრავს ქალიშვილი და მასში წარსულის ყველა უსათნოესი განცდა გაუცოცხლებია: დედ-მამა, სახლი, სამშობლო, ბოლო იმედი... ქალი სიხარულისაგან ბაირონს ყელზე შემოხვევია და დაუკოცნია ის. სიცილს ტირილი ენაცვლებოდა, ტირილს – სიცილი. ხმამაღლა კისკისებდა და აქეთ-იქით დაჰქროდა, კაცს ეგონებოდა გაგიჟდაო. შემდეგ, თურმე, გულში ჩაეკრა თავის

ერთადერთ ჭირისუფალს და ასე დიდხანს, დიდხანს მოთქვამდა. როგორც ავტორი დასძენს, ამ ამბის წარმოდგენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი აღწერა.

ბაირონს მისთვის პირობა მიუცია, რომ სამშობლოში აუცილებლად დააბრუნებდა და კონსტანტინოპოლში წაუყვანია. იქ ის შვედი ელჩის ოჯახისათვის მიუბარებია, სადაც განსაკუთრებით ზრუნავდნენ მის ჯანმრთელობაზე. თბილისისაკენ ქარავანი დაახლოებით ცხრა თვეში უნდა გამგზავრებულიყო. გონათ, ეს დრო საკმარისი იქნებოდა ქალიშვილის გამოჯანმრთელებისათვის. მაგრამ იმ დროს, როდესაც ბაირონი იქ არ იყო და თავის ნანატრ მოგზაურობას განაგრძობდა, ქალის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულა. ბაირონის მეგობარს გადაუწყვეტია ქალის წაყვანა კრეტაზე, იმ იმედით, რომ იქაური ჰავა წაადგებოდა მის დასუსტებულ ჯანრმრთელობას. მაგრამ მოხდა ისე, რომ კუნძულზე ჩასვლა ქართველი ქალისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. რამდენიმე თვეში ის იქ გარდაიცვალა. სულთმბორძავს ბაირონის სახელი აღმოხდენია. მას თურმე ყველაზე მეტად ელოდებოდა. ბაირონს მტკივნეულად განუცდია მისი სიკვდილი და გულწრფელად დაუტირია ის, ბაირონის დაკვეთით საფლავზე ქვის ძეგლი დაუდგამთ და ზედ ამოუტვიფრავს ქალის სახელი და გვარი, მის თავზე დატრიალებული ამბავიც, ქართველ ქალიშვილთან დაკავშირებულ მონათხრობს წიგნის ავტორი შემდეგი სიტყვებით დაასრულებს: „ამ პატარა ამბავს, თავად მარტო აღებულს შესწევს ძალა უკვდავყოს ლორდ ბაირონის ჰუმანურობა, სიფაქიზე და დიდსულოვნება”.

To Thyrza

Without a stone to mark the spot,
And say, what Truth might well have said,
By all, save one, perchance forgot,
Ah! wherefore art thou lowly laid?

By many a shore and many a sea
Divided, yet beloved in vain;
The past, the future fled to thee ,
To bid us meet – no – ne’er again!

Could this have been – a word, a look,
That softly said, “We part in peace”,
Had taught my bosom how to brook,
With fainter sighs, thy soul’s release.

And didst thou not, since Death for thee
Prepared a light and pangless dart,
Once long for him thou ne'er shalt see,
Who held, and holds thee in his heart?

Oh! who like him had watch'd thee here?
Or sadly mark'd thy glazing eye,
In that dread hour ere death appear,
When silent sorrow fears to sigh,

Till all was past? But when no more
'T was thine to reck of human woe,
Affection's heart-drops, gushing o'er,
Had flow'd as fast – as now they flow.

Shall they not flow, when many a day
In these, to me, deserted towers,
Ere call'd but for a time away,
Affection's mingling tears were ours?

Ours too the glance none saw beside;
The smile none else might understand;
The whisper'd thought of hearts allied,
The pressure of the thrilling hand.

The kiss, so guiltless and refined,
That Love each warmer wish forbore;
Those eyes proclaim'd so pure a mind,
Even Pashion blush'd to plead for more.
The tone, that taught me to rejoice,
When prone, unlike thee, to repine;
The song, celestial from thy voice,
But sweet to me from none but thine;

The pledge we wore – I were it still,
But where is thine? – Ah! where art thou?
Oft have I borne the weight of ill,
But never bent beneath till now!

Well hast thou left in life's best bloom
The cup of woe for me to drain.
If rest alone be in the tomb,
I would not wish thee here again.

But if in worlds more blest than this
Thy virtues seek a fitter sphere,

Impart some portion of thy bliss,
To wean me from mine anguish here.

Teach me – too early taught by thee!
To bear, forgiving and forgiven:
On earth thy love was such to me;
It fain would form my hope in heaven! (Frederick Page, 1970).

თირზას

ვიცი, შენს საფლავს ხსოვნის ნიშნად ქვაც კი არ ადევს,
მინდა სიმართლეს გავუსწორო მზერა თვალებში,
ვაი თუ ყველამ დაგივიწყა, არვის ადარდებ,
ასე უდროოდ, ასე მალე რატომ წახვედი.

ცხრა მთის გადადმა, ცხრა ზღვის მიღმა მეგულებოდი,
და სიყვარული ჩვენი თურმე იყო ამაო,
შენსკენ მოჰქროდა ერთი ფიქრი – კვლავ შევხვდებოდით,
თუმც დამსხვრეული იმედები დამრჩა სანაცვლოდ.

ჩემთვის არ გითქვამს არცა სიტყვით, არცა თვალებით
“იყავ მშვიდობით, საუკუნოდ ვართ მეგობრები,”

რომ დამრჩენოდა ეს ნუგეშად, თუმც ღა წამებით
ვიცხოვრო უნდა, როს ამ ქვეყნად არ მეგულები.

როცა სიკვდილი გიმზადებდა მსუბუქ აღსასრულს,
როცა წარსულმა გაიელვა უხმო წამებით,
გულს ვინ ეწადა? თუ ნატრობდი შენგან შორს წასულს,
ვისაც უყვარდი და უყვარხარ კვლავ გამალებით.

სხვისთვის თუ იყავ უფრო მეტი ზრუნვის საგანი?
გულს ვის უკლავდი, როცა თვალში შუქი გაგიქრა?
ვიდრე სიცოცხლის და სიკვდილის ჰპოვე სამანი,
ხომ ჩუმი სევდით მიზავებდი წუხილს, საფიქრალს.

მაგრამ, როს ახლა ამ სევდასაც მოედო ბოლო
და სამუდამოდ სხვა სივრცეთა ხარ ბინადარი,
სხვას ვერას ვიტყვი, ცხარე ცრემლი წამომსკდა მხოლოდ,
მოედინება ჩემს ღაწვებზე, ვით ნიაღვარი.

სადაც მე დიდხანს არ დამიდგამს ფეხი თავადაც,
აქ დაგიტირე, ამ კოშკებში, ამ დარბაზებში,

რისთვის მომიხმეს, თუ მელოდა ტანჯვა მარადჟამს,
ბებერ ქონგურებს ვეფერები ამ განსაცდელში.

სხვა ცის ქვეშ მახსოვს მე ცრემლები ჩვენი გულწრფელი,
ჩვენს თვალთამზერას ვერ ხედავდა უცხო ახდილად,
გულში მწვდებოდა შენი ფიქრი გამოუთქმელი,
მთრთოლვარე ხელი მეხებოდა მხოლოდ ფაქიზად.

შენი ამბორი წმინდა იყო და უწყინარი,
დიდრონ თვალებში გამოკრთოდა ზრახვა უმწიკვლო,
ვნება იქ უმალ გაქრებოდა, ვით უჩინარი,
და სიყვარულის ყველა განცდა იყო უბიწო.

მე, გულჩათხრობილს, შენი ხმა თუ მახალისებდა,
შენით ვისწავლე სიცოცხლესთან ლაღი ტრფიალი,
ჰანგი უტკბესი მიქარწყლებდა დარდსა და სევდას
ღვთიურ სიმღერით ჩამესმოდა ცათა შრიალი.

სადა ხარ ეხლა, სად გეძებო სულზე უტკბესო?
თან წარიტანე სანუკვარი ის სახსოვარიც?
შენი თან დამაქვს, ის ღა დამრჩა ხსოვნად, უბედოს,
როგორც არასდროს ვარ ბედკრული და უპოვარი.

წახვედი მაშინ, როს სიცოცხლე შენი ჰყვაოდა,
მასვი ვარამის და კაეშნის მწარე სამსალა,
და თუ ვიწამეთ, რომ ცხოვრება მხოლოდ გაორდა,
შენ მოისვენებ, მე ტკივილი მარად დამძალავს.

თუ სათნოება შენი გულის შვებას მონახავს,
და სული შენი ცათ მიღმა გაცისკროვნდება,
ლოცვა-ვედრებით მომაწიე ნეტარ მომავალს –
თან წამიყვანე, ამისრულე ერთი ოცნება.

ბედის ბორბალი დატრიალდა რადგან უკუღმა,
თავად მოწყალე, პატიებას შენგან მოვითხოვ,
და თუ ამ ქვეყნად ჩვენს სიყვარულს ბედმა უმუხთლა,
მჯერა შევხვდებით, როს საუფლო ცათა მომიხმობს.

ნაწილი III
თარგმანმცოდნეობის განვითარების ეტაპები

თავი 1
თარგმანის თეორია, როგორც ლიტმცოდნეობის დარგი

საუკუნეების მანძილზე მრავალი აზრი და შეხედულება გამოთქმულა თარგმანის დანიშნულებაზე, მის აუცილებლობასა და, თუ გნებავთ, მის არსებობაზეც. მრავალი თეორიული გამოკვლევა მიეძღვნა ამა თუ იმ თარგმანსა და, საერთოდ, თარგმანის ფენომენს. მხატვრული ნაწარმოები კი, როგორც ხელოვნების ნიმუში, რჩება იმ ანდამატად, რომელიც მარად იზიდავს მთარგმნელს, რათა მან ახალი სიცოცხლე შთაბეროს ნაწარმოებს და იმავდროულად მაქსიმალურად ასახოს დედანში მოქცეული განცდა თუ შინაარსი.

დროთა განმავლობაში დამოკიდებულება თარგმანისადმი იხვეწებოდა და ვითარდებოდა, რაც, პირველ ყოვლისა, შედეგი იყო თარგმანის ფენომენისადმი მეცნიერული დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა. XVII საუკუნეში საფრანგეთის აკადემიის ინიციატივით დაიწყო თარგმანის მეცნიერული კვლევა. აღსანიშნავია შემდეგი გამოკვლევები: Gaspard de Tende “Régles de la traduction” (1660) da Pierre-Daniel Huet “De Interpretatione” (1661).

მიუხედავად იმისა, რომ XVIII და XIX საუკუნეებში მუშაობა თარგმანის თეორიაში გრძელდებოდა, XVII საუკუნეში მიღწეული პიკი ტენდესა და ჰუეტის მიერ ვერა და ვერ იქნა გადალახული. თარგმანის თეორიამ ახალი სიცოცხლე პრაქტიკულად მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა.

1953 წ. პიერ ფრანსუა კაიეს თაოსნობით სორბონის უნივერსიტეტში ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებმა დააარსეს *თარგმანის საერთაშორისო ფედერაცია*, რაც მოწმობს თარგმანის თეორიის საერთაშორისო მნიშვნელობას.

ამერიკის ბიბლიის საზოგადოებას 1943 წელს შეუერთდა იუჯინ ნაიდა, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებითა და მონოგრაფიებით ახალ საფეხურზე აიყვანს თანამედროვე თარგმანის თეორიას.

დიდ ბრიტანეთში თარგმანის თეორიის თავკაცის მისია პიტერ ნიუმარკს ხვდა წილად, რუსეთში აღსანიშნავია ანდრეი ფიოდოროვის ღვაწლი. ამ დიდი მიმდინარეობის ღირსეული წარმომადგენელი საქართველოში გივი გაჩეჩილაძე გახლდათ. მისი მონოგრაფიები სწორედ 50-იან წლებში ქვეყნდება და იგი ქართველ

მკვლევართა წინაშე თარგმანის მეცნიერული აღწერისა და შესწავლის ახალ პერსპექტივას დასახავს, რაც, აგრეთვე პრაქტიკული შემოქმედების სამსახურში ჩადგება. გ. გაჩეჩილაძე იმ თეორეტიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლის პიროვნებაში თეორია და პრაქტიკა თანაბრად იყო შერწყმული და ურთიერთდაკავშირებული მხატვრული თარგმანის და, საკუთრივ, პოეტური თარგმანის მაგალითზე. თარგმანის ქართველ მკვლევართა რიცხვი იზრდება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია პროფესორების დალი ფანჯიკიძის, მაია ნათაძის, ნელი საყვარელიძისა და გიორგი წიბახაშვილის მოღვაწეობა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ინტერესი მხატვრული თარგმანის ფენომენისადმი იზრდება და ღრმავდება, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ე. ნაიდა აღნიშნავს (Eugene Nida, The, 1996; 113.), ზოგადად თარგმნილ ლიტერატურასთან შეფარდებით მხატვრულ თარგმანს მხოლოდ პროცენტის მეათედი უკავია. ინტერესის გაღრმავება, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ცალკეულ დისციპლინათა ყურადღების მიპყრობას თარგმანისადმი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, თვით თარგმანის თეორეტიკოსების დაინტერესებას სხვა თეორიულ მიღწევათა გამოყენებითა და დანერგვით თარგმანში. აი, რას წერს ამ მოვლენის შესახებ დალი ფანჯიკიძე: „მხატვრული თარგმანის კვლევა შეიძლება წარიმართოს ისტორიულ, ლიტმცოდნეობით, ენათმეცნიერულ, სტილისტურ, ფსიქოლოგიურ ან ფილოსოფიურ პლანში და ყოველ მიღებულ შედეგს გააჩნდეს თავისი მეცნიერული ღირებულება, მაგრამ თარგმანი ისეთი რთული მხატვრული ფენომენია, რომ თარგმანის თეორია ვერ თავსდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ რომელიმე დისციპლინაში და ძალაუნებურად ახდენს მათ სინთეზს, უფრო სწორად, ნათელი სურათის შესაქმნელად იძულებულია დაესესხოს ყოველ მათგანს, თუნდაც თავიდან კვლევის მხოლოდ ერთი გზა ჰქონდეს დასახული“ (ფანჯიკიძე, 1988; 3).

თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. მართალია, ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა, სიტყვის განსხვავებული კომბინაციური ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები, თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიოტური საფუძველი თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმნელს დედნის ცოდნის გარდა ეხმარება “რეალური სიტუაციის, ანუ იმ გარეენობრივი

სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია აღწერილი", ეს უნარი კი, თავის მხრივ, ობიექტური რეალობის ფაქტების ცოდნას ემყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად, ნათელ გასაგებ სურათს ქმნის.

ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სიმართლე ცოცხალი სინამდვილის ზუსტი განმეორება არ არის. მთარგმნელისათვის მთავარი უნდა იყოს "რას ფიქრობს" დედნის ავტორი სინამდვილეზე. მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება. მთარგმნელის არჩევანი განპირობებულია იმით, რომ მას მოსწონს ან აინტერესებს ეს მოდელი.

მთარგმნელი კი არ ასახავს, არამედ გადმოსცემს დედანში ასახულ სინამდვილეს, იგი სინამდვილეს სხვისი თვალით უცქერის, მის წინაშე დგას უკვე ასახული სინამდვილე, შემეცნებული და გარდამტყდარი ავტორის მსოფლმხედველობით პრიზმაში, განსხეულებული ავტორის მიერ მონახული მხატვრული საშუალებებით და ამიტომ მთარგმნელისათვის დედანში ასახული სინამდვილის წვდომა და გადმოცემა გართულებულია ამ სინამდვილის ასასახავი საშუალებების მთელი სისტემის არსებობით. მხატვრული თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმნის პროცესიც ორიგინალის ასლის გადმოღებას არ ნიშნავს. თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არამარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, თუნდაც სათაკილოსა და მოსაწონის, საჩოთიროსა და მისაღების, სამარცხვინოსა და საქებარის, სასაცილოსა და სატირალის განსხვავებული გაგება სხვადასხვა ხალხის შემეცნებაში.

თუკი მივიჩნევთ, რომ დედანსა და თარგმანს შორის მიღწეულია დინამიკური ექვივალენტურობა, მაშინ მცირეოდენი განსხვავებები, განპირობებული ჩვენი მშობლიური ენის, კულტურის, ან ლიტერატურული ტრადიციების თავისებურებით დედნის ხელყოფად არ ჩაითვლება. ენას მხატვრულ ნაწარმოებში კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად ეკისრება ესთეტიკური ფუნქცია, რადგან იგი აზრის გამოხატვის გარდა მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება. მხატვრული ნაწარმოების ენა სალიტერატურო ენას ემყარება.

მხატვრული ნაწარმოების ენა შეიძლება დაესესხოს საერთო სახალხო ენის ისეთ შრეებსა და ელემენტებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენის მიღმა დგანან,

ეს არის დიალექტი, ჟარგონი, არგო-აიყვანოს ეს ენობრივი საშუალებები ესთეტიკურ ხარისხში და ერთსა და იმავე დროს შეასრულოს კომუნიკაციური, შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია. თარგმნა ერთსა და იმავე დროს ანალიზური და სინთეზური შრომაა სადაც ანალიზური მეცნიერულ კვლევას უახლოვდება, სინთეზური კი შემოქმედებით მომენტთანაა დაკავშირებული. ყოველ თარგმანში არის ფილოლოგიური და შემოქმედებითი შრომოს წილი, ოღონდ ნაწარმოების ჟანრისა და სტილის მიხედვით მათ შორის შეფარდება იცვლება. ასევე იცვლება მართებული იქნება გამოვყოთ თარგმანზე მუშაობის ფაზები და ზემოხსენებული პოზიციიდან დავახასიათოთ თითოეული მათგანი, ეს ეს შეფარდება თარგმანზე მუშაობის სხვადასხვა ფაზაშიც, ამიტომ ფაზებია: 1. სათარგმნი მასალის შერჩევა; 2. დედნის შესწავლა; 3. თარგმნის პროცესი.

საერთოდ მთარგმნელის პროფესიონალიზმში ბევრი რამ იგულისხმება, უცხო და მშობლიური ენების საფუძვლიანი ცოდნა, გარდასახვის ნიჭი, ზოგადი განათლება, ლიტერატურული გემოვნება, მკითხველის ინტერესის ამოცნობის ალღო, თავის საქმისა და მკითხველის სიყვარული, ცოდნის სხვისთვის გაზიარებისა და ამ გზით მისი ინტერესის დაკმაყოფილების, ან ინტელექტუალური დონის ამაღლების სურვილი და ბოლოს, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების კრიტიკული შეფასების უნარიც. პროფესიონალიზმი თანაბრად მჟღავნდება თარგმანზე მუშაობის სამივე ფაზაში, მაგრამ თითქოს გადამქყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირველივე ფაზაში. პირველ ფაზას ანუ სათარგმნი მასალის შერჩევას ორი მხარე აქვს: უპირველეს ყოვლისა არის თუ არა რომელიმე უცხო ნაწარმოები თავის შინაარსობრივი და მხატვრული ღირსებით შენი ერის კულტურული განვითარების მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანი და მეორე-შეგწევს თუ არა ძალა დედნის ტოლფასი მხატვრული მთელი შექმნა მშობლიურ ენაზე. ამ უკანასკნელ პირობაში "საკუთარი" ლიტერატურული ჟანრის შეუმცდარად ამორჩევის თვითკრიტიკული ნიჭი იგულისხმება, უფრო მეტიც, თვით რომელიმე ჟანრის ფარგლებშიც კი მთარგმნელის შესაძლებლობების მიხედვით დიფერენცირებული არჩევანის უნარიც.

სათარგმნი მასალის შერჩევა ძირითადად შემეცნებითი სამუშაოა, თუმცა მას აუცილებლად უძღვის წინ ფსიქოლოგიური მომენტი. მთარგმნელის ინტელექტუალურ არსენალში წინამძღვრის სახით ძევს იმ ქვეყნის ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნა, რომლის ენასაცაა დაუფლებული, მაგრამ სათარგმნი მასალის შერჩევის პროცესში მას მაინც მოუხდება დედნის ავტორის მთელი შემოქმედების შესწავლა, მის მსოფლმხედველობაში გარკვევა, სათარგმნი

ნაწარმოების შექმნის ისტორიის მოძიება. ამ ნაწარმოების მიმართების დადგენა მწერლის მთელ შემოქმედებასთან და მისი მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურის, ან თუნდაც მწერლის მშობლიური ქვეყნის ლიტერატურის კონტექსტში.

თარგმანზე მუშაობის მეორე ფაზა, რასაც ნაწარმოების შესწავლა ვუწოდეთ, ანალიზური ხასიათისაა და მხატვრული ნაწარმოების ჩვეულებრივი წაკითხვისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ერთხელ უკვე წაკითხულის მიმართ გაჩენილი პროფესიული ინტერესით. ანალიზისას გაიაზრება ნაწარმოებისაგან მიღებული მთლიანი შტაბეჭდილება, შემდეგ კი ხდება მისი დანაწევრება და ყოველ სტილურ კომპონენტს, ყოველ მხატვრულ ხერხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხდება ჯერ მთლიანად ტექსტის, შემდეგ კი მისი ნაწილების ობიექტივაცია, ე.ი. ტექსტი "დაკვირვების საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტად იქცევა". ამ ფსიქოლოგიური მომენტის გარეშე შეუძლებელია ტექსტის შესწავლა ანუ სათარგმნად მომზადება. ანალიზის პროცესში საბოლოოდ ყალიბდება მთარგმნელის განწყობა, მხატვრული ტექსტი მის წინაშე დგას, როგორც სათარგმნი მასალა და ანალიზის საბოლოო მიზანი ამ ტექსტის მშობლიურ ენაზე ამეტყველებას ექვემდებარება

თავის მხრივ, მხატვრული ნაწარმოების სტილის ანალიზი ნიშნავს ნაწარმოების სტილისტურ სისტემაში ამა თუ იმ სტილისმიერი ელემენტის ფუნქციის გარკვევას, სტილის აბსტრაჰირებული ნიშნების დადგენას,როგორიცაა მაღალფარდოვნება თუ სისადავე, მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი დამოკიდებულება (ფილოსოფიური, ემოციური, ირონიული, იუმორისტული და ა.შ.), მრავალსიტყვაობა თუ ლაკონურობა, რიტმული სურათი, ექსპრესიულობა და მისთანანი, რომელთა კვლევა ყოველი ტექსტის ანალიზისასშეიძლება არც დაემორჩილოს წინასწარ შემუშავებულ ნორმებს და ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ასპექტის დომინანტობის ნიშნით წარიმართოს.

სათარგმნი ნაწარმოების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ესაა მთარგმნელის ფსიქოლოგიური მზადყოფნა. მთარგმნელი უნდა განეწყოს ტექსტზე სამუშაოდ, ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოს თარგმნის პროცესისათვის, გაიჟღინთოს ნაწარმოების შესწავლის განწყობილებით, შეისისხლხორცოს მწერლის სიმპატია-ანტიპატია, განიმსჭვალოს ნაწარმოების საერთო რიტმით, მელოდიკითა და ინტონაციით.

თარგმანზე მუშაობის მესამე ფაზა, უპირატესად სინთეზური, შემოქმედებითი შრომის პროცესია, მაგრამ უეჭველად აქტიური პროცესი. მთარგმნელის წინაშე

ყოველთვის დგას კითხვა: ემთხვევა თუ არა მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებები მხატვრული ფუნქციითა და ღირებულებებით მწერლის მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებებ? მწერალი ხშირად ქვეშეცნეულად ჰქმნის მხატვრულ საშუალებათა სისტემას, მთარგმნელი კი ვალდებულია თარგმნისას ერთდროულად ამ სისტემის ანალიზიც მოახდინოს და სინთეზიც. მთარგმნელი განუწყვეტლივ იბრძვის ორი ენის შესაყარზე, არცერთ ენას არ უშვებს მხედველობის არედან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, ჩადის თითოეული ენის სპეციფიკის სიღრმეში, მაგრამ ცხადია თარგმნა არ არის ენობრივი შესიტყვების პრიმიტიული ძიების პროცესი.

თუ თარგმნის პროცესს ფსიქოლოგიური კუთხით მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ თარგმნისას იქმნება თავისებური კომუნიკაციური სიტუაცია, რომელშიც მონაწილეობს სამი წევრი: დედანი, მთარგმნელი და მკითხველი. ამ დროს მთარგმნელისა და მკითხველის როლი თითქოს ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ის, რაც უცხო ენობრივ და კულტურულ სამყაროში გაშინაურებული მთარგმნელისატვის გასაგებია და ემოციის აღმძვრელი, შეიძლება, მკითხველისთვის ან გაუგებარი ან ემოციის თვალსაზრისით უსულო აღმოჩნდეს. მკითხველსა და თარგმანს შორის უნდა დამყარდეს დინამიკური კავშირი და საამისოდ მთარგმნემა მკითხველს უნდა შესთავაზოს "მისი საკუთარი კულტურის კონტექსტისადმი რელევანტური ქცევის მოდუსი. ინფორმაციის აღსაქმელად მას არ მოეთხოვება ესმოდეს ორიგინალის ენის კულტურის კონტექსტი". ამიტომაც არ არის უცხო მთარგმნელისათვის ინტერპრეტატორის როლიც.

მთარგმნელი ყოველი ახალი ავტორის თარგმნისას გამოცდის წინაშე დგას. სიტყვას ყოველთვის მოძიება სჭირდება და აქ მთავარი სათარგმნი ტექსტის სწორი ტონალობის დაჭერაა. ამ ტონალობის ფონზე ესა თუ ის სიტყვა შთაბეჭდილებათა სხვადასხვაგვარ სტრუქტურაში ერთიანდება და მთარგმნელისათვის სასურველ ელფერს იძენს.

თავი 2

თარგმანის ლინგვისტიკის განვითარების ეტაპები

თარგმანის ფენომენი მრავალი მეცნიერული კუთხიდან შესწავლას საჭიროებს, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში თარგმანი განიხილება იმ შესაძლებლობების თვალსაზრისით, რომელთაც გვთავაზობს საერთოდ მხატვრული ტექსტისადმი დამოკიდებულება, ანუ ის, თუ როგორია მისდამი მეცნიერული მიდგომა, როგორია მხატვრული ტექსტის აღწერისა და შეცნობის თეორიული დონე. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა გრემ რიტჩისა და ჯეიმზ მურის ფრიად საყურადღებო ერთობლივი გამოკვლევა თემაზე: „როგორ ითარგმნოს ფრანგულიდან“ (Graeme, 1918; 13), რომელშიც ჩამოყალიბებულია შემდეგი შეფასება და დამოკიდებულება თარგმანის ფენომენისადმი: „თარგმანში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ვერსიას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გასაგებს გახდის, რომ მთარგმნელი (1) ჩასწვდა ყველა ინდივიდუალურ სიტყვას (each individual word) ისე, როგორც ის ორიგინალშია ნახმარი (2), შეძლო, ,გადმოეცა ეს სიტყვა იმ უახლოესი ეკვივალენტით, რომლის საშუალებასაც იძლევა ჩვენი ენა და (3) ისე განათავსა და შეადუღა ეს ეკვივალენტები, რომ მათმა ერთობამ შექმნა ზუსტი ინგლისური ეკვივალენტი გარკვეული ფრანგული აბზაცისა.“... როგორც ვხედავთ, აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიტყვას, მის ინდივიდუალობას, მის წვდომასა და გადმოტანას, რამეთუ იმ პერიოდისათვის სემანტიკა, როგორც დარგი ენათმეცნიერებისა, უკვე დამკვიდრებული იყო. 1883 წ. ფრანგი ფილოლოგი, მიშელ ბრეალი (Michael Breal), აქვეყნებს ნაშრომს, რომელშიც მოუწოდებს მეცნიერებს, ფონეტიკისა და მორფოლოგიის გვერდით დაამკვიდრონ მნიშვნელობის შემსწავლელი დარგი მეცნიერებისა, რომლის-თვისაც ის შემოგვთავაზებს სახელს “la semantique” („სემანტიკა“), როგორც ბერძნულიდან ნაწარმოებ სიტყვას, სადაც „სემა“ ნიშნავს „ნიშანს“. 1897 წელს გამოდის მისი ნაშრომი “Essai de sémantique”, რომლის ინგლისური ვარიანტი ქვეყნდება სამი წლის შემდეგ სახელწოდებით: “Semantics: Studies in the Science of Meaning”.

ამიტომაც საკვირველი არაფერია იმაში, რომ ვ. რიტჩემ და ჯ. მურმა, აიტაცეს რა მიშელ ბრეალის მიერ შემოთავაზებული სემანტიკის ღრმა პერსპექტივა, თარგმანის ფენომენს სწორედაც რომ სიტყვის სემანტიკის კუთხიდან ჩაუფიქრდნენ და ნებისმიერი მთარგმნელობითი შემოქმედება სემანტიკის მისტერიებში შეღწევის

ცდად გამოაცხადეს.[8] მაგრამ ამავე ციტატაში ხომ ლაპარაკია აგრეთვე ცალკეული სიტყვების, როგორც დედნისეული ტექსტის ეკვივალენტების შედუღაბებაზე ერთ მთლიან ტექსტად, რომელიც მკვლევართ დედნისეული ტექსტის ზუსტ ასლად წარმოედგინათ.

გულუბრყვილოა, არა? უდავოდ, განსაკუთრებით კი, დღევანდელი გადმოსახედიდან, როდესაც ახალი „ერთი მთლიანი“ რაიმეს ზუსტ ეკვივალენტად თუ შეიძლება გამოვაცხადოთ, რადგან, რაც უფრო განვითარებულია სწავლება ერთ მთლიანზე, მით უფრო ძნელია და შეუძლებელი მის ზუსტ ასლზე ლაპარაკი; და მით უფრო წარმოუდგენლად მიგვაჩნია დედნისეული ტექსტის ზუსტი ეკვივალენტის შექმნის შესაძლებლობა. იმხანად, თითქმის რვა ათეული წლის წინ, საერთოდ არ არსებობდა მეცნიერება ტექსტის, როგორც ერთი მთლიანის შესახებ, და ლინგვისტიკა ჯერ მხოლოდ სამი იერარქიული საფეხურით ძლივს კმაყოფილდებოდა, ე. ი. ფონეტიკით, მორფოლოგიითა და სემანტიკით. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ე. ი. სემანტიკას, იმ დროისათვის იგი, ფაქტობრივად, მხოლოდ პერსპექტივაში არსებობდა, რადგან რეალური განვითარება მანაც მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოვა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ენათმეცნიერებამ იწყო თანდათანობითი განთავისუფლება და საზღვრების გაფართოება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მთელი საუკუნის მანძილზე (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ შორეულ წარსულზე, როდესაც ტექსტს ისე ცვლიდნენ თარგმანის პროცესში, როგორც მათ სურვილსა და შეხედულებებს შეეფერებოდა) მსჯელობა მხატვრულ თარგმანზე ფაქტობრივად არ სცილდება მსჯელობას იმის შესახებ, მთარგმნელმა დედნის ტექსტი ზუსტად ასახა და ამით მკითხველს აგრძნობინა, რომ ის თარგმანს ეცნობა, თუ თავს თავისუფალი თარგმანის უფლება მისცა, დედანს დასცილდა და მკითხველს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ის მშობლიურ ენაზე შესრულებულ ორიგინალურ ნაწარმოებს ეცნობა,[9] ან პირიქით, დგება საკითხი იმის შესახებ, მხატვრული თარგმანი, როგორც მოვლენა, გულისხმობს რეალურ ასახვას დედნისეული ტექსტისა, თუ ეს შეუძლებელია.[10] და მაინც, მიუხედავად ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა, ვითარდება და იხვეწება თვით სწავლება მასზე, როგორც თარგმანთმცოდნეობაზე. აქ კი ხდება

---

[8]. G., Ritchie and J. Moor, Translation from the French, p. 31.

[9]იხ. მაგ. Peter Stern, “The violet and the Crucible”, Cambridge Journal, III, 7(April), 1950, p. 397;
Die Übersetzung, Geschichte, Theorie, Anwendung, SSS, 113-159;
Franzosische und Deutche Übersetzungskunst, Tübingen, 1958;
Loodspeed E. I. Problems of New Testament Translation, Univ. Chicago Press, Chicago, 1995, p.8.
Phillips I.B. Some Personal Reflections on New Testament Translation, B. T. U., 1953, p. 53-59.

[10]ამ შეხედულებათა შესახებ იხ., “Modes of Translation” in James McFarlane, “Ibsen and Meaning”, Norwich, England, 1989, p.11-20.

განსაკუთრებული რამ, ანუ, შეიძლება, თამამად ითქვას, იწყება ახალი ეტაპი თარგმანთმცონეობისა, საკუთრივ ის, რომ ეს უკანასკნელი ვეღარ კმაყოფილდება მის ხელთ არსებული კვლევის ლიტერატურული თუ ისტორიული ასპექტებით და განსაკურებულ იმედს ლინგვისტიკაზე ამყარებს, რამეთუ ლინგვისტიკა თავისი გაზრდილი და გაფართოებული შესაძლებლობებით, რაც, ფაქტობრივად, ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში გამოიხატება, სრულიად ახალ პერსპექტივას სთავაზობს თარგმანის თეორიულ შესწავლასა და აღწერას. უფრო მეტიც, თარგმანის ლინგვისტური შესწავლა საკმაოდ გამოკვეთილ კალაპოტს იძენს, ყალიბდება როგორც „ტრანსლაციური ლინგვისტიკა“[11], ანუ თარგმანის ლინგვისტიკა და, თავის მხრივ, ამდიდრებს და აღრმავებს ენათმეცნიერებას (Êîìèññàðîâ, 1978; 3.), როგორც სწავლებას ენაზე.

ამ თვალსაზრისით შესრულებულმა გამოკვლევებმა მართლაც განსაკუთრებით გაამდიდრა თანამედროვე ლინგვისტიკა. აქედან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია XX საუკუნის 50-იანი წლების შემდგომი პერიოდი, ანუ თარგმანის ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბების პერიოდი. შევჩერდებით, პირველ რიგში, რომან იაკობსონის გამოკვლევებზე და საკუთრივ მის ნაშრომზე – „თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ“ (“On Linguistic Aspects of Translation”) (Jakobson, 1966.), რომლის საშუალებითაც მკვლევარმა გარკვეულობა შეიტანა ლინგვისტური მოვლენებისადმი არალინგვისტურ დამოკიდებულებაში. ამ უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როდესაც სიტყვას, როგორც ვერბალურ ნიშანს, გააჩნია სამყაროსთან ბევრად უფრო ღრმა და მრავალმხრივი კავშირი, ვიდრე ეს ენის მოვლენების ზოგიერთ მკვლევარს შეუძლია დაინახოს. კონკრეტულად, საქმე ეხება რომან იაკობსონის მიერ ბერტრან რასელის დებულების პრაქტიკულ უკუგდებას, ანუ საკუთრივ იმას, რაც რასელმა განაცხადა: „შეუძლებელია გაიგო, რას ნიშნავს სიტყვა „ყველი“, თუ ყველთან არ გვაქვს არალინგვისტური ნაცნობობა“ (Russell, IV, 1950, ch. 18, p. 3)„ჩვენ არასოდეს გაგვისინჯავს არც ამბროზია და არც ნექტარი და გვაქვს მხოლოდ ლინგვისტური ცოდნა სიტყვებისა „ამბროზია“ და „ნექტარი“, – ამბობს იაკობსონი. მის ამ სამართლიან შეფასებას დავუმატებდით, რომ დაბადებიდან უსინათლოთა მიერ სიზმარში თუ ცხადლივ ექსტრალინგვისტური სამყაროს გარკვეული გაცნობიერება, გვწამს, პირველ რიგში, სიტყვით ხორციელდება, იმ სიტყვით,

[11]ტერმინი „ტრანსლაცია“ (თრანსლატიონ) შემოთავაზებულია გერმანელი მეცნიერების მიერ და გულისხმობს როგორც წერილობით თარგმანს (ბერსეტზენ), ასევე ზეპირს (ოლმეტსცჰენ).

რომელიც მათთვის, როგორც ლინგვისტური ფენომენი, არის სამყაროს შემეცნების უპირველესი და უერთგულესი საშუალება.

რ. იაკობსონის ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში ავტორი განიხილავს ვერბალური ნიშნის ინტერპრეტაციის სამ საშუალებას, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ ვერბალური ნიშნის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანა, ე. ი. თარგმნა. მეორე და მესამე გზებს კი წარმოადგენს: ენის შიგნით თარგმანი, ანუ მეორე დასახელების მონახვა, და ტრანსმუტაცია, ანუ ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაცია ნიშანთა არავერბალური სისტემით. ეხება რა ცნობილ იტალიურ აფორიზმს "traduttore traditore", როგორც ომონიმურ სიტყვათა გათამაშებაზე აგებულ დაპირისპირებას, რაც „მთარგმნელ"/„მოღალატის" ბინარულ ოპოზიციას გულისხმობს[12], რ. იაკობსონი მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: „ამ ფრაზისადმი კოგნიტური დამოკიდებულება ჩვენ გვაიძულებდა ეს აფორიზმი უფრო გაშლილ გამონათქვამად გვექცია და პასუხი გაგვეცა შეკითხვაზე: „რომელ ცნებათა მთარგმნელი", „რომელ ღირებულებათა მოღალატე?" (Jakobson, 1966, 239) ამ შეკითხვას ჩვენ ქვემოთ მრავალგზის გავიხსენებთ.

აღსანიშნავია, რომან იაკობსონისადმი მიძღვნილი კრებული, "For Roman Jakobson", განსაკუთრებით, მასში შესული ჯონ ფირზის სტატია, „ლინგვისტური ანალიზი და თარგმანი" (Firth, 1956), აგრეთვე გერტ იეგერის „თარგმანი და თარგმანის ლინგვისტიკა" (Gert Jäger, 1975)., ირჟი ლევის „თარგმანის ხელოვნება" (Ëåâûé, 1974.), ა. შვეიცერის მონოგრაფია „თარგმანი და ლინგვისტიკა" (Øâåéöåð, 1973.), ი. რეცკერის „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა" (Ðåöêåð, 1974.), ლ. ბარხუდაროვის „ენა და თარგმანი" (Áàðõóäàðîâ, 1975.), ვ. კომისაროვის „სიტყვა თარგმანზე" (Комиссаров, 1973), ლ. ჩერნიახოვსკაიას „თარგმანი და აზრობრივი სტრუქტურა" (×åðíÿõîâñêàÿ, 1976), ჩარლზ ვოგელინის „მრავალსაფეხურიანი თარგმანი" (Charles F. Voegelin, , vol. 10, No 4, Oct. 1954), კატარინა რაისის „თარგმანის კრიტიკის შესაძლებლობები და საზღვრები" (Katharicna Reiß, 1971), ჟორჟ მუნინის „თარგმანის თეორიული პრობლემები" (Mounin, 1963) და მრავალი სხვა, რომელთაგანაც განსაკუთრებული ჟღერადობის აღმოჩნდება იუჯინ ნაიდას ვრცელი ნაშრომი, „თარგმანის მეცნიერებისათვის" (Nida, 1964).

---

[12]იტალიურ ენაზე "ტრადუტტორე" ნიშნავს „მთარგმნელს", ხოლო მისი ომონიმი "ტრადიტორე" – „გამცემს",
„მოღალატეს".

„იუჯინ ნაიდა ყველაზე გავლენიანი ავტორია თარგმანის თანამედროვე მკვლევართა შორის“, წერს ბრიტანული ტრანსლატოლოგის წამყვანი სპეციალისტი, პროფ. პიტერ ნიუმარკი თავის ბოლო წიგნში, „შენიშვნები თარგმანზე“ (Newmark, 1995; 133) და ეჟენი ნაიდასადმი მიძღვნილ აბზაცში მისი ბოლოდროინდელი ნაშრომების სიას გვთავაზობს. ესენია: „მნიშვნელობა კულტურათა გადაკვეთაზე“ (Nida 1981), „მნიშვნელობის თარგმნისას“ (Nida 1984) და „თარგმანის შესახებ“ (Nida 1984). პიტერ ნიუმარკის მიერ წარმოდგენილ სიას დაემატა ე. ნაიდას მონოგრაფია, „სოციოლინგვისტიკა და ენათაშორისო კომუნიკაცია“ (Nida 1996), რომელიც პრაქტიკულად მის ბოლოდროინდელ ლექციათა სინთეზს წარმოადგენს.

აღსანიშნავია მიმართულება, რომელიც თარგმანის პროცესში სამიზნედ იღებს უკვე არა სიტყვას, არამედ ტექსტს (იხ. მაგ., Albrech Neubert and Gregory Shreve, Translation as Text (თარგმანი როგორც ტექსტი), 1992), ხოლო წარმატებული თარგმანის პირობად მიიჩნევს მთარგმნელის უნარს, ენებსა და შესაბამის კულტურათა შორის ურთიერთობის პროცესში აღმოაჩინოს ის საერთო სინამდვილე, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობასა და აზროვნებას (იხ. მაგ. Paul Elingworth, Text and Translation: Model and Reality (ტექსტი და თარგმანი: მოდელი და რეალობა, 1997).

აღნიშნული მიდგომა უდავოდ არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ითვალისწინებს ცალკეული დეტალებისა და ნიუანსების სწორ რეალიზაციას. მაგრამ მათი ამეტყველება თარგმანში არ ბოჭავს მთარგმნელს, პირიქით, შემოქმედებითად ათავისუფლებს მას (Baker, , 2005).

რაც შეეხება რუსულ და ყოფილ საბჭოთა სკოლას თარგმანის შესწავლის ასპექტში, იგი მაღალგანვითარებული და პროგრესულია. ამას მოწმობს არა მხოლოდ გამოკვლევათა შიგთავსი, გარკვეულად ასახული მრავალტომეულ კრებულში, “Мастерство перевода”, ან ცნობილ პერიოდიკაში, “Тетради переводчика”, არამედ დასავლეთის მკვლევართა მიერ მათი დღევანდელი შეფასება. მართალია გვიან, მაგრამ სამართლიანად, მათ აღიარეს რუსული და საბჭოთა სკოლის დიდი მონაპოვარი თარგმანის საქმეში (იხ. მაგ., Lauren G. Leighton. Two Worlds, One Art (ორი სამყარო, ერთი ხელოვნება), 1991).

აღსანიშნავია აგრეთვე თარგმანის თეორიის ისტორიის ამსახველი მონოგრაფია (Susan Bussnet-McCuire, Translation Studies (თარგმანის შესწავლა), 1991), რომელშიც ავტორი მიმოიხილავს თარგმანის შესწავლის საკითხს ძველი რომიდან

მოყოლებული დღემდე და დიდ ადგილს უთმობს რუსეთსა და ჩეხეთში XX საუკუნეში განვითარებულ სტრუქტურალიზმს.

სტრუქტურალიზმი იყო ის მიმართულება, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი თარგმანის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებას მთლიანობაში, ხოლო რაც შეეხება თარგმანის თეორიის ისტორიის შესწავლას, მას დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნდება მრავალი გამოკვლევა და მონოგრაფია, რომელშიც ეკვივალენტობის პრინციპი ინტერესის ღერძად რჩება, იქნება ეს ჰეროდოტესა და ელისაბედ I-ის ეპოქა, XVIII საუკუნე, თუ ჩვენი დღევანდელობა. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია თანამედროვე ამერიკელი თეორეტიკოსის, დუგლას რობინსონის (Douglas Robinson), ღვაწლი, რომელმაც როგორც მრავალი მონოგრაფიის ავტორმა, თავად შეადგინა და რედაქტირება გაუწია მრავალ კოლექტიურ კრებულსა და მონოგრაფიას (იხ. მაგ., Western Translation Theory (დასავლეთის თარგმანის თეორია), 1997; Translation and Empire (თარგმანი და იმპერია), 1997; Translation and Taboo (თარგმანი და ტაბუ), 1996; “What is Translation?” (რა არის თარგმანი?), 1997, “Becoming a Translator”(როგორ გახდე მთარგმნელი, 1997).

თარგმანის თეორიული კვლევისას ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ერთია ის, როდესაც თარგმანი დიფერენციულად შეისწავლება იმისდა მიხედვით, რომელი სფერო თუ ლიტერატურული ჟანრია კვლევის ობიექტი, იქნება ეს რელიგია, პოლიტიკა, ბიზნესი, კინო, რადიო, ტელევიზია, კონფერენციათა ინტერპრეტაცია, გაზეთი, პროზა, დრამა, თუ პოეზია; მეორე, როდესაც თარგმანის თეორეტიკოსები ნათლად ხედავენ ყველა სახის თარგმანის საერთო მაჩვენებელს და მას გლობალური თვალთახედვით განიხილავენ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსების, ბაზილ ჰატიმისა (Hatim, 1997) და იან მეისონის (Mason, 1994; 22-34,.), ნაშრომები და მონოგრაფიები ძირითადად 1994-2001 წლებში გამოქვეყნებული.

ყოველივე ამის ფონზე ძალზე დიდია ეჟენი ნაიდას ღვაწლი, რომელმაც შეძლო თარგმანისათვის ახალი მიმართულება მიეცა, საკუთრივ ისეთი, როდესაც მკვლევარი მხოლოდ ტრადიციული ლინგვისტიკის მეთოდებით ვეღარ დაკმაყოფილდებოდა და თარგმანი მხოლოდ კულტურათა გადაკვეთაზე ამოზრდილ სოციოლინგვისტურ მოვლენად იქნებოდა გააზრებული. ნაიდა აგრძელებს საპირისა და მალინოვსკის კვალს, როდესაც აცხადებს, რომ ეფექტური კომუნიკაცია არ შეიძლება იყოს მხოლოდ ლინგვისტური ელემენტების შედეგი, რადგან ფართო გაგებით არანაირი ორი ენა არ შეიძლება წარმოადგენდეს ერთსა და იმავე რეალობას, იქნება ეს უკანასკნელი მატერიალური, სოციალური, ეკოლოგიური თუ

რელიგიური. ე. ნაიდა აფართოებს არა მარტო მაკროკონტექსტის გაგებას ენათა ურთიერთობის ფონზე, არამედ მას მტკიცედ სწამს, რომ ნებისმიერ ორ ენაში არ მოიძებნება ისეთი ორი სიტყვა, რომელიც სრულად ემთხვევა ერთმანეთს მათი დესიგნატური (დენოტატური) თუ ასოციაციური (კონოტატური) მნიშვნელობებით (Nida, 1996; 29.).

ამდენად, ტრადიციული ვიწრო ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომების საზღვრები, ვითარცა ბორკილები, გახსნილია. გაცნობიერებულია ურთიერთდამოკიდებულებაში მოყვანილი ორი ენის განსხვავება და თავისებურება, როდესაც ამოსავალი, ანუ საწყისი ენა (სოურცე ლანგუაგე) არის შემოქმედებითი წყარო სამიზნე ენაზე (target language)[13] ისევ შემოქმედებითი პროცესის განხორციელებისა. ენათა შორის განსხვავების მომენტის გარკვევამ თარგმანის ლინგვისტიკა პრაქტიკულად გაათავისუფლა ზუსტი თარგმანის მიმართ წაყენებული აბსურდული მოთხოვნებიდან და, ამდენად, თარგმანის სისწორის საკითხი შესაბამისობათა პრინციპების საკითხამდე აიყვანა. ამავე დროს ფორმალური ეკვივალენტობა დინამიკურ ეკვივალენტობას დაუპირისპირა და თვით ფორმა, თავის მხრივ, აუცილებლად მნიშვნელობასა და აზრს დაუმორჩილა. ენათაშორისი განსხვავების გათვალისწინებას თარგმანის შესწავლის საქმეში მტკიცე მიმდევრები გამოუჩნდა, და ეს მოვლენა, ე. ი. განსხვავება ენებს შორის, საინტერესო აღმოჩნდა როგორც თარგმანის, ასევე თავად ტექსტის ინტერპრეტაციის თვალსაზრისითაც (Hatim, 1990). ლინგვისტური თვალთახედვის ამგვარი გაფართოების შედეგად ფაქტობრივად გაიხსნა გზა იმ ნაპრალის შესავსებად, რომელიც არსებობს ლინგვისტიკასა და ლიტერატურას შორის, თუმც როგორც პიტერ ნიუმარკი აღნიშნავს, კავშირს ამ ორ დისციპლინას შორის რომან იაკობსონი და პრაღის ლინგვისტური სკოლა თუ ინარჩუნებდნენ (Newmark, 1991; 163) ლინგვისტიკისა და ლიტერატურის დარგებს შორის აუცილებელ კავშირზე მიანიშნებს აგრეთვე მ. მ. ბახტინი ნაშრომში, „Вопросы литературы и эстетики" (Бахтин, 1975).

თარგმანის თეორია, გამოვიდა რა დილემის ჩიხიდან, ზუსტად მიჰყვეს ორიგინალის ტექსტს თარგმანში, თუ თავისუფალ თარგმანს მიმართოს, თვისებრივად გადაიზარდა თარგმანის თეორიიდან თარგმანის ლინგვისტიკაში, რადგან პირველი

[13]ფრაზა "ტარგეტ ლანგუაგე", როგორც ლინგვისტური ტერმინი ე. ნაიდას ეკუთვნის, იხ. . იდა ანდ ჩჰ. თაბერ, თჰე თჰეორყ ანდ რაცტიცე ოფ თრანსლატიონ, 1969.
აღნიშნული ტერმინები: „სოურცე ლანგუაგე" და "ტარგეტ ლანგუაგე" ქართულ თარგმანმცოდნეობაში იხმარება როგორც „წყარო ენა" და „მიზანი ენა" (მაგ., იხ. მ. ნათაძე, ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვოსტილისტური პრობლემები, თბ., 1986; აგრეთვე, ნ. საყვარელიძე, თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის პრობლემა, თბ., 1996).

მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარს სჯერდებოდა, იმ დროს, როდესაც მეორემ, ანუ თარგმანის ლინგვისტიკამ, თავის წინაშე უაღრესად მრავალფეროვანი და ასევე უაღრესად საინტერესო კვლევის პერსპექტივა დაინახა. ამასთან ერთად, ის, თითქოს, გათავისუფლდაო Infteriority complex-სგან და თამამად აღიარა, რომ რიგ შემთხვევებში მას სჭირდება დათმოს გარკვეული დედნისეული ღირსებები, ანუ „უღალატოს“ მათ და შეძლოს გადმოსცეს გაცილებით ფასეული და მნიშვნელოვანი, ან უბრალოდ შეუძლებლად მიიჩნიოს გარკვეულ ფასეულობათა ამეტყველება მეორე ენაზე ამ უკანასკნელის თავისებურებათა გამო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ მოვლენასთან, რომლის შესახებაც თავად იაკობსონი იტყოდა: „რომელ ცნობათა მთარგმნელად“ და „რომელ ღირებულებათა მოღალატედ“ გვევლინება თავად მთარგმნელი.

აღნიშნულის პარალელურად გაფართოვდა ტექსტის ინტერპრეტაციის აუცილებლობა და ხშირ შემთხვვაში ინტერპრეტაცია სამართლიანადაა გაგებული როგორც თარგმანი, რამეთუ იგი სწორი შინაარსობრივი რეალიზაციის პირველ პირობას წარმოადგენს (Steiner, 1998). მეორე მხრივ, იმდენად გაფართოვდა თავად ინტერპრეტაციის ცნება, რომ ლიტერატურული ტექსტის ფერწერა თუ კინოს ენაზე გადატანაც უკვე თარგმანად (translation) მიიჩნიეს (Umberto Eco, 2004).

დღეს სამყაროს ინტეგრაციის პირობებში თარგმანს უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მისი თეორიული შესწავლა და პრაქტიკული განვითარება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ გადაუდებელ პირობად რჩება.

და აი, ყოველივე ამის ფონზე, ჩვენ წინაშე დადგა ამოცანა, განგვესაზღვრა შინაარსის ინფორმატული ტევადობა პოეტური ტექსტისა მისი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით და ამავე დროს აგვეღწერა ამ ინფორმაციის თარმგანში გადმოტანის შესაძლებლობები.

ამდენად, თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის მონაპოვარი, საკუთრივ ინფორმაციის კატეგორიათა სისტემა, ჩვენ მივუყენეთ თარგმანის ტექსტს, რათა სწორედ შინაარსობრივ-ინფორმაციული კუთხიდან შეგვესწავლა თარგმნის პროცესი და მისი რეალიზაციის არაერთი შესაძლებლობა. მიუხედავად მიმდინარე გამოკვლევების მრავალფეროვნებისა თარგმანის ლინგვისტიკაში, კვლევა განვახორციელეთ იმ მეთოდითა და თვალთახედვით, რა მეთოდითა და თვალთახედვითაც ჩვენ ვიკვლევთ თვითონ პოეტურ ტექსტს.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს პოეტური ტექსტის შინაარსობრივ კატეგორიათა სისტემური შესწავლა და აღწერა ტექსტის ლინგვისტიკის მეთოდიკის გამოყენებით, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ამ პროცესის

შედეგად მიღებული სისტემური დასკვნების გამოყენებით პოეტური თარგმანის შეპირისპირება დედანთან და ამ გზით თარგმანის ლინგვისტიკაში კვლევის ახალი გზების დამკვიდრება.

ჩვენი *კვლევის მიზანია*, გაიხსნას პოეტური ტექსტის, საკუთრივ, ბაირონის ლექსის შინაარსობრივი მექანიზმი, დადგინდეს მისი ინტერპრეტაციის გზები და საშუალებები, მოხერხდეს დედნისეული ტექსტის შეპირისპირება სათანადო თარგმანებთან წარმატებული თარგმანის შესაძლებლობების გამოვლენით.

ამასთან ერთად შევეცდებით გამოვავლინოთ ინდივიდუალური პოეტური სტილის შინაარსობრივი საფუძვლები მათი სწორი ინტერპრეტაციისა და თარგმანში სათანადო რეალიზაციის მიღწევის მიზნით.

ჩვენი ყურადღება ეთმობა ბაირონის პოეზიას სათანადო ქართული და რუსული თარგმანების ფონზე, გამომდინარე ჩვენი სპეციალური ინტერესიდან მისი შემოქმედების მიმართ, რაც მეორე მხრივ გამართლებულია კვლევის მრავალწლიანი გამოცდილებით.

ამასთან კავშირში გვინდა გავიხსენოთ ი. ჭავჭავაძის წერილები, მიძღვნილი თარგმანის საკითხებისადმი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანზედა“ (ჭავჭავაძე, 1986; 7-25) (1860 წ.) და ამავე წერილის გამოხმაურებაზე დაწერილი მისი „პასუხი“ (1861 წ.). ილიას ეს წერილები საეტაპო ნაშრომებია ქართულ თარგმანმცოდნეობაში, უპირველეს ყოვლისა, გაბედული და თამამად ნათქვამი სიტყვის გამო. ისინი არ გამოირჩევიან რაიმე სპეციალური მეცნიერული ღირებულებით (იგულისხმება თარგმანის ლინგვისტური შეფასება, რაც იმ დროისათვის, ფაქტობრივად, აუთვისებელი სფერო იყო). ალბათ, ერთადერთი სამეცნიერო ტერმინი, რომელსაც ილია ხმარობს, გახლავთ „სიტყვის კონსტრუქცია“, რომელიც წინასწარ განმარტებულია შემდეგნაირად: „აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ კონსტრუქცია“ (ჭავჭავაძე, 1986; 26-51). და მაინც, ილიას წერილი მეხივით გაისმა თარგმანის საკითხისადმი იმდროინდელი დამოკიდებულების მიმართ. 23 წლის ყმაწვილმა, ილიამ, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა მთარგმნელი, რომელმაც არც დედნისადმი გამოიჩინა პატივისცემა და არც საკუთარი ენისადმი. „თუ კაზლოვი შეგძულდეთ, ჩვენო მკითხველო, თავისი ბრალი ისე არ იქნება, როგორც მის უწყალო მთარგმნელისა“, – წერდა ილია. ილია ვერაფრით ვერ პატიობდა თავად ერისთავს მდარე ენის დამკვიდრებას თარგმანის გზით, რამეთუ მშვენივრად იცოდა, რაოდენ დიდი იყო თარგმნილი პოეზიის გავლენა მშობლიურ ლიტერატურაზე. „აბა, მოდი და აქ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში

პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩივის?“ – წერდა აღშფოთებული ილია.

აღნიშნული წერილი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ილია მაღალ მოთხოვნებს მარტო „შეშლილის“ ერისთავისეულ თარგმანს კი არ უყენებს, იგი კრიტიკულად აფასებს აგრეთვე ივანე კოზლოვის თარგმანებს ბაირონიდან და მთარგმნელის მიმართ სანაქებოს არაფერს ამბობს: „... ბევრი პოეტები ალაგ-ალაგ გადმოთარგმნილი ჰყავს, და სხვათა შორის, ლორდი ბაირონიცა. ბაირონი უთარგმნია კაზლოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთი მთელი პოემაც ამისი, წოდებული “Абидосская невеста”, მაგრამ სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა... ბაირონის ნაცვლად, რომელსაცა ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, იმ ბაირონის ნაცვლად, კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჭია აშუღადა“.

ილია ჭავჭავაძის ასეთი შეფასება, ვფიქრობთ, გადაჭარბებული სიმკაცრეა უსინათლო და პარალიზებული ნიჭიერი რუსი პოეტის მიმართ, რომელსაც პუშკინმა, მოგეხსენებათ, ქებით აღსავსე სტრიქონები[14] მიუძღვნა. ხოლო ი. კოზლოვის მიერ ბაირონიდან შესრულებულმა თარგმანებმა, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დროის გამოცდას ჩინებულად გაუძლო.

არანაკლებ მნიშვნელოვან ძეგლად გვესახება მისი “Вечерний звон”, როგორც სავარაუდოდ, გიორგი მთაწმინდელისგან შესრულებული რუსული ვარიანტი, რამაც პრაქტიკულად გადაგვირჩინა XI საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი ქმნილების შინაარსი.

მაგრამ რა ექნა სამშობლოსა და სიტყვაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ახალგაზრდას, რომელსაც საქმისა და სიტყვის ჭეშმარიტ მოამაგედ დიდი ინგლისელი წარმოედგინა? ამ გადასახედიდან იგი, უდავოდ, ბაირონის საკადრისად ვერ ი. კოზლოვის სიტყვას მიიჩნევდა და ვერც მის მიერ შესრულებულ თარგმანს. საამაყოა, რომ ილიასეული სიმკაცრე და მომთხოვნელობა თარგმანის საქმისადმი დღესაც აქტუალურია. ილიამ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურული ანალიზის განვითარების საქმეში და პრაქტიკულად დასაბამი მისცა თარგმანის რეალურ კრიტიკას საქართველოში.

---

[14] მოგვყავს პირველი სამი სტრიქონი პუშკინის ლექსიდან “Козлову”:
“Певец, когда перед тобой/Во мгле сокрылся мир земной,/Мгновенно твой проснулся гений.” см. А. С. Пушкин, Собрание сочинений в шести томах, М., 1969, стр. 225.

თავი 3

ტექსტის ლინგვისტიკა და მისი კვლევის ობიექტი

თარგმანმცოდნეობა, ისევე როგორც თავად თარგმანი, მთელი თავისი წარსულით

ნათლად მოწმობს იმ ფაქტს, რომ, რომ ყოველ ეპოქასა და ყოველ ქვეყანაში თარგმანი იყო გამოძახილი იმ ცოდნისა და კულტურისა, რომელიც გააჩნია ერს, ერთი მხრივ ენის ფენომენის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ნაწარმოების, როგორც ერთი მთლიანის გაგების თვალსაზრისით. მდენად, ნებისმიერი თარგმანის ანალიზი მისი დედნის ღრმა ანალიზს გულისხმობს და მხოლოდ მასთან ურთიერთობაში გამოვლინდება. ეს კი ეხება, უპირველესად, პოეტურ ტექსტს, რომელიც ჩვენ კვლევის ობიექტად გამოვაცხადეთ. და რომ მთარგმნელი არის, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ტექსტის ინტერპრეტატორი, და თარგმანი არის, უპირველესად, ტექსტის ინტერპრეტაცია, ანუ ფილოლოგიური ანალიზი, ანალიზი საკმაოდ რთული, სერიოზული, მძიმეც, მაგრამ, იმავდროულად, საინტერესო და სახალისო. პოეტურ თარგმანს საფუძვლად უდევს ტექსტის შინაარსობრივი კატეგორიები, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის, როგოც თანამედროვე ფილოლოგიის უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების შედეგს.

ტექსტის ლინგვისტიკამ ინტენსიური განვითარება იწყო XX საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევარში. ამდენად, იგი ახალგაზრდა და პერსპექტიული მეცნიერებაა, თუმც, მათეზიუსის შრომა[15], რომელიც მიჩნეულია ამ სფეროში მიმდინარე გამოკვლევათა საწყის წერტილად, 1947 წელს გამოქვეყნდა.

თავისი განვითარების პირველ ეტაპზე, XX საუკუნის 60-იან წლებში, ტექსტის ლინგვისტიკა უმთავრესად დაინტერესდა ტექსტის შეკავშირების საკითხით, თემისა და რემის ურთიერთობით, წინადადების აქტუალური დანაწევრებით, რასაც, თავის მხრივ, წინ უსწრებდა აქტუალიზაციის საკითხის დამუშავება ვ. ვ. ვინოგრადოვის, შ. ბალის, ლ. შჩერბასა და სხვათა მიერ. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერთა მისწრაფება, გამოიყვანონ სინტაქსი წინადადების საზღვრებიდან და გაცილებით ფართო ასპარეზი შესთავაზონ მას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ტ. ვან დეიკისა (Âàí Äåéê, 1989) და ვ. დრესლერის (Dressler, 1973) შრომები.

[15]Mathesius, Otak zvaném aktualhum clěněni větnem, 1947, â êí: Íîâîå â ëèíãâèñòèêå âûï. 8, M., 1978.

მოგვიანებით გამოიკვეთა განსაკუთრებული ინტერესი ტექსტის სიღრმისეული შინაარსისადმი. ამასთან ერთად შეინიშნება არა მარტო ტექსტის სიღრმეთა ძიება, არამედ მისი დაკავშირება ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან. ამდენად, ტექსტი სულ უფრო და უფრო „მეტყველების“ შინაარსს იძენს და იგი ცხოვრებასთან უმჭიდროვეს კავშირში განიხილება. ე. ბენვენისტი (Áåíâåíèñò, 1974) ტექსტის ლინგვისტიკის ობიექტად ირჩევს „დისკურსს“ – ტერმინს, რომელიც ფრანგულ ენასა და, საერთოდ, ფრანგულ ლინგვისტურ ტრადიციაში „მეტყველებას“ აღნიშნავს, და სთავაზობს მას ახალ შინაარსს – იყოს ისეთი მეტყველების აღმნიშვნელი, რომელიც გააზრებული იქნება, როგორც მოსაუბრის მიერ მითვისებული მოვლენა (Àðóòþíîâà, 1990, 137) ამ შემთხვევაში ტექსტის ლინგვისტიკა დაუპირისპირდა ობიექტურ თხრობას (récit), რამაც კიდევ უფრო გამოკვეთა დისკურსში პრაგმატული, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები.

დისკურსის თეორიისა და მისი ანალიზის მეთოდების უშუალო წყაროდ მიჩნეულია არაერთი ლინგვისტური სკოლა, მაგ., პ. ჰარტმანისა და პ. ვუნდერლიზისა – გერმანიაში, გ. ზაქსისა და ე. შჩეგლოვისა – ამერიკაში და ა. შ., დისკურსის თეორიის ფესვები შეინიშნება მ. მ. ბახტინის შრომებში.

1952 წელს ზ. ჰარისი (Harris, 1952, v. 28, No 1) შეეცდება დისტრიბუციული ანალიზი წინადადებიდან გაბმულ ტექსტზე გადაიტანოს და მის აღსაწერად სოციალურ-კულტურული სიტუაცია მოიშველიოს. იგი შემოგვთავაზებს ტერმინს – „დისკურსის ანალიზი“, რომელიც მოგვიანებით გაუთანაბრდება გერმანულ ტერმინს – “Textlinguistik”. ეს ტერმინი ორმოცდაათიან წლებში დამკვიდრდა და დღესაც წარმატებით გამოიყენება (Dressler, 1973), პ. ჰარტმანი (Hartmann, 1975). და სხვ). გერმანელი ლინგვისტების ანალოგიურად ე. კოსერიუც იხმარს “linguistica del texto”- ს. (Coseriu, 1955-56). 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში დისკურსი თითქოს დაუპირისპირდება კიდეც ტექსტის ლინგვისტიკას იმ თვალსაზრისით, რომ იგი დაინტერესდება უმთავრესად ტექსტის ნაირსახეობათა აქტუალიზაციით, მისი უშუალო კავშირით ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან. ამ შემთხვევაში წინ მენტალური ასპექტი წამოიწევს (van Diyk, v 1-4 L. 1985).

დისკურსის ანალიზი ტექსტის ლინგვისტიკის საპირისპირო მოვლენას არ წარმოადგენს, პირიქით, იგი მისი განვითარების და გაზრდის კანონზომიერი შედეგია. ამდენად, ტექსტს განვიხილავთ ფართო ასპექტში, საკუთრივ იმ ექსტრალინგვისტურ სიტუაციასთან კავშირში, რომელშიც იშვა და შეიქმნა იგი, იმ სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით,

რომელთა აღდგენას, რასაკვირველია, წარმოსახვით, და ისიც მეტ-ნაკლებად, გვპირდება ჩვენივე თეზაურუსი.

ზემოაღნიშნული მიდგომა ტექსტისადმი არაა ახალი და უცხო, განსაკუთრებით მეცნიერთა იმ ფართო წრისათვის, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ საბჭოთა ლინგვისტური სკოლა ეწოდებოდა.

ლინგვისტიკის პოპულარიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა ის დიდი შრომა, რომელიც რუსმა მკვლევრებმა მრავალი საზღვარგარეთული ნაშრომის რუსულ ენაზე თარგმნითა და პუბლიკაციით გასწიეს. რაც შეეხება თვით საბჭოთა ლინგვისტებს, ისინი განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ ტექსტის ისეთი პრობლემებით, როგორსაც გვთავაზობს გრამატიკა, სტილისტიკა, ლიტერატურა, ლინგვოფილოსოფია თუ ფსიქოლინგვისტიკა ენისა და მეტყველების ფენომენთან მიმართებაში.

სამოციანი წლების ბოლოს და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში რუსეთში ქვეყნდება მრავალი საინტერესო გამოკვლევა, რომელთაგანაც აღსანიშნავია გ. სოლგანიკის მონოგრაფია „სინტაქსური სტილისტიკა“ (Ñîëãàíèê, 1973), აგრეთვე ი. სევბოსა (Ñåâáî, 1969) და ს. გინდინის (Ãèíäèí, 1977) შრომები, ზ. ტურაევასა (Òóðàåâà, 1979) და ო. მოსკალსკაიას (Ìîñêàëüñêàÿ, 1981) გამოკვლევები და ა. შ.

1974 წელს მოსკოვში, მორის ტორეზის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე, „ტექსტის ლინგვისტიკა“ (Òîðåçà, Ì., 1974), რამაც დასაბამი მისცა მრავალ ახალ ნაშრომსა და გამოკვლევას. ამ კონფერენციის კანონზომიერ განვითარებად მიგვაჩნია ის ფრიად საინტერესო თემატიკა, რომელიც ათი წლის შემდეგ, 1984 წელს აისახა ამავე ინსტიტუტში მოწყობილ კონფერენციაზე, „ენის საკომუნიკაციო ერთეულები“ (Òîðåçà, Ì., 1984.) საკმარისია, დავასახელოთ ამ ფორუმზე წარმოდგენილი რამდენიმე მოხსენება, რომ სურათი ნათელი შეიქნას: მ. ბლოხი – ტექსტის ძირითადი ერთეულის პრობლემა, ბ. აბრამოვი – ტრანსფრასტიკა და მისი ობიექტი, ბ. ტურაევა – ტექსტი, როგორც უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეული და მისი კატეგორიები, გ. შატკოვი – ტექსტის დასრულებულობის ცნება (понятие завершенности текстаю) ამ სტრიქონების ავტორს პატივი ჰქონდა აღნიშნულ კონფერენციაზე წაეკითხა მოხსენება – „ტექსტის ახალ კატეგორიათა გამოყოფისათვის“.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა პროფ. ი. რ. გალპერინის მონოგრაფია, „ტექსტი,

როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი“ (Ãàëüïåðèí, 1981), რომელიც 1981 წელს გამოქვეყნდა.

ნაშრომში განხილულია ტექსტის თეორიის ძირითადი საკვანძო საკითხები, განსაზღვრულია ტექსტის ცნება და მისი კვლევის შესაძლებლობები, გამოვლენილია ტექსტის ძირითადი კატეგორიები, როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული წერილობითი ტექსტისათვის, გახსნილია ამ პარამეტრთა ურთიერთობის მექანიზმი და, რაც მთავარია, მოცემულია ფუნდამენტური პროგრამა მხატვრული ტექსტის, როგორც ესოდენ რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენის შემდგომში ვრცელი და ღრმა შესწავლისათვის, რაც, თავის მხრივ, ქმნის ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ობიექტურ პერსპექტივას. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის არსებობდა მრავალი საინტერესო გამოკვლევა ტექსტის ლინგვისტიკაში, ი. რ. გალპერინის მონოგრაფია განსაკუთრებული რეზონანსის მქონე აღმოჩნდა.

აღნიშნული მონოგრაფია ი. რ. გალპერინმა სპეციალურად ტექსტის ძირითად გრამატიკულ კატეგორიათა აღწერასა და ანალიზს მიუძღვნა. საკვლევ ობიექტად, როგორც აღვნიშნეთ, ი. რ. გალპერინი მიიჩნევს მხოლოდ იმ ტექსტს, რომელიც შექმნილია, როგორც წერილობითი დოკუმენტი და დამუშავებულია ლიტერატურულად, თანახმად დოკუმენტის სახეობისა.

ტერმინი *გრამატიკა,* ლინგვისტურ მეცნიერებაში მისი ფართო გაგებით, გულისხმობს *ენის ფუნქციონირების საერთო კანონზომიერებას და, ამდენად, იმ მეცნიერებასაც, რომელიც ამ კანონზომიერებებს შეისწავლის.*

ტერმინის ფართო ინტერპრეტაცია უფლებას აძლევს ენათმეცნიერებს, გრამატიკის ცნებაში იგულისხმონ არა მხოლოდ *მორფოლოგია* და *სინტაქსი,* რაც საყოველთაოდაა აღიარებული, არამედ *ფონეტიკა, ლექსიკოლოგიაც* და ა. შ.

ამგვარად, ბოლო დროს ჩვენ ვხვდებით ტერმინებს: *ფონეტიკური გრამატიკა, მორფოლოგიური გრამატიკა, ლექსიკოლოგიური გრამატიკა, სინტაქსური გრამატიკა, სემანტიკური გრამატიკა, სტილისტური გრამატიკა, ტექსტის გრამატიკა, კომუნიკაციური გრამატიკა* და თვით *პოეზიის გრამატიკა.* ეს უკანასკნელი კი, დაკავშირებულია რომან იაკობსონის სახელთან, საკუთრივ მის ნაშრომთან, „გრამატიკის პოეზია და პოეზიის გრამატიკა“ (ßêîáñîí, 1983).

ი. რ. გალპერინის მიერ შემოთავაზებულ ტექსტის გრამატიკულ კატეგორიათა სისტემას ჩვენ მივუყენებთ პოეტურ ტექსტსა და პოეტურ თარგმანს, რაც საშუალებას მოგვცემს ამ სისტემის შემდგომი დახვეწითა და გაფართოებით გამოვყოთ პოეტური ტექსტისა და პოეტური თარგმანის რიგი კატეგორიები.

აღსანიშნავია ტექსტის ლინგვისტიკისადმი განსაკუთრებული ინტერესი საქართველოში, სადაც ენათმეცნიერების ეს დარგი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ტექსტის მკვლევართა შორის არიან ვ. ფურცელაძე, რ. ენუქიძე, ა. კარტოზია, ნ. შენგელია, დ. გოცირიძე, ვ. სერგია და სხვანი.
ვ.სერგიას მონოგრაფიაში, „ტექსტის ლინგვისტიკა“ (სერგია, 1989), ტექსტის ზოგადი კატეგორიებისა და პარამეტრების ექსტრაპოლიაცია, სწორედაც რომ, ქართული მხატვრული სალიტერატურო ენის მასალაზე მოხერხდა. აღსანიშნავია აგრეთვე დ. გოცირიძის (Гоциридзе, 1985; 350-361), ნ. შენგელიასა (Шенгелия, 1985, -295) და მ. გვენცაძის (Ãâåíöàäçå, 1986) შრომები, ფრიად საყურადღებოა ალ. კარტოზიას სადოქტორო დისერტაცია, „ენა, ტექსტი და თარგმანი“ (კარტოზია, 1995).

მიუხედავად მზარდი პოპულარობისა, ტექსტის ლინგვისტიკის ირგვლივ არ ცხრება კამათი და დავა. ერთნი მიიჩნევენ, რომ ტექსტი მასში შემავალი წინადადებების ერთობას წარმოადგენს და, ამდენად, ცალკე მეცნიერების ჩამოყალიბება, რომელიც ერთიან ტექსტს შეისწავლის, ზედმეტია. „თუ ბოტანიკოსმა შეისწავლა ყვავილი, – წერს რ. ბარტი, – მას არ სჭირდება თაიგულის შესწავლა“ (Barthes, 1966, 1-27). ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ თაიგული ყვავილებისაგან შედგება, პირიქით, ხაზს უსვამს თაიგულის შექმნის თავისებურებას, რაც, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია არა მარტო ცალკეული ყვავილის თვისებებზე, არამედ მათ ურთიერთგანლაგებაზეც.

მეორენი თვლიან, რომ თუ წინადადება წარმოადგენს სინტაქსის კვლევის ობიექტს, ტექსტი მხოლოდ სტილისტიკის კვლევის ობიექტია. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ამერიკელი მკვლევრის, ა. ჰილის, შრომები (Hill, 1958). მისი აზრით, სტილისტიკა სწორედ იმით განსხვავდება ლინგვისტიკისაგან, რომ ეს უკანასკნელი შემოიფარგლება წინადადების შესწავლით, ხოლო სტილისტიკა შეისწავლის ლინგვისტურ ობიექტებს შორის არსებულ ისეთ ურთიერთობებს, რომელთა განსაზღვრა გაცილებით უფრო დიდი მონაკვეთების აღმნიშვნელი ტერმინებითაა შესაძლებელი, ვიდრე ეს არის წინადადება. ა. ჰილის აზრი, გამოთქმული მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, სამწუხაროდ, არ სცილდება XVIII საუკუნის ინგლისელი რიტორიკოსის, ჯორჯ კემპბელის, მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სინტაქსი განიხილავს მხოლოდ სიტყვათა კავშირს წინადადებაში, ხოლო სტილისტიკა განიხილავს აგრეთვე წინადადებათა კავშირს ერთ ტექსტში.[16]

[16] იხ. Íîâîå â çàðóáåæíîé ëèíãâèñòèêå, âûï. 9, Ì., 1980, ñòð. 173.

სტილისტიკა, როგორც მეცნიერება, რომელიც სწავლობს ტექსტის როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური ელემენტების შერჩევისა და შეკავშირების გზებს, უდავოდ, თავისი განვითარების თანამედროვე მდგომარეობით დიდად ამდიდრებს ტექსტის ლინგვისტიკას და ხელს უწყობს მის განვითარებას. აგრეთვე, მრავალი პრობლემა, რომელთაც დღეს წამოჭრის ტექსტის ლინგვისტიკა, არაერთხელ ყოფილა განხილული სტილისტიკის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. მაგრამ ის მრავალი მოვლენა, რომელთაც შეისწავლის ტექსტის ლინგვისტიკა, არაერთხელ მცდარად ყოფილა მიჩნეული სტილისტურ მოვლენად.

სტილისტიკის გაიგივებას ტექსტის ლინგვისტიკასთან შეიძლება მოჰყვეს მთელი რიგი გაუგებრობები, რამეთუ თვით „სტილის“ ცნება კვლავ ბუნდოვანი რჩება, და ამ ტერმინით აღინიშნება კვლევის სრულიად განსხვავებული საგნები (Ãàëüïåðèí, 1980; 6), მეორე მხრივ, სტილისტიკა, როგორც ლინგვისტიკის ერთ-ერთი ნაწილი, ვერ ფარავს ერთიანი ტექსტის შექმნის მექანიზმს. ამის მტკიცებად, პირველ რიგში, თვით ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერული დარგის აღმოცენების აუცილებლობა და შემდგომი განვითარება მიგვაჩნია, რომელსაც სამართლიანად თვლიან უკვე არა დარგად, არამედ „ფუნდამენტად და ლინგვისტიკის ბაზად მთლიანობაში“ (Íèêîëàåâà, 1978, 5). უფრო მეტიც, „ტექსტის“ პრობლემატიკამ მსოფლიო ლინგვისტიკაში ფრიად მოწინავე ადგილზე წამოიწია და ტექსტს დღეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლინგვისტურ კატეგორიად აღიარებენ.

ტექსტის ლინგვისტიკის ამგვარი აღიარებისა და მისი სამეცნიერო თუ სასწავლო დისციპლინად გამოცხადების მიუხედავად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღესდღეობით მაინც არ არსებობს შეთანხმებული აზრი იმის თაობაზე, თუ რომელი ტექსტია მიჩნეული ტექსტის ლინგვისტიკის ობიექტად და, საერთოდ, რას უნდა გულისხმობდეს „ტექსტის“ ცნება.

ი. რ. გალპერინის თანახმად, ტექსტი არის სამეტყველო პროცესის წარმონაქმნი, რომელსაც ახასიათებს დასრულებულობა, ობიექტივირებულია წერილობითი დოკუმენტის სახით და, ამ დოკუმენტის ტიპის შესაბამისად, ლიტერატურულადაა დამუშავებული. იგი შედგება სახელწოდებისაგან (სათაური) და მთელი რიგი განსაკუთრებული ერთეულებისაგან (ზეფრაზული ერთობებისაგან), რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტიკური კავშირებით და ამ კავშირებს აქვთ გარკვეული მიზანდასახულობა და პრაგმატული ორიენტაცია (Ãàëüïåðèí, 1981, 18).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დიდი ლინგვისტი, როგორიც გახლდათ ლ. ბლუმფილდი, საერთოდ გამორიცხავდა ენის წერილობითი ფორმით არსებობას. სიტყვა „ტექსტი“ ლათინური წარმოშობისაა (textus) და ნიშნავს „შეერთებას, დაწვნას, ფორმის მიცემას“. „წერა არ არის ენა, ეს არის მხოლოდ ენის ფიქსირების საშუალება ხილული ნიშნების სახით“ (Áëóìîèëüä, 1968, 35-36).

ამავე აზრის არიან ჯ. ლაიონზი 9Lyons, 1971), აგრეთვე მრავალი ამერიკელი დისკრიპტივისტი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ერთადერთი ფორმა ენის არსებობისა არის ენა, რომელიც ჟღერს და ისმის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ ამ აზრს დავეთანხმებით, წერილობითი მასალა, იქნება ეს საქმიანი, სამეცნიერო თუ მხატვრული, უდავოდ იმსახურებს იმას, რომ მას ტექსტი ეწოდოს და ის ლინგვისტური კვლევის საგნად გამოცხადდეს. ერთი ენის გამოხატვის ეს ორი ფორმა, ე. ი. ზეპირი და წერილობითი, ნამდვილად განსხვავდება თავისი პრინციპებით, ბუნებით, თუმც, ისინი ერთ ხეზე ამოზრდილი ტოტებია და მუდმივ ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან. მაგრამ გაკვირვებას იმსახურებს ის ფაქტი, როდესაც „ტექსტის“, როგორც მოვლენის, ობიექტურობაში შეაქვთ ეჭვი მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ „ტექსტის“ ცნება მრავლისმომცველი და მრავლისდამტევია.

გამოჩენილი რუსი მკვლევარი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ტექსტისადმი ორ ძირითად მიდგომას ასახელებდა. ეს გახლავთ ლინგვისტური და სემიოტური (Õðàï÷åíêî, 1985, 3). მიუხედავად ამისა, მ. ბ. ხრაპჩენკო მაინც აიგივებს სემიოტურ მიდგომას ლინგვისტურთან და დასკვნის სახით კითხვას უსვამს მკითხველს: თუ ტექსტი არის „ნიშნების ნებისმიერი სემანტიკურად ორგანიზებული თანმიმდევრობა“ (Óñïåíñêèé, 1973, . 443), რამდენად ამდიდრებს ეს ჩვენს წარმოდგენას ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, თუ ვერდის მუსიკაზე? სხვა კულტურულ ქმნილებათა გვერდით რატომ არ უნდა იქნეს მიჩნეული არქიტექტურული ნაწარმოები „ტექსტად?“ ამასთან, იგი ცდილობს გააბათილოს ტექსტზე ობიექტური შეხედულება იმ მოსაზრებით, რომ იგი უსასრულობისკენ გვიბიძგებს და მისი ამორფულობა და განუსაზღვრელობა არა მარტო ართულებს მეცნიერულ კვლევას, არამედ, არცთუ ისე იშვიათად, მიზეზია მეცნიერის უნაყოფო ძიებისა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მკვლევარი თვითონ აზვიადებს და აბუნდოვნებს ტექსტის ცნებას, როდესაც მას ხან მუსიკალურ, ხან მხატვრულ, ხან კი არქიტექტურულ ნაწარმოებთან აიგივებს.

ტექსტს რომ თავი დავანებოთ, თვით ტერმინიც, „ნაწარმოები“, ხომ არ გამორიცხავს მის დაკავშირებას კულტურის ზემოთ წარმოდგენილ სამ დარგთან,

რაც ქმნის კიდეც განსხვავებულ ცნებებს: „მუსიკალური ნაწარმოები“, „მხატვრული ნაწარმოები“ თუ „არქიტექტურული ნაწარმოები“. სიტყვის სემიოტური თვალსაზრისით, საჭიროა გარკვეულ იქნეს საზღვრები ისეთი ტექსტების არსებობისა და აღწერისა, როგორიც გახლავთ „მუსიკალური ტექსტი“, „არქიტექტურული ტექსტი“ და თვით „მხატვრული ტექსტი“, რაც შეუფერხებლად ხორციელდება კიდეც. რაც შეეხება მხატვრულ ტექსტს, ის თავისი ბუნებით არ გამორიცხავს „ბუნდოვანებასა“ და „გაურკვევლობას“. ეს აუცილებელი თვისებაა და, ამავე დროს, აუცილებელი პირობაც მისი კანონზომიერებების დადგენისა და შესწავლისათვის. როგორც მაქს პლანკა იტყოდა, “Идея без ясного смысла и дает сильный толчок развитию науки”.

ჩვენი კვლევის ობიექტია წერილობითი ტექსტი, მაგრამ არა ნებისმიერი, არამედ მხატვრული, საკუთრივ კი, ტექსტი პოეტური ნაწარმოებისა, რომელსაც არ შევისწავლით წმინდა სემიოტური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური კუთხიდან, არამედ თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის, ანუ იმ დარგის კუთხიდან, რომელიც გვსურს ამავე დროს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სამსახურში ჩავაყენოთ.

თავი 4

პოეტური ტექსტის გრამატიკული კატეგორიები

ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერული დარგის, განვითარებისა და ჩამოყალიბების გზაზე არანაკლებ სადავო საკითხად წარმოდგება, *ერთი მხრივ, მის კატეგორიათა გრამატიკულ კატეგორიებად გამოცხადება,* ხოლო, *მეორე მხრივ, საკითხი ტექსტის შემადგენელ ნაწილთა დადგენის შესახებ.* მაგალითად, ვ. სერგია არ ეთანხმება ი. რ. გალპერინს, როდესაც იგი ტექსტობრივ კატეგორიებს გრამატიკულ კატეგორიებს უწოდებს, და წერს: „ის კატეგორიები, რომლებიც მან (ი. რ. გალპერინმა – ი. მ.) ტექსტის კატეგორიებად შემოგვთავაზა, გრამატიკისათვის უცნობია. ეს კატეგორიები, ჯერ ერთი, გრამატიკული კატეგორიების საზომით ვერ გაანალიზდება და, მეორეც, ისინი შინაარსობრივი კატეგორიებია და, ცხადია, შინაარსობრივ კატეგორიებს გრამატიკულად ვერ მივიჩნევთ“ (სერგია, 19 13).

თუ დავეთანხმებით ი. რ. გალპერინის იმ მოსაზრებას, რომ ნებისმიერი ენის გრამატიკა არის შედეგი ჩვენი დაკვირვებისა ამ ენის ფუნქციონირებაზე ადამიანის მოქმედების სხვადასხვა სფეროში, და რომ ამ დაკვირვებათა მიზანია ქაოსური მდგომარეობა კანონზომიერ აღწერამდე მიიყვანონ, რატომ არ არის ტექსტის ესა თუ ის კატეგორია მისაღები, როგორც გრამატიკული მოვლენა, თუ იგი შემოიტანს გარკვეულ კანონზომიერებას ენის ფუნქციონირებაში მისი იერარქიის საფეხურზე, ანუ ტექსტში.

ის, რომ ვ. სერგია არ ეთანხმება ი. რ. გალპერინს ტექსტის კატეგორიები გრამატიკულ კატეგორიებად წარმოადგინოს, ვფიქრობთ, გარდა იმ საუკუნოვანი ტრადიციისა, რომელიც ლინგვისტიკაში ამ ტერმინის ხმარებასთან დაკავშირებით დამკვიდრდა, გარკვეულწილად ჩვენი აზროვნების, საკუთრივ ქართული აზროვნების შედეგიც უნდა იყოს.

რუსული ენაზე მოაზროვნე პიროვნებისათვის და, მით უმეტეს, რუსი სწავლულისათვის გრამატიკის ცნება საკმაოდ გაფართოებულია თვით მისი ყოფითი გამოყენების დროს, როდესაც ზედსართავი “ граммотный ” განსწავლულსა და გარკვეულს აღნიშნავს. რუსი ადამიანი თავისუფლად ხმარობს ამ ტერმინს იმ პიროვნების მიმართ, რომელიც საფუძვლიანად განსწავლულია და კორექტულია ამა თუ იმ საქმეში. მაგალითად, გავიხსენოთ ასეთი გამოთქმები: “Он граммотный человек”, რაც, ჩვეულებრივ, ნიშნავს იმას, რომ ადამიანს უსწავლია წერა-კითხვის წესები და ახლა მათ კარგად ფლობს. “ Он граммотный врач ” ნიშნავს იმას, რომ ექიმი განსწავლულია თავის პროფესიაში და, ამდენად, სანდოა როგორც კორექტული. რას

ხმარობს ამ დროს ქართველი? „ნასწავლს“, „გამოცდილს“, „განათლებულს“, მაგრამ არა „გრამატიკის“ შემცველ რომელიმე ატრიბუტს. აღსანიშნავია, რომ შედარებით ვიწროა მისი ხმარების ველი ინგლისურ ენაშიც: “grammar – the elements of a subject of learning”.მაგ. “grammarless” – devoid of grammar, lacking a knowledge, exhibiting ignorance of grammar, illiterate”(The Universal Dictionary…., 1982).

როგორც ვხედავთ, რუსულ ენაში ეს ცნება თავისი სხვადასხვა ხმარებისას (“употребление”, როგორც ამას ა. ა უფიმცევა უწოდებდა (Óôèìöåâà, 1971, 407-417), მაშინაც კი, როდესაც მას საქმე არა აქვს ლინგვისტურ მოვლენებთან, აუცილებლად გულისხმობს წესისა და კანონზომიერების მომენტს.

ამდენად, ტერმინი „გრამატიკული“ ტექსტის კატეგორიებთან მიმართებაში ჩვენთვის სრულიად გასაგები და მისაღებია. უფრო მეტიც, მისი ხმარებით ჩვენ კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს იმას, რომ გარკვეულ კატეგორიათაგან, როგორც უნივერსალურ მოვლენათაგან, ველით კანონზომიერების უზრუნველყოფას ტექსტის ინტერპრეტაციის დროს, რაც ნიშნავს მათ ობიექტივაციას და გვესახება, როგორც მყარი საყრდენი და ოდენობა.

ტექსტის კატეგორიათა გამოყოფა უმთავრესად ტექსტისადმი სიღრმისეული მიდგომითაა განპირობებული, რასაც წინ უსწრებდა მისი სტრუქტურისადმი განსაკუთრებული ინტერესი: თემისა და რემის გამოყოფა, ზეფრაზული ერთეულისა თუ აბზაცის შესწავლა და ა. შ. დღეს ორივე მიდგომის შედეგები მჭიდრო ურთიერთობაში თანაარსებობენ და ქმნიან ტექსტის შესწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მკვლევართა აზრი ტექსტის კომპონენტებზე, ანუ, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, კონსტიტუენტებზე, სხვადასხვაგვარია. საყურადღებოდ გვესახება ი. ა. ჩერნუხინას (×åðíóõèíà, 1974, 155) მიერ შემოთავაზებული ტექსტის დაყოფა ორ დონეზე: სემანტიკურზე, როდესაც ტექსტის ერთეულად მიჩნეულია აბზაცი, და სტრუქტურულ-აზრობრივზე, სადაც მის ერთეულად მიჩნეულია რთული მთლიანობა და ზეფრაზული მთლიანობა. გამოყოფილი ერთეულების საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

სხვათა აზრით, ტექსტის ერთეულად მიჩნეულია გამონათქვამი (Николаева, 1977), ვ. გ. გაკი. ვ. გ. გაკს მიაჩნია, რომ „გამონათქვამის რეფერენტია სიტუაცია, ანუ ელემენტთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრული დოზით განაპირობებენ ენობრივი ელემენტების შერჩევას გამონათქვამის ფორმირების დროს“ (Ãàê, 1972, 358). ანალოგიურია ნ. დ. არუთიუნოვას (Арутюнова, 1976) თვალსაზრისი ამ

საკითხზე. ზეფრაზული მთლიანობის აღწერასთან დაკავშირებით საყურადღებოა ნ. დ. ზარუბინას შრომები (Çàðóáèíà, 1973 4).

„თუ წინადადებისათვის ძირითად ერთეულს სიტყვა წარმოადგენს, ხოლო ზეფრაზული ერთეულისა და აბზაცისათვის – წინადადება," – აღნიშნავს ი. რ. გალპერინი, – „მაშინ ტექსტისათვის სტრუქტურული ერთეულებია ზეფრაზული მთლიანობა და აბზაცი" (Ãàëüïåðèí, 1974, ¹6, ñ. 73).

ტექსტისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ი. რ. გალპერინმა განავითარა წინა წლებში გამოთქმული მოსაზრებანი და ტექსტის დაყოფა კომპონენტებად სწორედ მის ერთ-ერთ კატეგორიად მიიჩნია. ამით მან, ფაქტობრივად, ხაზი გაუსვა ტექსტისადმი ორი მიდგომის – სტრუქტურულისა და სიღრმისეულის, ანუ შინაარსობრივი მიდგომების გაერთიანება-გამთლიანებას.

ი. გალპერინი განასხვავებს მინიმალურ და მაქსიმალურ ტექსტებს. მინიმალურ ტექსტად მას წარმოუდგენია ნებისმიერი ცნობა, ტელეგრამა, მოკლე საგაზეთო ინფორმაცია, ბარათი, წერილი და ა. შ. მაქსიმალურ ტექსტად მკვლევარს ესახება რომანი, რომელიც შედგება ტომებისაგან (წიგნებისაგან) და რომელთაც შეიძლება ახლდეს წინასიტყვაობა (პროლოგი) და დასკვნა (ბოლოთქმა, ეპილოგი). რომანის შემადგენელი ნაწილია მისი „ტომი", ანუ „წიგნი", შემდეგ მოდის „ნაწილი", „თავი", „ქვეთავი"... აბზაცი და ზეფრაზული მთლიანობა. ასეთ დანაწევრებას ავტორი მოცულობით-პრაგმატულს (объемно-прагматический) უწოდებს და მიაჩნია, რომ ტექსტში იგი გადაეკვეთება ისეთ დაყოფას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს კონტექსტურ-ვარიაციული (контекстно-вариативний) (Ãàëüïåðèí, 1981, 52). ეს უკანასკნელი კი გულისხმობს მეტყველების შემდეგ ფორმებს: 1. ავტორის მეტყველებას (речь автора): ა) თხრობას (повествование), ბ) ბუნების, პერსონაჟთა გარეგნობის, გარემოსა და სხვათა აღწერას; 2. ავტორის მსჯელობას; 3. სხვის მეტყველებას (чужая речь): ა) დიალოგს, ბ) ციტირებას; 4. არასაკუთარ პირდაპირ მეტყველებას.

ი. რ. გალპერინი ცალკე გამოყოფს პოეტურ ნაწარმოებს და აღნიშნავს, რომ აქ დაყოფა-დანაწილება (дробление) აზრობრივ მონაკვეთებად (სტროფებად), პროზისაგან, სამეცნიერო, საქმიანი თუ საგაზეთო ტექსტებისაგან განსხვავებით, სხვა პრინციპებს ემსახურება. როგორც იგი აღნიშნავს, „პოეზიაში ზეფრაზული ერთობაა არა მხოლოდ სტროფი, არამედ მისი ნაწილიც". საყურადღებოა ის მომენტი, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში მკვლევრები სწორედ რომ ზეფრაზულ ერთობას მიიჩნევენ ტექსტის ძირითად კონსტიტუენტად, რადგან ის, ჭეშმარიტად, თემის ერთიანობით გამთლიანებული ერთეულია.

მიუხედავად აზრთა ნაირსახეობისა, ერთი მხრივ, ხოლო ზეფრაზული ერთობის, როგორც მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი მოვლენის აღიარებისა, მეორე მხრივ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტექსტის ლინგვისტები ზედმეტად გაიტაცა წინადადების მიღმა არსებული ერთეულების ძიებამ, თუ გაბმული ტექსტის ფორმამ, და მათ ყურადღების გარეშე დატოვეს ტექსტის ამოსავალი, ჭეშმარიტად მისი კუთვნილი და მისი ძირითადი ძალის შემცველი ისეთი ერთეული, როგორიც გახლავთ *სიტყვა* – *სიტყვა*, როგორც ფორმისა და შინაარსის შემცველი უმცირესი ერთეული, *სიტყვა*, როგორც უდიდესი ინფორმაციის დამტევი, *სიტყვა*, რომელსაც აბარია ექსპრესიის ძირითადი დატვირთვა ტექსტში, *სიტყვა*, როგორც ძირითადი მამოძრავებელი ძალა ჩვენი არსებობისა, *სიტყვა,* როგორც ლოგოსი, და *სიტყვა*, რომელიც იყო პირველი...

ი. რ. გალპერინი, როგორც უაღრესად დაკვირვებული და ნიჭიერი მკვლევარი, თავისი მონოგრაფიის დასაწყისში თითქოს აფრთხილებს მკითხველს, როდესაც აღნიშნავს, რომ ტექსტის მკვლევარს ორი საშიშროება ელოდება: ერთი მხრივ, ეს არის ფაქტების ატომიზაცია, ანუ შემადგენელი ნაწილების ონტოლოგიაში ჩაღრმავება, რასაც შეიძლება მოჰყვეს ის, რომ მკვლევარმა ხეების უკან ტყე ვერ დაინახოს, ხოლო მეორე მხრივ – საკვლევი ობიექტის გლობალიზაცია, როდესაც მკვლევარი ვერ აფასებს ცალკეულ მოვლენათა შესწავლის აუცილებლობას.

მიუხედავად ამისა, არც ი. რ. გალპერინს და არც სხვა რომელიმე ლინგვისტს *სიტყვა* ტექსტის ძირითად ერთეულად არ გამოუცხადებია. იმედია, წარმოდგენილი კვლევა დაარწმუნებს მკითხველს სიტყვის ამ მნიშვნელოვან ფუნქციაში.

ჩვენს რეალურ ცხოვრებაში *სიტყვა,* სწორედაც რომ, ტექსტს უთანაბრდება ხშირად. გავიხსენოთ ფრაზები: „ერთი სიტყვით“, „მან თავისი სიტყვა თქვა“, „სიტყვის პატრონი“, „სიტყვა მოითხოვა“, „კარგი სიტყვა წარმოთქვა“, „სიტყვა წაიკითხა“, „სიტყვით გამოვიდა“, „უსიტყვოდ დაეთანხმა“ და ა. შ.

რაც შეეხება ტექსტს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, განსაკუთრებით კი პოეზიას, განა ცალკე აღებული სიტყვა არ გამოდის ძალიან ხშირად აქ თვით ზეფრაზულ ერთობად, როდესაც მას სათაურის ფუნქცია აკისრია? უფრო მეტიც, მხატვრული გააზრების, არტისტული განცდისა და გარდასახვის შედეგად განა პოეტური შედევრის ყოველი ცალკეული სიტყვა არ წარმოადგენს ცალკეულ მხატვრულ მოვლენას, რომელსაც ა. მარჩენკომ თავად მხატვრული ნაწარმოები უწოდა? (Ìàð÷åíêî, 1978, 94).

ამდენად, „სიტყვის“, როგორც ტექსტის ძირითადი კონსტიტუენტის გამოცხადება არ ეწინააღმდეგება ჩვენს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ზეფრაზული ერთობა, აბზაცი თუ სტრიქონი სიტყვის გვერდით კვლევის საგანი უნდა იყოს. ტექსტის კატეგორია თავისი ბუნებით აბსტრაქტულია და ის ძირითადად იდეაში არსებობს, იმ იდეაში, რომელიც ტექსტის, როგორც მატერიალური მასალის საფუძველზე იქმნება.

კატეგორიის იდეა თუ რაობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მისი თანმხლები მატერიალური გარსით. რაც შეეხება ტექსტის შემადგენელ ნაწილს, ის აუცილებლად მატერიალურია თავისი ბუნებით, თუმც, აქვს აბსტრაჰირების უნარიც და შესაძლებლობაც. ტექსტის შემადგენელ ნაწილში, ანუ მის კონსტიტუენტში, მატერიალური ფორმა აშკარადაა გამოკვეთილი, რასაც ვერ ვიტყვით კატეგორიაზე. ამდენად, ტექსტის შემადგენელ ნაწილთაგან, პირველ ყოვლისა, სიტყვას ვასახელებთ, რამეთუ მიგვაჩნია, რომ ამით ვიხსნით საკუთარ დამოკიდებულებას და თვით კვლევის შედეგსაც იმ საშიშროებისაგან, რომ ტექსტის ლინგვისტიკა არ გასცდეს ლინგვისტიკის სფეროს და სხვა მეცნიერებებთან ურთიერთობისას, როგორც საფუძველგამოცლილმა და გამოშიგნულმა, სახე და ფასეულობა არ დაკარგოს.

პოეტური ტექსტი და მისი თარგმანი, ეს ხომ დაუშრეტელი და ამოუწურავი კვლევის საგანია, თუნდაც მხოლოდ ფილოლოგიურ ასპექტში, ანუ იმ ასპექტში, რომელიც თავად არის დღეს საოცრად საინტერესო, ვრცელი და მრავლისმომცველი. კვლევის გარდა, თავად პოეტთა დაკვირვებაც ხომ განუსაზღვრელად მრავალფეროვანია. და მაინც, საფუძველი პოეზიისა ყოველთვის და ყველასთვის ერთია – ეს გახლავთ ლექსი, როგორც საწყისი ადამიანური მეტყველებისა, რამეთუ ცნობილია, რომ პროზა მხოლოდ მისი განვითარების შედეგია. ალბათ, ამიტომაც წერდა ბაირონი: “ყველა ერის შემთხვევაში ბუნებრივ მდგომარეობასთან მიახლოებული ენა, როგორც ამბობენ, არის პოეზია. მე არ ვიცი, როგორ ხდება ეს, მაგრამ ვიცი რომ ეს ასეა.”

მაშ, რა ყოფილა პოეზია? ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნილება, თუ მისი განცდების, გრძნობებისა და ინტელექტის უმაღლესი გამოხატულება? უდავოდ, ერთიცა და მეორეც, მაგრამ არა მხოლოდ ... და, რომ პოეზია იმდენად მოგვწვდება და აგვამაღლებს, რამდენადაც ამისთვის თავად ვართ მზად, ანუ იმას, რომ მისი აღქმა დამოკიდებულია მკითხველის ინტელექტუალურ და ესთეტიკურ თეზაურუსზე.

მხატვრული ტექსტის მასალა მკვლევარს, ჩვეულებრივ, ორ მომენტს სთავაზობს: ერთი მხრივ, ტექსტს, როგორც ადამიანის სამეტყველო აქტის შედეგს და, მეორე მხრივ, ტექსტს, როგორც მხატვრული შემოქმედების ნაყოფს. პირველი წარმოადგენს იმ ძირითად ბაზას, რომელზეც აღმოცენდება და აშენდება მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოები. პოეტურ ტექსტში ეს მოვლენა განსაკუთრებული სიძლიერითაა წარმოდგენილი. ამიტომაც ლინგვისტური ანალიზის დროს ჩვენ მას განვიხილავთ როგორც ვერბალურ ტექსტს, რომელშიც თანადროულად მოქმედებენ სხვა სახის ენობრივი ტექსტებისათვის საერთო ნიშან-თვისებები და მათთვის სპეციფიკური პარამეტრები, ყოველ შემთხვევაში, ის პარამეტრები, რომელთა განსაკუთრებული რელევანტურობა უქმნის ტექსტს მომაჯადოებელ პოეტურობას.

ტექსტის ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანაა ტექსტის, როგორც დასრულებული მთლიანის, *გრამატიკულ კატეგორიათა* სისტემის შექმნა იმდენად, რამდენადაც არსებული გრამატიკული კატეგორიები, რომელთა საშუალებითაც ტრადიციულად ხერხდება წინადადებების აღწერა, ვერ აკმაყოფილებს ტექსტის აღწერისა და შესწავლის თანამედროვე მოთხოვნებს.

ტექსტის გრამატიკულ კატეგორიათა გამოყოფა და აღწერა საშუალებას გვაძლევს ახლოს დავდგეთ ტექსტის, როგორც ერთი მთლიანის, წარმოქმნის მექანიზმთან და ამ გზით მეტ-ნაკლებად სრულად ამოვიცნოთ იგი, როგორც ადამიანის ცნობიერების გზით სინამდვილიდან არეკლილი მხატვრული მოდელი.

ამ შემთხვევაში ტექსტის ყოველი ცალკეული გრამატიკული კატეგორია გაგებულია, როგორც ტექსტის გარკვეული ნიშან-თვისება, რომლის აღქმა, ჩვეულებრივ, ინტუიციის მეშვეობით ხერხდება და რომელიც შემდგომში მკვლევრის მიერ გრამატიკულ კატეგორიათა რანგში აიყვანება. აქ ტერმინი *„გრამატიკა“* ფართოდაა გაგებული და იგი გულისხმობს ენის ფუნქციონირებაზე ადამიანის დაკვირვების შედეგს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექსტის გრამატიკულ კატეგორიათა დადგენისა და აღწერის საქმეში ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროფ. ი. რ. გალპერინს. მისი მონოგრაფია „ტექსტი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი” სპეციალურად ტექსტის ძირითად გრამატიკულ კატეგორიათა ანალიზს მიეძღვნა. ი. რ. გალპერინის მიერ შემოთავაზებული თეორია და გრამატიკულ კატეგორიათა სათანადო სისტემა ფასეულია იმდენად, რამდენადაც მასში მოცემულია საკმაოდ

სრული სურათი ტექსტის, როგორც მოფიქრებული დოკუმენტის[17] ძირითადი მამოძრავებელი პარამეტრებისა. მისი სისტემა შესანიშნავი ბაზაა ტექსტის ზოგადი და სპეციალური გამოკვლევისათვის. მის მიერ გამოყოფილ გრამატიკულ კატეგორიათა რიგს მიეკუთვნება:

1. *ინფორმატულობა,* როგორც ტექსტის ძირითადი კატეგორია, რომელიც, ჩვეულებრივ, ახლისა და უცნობის გადმოცემას გულისხმობს; 2. ტექსტის დანაწევრებადობა, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი კომპოზიციური მხარე; 3. კოგეზია, როგორც ტექსტის ცალკეულ ელემენტთა გრამატიკული, სემანტიკური და ლექსიკური შეკავშირება; 4. კონტინუუმი, როგორც დროისა და სივრცის მაჩვენებელი კატეგორია; 5. რეტროსპექცია და პროსპექცია, როგორც დისკონტინუუმის ფორმები; 6. ავტოსემანტია, როგორც ტექსტის შინაარსის მიმართ მის ცალკეულ მონაკვეთთა დამოკიდებულებისა და შეფარდებითი დამოუკიდებლობის ფორმები; 7. ტექსტის მოდალობა; 8. ტექსტის პრაგმატულობა; 9. პარტიტურობა, როგორც ტექსტში მოქმედ პერსონაჟთა ერთობა[18]; 10. ინტეგრაცია, როგორც ტექსტის ცალკეული ნაწილების, უმთავრესად, ფსიქოლოგიური გაერთიანება მათი ერთობლიობის შექმნის მიზნით.

ი. რ. გალპერინის მიერ გამოყოფილი კატეგორიების პოეტურ ტექსტთან შეპირისპირებით გამოვლინდა, რომ ყოველი მათგანი აუცილებელი ნიშან-თვისებაა პოეტური ტექსტისა, მაგრამ ამ სახის ტექსტში ისინი მრავალი ახალი პარამეტრით ხასიათდებიან. ნათელი გახდა ის ფაქტიც, რომ არსებული ცოდნა დაზუსტებასა და გაღრმავებას მოითხოვს.

შევჩერდებით ინფორმატულობის კატეგორიაზე.

ი. რ. გალპერინის თეორიის თანახმად, გამოიყოფა სამი სახის ინფორმაცია: 1. *შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია*, რომელიც შეიცავს ცნობებს იმ ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ როგორც რეალურ, ისე წარმოსახვით სინამდვილეში. მისი გამომხატველი ენობრივი ერთეულები, ჩვეულებრივ, პირდაპირი მნიშვნელობებით არიან ტექსტში წარმოდგენილი. 2. *შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია,* რომელიც აწვდის მკითხველს მოვლენათა შორის არსებულ ურთიერთობათა ინდივიდუალურ-ავტორისეულ გაგებას.

---

[17]საყურადღებოა ის მომენტი, რომ საკვლევ ობიექტად ი. რ. გალპერინი მიიჩნევს მხოლოდ იმ ტექსტს, რომელიც შექმნილია, როგორც წერილობითი დოკუმენტი და დამუშავებულია ლიტერატურულად თანახმად დოკუმენტის სახეობისა.

[18]პრაგმატულობისა და პარტიტურობის კატეგორიები ი. რ. გალპერინს მიმოხილული აქვს ცალკე ნაშრომში: È. Ð. Ãàëüïåðèí, Ãðàììàòè÷åñêèå êàòåãîðèè òåêñòà, Èçä. ÀÍ ÑÑÑÐ, ÎËß, 1977, ¹6, ò. 36.

მხატვრულ ტექსტში, გარდა აღნიშნული ორი სახის ინფორმაციისა, ი. რ. გალპერინი გამოყოფს *შინაარსობრივ-ქვეტექსტურ ინფორმაციას*, რომელიც პროზაულ მხატვრულ ტექსტს შეიძლება ყოველთვის თან არ ახლდეს, მაგრამ ის აუცილებელი თანამგზავრია პოეზიისა. იგი დახასიათებულია, როგორც ფარული ინფორმაცია, რომელიც ამოყვანილი უნდა იქნეს ფაქტობრივი ინფორმაციიდან, თანახმად ენის ნიშანთა თვისებებისა, წარმოშვან როგორც ასოციაციური, ისე კონოტაციური მნიშვნელობანი. ამ შემთხვევაში ინფორმაციის აღნიშნული სახე განიხილება, როგორც ფაკულტატიური, რომელსაც ავტორი სუბიექტური ბუნების მქონედ წარმოგვიდგენს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ის სუბიექტურობა, რომელიც გამომდინარეობს მკითხველისაგან კონკრეტული ტექსტის გააზრების პროცესში და რომელიც მისი ინტერპრეტაციის არაერთი ვარიანტის შესაძლებ-ლობას გვთავაზობს.

ვფიქრობთ, სამივე სახის ინფორმაცია მჭიდრო ურთიერთკავშირშია პოეტური ტექსტის ფარგლებში. სამივე თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ერთნაირად ადვილად ამოსაცნობი. ამ თვალსაზრისით, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია, რომლის სწორად ამოხსნა მკითხველის ლიტერატურულ გამოცდილებაზეა უმთავრესად დამოკიდებული. მისი ამოცნობა სრული აუცილებლობით მოითხოვს მკითხველის გონების სისხარტეს, ყურმახვილობას, სიღრმის წვდომის ნიჭსა და განათლებას.

ქვეტექსტი არ შეიძლება გამორიცხავდეს სუბიექტურობის მომენტს, ე. ი. მკითხველის მიერ მისი სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. სწორედ ამაში გამოიხატება, ერთი მხრივ, მკითხველის ფანტაზიის თავისუფლება და, მეორე მხრივ, ნაწარმოების ინფორმატულობის დაუშრეტელობა. საჭიროა, სუბიექ-ტივიზმი ქვეტექსტის ინტერპრეტაციაში სწორად იქნეს აგებული ისევ ამ ქვეტექსტის გარკვეულ ობიექტურ ღერძზე, რომელიც ხიდადაა გადებული ავტორის ჩანაფიქრიდან მკითხველამდე. ქვეტექსტის ასეთი ობიექტური ღერძის ამოცნობა კი ხერხდება ტექსტის ენობრივი მასალის სიღრმისეული გამოკვლევით ენისა და მეტყველების დიქოტომიის პლანში.

ობიექტური საფუძვლის გამორიცხვას და ქვეტექსტის მხოლოდ სუბიექტურ კატეგორიად გამოცხადებას შეუძლია მიგვიყვანოს იმ მცდარ თავისუფლებამდე, რომელიც ზღვარს არ უდებს ქვეტექსტის ინტერპრეტაციას და ხშირად მისი არასწორი ამოცნობის შესაძლებლობას გულისხმობს.

პოეტურ ტექსტში ქვეტექსტი არა მარტო არაა ფაკულტატიური, არამედ გვევლინება იმ შინაარსობრივ ფოკუსად, რომელიც წყვეტს ნაწარმოების

კონცეპტის არსს, წყვეტს ნაწარმოების, როგორც ერთი მთლიანის, სწორ წაკითხვას.

არანაკლებ საინტერესო მასალას იძლევა *პარტიტურის* გამოკვლევა ლექსის მაგალითზე. ეს კატეგორია გაგებული უნდა იქნეს არა მხოლოდ, როგორც მოქმედ პერსონაჟთა მხატვრული ურთიერთობა, არამედ როგორც მათი ურთიერობა იმ მხატვრულ ხატებსა და სიმბოლოებთან, რომელთა სიუხვით, ჩვეულებრივ, გამოირჩევა პოეტური აზროვნება. მსგავსად ყველა სხვა კატეგორიისა, აღნიშნული კატეგორიის შესწავლაც ლექსში დამაჯერებლად მოითხოვს მისი ენობრივი მარკერების კლასიფიკაციასა და დახასიათებას.

ლექსთან მიმართებაში განსაკუთრებულ რელევანტურობას იძენს ინტეგრაციის, როგორც ტექსტის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური დასრულებისა და ერთობლიობის გამომხატველი, კატეგორია, „დასრულების ესთეტიკა“ შორეულ წარსულში, ჩვეულებრივ, ლექსის ბუნებამდე დაიყვანებოდა, რადგან ჯერ კიდევ მხატვრული პროზის ჩამოყალიბებამდე მხოლოდ ლექსს შესწევდა უნარი გამოევლინა მაორგანიზებელი ძალა თავისუფალი მეტყველების მიმართ, მიეცა მისთვის კომპოზიციურად გამართული რიტმული ფორმა, დასრულებული და ერთიანი გაეხადა იგი. ყოველივე ეს კი ესთეტიკაში უკავშირდებოდა სრულქმნილებისა და სილამაზის კატეგორიებს. დღეს შესაძლებელია და ამავე დროს საჭიროა აღნიშნული კატეგორიის ლინგვისტური სტატუსის აღწერა და გამოკლვევა, მისი მოქმედების საზღვრების დადგენა, რაც მოითხოვს როგორც მისი შინარსობრივი, ასევე ფორმალური ასპექტების გათვალისწინებას.

ი. რ. გალპერინის მიერ გამოყოფილი კატეგორიები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოეტური ტექსტის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ მათი მონაწილეობა პოეზიაში, ჩვეულებრივ, განპირობებულია პოეტური ტექსტის ისეთი პარამეტრების აქტივობით, როგორიცაა ლექსის *მეტრი, რიტმი, რითმა, მელოდიკა, ბგერათა სიმბოლიზმი, მუსიკალობა.* ეს ის პარამეტრებია, რომელთა გარეშე არ არსებობს ლექსი და რომელთა გარეშე მომაჯადოებელ პოეტურ ფორმას ვერასოდეს შეიძენს ხატოვანი აზროვნება.

რიტმი, მელოდიკა და *ბგერათა სიმბოლიზმი* დამახასიათებელია არა მარტო პოეზიისათვის, არამედ მხატვრული პროზისთვისაც, მაგრამ პოეტურ ტექსტში ისინი სხვა რეგისტრში არიან აყვანილი და აქ მათ მაქსიმალური რელევანტურობა აკისრიათ. რაც შეეხება *მეტრსა და რითმას,* ისინი მხოლოდ ლექსის კუთვნილებას წარმოადგენენ, რადგანაც თვით ლექსის მონაპოვარნი არიან.

ყოველი მათგანი ფართოდაა გაშუქებული პოეტიკაში, მაგრამ ტექსტის, როგორც ერთი მთლიანის, ლინგვისტური ანალიზი დღეს დაბეჯითებით მოითხოვს მათი სემანტიკური საფუძვლების გამოვლენას. ტექსტის ლინგვისტიკამ საჭიროა გამოიყენოს პოეტიკის მიგნებანი აღნიშნულ პარამეტრებთან მიმართებაში და ახალ, ლინგვოსტილისტურ პრიზმაში გააშუქოს ისინი. ასეთ შემთხვევაში ერთიანი კვლევის სფეროში მოექცევა ენის შესწავლის ის ორი მხარე, რომელთაც XX საუკუნის ოციან წლებში ჯერ ისევ სხვადასხვა სფეროს კვლევის საგნებად თვლიდნენ.

„რიტმი – ეს არის ლექსის ძირითადი ძალა, ძირითადი ენერგია. მისი ახსნა შეუძლებელია“, – წერდა ვ. მაიაკოვსკი (Ìàÿêîâñêèé, 1971 ò. 13, ñ. 255).. *რიტმის* გამოკვლევა, უდავოა, სინთეზურ და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს: სინთეზურს – ტექსტის სხვა გრამატიკულ კატეგორიებთან მიმართების თვალსაზრისით და კომპლექსურს – კვლევის მეთოდიკის თვალსაზრისით.

ვ. მ. ჟირმუნსკის (Жирмунский, 1975) თანახმად, ლექსის რიტმი წარმოიქმნება მეტრული ამოცანის ურთიერთობის საფუძველზე თვით სამეტყველო მასალასთან. ასეთი მიდგომა, უდავოდ, სწორი და გამართლებულია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ლექსის ძირითად რიტმს და თვით მეტრსაც ის სიღრმისეული ჩანაფიქრი და შინაარსი წარმოშობს, რომელიც ბირთვის მსგავსად საფუძვლად უდევს ლექსის წარმოქმნას. აღნიშნული ჩანაფიქრის რეალიზაციისაკენ კი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი გზით მიმართულია ლექსის ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიათა ერთობლივი კომპლექსი. ლექსის რიტმი პირველი მძლავრი ექოა ლექსის ინფორმატულობის კატეგორიის, როგორც გლობალური შინაარსის გადმოცემისა.

დეკლამატორის მიერ ლექსის წაკითხვის ტემპის ვარირება თუ ლოგიკური პაუზის დაშვება ვერ ცვლის ლექსის ძირითად რიტმს ლექსის შინაარსობრივი განწყობის აქტიური ზემოქმედების გამო. ყოველივე ეს მეტყველებს რიტმის ობიექტურ ხასიათზე და მიუთითებს იმაზე, რომ რიტმი უნდა დაექვემდებაროს ლინგვისტურ აღწერას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიტმის ინტერპრეტაციაში გარკვეული ადგილი უკავია მკითხველის სუბიექტურ როლს. ეს უკანასკნელი აიხსნება იმით, რომ რიტმი იძლევა სუბიექტური ასოციაციების წარმოქმნის შესაძლებლობას, მაგრამ აუცილებლად იმ ძირითადი ობიექტური რიტმული ღერძის საფუძველზე, რომელსაც წარმოშობს ლექსის ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა.

რიტმისაგან განსხვავებით, *მეტრი* სუბიექტური ინტერპრეტაციის თავისუფლებას მოკლებული კატეგორიაა. ტექსტის ლინგვისტიკის ამოცანაა გაარკვიოს კონკრეტული მეტრის შერჩევის სემანტიკური საფუძველი, მისი დამოკიდებულება დანაწევრებადობასთან, კოგეზიასთან, ინფორმატულობასთან და ა. შ.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა კი მოითხოვს ისეთი საკითხის გაშუქებას, როგორიცაა ავტორის მიერ კონკრეტული მეტრული საზომის შერჩევა. არჩევანი ამ შემთხვევაში დამოკიდებულია პოეტის ჩანაფიქრზე, თუმც, ჩვენთვის ცნობილია არაერთი მაგალითი, როდესაც მეტრის ერთი და იგივე საზომი სხვადასხვა შინაარსს, პოეტის სხვადასხვა განწყობას გადმოსცემს ხოლმე. ეს მოვლენაც, უდავოა, ყურადღების ღირსია და შესწავლასა და გამოკვლევას მოითხოვს.

რაც შეეხება *რითმას,* ეს ლექსის ძირითადი მაორგანიზებელი პარამეტრია. იგი განაწყობს მკითხველს გარკვეული მოლოდინისადმი და სემანტიკურად რელევანტურს ხდის გარითმულ ერთეულებს. რითმა ადამიანის ცნობიერების ზედაპირისაკენ მოუხმობს მრავალფეროვან ასოციაციებს, სხარტსა და მსუბუქს ხდის შინაარსის გამომხატველ ფორმას. *რითმა* – ეს ის ნიჩაბია, რომელიც მსუბუქად და საიმედოდ მიაქანებს პოეტური შემართებით დამუხტულ ღრმა შინაარსს.

ამავე დროს *რითმა* ის მკაცრი კრიტერიუმია, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოავლენს ავტორის ჭეშმარიტ ოსტატობას, პოეტურ გამოცდილებას და ნოვატორობას. პოეტი რითმული გამოხატვის ახალი და უტყუარი ფორმების მარად ძიებაშია და მხოლოდ დიდი ნიჭის, შრომის, შემოქმედებითი წვისა და დახარჯვის ფასად პოულობს მათ.

პოეტური სიტყვის ყველა დიდი ოსტატი, რომელი ეპოქის შვილიც არ უნდა იყოს ის, განსაკუთრებული დაბეჯითებით იღვწის მის ხელთ არსებული რითმული ლექსიკონის გამდიდრებისა და განახლებისაკენ და, ამავე დროს, ქმნის პოეტური ჟღერადობის ახალ მოვლენებს, ახალ ხატებსა და შინაარსს.

რითმული რეპერტუარის გაღარიბება თუ უკმარისობა გვევლინება იმ მასტიმულირებელ ფაქტორად, რომელიც რითმისადმი გვერდის ავლას გულისხმობს და თავისუფალი ლექსის წარმოქმნისაკენ უბიძგებს პოეტს.

რითმის ლინგვისტური შესწავლისა და აღწერის დროს ტექსტის ლინგვისტიკის უპირველესი ამოცანაა გამოავლინოს ერთ რითმულ წყვილში ენის ცალკეული ერთეულების გაერთიანების სემანტიკური საფუძველი, ხოლო

შემდგომში შეისწავლოს აზრთა სინთეზის ის პროდუქტი, რომელსაც წარმოშობს სიტყვათა შეკავშირება რითმის საშუალებით, რითმის, როგორც პარამეტრის შერწყმა სხვა პარამეტრებთან, საკუთრივ ისეთებთან, როგორიცაა, მეტრი, მელოდიკა, მუსიკალობა და სხვ., აგრეთვე რითმის მონაწილეობა ტექსტის სხვადასხვა კატეგორიის ფუნქციონირებაში და ა. შ.

სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების საინტერესო ურთიერთკავშირს გვთავაზობს *ბგერათა სიმბოლიზმი.* პოეტური ტექსტი, როგორც ადამიანის შემოქმედების უნიკალური ნიმუში, მჟღერი და მრავალხმიანი ექოა არა მარტო ავტორის მიერ სამყაროს ინდივიდუალური ხედვისა, მისი მსოფლმხედველობისა თუ შემოქმედებითი ნიჭისა, არამედ ჩვენს შორეულ წინაპართა ლტოლვისა, ჰარმონიაში მოეყვანათ ბგერათა ქაოსი და ენობრივი მასალის საშუალებით, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საფუძველზე შეექმნათ სამყაროს მხატვრული მოდელი. ასეთ მოდელში ავტორი დიდ საყრდენად მიიჩნევს ბგერას, მის ჟღერადობას, სიძლიერეს და, რაც მთავარია, მის უნარს, სიმბოლურად აახმიანოს გარკვეული შინაარსი. ჩვენ არაერთი პოეტური მაგალითის დასახელება შეგვიძლია, სადაც ესა თუ ის ბგერა ან ბგერათა ჯგუფი საგრძნობლად დომინირებს ლექსის საერთო ბგერით ფონზე და გარკვეული შინაარსის რეალიზაციას უერთდება. ამასთანავე, ბგერათა სიმბოლიზმი არ გამორიცხავს იმ სუბიექტურ ინტერპრეტაციას მკითხველის მხრიდან, რომელიც შეიძლება მიეწეროს ამ ბგერათა აქცენტირებას ტექსტში.

აქედან გამომდინარე, პოეტური ტექსტის ლინგვისტური ანალიზის დროს საჭიროა გამოყენებულ იქნეს ბგერათა ფონეტიკური დახასიათება, რომლის საფუძველზეც მოხერხდებოდა ამ ბგერათა სემანტიკური კლასიფიკაცია, შესაძლოა, ჯერ ცალკეული ავტორების მაგალითზე, ხოლო შემდგომში – ზოგადად.

მკითხველის მიერ ლექსის წაკითხვის დროს სუბიექტური მომენტის გარკვეულ თავისუფლებას გვთავაზობს აგრეთვე ლექსის *მელოდიკა*, თუმც, ვიცით, რომ ლექსის ინტონაციური კონტური უმთავრესად ტექსტითაა ნაკარნახევი, რაც გულისმხობს, ერთი მხრივ, მის ფორმალურ მხარეს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შინაარსის ზეგავლენას.

ტექსტის მელოდიკა, მეტადრე პოეტური ტექსტისა, ნაკლებადაა შესწავლილი და იგი, ვფიქრობთ, საინტერესო მასალას შესთავაზებს ტექსტის მკვლევართ.

ყველა ზემოაღნიშნული კატეგორია ურთიერთგანპირობებული და ურთიერთ-დაკავშირებულია. ტექსტში ისინი ერთ ურღვევ ჰარმონიაში არიან წარმოდგენილი. ამ ჰარმონიის გამომხატველად მიგვაჩნია ლექსის *მუსიკალობა.* ლექსის მუსიკალობის თვისებაა თავისი ჟღერადობით დაატყვევოს მკითხველი, მაგრამ მთავარი აზრისაგან ის მხოლოდ გამოუცდელ მკითხველს ააცდენს. გამოცდილი მკითხველისათვის ლექსის მუსიკალობა ის ვრცელი შემეცნებითი ზღვაა, რომელშიც ერთადაა ჩაღვრილი ლექსის რითმა, რიტმი, მეტრი, ბგერათა სიმბოლიზმი თუ მელოდიკა.... და აუცილებლად ის მრავალმნიშვნელიანი შინაარსი, რომელსაც თავად ლექსი გვთავაზობს.

პოეზიის მუსიკალობა არ არსებობს იმ დიდი და ღრმა მხატვრული შინაარსის გარეშე, რომელიც ლექსშია მოთავსებული და რომელიც ძირითად მაცოცხლებელ ძალას წარმოადგენს მის გამომხატველ პოეტურ ფორმებთან ერთობლივ კავშირში.

აი, რას წერდა პოეზიის მუსიკალობის შესახებ გალაკტიონი: „პოეზიაში არის მუსიკა... ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის... სიტყვას ჰყავს თავისი კომპოზიტორები, სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკისა, რომლის სახელიც უნდა მოიძებნოს“ (ჟურნ.„ცისკარი” 1982;121).

ლინგვისტმა ასეთ მუსიკას თავისი სახელი უნდა მოუძებნოს, ეს კი, პირველ ყოვლისა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ლექსის ამ უნიკალური პარამეტრის რომელ თვისებებსა და მხარეებს გამოავლენს იგი, რომელნი აღმოჩნდებიან მისი აღმნიშვნელი ძირითადი ენობრივი ერთეულები და ა. შ.

ზემოაღნიშნული კატეგორიები და პარამეტრები სხვადასხვა ნიშან-თვისებით ერთიანდებიან და განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისაგან. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ მათ ვრცელ სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზსა და კლასიფიკაციას. მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ კატეგორიათა ისეთ ძირითად ნიშან-თვისებას, რომელიც კომპოზიციური და შინაარსობრივი მხარეების ურთიერთობას გულისხმობს.

შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ გრამატიკულ კატეგორიათა ორი ძირითადი კლასი: *შინაარსობრივ-კომპოზიციური* და *კომპოზიციურ-შინაარსობრივი.*

პირველი კლასის კატეგორიებს ახასიათებთ შინაარსის პირველადობა და მისდამი კომპოზიციური სტრუქტურის დაქვემდებარება. *მეორე კლასის კატეგორიებისათვის* წამყვანია ტექსტის კომპოზიცია, მაგრამ კომპოზიციის რელევანტურობა ამდიდრებს და ავსებს ტექსტის საერთო შინაარსს.

პოეტური ტექსტის გრამატიკულ კატეგორიათა *პირველ კლასს* განეკუთვნებიან: *ინფორმატულობა, მოდალობა, პრაგმატულობა, ინტეგრაცია; მეორე კლასს – ტექსტის დანაწევრებადობა, კოგეზია, ავტოსემანტია, კონტინუუმი, რეტროსპექცია, პარტიტურობა.* კომპოზიციურ-შინაარსობრივი ხასიათისაა აგრეთვე ყველა ის პარამეტრი, რომელთაც პოეტური ტექსტის ძირითად კუთვნილებად განვიხილავთ და რომელთა განსაკუთრებული აქტივობა სპეციფიკურ ჟღერადობას სძენს საერთო გრამატიკულ კატეგორიებს პოეტურ ქმნილებაში.

გრამატიკულ კატეგორიათა ასეთმა დიფერენციაციამ ნათელყო ის ფაქტი, რომ *პოეტურ ტექსტში კომპოზიციურ-შინაარსობრივ კატეგორიათა თუ პარამეტრთა რაოდენობა სჭარბობს შინაარსობრივ-კომპოზიციურთა რაოდენობას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ლექსის შექმნაში დიდი ადგილი უკავია კომპოზიციურ მხარეს.*

თუმც, ეს არ ნიშნავს იმას, რომ *კომპოზიციური ელემენტი საბოლოო ჯამში დომინირებდეს ლექსის შინაარსზე. პირიქით, კომპოზიციის რელევანტურობა შინაარსობრივი ასპექტის რეალიზაციას ემსახურება, იგი განაპირობებს იმ უნიკალური შემოქმედებითი და პოეტური ნიმუშის შექმნას, რასაც ლექსი ჰქვია.* ლექსის შიგნით კომპოზიცია და შინაარსი მუდმივ თანაარსებობაში არიან. ასეთი თანაარსებობა იმ შინაგან დინამიზმს წარმოქნის, რომელსაც შეგვიძლია პოეტური დინამიზმი ვუწოდოთ.

ლექსში არსებული კომპოზიციური მხარის გადაჭარბებულმა შეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს პოეტური დინამიზმისათვის ჩვეული წონასწორობის დარღვევა და შექმნას შეუსაბამობა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაში. ამის მაგალითს წარმოადგენს ისეთი ლიტერატურული მიმდინარეობანი, როგორიცაა ფუტურიზმი, კუბოფუტურიზმი თუ სიმბოლიზმი.

ტრადიციულად ლინგვისტიკა ენას შეისწავლის როგორც სისტემას და როგორც მეტყველებას. *ტექსტის ლინგვისტიკა, ანუ ტექსტოლოგია*[19] აღწერს ენას როგორც მეტყველებას მისი ფართო გაგებით. გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ ტექსტის შესწავლისას რელევანტური აღმოჩნდება გარკვეული ენის ვირტუალური მონაცემები იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც ისინი საჭირონი ხდებიან ტექსტის ცალკეული მონაკვეთების შერჩევისა და შეკავშირებისათვის. ჩვენს შემთხვევაში, ე. ი. მხატვრული ტექსტის ანალიზის

[19]ამ შემთხვევაში ტერმინი „ტექსტოლოგია“ ემთხვევა იმ მეცნიერული დარგის აღმნიშვნელ ტერმინს, რომელიც ტექსტის დადგენასა და კომენტირებას გულისხმობს.

დროს ენის ვირტუალურ მონაცემებში ვგულისხმობთ ენის სემანტიკურ, სინტაქსურ და სტილისტურ პოტენციას, საკუთრივ ისეთს, რომელიც მზად არის გახდეს მეტყველების აქტის მონაწილე ენის მატარებელის ცნობიერებაში. ამ შემთხვევაში აუცილებლად იგულისხმება ვარირება ნორმიდან ინდივიდუალურ გადახრამდე, რაც, თავის მხრივ, ისევ ენის სისტემითაა შეზღუდული.

ენისა და მეტყველების დიქოტომიის ჰორიზონტალურ ხაზს ვერტიკალურად გადაკვეთს ცნობიერისა და ქვეცნობიერის ღერძი, რამეთუ მისი ფესვები ადამიანის ფსიქიკაშია ღრმად ჩაკირული. სამეტყველო პროცესი, უდავოდ, გულისხმობს როგორც ორგანიზებულობასა და დაგეგმვას, აგრეთვე შემთხვევითობასა და დაუგეგმავობას. ეს უკანასნკნელი, თავის მხრივ, შეიძლება გაცნობიერებული იყოს ავტორის მიერ, და შეიძლება, ტექსტში გაუცნობიერებლად შემოდიოდეს.

გავიხსენოთ, რას წერდა ედგარ პო თავისი ცნობილი ბალადის, „ყორანის“, შექმნის თაობაზე: „ამ ჩანაფიქრში არც ერთი პუნქტი არ არის შემთხვევისა და ინტუიციის შედეგი. ნაწარმოები იქმნება ნაბიჯ-ნაბიჯ და ის აღწევს თავის დასრულებულობას მათემატიკური პრობლემის სიზუსტითა და მკაცრი თანმიმდევრობით“. (Ïî, 1913, ñòð. 64.)

ამავე ასპექტში საგულისხმოა ვ. მაიაკოვსკის მსჯელობა, რომლის ხასიათი თვით წერილის სათაურიდანაც ვლინდება: „როგორ ვაკეთოთ ლექსები“ (Ìàÿêîâñêèé, 1971, тю 13). პოეტთა ასეთი მიდგომა საკითხისადმი უდავოდ ეწინააღმდეგება და ნაწილობრივ არყევს კიდეც საკმაოდ გავრცელებულ მითს შემოქმედის შესახებ, როდესაც ნაწარმოების შექმნის პროცესი ავტორის მხრიდან კონტროლს არ ემორჩილება.

მაგრამ გაუცნობიერებელი პროცესების მონაწილეობა შემოქმედებით აქტში ხომ თავისთავად ეჭვგარეშე და აშკარა ფენომენია. როგორც რომენ როლანი იტყოდა, ეს ყოველივე მოდის „ცნობიერების მიღმა არსებული სიღრმეებიდან და მისი გონებით წვდომა შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც ის გონებას აღემატება“ (Ðîëëàí, 1965, ò. 4. 19).

აი, როგორია გოეთეს მიერ ბაირონის შეფასება: „მისი ნიჭის საზომი არ არსებობს. რასაც კი ქმნიდა, ყველაფერი გამოსდიოდა და თამამად შეიძლება ითქვას, შთაგონებას მასში რეფლექსების ადგილი ეკავა. მისი ნაწარმოებები იბადებოდნენ ისე, როგორც ქალები ბადებენ ხოლმე მშვენიერ ბავშვებს დაუფიქრებლად და შეუცნობლად“ (Ãåòý, 1905,. 353).

ამავე დროს, ჩვენ ვიცით, თუ როგორი გაფაციცებითა და რუდუნებით ეძებდა ბაირონი ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო სიტყვას, ან როგორ ქმნიდა

ღამით ასობით სტრიქონს, ხოლო დილით გადაარჩევდა და გაანახევრებდა. ამ შემთხვევაშიც, შეიძლება თამამად ითქვას, „მისი ნიჭის საზომი არ არსებობდა.“

ნიჭი ხომ, მართლაც, ბოლომდე შეუცნობელი ფენომენია და სწორედ მის მამოძრავებელ ძალას ემორჩილება თუნდაც ის, „ვითომდაც მათემატიკური სიზუსტით“, ნიბიჯ-ნაბიჯ შექმნილი, დასრულებული პოეტური ნაწარმოები, ანდა თვით ლექსის შექმნის მექანიზმის ახსნა. აქ, მართლაც, ნიჭი და მხოლოდ ნიჭია მთავარი.

აი, ასეთად წარმოგვიდგენია მხატვრული, და საკუთრივ პოეტური, ნაწარმოების ტექსტი, რომელიც ჩვენგან შემდგომ შესწავლასა და აღწერას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ტექსტის ლინგვისტიკა, სწორედაც რომ თავისი ახალგაზრდული ასაკის გამო, ჯერ ისევ ვალშია პოეტურ ქმნილებასთან.

ნაწილი IV

საქართველოსთან დაკავშირებული ბაირონის ტექსტის ინტერპრეტაცია ქართული და რუსული თარგმანების მასალაზე

თავი 1

ტექსტის შინაარსის თარგმანში შენარჩუნების საკითხი ფაქტობრივი ინფორმაციის რეალიზაციის მაგალითზე

პოეტურ თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია თანამიმდევრული სიზუსტით არასოდეს გადმოიცემა, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია გულისხმობს ცნობებს იმ ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ როგორც რეალურ, ისე წარმოსახვით სინამდვილეში. მისი გამომხატველი ენობრივი ერთეულები, ჩვეულებრივ, პირდაპირი მნიშვნელობებით არიან ტექსტში წარმოდგენილი.

დედნისეული ტექსტის ცალკეული დეტალის შინაარსის გაუთვალისწინებლობამ თუ უგულებელყოფამ შეიძლება დაამახინჯოს თარგმანის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ფენა, როგორც დედნის შესაბამისი ფენის არეკვლა და გარკვეული უარყოფითი გავლენაც იქონიოს სხვა შინაარსობრივ ფენათა რეალიზაციაზე.

განვიხილოთ, პირველ ყოვლისა, ისეთი შემთხვევები, როდესაც თარგმანი არასწორად ასახავს დედანში არსებულ ფაქტობრივ ინფორმაციას, კერძოდ, როდესაც ერთი შინაარსობრივი დეტალი მეორე, არაშესაბამისი დეტალით გამოიხატება.

მაგალითისათვის დავასახელებთ ბაირონის ლექსს, “Fragment Written Shortly After the Marriage of Miss Chaworth”, ანუ “Hills of Annesley~ (ix. ნაწილი II, თავი III), როგორც მას მოიხსენიებენ ხოლმე.

ბაირონების საგვარეულო მამულის, ნიუსტედის, გვერდით მდებარეობს ენსლი, ჩავორსების კარ-მიდამო, სადაც ცხოვრობდა მშვენიერი ქალიშვილი, მერი ენ ჩავორსი. იგი ბაირონს შორეულ ნათესავადაც ეკუთვნოდა. ბაირონის წინაპარს, მეხუთე ლორდს, რომელიც თავისი მძიმე ბუნების გამო „ბოროტ ლორდად“ იყო წოდებული, დუელში მოუკლავს ჩავორსების წინაპარი. მიუხედავად იმ შუღლისა, რომელიც ორ გვარს შორის ჩამოვარდნილიყო, ჩავორსების ოჯახს ბაირონი კარგად მიუღია. და ეს მოხდა მაშინ, როდესაც ყმაწვილმა ლორდმა ჩაიბარა მემკვიდრეობა და თავის მამულში დასახლდა. ბაირონი მათი ხშირი სტუმარი გახდა და მას თავდავიწყებით შეუყვარდა მერი, განსაკუთრებული შინაგანი ბუნების მქონე მშვენიერი ასული. მაშინ ბაირონი 15 წლის გახლდათ, მერი კი მასზე ორი წლით უფროსი. ეს იყო 1803 წლის ზაფხულში.

მერის მშვენებით მოჯადოებული ყმაწვილი ყოველ ცისმარე დღეს თურმე ცხენზე ამხედრებული მიჰქროდა ენსლისაკენ, რათა ეხილა თავისი „ამომავალი ვარსკვლავი“, როგორც მას თავად უწოდებდა. ბაირონს მერისთან განშორება ვერ წარმოედგინა და ამიტომაც იყო, რომ მან სკოლაში დაბრუნებაზე უარი

განაცხადა და მთელი სასწავლო სემესტრი გააცდინა. მერი, თურმე, უსიტყვოდ ხვდებოდა ყველაფერს, თუმც, სიყვარულით არ პასუხობდა.

1805 წლის ზაფხულში, როდესაც 17 წლის ბაირონი კემბრიჯის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მერი ჩავორსმა იქორწინა მეზობელ მემამულეზე. ამ ამბავს სულის სიღრმემდე შეუძრავს პოეტი... მძიმე განცდები რითმებშიღა პოულობდნენ გამოძახილს. ასე შეიქმნა ლექსი „ნაწყვეტი, დაწერილი მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ“.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ ლექსის შექმნის ამბავი, რათა უკეთ წარმოვაჩინოთ ის ერთი პატარა დეტალი, რომელიც ანალიზის თვალსაზრისით გვაინტერესებს. ეს გახლავთ შესიტყვება “Hills of Annesley”, ანუ, სიტყვასიტყვით, „ენსლის გორაკები“, „ენსლის ბორცვები“. აღნიშნული ლექსის პირველი ქართული თარგმანი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეკუთვნის გიორგი ნიშნიანიძეს:

ანესლის მთაო, ცივო და ბერწო,
ჩემი ბავშვობა შენ გებარება,
ო, მთაო, მთაო, შენს ლამაზ მკერდზე
რა სუსხიანი ქრიან ქარები!

მე ვეღარ გნახავ და ნუღარ მელი,
ნაცნობ ადგილებს ვერ ვესაუბრო,
აწ შენს თავს, მთაო, ღიმილი მერის
ვერ მომაჩვენებს ცათა საუფლოდ.
(19, გვ. 100)

გიორგი ნიშნიანიძის თარგმანის მიხედვით, თუ მკითხველი ლექსს დედანში არ ეცნობა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლექსში მოქცეული სევდა ბაირონმა დაუკავშირა ერთ მთას, ცივსა და ბერწს, რომელიც ამავე დროს მთარგმნელის ინტერპრეტაციაში, რატომღაც, ლამაზი მკერდის მქონედ წარმოდგება. ეს კი სრულიად ახალი და არაშესატყვისი დეტალია, რამეთუ დედანში „ენსლის გორაკები“ შეფასებულია უარყოფითი ეპითეტებით: “bleak” (ცივი), “barren” (უნაყოფო), და ამ ბორცვებზე გაისმის ჩრდილოეთის შეურიგებელი ქარიშხლების ზუზუნი – “how the northern tempests warring...”.

დავუბრუნდეთ ძირითადს: “Hills of Annesley” – ანუ ენსლის ბორცვები, გნებავთ გორაკები, არ უნდა ითარგმნებოდეს, როგორც ერთი მთა და ისიც ენსლის სახელის მატარებელი, რადგან ეს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ ექსტრალინგვისტურ გარემოს, რომელიც დედანშია ასახული:

„ენსლი“ გახლავთ ერთ-ერთი მამული ინგლისში, ნოტინგემშირის საგრაფოში, რომელიც მთით საერთოდ არ გამოირჩევა. მაგრამ ეს ადგილი ცნობილია ოდნავ ამაღლებული, გაშლილი ბორცვებით, რომელთაგანაც ყოველ ცალკეულს თავისი სახელი გააჩნია. ესენია: Ladycot Hill (ლედიკოტ ჰილი), Castle Hill (ქასლ ჰილ), Saddle Hill (სედლ ჰილი), Diadem Hill (დაიადემ ჰილი), მაგრამ ამ ბორცვთაგან არც ერთს არ ჰქვია ენსლი ჰილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენსლი ჰქვია მთლიანად იმ არემარეს, სადაც ეს ბორცვებია განლაგებული.

აღნიშნული შესიტყვება სწორადაა ასახული ა. ბლოკის რუსულ თარგმანში. მოგვყავს რუსული თარგმანის სრული ტექსტი:

Отрывок, написанный вскоре после
замужества Мисс Чаворт

Бесплодные места, где был я сердцем молод,
Анслейские холмы!
Бушуя, вас одел косматой тенью холод
Бунтующей зимы.

Нет прежних светлых мест, где сердце так любило
Часами отдыхать,
Вам небом для меня в улыбке Мери милой
Уже не заблистать.

(27, ò. II, c.8)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ [z], ბგერის ალიტერაცია შესიტყვებაში “Hills of Annesly”, [‘hilz əv‘ænzli] როგორც სტილისტური ეფექტი, არაა გადმოცემული არც ნიშნიანიძის „ენესლის მთაში“ და არც ა. ბლოკის შესიტყვებაში “Анслейские холмы”, თუმცა, ა. ბლოკთან [ц] ბგერა, რომელიც აჟღერებულია როგორც პირველ სიტყვებში, ისე მთელ ლექსში, ეხმიანება განსაზღვრებას “Анслейские” და აღწევს კიდეც სათანადო ეფექტს.

პროფ. ი. მერაბიშვილი შეეცადა მოენახა ამ შესიტყვების ასახვის შედარებით ტევადი საშუალება და არჩევანი შეაჩერა ლექსემაზე „სერები“, რომელიც თავისი მნიშვნელობით სრულად შეესაბამება მის შინაარსს, განსაზღვრება „ენსლის“-თან ერთად ქმნის [ს] ბგერის ალიტერაციას, და ამდენად გვაძლევს დედნისეული ტექსტის მსგავს სტილისტურ ეფექტს (ნაწ. II, თავი III).

განხილული მაგალითი ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ თარგმნის პროცესში განსაკუთრებით რელევანტურია ის ინფორმაცია, რომელიც ლექსის შექმნის ამბავსა თუ მასში ასახული ექსტრალინგვისტური დეტალების გაცნობიერებას გულისხმობს, რასაც ჩვენ *გარეტექსტს* ვუწოდებთ. ასეთი ცოდნა რიგ შემთხვევებში *თანატექსტის* სტატუსს იძენს, თუ ის ავტორის ან რედაქტორის კომენტარებშიც აისახება.

თუ ზემოთ განხილული ლექსი წარმოადგენს მაგალითს, რომელიც გარეტექსტის ცოდნას მოითხოვს, ხშირია შემთხვევები, როდესაც *შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია ირღვევა* და *გარე ტექსტი* არაფერ შუაშია.

განვიხილოთ ისევ ბაირონის ლექსი, “I would I were a Careless Child” – „ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია“. ეს ლექსი პირველად 1808 წელს გამოქვეყნდა, ე. ი. მაშინ, როდესაც პოეტი ოცი წლის იყო. მასში ასახულია ახალგაზრდა პოეტის დამოკიდებულება სამყაროსადმი, მისი ლტოლვა თავისუფლებისადმი, როდესაც იგი ლაღ და უზრუნველ ბავშვობას იხსენებს.

გთავაზობთ ლექსის სრულ ტექსტს, რომელსაც ვურთავთ ი. მერაბიშვილის ქართულ თარგმანს:

I would I were a careless child
Still dwelling in my Highland cave,
Or rooming through the dusky wild,
Or bounding o'er he dark blue wave;
The cumbrous pomp of Saxon pride
Accords not with the freeborn soul,
Which loves the mountain’s craggy side,
And seeks the rocks where billows roll.

Fortune! take back these cultured lands,
Take back this name of splendid sound!
I hate the touch of servile hands,
I hate the slaves that cringe around.
Place me among the rocks I love,
Which sound to Ocean’s wildest roar;
I ask but this – again to rove
Through scenes my youth hath known before.

Few are my years, and yet I feel
The world was ne’er design’d for me:
Ah! why do dark’ning shades conceal
The hour when man must cease to be?
Once I beheld a splendid dream,

A visionary scene of bliss:
Truth! – wherefore did thy hated beam
Awake me to a world like this?

I loved – but those I loved are gone;
Had friends – my early friends are fled:
How cheerless feels the heart alone,
When all its former hopes are dead!
Though gay companions o'er the bowl
Dispel awhile the sense of ill;
Though pleasure stirs the maddening soul,
The heart – the heart – is lonely still.

How dull! to hear the voice of those
Whom rank or chance, whom wealth or power,
Have made, though neither friends nor foes,
Associates of the festive hour.
Give me again a faithful few,
In years and feelings still the same,
And I will fly the midnight crew,
Where boist'rous joy is but a name.

And woman, lovely woman! thou,
My hope, my comforter, my all!
How cold must be my bosom now,
When e'en thy smiles begin to pall!
Without a sigh would I resign
This busy scene of splendid woe,
To make that calm contentment mine,
Which virtue knows, or seems to know.

Fain would I fly the haunts of men –
I seek to shun, not hate mankind;
My breast requires the sullen glen,
Whose gloom may suit a darken'd mind.
Oh! that to me the wings were given
Which bear the turtle to her nest!
Then would I cleave the vault of heaven,
To flee away, and be at rest.

(11, p. 43.)

ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია,
რომ ჰაილენდის მღვიმეთ მხარეში
ვეგებებოდე მწუხრს, თუ განთიადს,
კვლავაც ვაპობდე სივრცეს თარეშით.
თავისუფალი სულის ქომაგმა
ვით ავიტანო საქსონთ სიხარბე,

მთებთან ტრფიალი როგორ მომაკლდა,
მომნატრებია მე ზღვის სილაღე.

ბედო! ამას გთხოვ, წაიღე უკან
სიმდიდრე მთელი, რაც რამ მომეცი,
რჩეული გვარიც წაიღე უკან,
მძულს ყველა მონა, ყველა მომთმენი.
იქ დამასახლე, სადაც წყლის თქაფუნს
უსმენს და ხვდება კლდე ფრთაზვიადი,
ოცნებას ერთს თუ ვინახავ სათუთს –
დაბრუნდებოდეს ის განთიადი.

ვიცი, სამყარო ჩემთვის არ ქმნილა,
წლებით ჭაბუკი, ვარ დაზაფრული,
რატომ არ მეტყვი, ღმერთო, ახდილად,
თუ სად მომისწრებს მე აღსასრული.
გამახსენდება სიზმარი წრფელი,
აღსავსე ხიბლით, ნეტარი მარად,
რად გამაღვიძე ამ სატანჯველში,
სიცხადის სხივო, წყეულის დარად.

ვინც მე მიყვარდა, ვისაც ძმად ვთვლიდი,
ყველა გაფრინდა, ყველა წავიდა,
მე მარტო ვდგევარ ქარგადავლილი,
იმედიც, ალბათ, მიტომ წამიხდა!
თუმც გამიქარწყლებს დღეს წამით ღვინო
ამ წუთისოფლის ყველა სიავეს,
და შმაგი სულიც ბობოქრობს თითქოს,
გულს ვერვინ შველის, გულს – ნაიარევს!

საუბედუროდ ლხინის დროს ვისმენ
სიტყვებს არცა მტრის, და არც მეგობრის,
არამედ მათი, ისევ და ისევ,
ქვეყნისგან ხეირს ვინც გამოელის.
ვეღირსებოდე კვლავაც იმ წამებს,
რომ გვერდით ისევ მყავდნენ ერთგულნი,
გავექცეოდი ხომ მე იმ წამსვე
ღამის უქმ თევას, ცნობილს რჩეულთთვის.

შენ კი მშვენებით სავსე დიაცო,
გთვლიდი იმედად, შვების საწინდრად,
გულში რომ გრძნობა აღარ ციაგობს,
დღეს შენს ღიმილსაც ვიგდებ საცინლად!
მზად ვარ დავტოვო დაუფიქრებლად
სევდაც, სიამეც, ქვეყნის – ცოდვილის,

რომ თვითონ ვიქცე მე სრულქმნილებად,
ძალა რომ ჰქვია, კეთილშობილი.

მინდა მოვცილდე, მოვწყდე კაცთ მოდგმას,
ხალხი კი არ მძულს, – მათ თავს ვარიდებ,
სულს, რომ სწუხს მუდამ, სტირის და მოსთქვამს,
მყუდრო სავანე სურს იმთავითვე.
ფრთები რომ მომცა გარეულ მტრედის,
ცის კარს გავაპობ, გავცდები ფრენით!
მაშინ ვიქნები მე სულ სხვა ბედის,
და მოვისვენებ მარადის შვებით.

ლექსში ძირითადად ორი თემაა გამოკვეთილი და ურთიერთდაკავშირებული. პირველი – სწრაფვა თავისუფლებისაკენ, როგორც პროტესტი რეალური სინამდვილის წინააღმდეგ, ხოლო მეორე – ლტოლვა სიმშვიდისა და შორეული სიმაღლისაკენ. ეს ორი ხაზი თავის კულმინაციას ლექსის ბოლო სტროფში აღწევს, როდესაც პოეტი აღმოთქვამს სურვილს, მოსწყდეს მიწიერ სამყაროს და, ფრინველის დარად, შვება და მოსვენება ცაში პოვოს.

პოეტი მიისწრაფვის განმარტოებისაკენ, ციური სამყაროსაკენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კაცთმოძულეობის გამო. მისი მისწრაფება, განერიდოს ხალხს – ტრაგიზმითაა აღსავსე. მისი პროტესტი კაცობრიობის მიმართ უდიდესი კაცთმოყვარეობით აიხსნება. პოეტის ეს დამოკიდებულება გარესამყაროსადმი საკმაოდ ნათლადაა გადმოცემული სტრიქონით: “I seek to shun, not hate mankind”. პოეტი თითქოს და საგანგებოდ მიმართავს და აფრთხილებს კიდეც მკითხველს: „მე ვცდილობ გავერიდო, მაგრამ არ მძულს ხალხი“.

მიუხედავად ამისა, ისეთი მაღალნიჭიერი მთარგმნელი, როგორც ვალერი ბრიუსოვი გახლდათ, ლექსის ამ ნაწილს შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის უხეში დარღვევით გადმოიტანს რუსულ ენაზე: “Мне ненавистен род людской” – „მე მძულს კაცთა მოდგმა“. ეს ის ფრაზაა, რომელიც არ უთქვამს ბაირონს და არ გვაქვს უფლება მივაწეროთ მას, განსაკუთრებით კონკრეტულ კონტექსტში.

აღნიშნული ფრაზის სწორი ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს პოეტის იმედგაცრუებულ დამოკიდებულებაში ამოვიკითხოთ არა ზიზღი და სიძულვილი ადამიანისადმი, არამედ შებრალება და შეცოდება მის მანკიერ მხარეთა გამო.

აი, რატომ სურს პოეტს მოსწყდეს მიწიერ გარემოს და მასზე ამაღლებულმა ზეციურ სამყაროში მონახოს შვება...

აღნიშნული ფრაზის ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის განსამტკიცებლად მოვიყვანთ სტრიქონს „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერიდან, სადაც პოეტი კვლავ იმავე განცდას გვიზიარებს:

To fly from, need not be to hate, mankind:
All are not fit with them to stir and toil.
(11, Child-Harold, L XIX Canto III, p.212)

აქვე მოგვყავს პწკარედი: „მოშორდე აქაურობას, არ ნიშნავს გძულდეს კაცთა მოდგმა: ყველას არ შეუძლია მათში გარევა და მათთან ერთად შრომა“.

როგორც დავრწმუნდით, აქ საქმე გვაქვს აშკარა თვითნებობასთან მთარგმნელის მხრიდან და ამ შემთხვევაში ტექსტის ინტერპრეტაცია, ისევე როგორც მისი რეალიზაცია, მომენტური განცდის ხასიათს იძენს და გამართლებულია, თითქოს, სხვა სტროფებში მოქცეული დამოკიდებულებით გარშემო მყოფთა მიმართ (იხ. ლექსის IV და V სტროფები, რაც ბრწყინვალედაა ასახული რუსულ თარგმანში).

ვალერი ბრიუსოვის ფრაზის გასამართლებლად შეიძლება მოვიშველიოთ ისეთი დიდი ჰუმანისტის მომენტური პოეტური განცდა, როგორიც გახლავთ ალექსანდრე პუშკინი, რომელიც „ევგენი ონეგინშია“ აღბეჭდილი: “Кто жил и мыслил, тот не мог в душе не призирать людей”. (36, т. 4, с. 23).

და მაინც, ჩვენ პრინციპულად ვეწინააღმდეგებით ტექსტის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის ისეთ თვითნებურ შეცვლას, როგორსაც ადგილი ჰქონდა ვ. ბრიუსოვის თარგმანში, და რომელმაც აუცილებლად დაასვა დაღი, ერთი მხრივ, ლექსის კონცეპტს, ხოლო, მეორე მხრივ, მის ქვეტექსტს, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, აღნიშნულ კატეგორიისადმი მიძღვნილ თავში.

ეს ლექსი არაერთხელ ითარგმნა ქართულ ენაზე, განსაკუთრებით საყურადღებო და პოპულარულია ო. ჭელიძის თარგმანი, რომელიც ბაირონის ლექსების მცირე კრებულშია შესული. ამ თარგმანის მიხედვით ზემოგანხილული სტრიქონი – “I seek to shun not hate mankind” – შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაციით არის რეალიზებული:

სიამით დავთმობ ხალხის სამყოფელს,
არც კაცთა მოდგმას ვახსენებ ზიზღით.

(15, გვ. 8)

ლექსის ბოლო სტროფი, რომელიც შეიცავს ჩვენ მიერ განხილულ ფრაზას, უაღრესად საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი ბოლო ოთხი ხაზი ბიბლიურ ალუზიას წარმოადგენს, საკუთრივ დავითის 54 ფსალმუნისა, რომელიც, მეფე ჯეიმზის ინგლისური რედაქციის მიხედვით, შემდეგნაირად ჟღერს:

"And I said, O that I had wings like a dove
For then would I'fly away, and be at rest".

და ვამბობ: "ვინ მომცემს ფრთას, ვითარცა მტრედს?
გავფრინდებოდი და დავბინავდებოდი."

(ფსალმუნი 54)

"И я сказал: ,,Кто дал бы мне крылья, как голубя,
Я Улетел бы и успокоился бы."

(Псалтырь, 54)

თუ შევადარებთ ფსალმუნის ზემოთ წარმოდგენილ რედაქციას, ვნახავთ, რომ სიტყვა "dove" (მტრედი) ბაირონთან ასახულია სიტყვით "turtle", რომელიც აგრეთვე მტრედს (turtle, turtle-dove) ნიშნავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლექსემას, "turtle", ინგლისურ ენაში კიდევ ორი სხვა მნიშვნელობა გააჩნია გარდა მტრედისა. ერთი გახლავთ „გვრიტი" და მეორე – „კუ", უმთავრესად ზღვისა. ეს უკანასკნელი ამ სიტყვის რიგით პირველ მნიშვნელობას წარმოადგენს და ამდენად, ინგლისურენოვანი საზოგადოებისათვის საყოველთაოდ ცნობილია.

აღნიშნული ლექსის ერთ-ერთ ქართულ თარგმანში მოხდა კურიოზი სწორედ ამ ლექსემის გამო. მთარგმნელმა, როგორც ჩანს, არ იცოდა "turtle"-ის სხვა მნიშვნელობა გარდა ერთისა, ე. ი. „კუსი" და ტექსტთან გაცნობისას ეს ლექსემა მხოლოდ კუს დაუკავშირა. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მან არც სათანადო ლექსიკონებს მიმართა, რათა გადაემოწმებინა ის შინაარსობრივი შეუსაბამობა თუ უხერხულობა, რაც ამ ლექსემის „კუს" მნიშვნელობით თარგმნას შეეძლო შეექმნა.

გთავაზობთ ამ თარგმანს:

ო, უფალო, თუ განსაცდელს მრავალს
მიმზადებ და ფრთებს მომამტვრევ აქვე.
კუს ნაბიჯით მაინც ცაში ავალ,
რომ ელვარე მზის სხივივით ჩავქრე.

(21, გვ. 204)

ესოდენ კურიოზული ცნების შემოტანით მთარგმნელმა მთელი სტროფის შინაარსი ამ უჩვეულო ცნებაზე გააწყო და, ამდენად, შექმნა სრულიად უჩვეულო სახე: ფრთებმომტვრეული არსება, რომელიც კუს ნაბიჯით ადის ცაში, რათა იქ ელვარე სხივივით ჩაქრეს. ასეთი კურიოზული შემთხვევის წარმოქმნა მით უფრო საკვირველია, რომ ეს ლექსი მრავალგზის თარგმნილა და გამოქვეყნებულა კიდეც არაერთი რედაქციით, სადაც ალუზია სწორედ იყო ინტერპრეტირებული, იქნება ეს ვ. ბრიუსოვის რუსული თარგმანი, თუ ო. ჭელიძის ქართული ვარიანტი:

ჰო, ნეტავ მხრებზე ფრთები მომესხას,
არ გავფრინდები ბუდისკენ მაშინ,
შევუერთდები უსაზღვროებას
სამარადისოდ აჭრილი ცაში.
(15, გვ. 9)

ალუზიის შემთხვევა ამ თავში ჩვენთვის საინტერესო შეიქნა არა თვით იმ ქარაგმის გამო, რომელსაც ეს სტილისტური ხერხი გვთავაზობს (რაც გაცილებით უფრო მკვეთრად გამოვლინდება შინაარსის სხვა ფენათა ინტერპრეტაციის დროს), არამედ იმ ფაქტობრივი შეუსაბამობის გამო, რომელიც მხოლოდ ერთი სიტყვის არასწორმა თარგმანმა გამოიწვია.

რაც შეეხება თვით ფსალმუნის ქართულ რედაქციას, ვფიქრობთ, სტრიქონის ბოლო სიტყვა არ ასახავს იმ შინაარსს, რომელიც ინგლისურ და რუსულ ვარიანტებშია გადმოცემული. ფრაზები “and be at rest” “и успокоился бы” არ ნიშნავს „დაბინავებას“ („და დავბინავდებოდი“). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ის, პირიქით, დაბინავების საპირისპირო შინაარსს შეიცავს, რამაც თავი იჩინა ჭელიძის ქართულ თარგმანში, როდესაც ბაირონის სიტყვები “that brings the turtle to her nest” ითარგმნა როგორც „არ გავფრინდები ბუდისკენ მაშინ“. აქ დაბინავებას, ბუდის მონახვას, დაუპირისპირდა ცაში აჭრა და იქ მარადიული შვების მოპოვება.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ბაირონის ლექსი, “Fare Thee Well”, საკუთრივ მისი პირველი სტროფი, რომელიც, როგორც უკვე იყო აღნიშნული ნაშრომის მეორე ნაწილში, ივან კოზლოვის მიერ, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით, დარღვევითაა ტრანსფორმირებული. ამჯერად ლექსი მოგვყავს სრულად:

Fare thee well! and if for ever,

Still for ever, fare thee well:

Even though unforgiving, never
‘Gainst thee shall my heart rebel.

Would that breast were bared before thee
Where thy head so oft hath lain,
While that placid sleep came o’er thee
Which thou ne’er canst know again:

Would that breast, by thee glanced over,
Every inmost thought could show!
Then thou would’st at last discover
‘Twas not well to spurn it so.

პირველი სტროფის ბოლო ორი სტრიქონი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ პწკარედში: „თუმც, არაა მპატიებელი, შენს წინააღმდეგ ჩემი გული არასოდეს არ აღსდგება.“

„თუმც, არაა მპატიებელი“ – “Even though unforgiving” – დედნის მიხედვით, ეკუთვნის თავად მას, პოეტს, იმ დროს, როდესაც ივ. კოზლოვმა ეს თვისება მიაკუთვნა პოეტის მეუღლეს: ბუნებრივია, გვმართებს, ჩვენი აზრი გამოვთქვათ დაშვებული შეცდომის ირგვლივ. მოგეხსენებათ, ივ. კოზლოვი უსინათლო და ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული პოეტი გახლდათ და, ვფიქრობთ, ინგლისური ტექსტი მას როდესაც სხვამ წაუკითხა, კავშირი “though” (თუმც) მან მოისმინა, როგორც მეორე პირის ნაცვალსახელი “thou” (შენ), რადგან ეს ორი სიტყვა ომონიმურ ჯგუფს ქმნის ინგლისურში და, ბუნებრივია, ერთნაირად ჟღერს.

ამგვარად, მივიღეთ სხვა ინფორმაცია რუსულ ვარიანტში. ასეთი გარღვევა კი მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის არასწორი ასახვის შედეგია.

სამწუხაროა, რომ ვერც ერთმა რუსულმა რედაქციამ ეს შეცდომა ვერ შენიშნა, მითუმეტეს, რომ ბაირონის ყველა აკადემიურ გამოცემაში (როგორც XIX, ისე XX საუკუნეების) აღნიშნული ლექსი ივ. კოზლოვის თარგმანითაა წარმოდგენილი.

მოგვყავს ლექსის ქართული თარგმანი:

გემშვიდობები, მორჩა ყოველი,
აწ მძვინვარებით გული აღივსო,
გული, მარადჟამს ავის მგმობელი,
შენ არ გაგწირავს სამარადისოდ.

რომ შესძლებოდა ემხილა სევდა
ამ მკერდს, რომელზეც გეძინა შვებით,
რომელშიც გული უსიტყვოდ ძგერდა,
რომელსაც სუნთქვა ათრობდა შენი.

რომ შესძლებოდა თვითონ ეამბნა
ამ მკერდს დაფარულ განცდათა ზღვაზე,
ახლა რა გითხრა – არის გვიანდა,
არ დამწიხლავდი, მწამს, მაშინ ასე.

დღეს შენს საქციელს არ გმობს არავინ –
მოშურნეთ ცბიერ ღიმილს ენდობი,
ზეიმი იგი არს შემზარავი,
თუ გაიხარებ სხვის უბედობით.

დამძიმდა გული ცოდვებით სავსე,
და თუმც ამქვეყნად ბევრი ვიარე,
ვეღარსად ვპოვე მაგ მკლავთა მსგავსი,
რომ მიშუშებდა ხვევნით იარებს.

თავს ნუ იტყუებ, მე დამიჯერე,
სხვისას ნუ ისმენ ხოტბას თუ ქებას –
ჩვენ ხომ ჯერ გულიც კი ვერ ვიჯერეთ,
ჟამთა სვლით გრძნობის ცეცხლი თუ ქრება.

თუმც შენს გულს ფარავს ღვთიური ძალა,
ჩემიც სცემს ჯერაც – მაგრამ გახსოვდეს,
მას ერთი ფიქრი აწვალებს მარად,
რომ ვერ შევხვდებით ვეღარასოდეს.

და ეს სიტყვები ისე იღვრება,
როგორც ცხედართან ცრემლი და გლოვა,
ორივე ვცოცხლობთ – თუმცა ქვრივებად
ვიღვიძებთ, როცა აისი მოვა.

და განუგეშებს ეულად მავალს,
რომ ჩვენი პირმშო დაიწყებს ტიტინს,
ნუთუ ასწავლი წარმოთქვას „მამა“
და თან გაუძლოს ობლობის ტკივილს!

როს ხელს ჩასჭიდებ მის პაწია ხელს,
ბაგეზე იგრძნობ მის წმინდა ამბორს,
გჯეროდეს, ისევ გადარებ ქალღმერთს,
მხურვალე ლოცვას მე შენთვის ვამბობ!

გაივლის დრო და არცთუ მთლად გვიან
დამემგვანება ასული, ვიცი,
გული დაგიწყებს ფანცქალს და ფრთხიალს –
და ეს კი ნიშნავს, რომ არ ხარ სხვისი.

შეცდომა, იცი, ბევრი მომსვლია –
სიშმაგის დათვლა არ ძალუძს არვის;
ჩემი იმედი, როგორც თოლია,
დასდევნებია ჩრდილს შენი ანძის.

მტრად, იცი, მყავდა რჩეულთა დასი,
და შენ ერთს გთვლიდი ერთგულ სამყაროდ –
ბოლომდე მასვი ხომ სიმწრის თასი,
რომ საბოლოოდ სულსაც გამყარო.

მორჩა, დამთავრდა ყოველი უკვე,
სიტყვებს გაუკრთათ უხვი ფერები;
მხოლოდ ფიქრები ვერ დავიოკე,
მათ მოძალებას ვეღარ ვერევი.

იყავ მშვიდობით, გახსოვდეს ოღონდ,
სიმწარე მარად ჩემი ხვედრია,
მტოვებ გათელილს და სულით ობოლს,
რაზეც სიკვდილი ოდნავ მეტია.

ბაირონის რუსულ თარგმანში ფაქტობრივი ინფორმაციის არასწორი რეალიზაციის კიდევ მრვალი მაგალითი მოიძებნება. ასეთად დავასახელებთ, მაგალითად, ქართველი ქალის შეფასებისადმი მიძღვნილ სტრიქონებს:

But no one doubted on the whole, that she
Was what her dress bespoke, a damsel fair,
And fresh, and “beautiful exceedingly”,
Who with the brightest Georgians might compare;
(8, p. 776)

ეს გახლავთ „დონ ჟუანის“ მეექვსე სიმღერის ოცდამეთექვსმეტე სტროფის პირველი ნაწილი, რომელიც აღწერს ქალის სამოსელში განგებ გამოწყობილ ჟუანს. წარმოგიდგენთ ტექსტის პწკარედს:

„არავის ეპარებოდა ეჭვი ირგვლივ, რომ ის იყო ის, რასაც მოწმობდა მისი სამოსელი, მშვენიერი ქალწული, სრულიად ნორჩი და „უსაზღვროდ ლამაზი“, რომელიც უელვარეს ქართველებსაც კი შეედრებოდა“.

შესიტყვებას, “beautiful exceedingly” (უსაზღვროდ ლამაზი), ბაირონი ხმარობს ბრჭყალებში, რამეთუ მიანიშნებს, რომ ის აქ ახდენს სხვის ციტირებას, საკუთრივ, ეს გახლავთ ს. კოლრიჯის რემინისცენცია მისი ცნობილი „კრისტაბელიდან“ (“Cristabel”).

რაც შეეხება აღნიშნული სტროფის ტ. გნედიჩისეულ თარგმანს, ის შემდეგნაირად ჟღერს:

Никто не сомневался, что она,
По платью судя, дева молодая,
Шептались, что грузинка ни одна
Сравниться с ней красою не могла.
(27, т. I, с. 280)

როგორც ვხედავთ, რუსულ თარგმანში დარღვეულია შესაბამისობა შედარების ობიექტსა და შესადარებელ ობიექტს შორის, რაც ამცირებს და აკნინებს შედარების ობიექტს, საკუთრივ ქართველ ქალს და მისი მშვენიერების შეფასებას. ბაირონთან ქართველი ქალის სილამაზე ეტალონის რანგშია აყვანილი, იმ დროს, როდესაც რუსულ ტექსტში შედარების ობიექტი არის ქალის სამოსელში გამოწყობილი ჟუანი, რომლის თვალისმომჭრელ სილამაზეს, თურმე, ვერც ერთი ქართველი ქალი ვერ შეედრება. ჩვენი აზრით, აღნიშნული შედარების კურიოზულობა და უსუსურობა ზედმეტ კომენტარს აღარ საჭიროებს.

ანალოგიურ შეუსაბამობას ვაწყდებით ადრეულ რუსულ თარგმანშიც, რომელიც პაველ კოზლოვს ეკუთვნის:

Однако же все согласились в том,
Что новая пришелица прекрасна;
Что в Грузии красивее лицом
Отыскивать невольницу напрасно,
(26, т. III, с. 309)

სიტყვის მრავალმნიშვნელობა, თარგმანში მისი ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, უდავოდ, ქმნის გარკვეულ პრობლემას ფაქტობრივი ინფორმაციის ასახვის მხრივ, რომ აღარაფერი ვთქვათ ინფორმაციის სხვა დანარჩენ სახეობებზე. საკმარისია გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი ბაირონის „ჩაილდ

ჰაროლდის“ პირველი სიმღერიდან, საკუთრივ შესიტყვება “man’s heart”, რომელიც რუსულ თარგმანში ერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო, როგორც “и сердца не пытай мужского”, ხოლო მეორე შემთხვევაში – როგორც “душа людская’’ (в душе людской таится ад!).

როგორც აღნიშნული მაგალითი მოწმობს, კაცის გული (мужское сердце) და ადამიანის სული (душа людская) სხვადასხვა ფაქტობრივი ინფორმაციის რეალიზაციას ემსახურება, რომ აღარაფერი ითქვას ამის შედეგად წარმოქმნილ კონცეპტსა და ქვეტექსტზე.

ფრიად საინტერესოდ და საყურადღებოდ გვესახება ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლისემანტურია თავისი შინაარსით არა მარტო საზოგადო სახელი, არამედ საკუთარი სახელი და ის თარგმნის პროცესში განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს. მაგალითისათვის დავასახელებთ ინგლისურ სახელს “Mary”, რომელიც ქართულ და რუსულ ენებში ორ-ორი ვარიანტითაა დამკვიდრებული: პირველი, ეს გახლავთ მისი ქართული შესატყვისი „მარიამი“, რამეთუ „მარიამ ღვთისმშობელს“ ინგლისურში სწორედ სახელი “Mary” შეესატყვისება; მეორე გახლავთ ქალის საკუთარი სახელი, „მერი“, რომელიც გაცილებით გვიან დამკვიდრდა ქართულ ენაში და ის თავისი ევროპული ტრანსკრიპციიდან [mɛəri] ნასესხებ სახელს წარმოადგენს.

„მერი“ მარიამის ინგლისური ფორმაა, რომელიც ქართულში ახალი შემოსულია. ეს სახელი ჰქვია გ. ტაბიძის პოეტური ოცნების ქალიშვილს, რომელსაც ეძღვნება პოეტის რამდენიმე შესანიშნავი ლექსი“, – წერს ზურაბ ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე, 1987, 345).

ამგვარად, პოლისემანტურია “Mary” არა იმდენად თავად ინგლისურში, არამედ ქართულთან ურთიერთობისა და ურთიერთშესატყვისობის თვალსაზრისით. ანალოგიურია მისი დამკვიდრება რუსულ ენაში: Мария (дева Мария), Мери/Мэри.

როგორც ქვემოთ, ჩვენი ნაშრომის მეოთხე ნაწილში დავრწმუნდებით, გალაკტიონი სახელს, „მერი“, სწორედაც რომ ორივე მნიშვნელობით ხმარობს: ერთი მხრივ, ეს გახლავთ ქალის სახელი, „მერი“, ხოლო, მეორე მხრივ, ღვთისმშობლის ხატება, რამეთუ მისი პოეტური იდეალი მას ღვთისმშობლის კატეგორიაში ჰყავს აყვანილი.

ამჯერად მივმართავთ იმ კონკრეტულ მაგალითს, როდესაც ინგლისურ პოეზიაში ქალის სახელი, მერი – “Mary”, თავისი ორბუნებოვნობის გამო რუსულ თარგმანში ტექსტობრივ პრობლემას ქმნის. მოგვყავს ბაირონის „დონ-ჟუანის“ მეხუთე სიმღერის მეოთხე სტროფი მისი სათანადო რუსული თარგმანით:

I have a passion for the name “Mary”
For once it was a magic sound to me;
And still it half calls up the realms of fairy,
Where I beheld what never was to be;
All feelings changed, but this was last to vary,
A spell from which even yet I am not quite free:
But I grow sad – and let a tale grow cold,
Which must not be pathetically told.
(11, p. 699)

Ах, я пристрастен к имени ,,Мария,!
Мне был когда-то дорог этот звук;
Я снова вижу дали золотые
В тумане элегических разлук;
Оно живит мои мечты былые,
Оно меня печалит, милый друг, –
А я пишу рассказ весьма холодный,
От всяческой патетики свободный,
(27, т,I, с. 229)

როგორც ცნობილია, სახელი “Mary” ბაირონთან უკავშირდება უმთავრესად მის ტრაგიკულ სიყვარულს მერი ჩავორსისადმი, თუმც კიდევ არაერთი ცხოვრებისეული მერი აისახა მის შემოქმედებაში. ამდენად, რუსულ ენაში, ისევე როგორც ქართულში, ამ სახელის თარგმნისას არასწორად მიგვაჩნია “Мария”-ს ვარიანტის შემოტანა, რადგან ის აღარ ასოცირდება მერი ჩავორსთან. მერი ჩავორსი ხომ ბაირონის ადრეული პერიოდის, მისი ყმაწვილკაცობის სიყვარულია, რომელიც მას მთელი ცხოვრება თან სდევდა, როგორც ნათელი და ფაქიზი მოგონება. რაც შეეხება „დონ ჟუანს“, ეს მისი უკანასკნელი და ამავე დროს დაუმთავრებელი პოეტური ქმნილება გახლავთ, სადაც ის არაერთგზის აცოცხლებს მერი ჩავორსისადმი განცდილ სიყვარულს. და, ამდენად, თუ აქ მთარგმნელმა რაიმე უზუსტობა დაუშვა, სრულიად შესაძლებელია, რომ მკითხველმა ვერ გაიგოს მისი რეალური შინაარსი, საკუთრივ ის, რაც მოხდა ტ. გნედიჩის რუსულ თარგმანში, როდესაც “Mary”, ნაცვლად რუსული “Мэри”-სა, “ Мария ”-ს სახით აღმოჩნდა წარმოდგენილი.

რაც შეეხება „დონ ჟუანის“ შედარებით ადრეულ რუსულ თარგმანს, რომელიც პაველ კოზლოვს ეკუთვნის, იქ “Mary” ნათარგმნია როგორც “Мэри”:

Люблю я имя мэрии: Много грез
И целый ряд несбывшихся Мечтаний
В моей душе с тем именем слилось;
Оно еще мне мило, хоть страданий
Не мало я тяжелых перенес…
Отраден светлый мир воспоминаний!

(26, т. III, с. 286)

„დონ ჟუანის“ ტ. გნედიჩისეულ რუსულ თარგმანს 1981 წელს მოსკოვში გამოცემულ ოთხტომეულში ახლავს ნ. დიაკონოვას კომენტარები, სადაც დაზუსტებულია ჩვენთვის საინტერესო სტრიქონის შინაარსი. მოგვყავს კომენტარი სრულად:

"…пристрастен к именим „Мария"! _ намек на детскую любовь Байрона к Мэри Дэфф и на его длительную привязанность к Мэри Энн Чаворт."

მაგრამ რა ვუყოთ ისეთ გამოცემას, როდესაც აღნიშნულ სტრიქონს კომენტარი არ ახლავს? მაგალითად, დავასახელებთ `დონ ჟუანის~ 1988 წლის საიუბილეო გამოცემას ო.აფონინას კომენტარებით.

მართალია, ამ შემთხვევაში *კომენტარი* ასწორებს თარგმანის ტექსტის უზუსტობას, მაგრამ მისი დანიშნულება ხომ არის *დაზუსტება* და არა *გასწორება*. თვით კომენტარი, როგორც მოვლენა და როგორც ერთიანი ტექსტის ნაწილი, ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პირველ ყოვლისა, დედნისეული ტექსტის რეალიზაციის, ხოლო შემდგომ მისი თარგმანში ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

1809 წელს, 21 წლის ასაკში ბაირონი წერს სატირულ ნაწარმოებს, „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“ ("English Bards and Scotch Reviewers"), სადაც ის მკითხველს თავისი პირველი მოგზაურობის გეგმებს გაანდობს. პოეტს სურს მოინახულოს აფრიკის ნაპირები, გიბრალტარის კლდოვანი მთები, სტამბული და იქიდან ამბობს პოეტი:

„მინდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს,
სად კავკასიონს, კლდით შემოსილს, პირქუშს, მრისხანეს
გვირგვინად ადგას დიდებული თეთრი მყინვარე.“
(თარგმანი – ი. მ.)

Yet once again, adieu! ere this the sail

That wafts me hence is shivering in the gale;
And Afric's coast and Calpe's adverse height,
And Stamboul's minarets must greet my sight:
Thence shall I stray through beauty's native clime,
Where Kaff is clad in rocks, and crown'd
with snows sublime.

(8, p. 72; 10, p. 446)

მრავალი ინგლისურენოვანი გამოცემის მიხედვით, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, სტრიქონს, "beauty's native clime" (სილამაზის მშობლიური მხარე), ახლავს ერთსიტყვიანი კომენტარი "Georgia", საკუთარ სახელს, "Kaff – Mount Caucasus", რაც ნიშნავს იმას, რომ სილამაზის მშობლიურ მხარეში ბაირონი საქართველოს გულისხმობდა, ხოლო Kaff-ში – კავკასიონს. აქ და მსგავს შემთხვევებში, როგორც ვხედავთ, შეუძლებელია სტრიქონის შინაარსის გაგება სათანადო კომენტარის გარეშე.

ახლა ვნახოთ, როგორაა აღნიშნული სტრიქონი ინტერპრეტირებული რუსულ თარგმანში, რომელიც ს. ილინს ეკუთვნის და შესულია ბაირონის ბროკჰაუზისეულ რუსულ გამოცემაში:

Тепер прощай, покуда ветр прибрежный
Не натянул мой парус белоснежный.
Берег Африки мой встретит скоро взор,
Кельпэ напротив цепь откроет гор,
Затем луна Стамбула засияет.
Но путь туда корабль мой направляет,
Где красоту впервые мир познал,
Где над громадной величавой скал
Возносит Кафф корону снеговую…

(26, т. III, с. 526)

აღნიშნულ გამოცემას ახლავს პ. ო. მოროზოვისა და ნ. ა. ხოლოდკოვსკის კომენტარები, რომელშიც, სამწუხაროდ, არაფერია ნახსენები საქართველოსთან ან კავკასიონთან კავშირში.

მიუხედავად ამისა, ახლა, როცა უკვე ვიცით სტროფის შინაარსი, უფრო სწორედ, ვიცით ინგლისური ტექსტი და მისი შინაარსობრივ-ფაქტობრივი ასპექტი, საქართველოს სილამაზის ამსახველი სტრიქონი, მართლაც, დიდებულად ჟღერს რუსულ თარგმანში: "Где красоту впервые мир познал".

რა არის ეს? ქარაგმა, რომელიც სათანადო ასახვის ან კომენტარის გარეშეც ამოიკითხება, თუ დაფარული განცდა *მთარგმნელისა*? უდავოდ, მეორე, რამეთუ ორი საუკუნის მანძილზე არავის ამოუკითხავს ამ მშვენიერ რუსულ სტრიქონში „საქართველო“, ბაირონისეული სტრიქონის დედააზრი კი მხოლოდ სპეციალური კვლევის შედეგად აღმოჩნდა ჩვენთვის გასაგები (მერაბიშვილი, 1991).

თავი 2

შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია

შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციისაგან განსხვავებით, რომელიც ტექსტის ერთიანი შინაარსის ზედაპირულ ქარგას წარმოადგენს, კონცეპტი მის იდეურ კატეგორიად გვესახება. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია გახლავთ ის სიღრმისეული აზრი ტექსტისა, რომელიც შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის საშუალებით ამოიკითხება, მაგრამ მის დეკოდირებაში, თავის მხრივ, მონაწილეობს ლექსის, როგორც ერთი მთლიანის, ქვეტექსტი. კონცეპტი, ანუ შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია დაგეგმილია ავტორის მიერ როგორც ტექსტის ძირითადი ჩანაფიქრი, როგორც მოდელი მისი კონკრეტული (იგულისხმება ლექსის შექმნის პროცესი) დამოკიდებულებისა ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან. განსხვავება შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციისა და მის კონცეპტურ შრეს შორის, ერთი შეხედვით, მიუწვდომელი და შეუმჩნეველია, ამავე დროს მოუხელთებელიც, მაგრამ მისი ამოცნობა, აღწერა და დახასიათება მით უფრო საინტერესოა და აუცილებელი.

კონცეპტის რეალიზაციის საინტერესო მაგალითად გვესახება ბაირონის შემდეგი გამონათქვამი `დონ ჟუანიდან~:

I wish men to be free
As much from mobs as kings.
(11, p. 758)

ბაირონის ზემოაღნიშნული გამონათქვამი სიტყვასიტყვით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: `მე ვისურვებ, რომ ადამიანები იყვნენ თავისუფალნი ბრბოსგან ისევე, როგორც მეფეთაგან~. აღნიშნულ ორ პწკარში, როგორც ვხედავთ, ჩადებულია დიდი პოეტისა და ჰუმანისტის მსოფლხედვა. მისი სწრაფვა პროგრესისაკენ არაა მიმართული მხოლოდ მონარქიის გაუქმებისაკენ, არამედ იმ დიდი და ნათელი მომავლისაკენ, რომელსაც ბრბოსგან განთავისუფლება შეიძლება გულისხმობდეს.

ტატიანა გნედიჩის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში ვკითხულობთ:

Мне хочется увидеть поскорей
Свободный мир без черни и чарей.

თუ ბაირონი ბრბოსგან თავისუფალ ადამიანებს მხოლოდ მომავლის სურვილში (“wish”) წარმოაჩენს, ტ. გნედიჩი ამას იმ სურვილით წარმოგვიდგენს, რომლის ნახვასაც ესწრაფვის პოეტი:

“Мне хочется увидеть поскорей.”

იმედია, მკითხველი დამეთანხმება იმ აზრში, რომ ბაირონი არასოდეს ყოფილა გულუბრყვილო რევოლუციონერი, რომელიც იჩქარებდა ენახა კაცობრიობა ბრბოსგან ისეთივე თავისუფალი, როგორც მეფეთაგან. მოგეხსენებათ, ბაირონი თავისი მრწამსით განმათავისუფლებელია, მაგრამ ბრძენი, და მან მშვენივრად იცის, რომ ამას ვერ მოესწრება. ამ უკანასკნელ აზრში მდგომარეობს ამ ნააზრევის ქვეტექსტი, თუმც, მისი კონცეპტი ამ საუკეთესო მომავლისკენ სწრაფვაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაირონის ეს დიდებული გამონათქვამი ჩვენ შემდეგნაირად ვთარგმნეთ:

მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა _
თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან.

დავუბრუნდეთ წინა თავში ჩვენ მიერ განხილულ ბაირონის ლექსს: `ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მალე მის ჩავორსის გათხოვების შემდეგ~.

`ენსლის სერებო~, _ ასე მიმართავს პოეტი მისთვის ერთ დროს საყვარელ არემარეს, _ `ცივნო და ბერწნო, სადაც გაიქროლა ჩემმა უზრუნველმა ბავშვობამ, როგორ ქრიან სუსხიანი ქარიშხლები~ და ა. შ.

აღნიშნული ფაქტობრივი ინფორმაციის ფონზე გამოიკვეთება ლექსის კონცეპტი როგორც პოეტის გულისწყვეტა, გულისწყრომა, დარდი, იმედგაცრუება, სასოწარკვეთა.

მერი ჩავორსის გათხოვების შემდეგ სრულიად იცვლება პოეტის დამოკიდებულება მისთვის ერთ დროს ესოდენ მშვენიერი არემარისადმი. ყოველივე ამის ფონზე გამოიკვეთა დიდი გარდატეხა, როგორც ნაწილი ნაწარმოების კონცეპტუალური შინაარსისა. ეს ის გარდატეხაა პოეტის ცხოვრებაში, როდესაც წარსული გაცნობიერებულია, მაგრამ გაურკვეველია სევდით აღსავსე მომავალი.

რაც შეეხება აღნიშნული ლექსის რეალიზაციას ზემოთ წარმოდგენილ რუსულ და ქართულ თარგმანებში, კონცეპტი ყველა შემთხვევაში სწორად და მართებულად არის რეალიზებული.

ამ შემთხვევაში სევდა, იმედგაცრუება და დიდი გარდატეხა, როგორც კონცეპტი, ერთი მხრივ, უპირისპირდება, ხოლო, მეორე მხრივ, ერწყმის კიდეც ქვეტექსტს, როგორც შინაარსის განსაკუთრებულ ფენას, რომელზეც დაწვრილებით სპეციალურ თავში შევჩერდებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ამ ლექსში ქვეტექსტური შინაარსი სიყვარულის გაგრძელებას გულისხმობს.

წარსული, იმედი, სიხარული და ენსლი თითქოს ერთ განზომილებაში დარჩნენ, ხოლო მერი ბაირონისთვის როგორც ამ ლექსში, ისევე მთელს მის შემოქმედებაში თუ მის ცხოვრებაში, უფაქიზესი სიყვარულის სიმბოლოდ რჩება.

კონცეპტისა და ქვეტექსტის ანალოგიური დაპირისპირება, რომელიც ამავე დროს მათ რეალიზაციას ემსახურება, შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ბაირონის უფრო გვიანდელ ლექსში: `So we'll go no more a roving" (`და აღარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ~).

So, we'll go no more a roving
So late into the night,
Though the heart be still as loving,
And the moon be still as bright.

For the sword outwears its sheath,
And the soul wears out the breast,
And the heart must pause to breathe,
And love itself have rest.

Though the night was made for loving,
And the day returns too soon,
Yet we'll go no more a roving
By the light of the moon.

(11, p. 100)

ლექსი, როგორც ჩანს, მიმართულია მიჯნური ქალისადმი, მაგრამ გადმოსცემს თვით პოეტის სულიერ განწყობას. ტექსტში ქალის პიროვნება არაა ექსპლიცირებული სათანადო ენობრივი ნიშნით (ნაცვალსახელი "we" მიუთითებს მხოლოდ პირის მრავლობით რიცხვზე, ე. ი. ავტორი და კიდევ სხვა). ქალის, როგორც ტექსტის ერთ-ერთი პარტიის, მონაწილეობა კი ლექსში ფართო კონტექსტის საშუალებით ვლინდება, კერძოდ, სიყვარულის აღმნიშვნელი ცნების სხვადასხვა გრამატიკული ფორმით ხმარებაში გამოიხატება. შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია,

რომელიც გვაწვდის ცოდნას სინამდვილის საგნებისა და მოვლენებისა და მათ შორის არსებული ურთიერთობების შესახებ, გულისხმობს პოეტის მიმართებას ქალის პიროვნებისადმი. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ფართო კონტექსტის საშუალებით ვლინდება.

რამდენადაც კონცეპტი ტექსტის კატეგორიას წარმოადგენს, მისი გამოვლენა ხერხდება ტექსტის იმ ელემენტებში, რომლებიც დასრულებულ აზრს გამოხატავენ. მოცემულ ლექსში ტექსტის ასეთ უმცირეს ელემენტად გვევლინება სტროფი, ხოლო შემდეგ მთელი ლექსი. ტექსტის ცალკეული სტროფის ქვეტექსტის განსაზღვრისას გამოვდივართ ისევ მთელი ლექსის შინაარსიდან, თუნდაც, მისი ფაქტობრივი ინფორმაციიდან, და ამგვარად, ლექსის საერთო ფონი, საერთო შთაბეჭდილება განაპირობებს კონცეპტის დადგენას მის ყოველ ცალკეულ სტროფში. აი, ამიტომ იქმნება აუცილებლობა ლექსის განმეორებითი წაკითხვისა, ყოველ შემთხვევაში, მისი განმეორებითი და მრავალჯერადი გააზრებისა.

ლექსის პირველი სტროფი გადმოგვცემს შემდეგ ფაქტობრივ ინფორმაციას: პოეტს აღარ სურს ისეირნოს მიჯნურთან ერთად მთვარიან ღამეს, მიუხედავად იმისა, რომ მის გულს კვლავ შესწევს სიყვარულის უნარი და მთვარესაც არ მოჰკლებია ჩვეული ელვარება.

ტექსტის ამ მონაკვეთის სიღრმისეული წვდომა მთლიანი ლექსის ფონზე მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად ცხოვრების ჩვეული და ძველებური წესით დინებისა (“Though the heart be still as loving” და ა. შ.), რომლის ენობრივ მარკერებად გვევლინებიან სიტყვები “still” და “as” (ისინი სტროფში ორ-ორჯერ მეორდებიან) და გარესამყაროს ტრიალში თვით პოეტის მონაწილეობისა, პოეტის შინაგან სამყაროში მომხდარა დიდი ცვლილება, რომელმაც მას ეს გადაწყვეტილება მიაღებინა. პოეტის მხრივ გადაწყვეტილების მიღება აქტუალიზებულია ნიშნებით “no more” და “so”. “შო” თავის პოტენციაში დასკვნით სემას შეიცავს და ლექსის წინა პლანზეა წამოწეული _ ტექსტში ის პირველ სიტყვად გვევლინება, ისევე როგორც მის სათაურში. ამგვარად, პოეტის სულიერ სამყაროში მომხდარა ცვლილება, რომელიც მას უფლებას აძლევს, უარი თქვას ადრე მისთვის ჩვეულებრივ მოვლენაზე _ მთვარიან ღამეს მიჯნურთან ერთად გასეირნებაზე, რაც წარმოადგენს *პირველი სტროფის კონცეპტს.*

მეორე სტროფი, პირველ ყოვლისა, თავისი ფაქტობრივი ინფორმაციით და შემდგომ თავისი კონცეპტით, ლოგიკურად აგრძელებს პირველ სტროფს და ხსნის პოეტის სულიერ სამყაროში მომხდარი ცვლილებების არსს. მოვლენათა პერსპექტივის, როგორც ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, მეორე

სტროფი წარმოადგენს ლექსის კულმინაციას და მასში მოთავსებულია კიდეც ლექსის ფილოსოფიური მრწამსის გახსნის ძირითადი შესაძლებლობა.

სიტყვა “for” აკავშირებს პირველ სტროფს მეორესთან და ამით ხაზს უსვამს მეორე სტროფში პირველის მიზეზის არსებობას. აღნიშნული წინდებულის შემდეგ მოდის წინადადება “the sword outwears its sheath”, რომელიც Present Indefinite-ის დროის ფორმაში იხმარება. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში მოცემული მოქმედება გააზრებული უნდა იქნეს როგორც ზოგადი, ე. ი. ხმალს უცვდება ქარქაში და უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე ქარქაში (`გაცვეთისა~ და `უფრო დიდხანს გაძლების~ სემები, როგორც სიტყვის ორი პოტენციური მნიშვნელობის ძირითადი სემები, ამჯერად სიტყვის ერთ ხმარებაში არიან წარმოდგენილნი). Present Indefinite-ში იხმარება არა მარტო პირველი წინადადება, არამედ მთელი სტროფი, რაც ზოგადს ხდის ასევე დანარჩენ მოქმედებებს: ხმალი ცვეთს ქარქაშს, სული ცვეთს მკერდს, გული წყვეტს სუნთქვას და სიყვარულიც ისვენებს. აი, ასეთია სტროფის ფაქტობრივი ინფორმაცია.

აქ შეიძლება შეიქმნას მცდარი სუბიექტური ილუზია პოეტის მოსვენებისაკენ ლტოლვისა, მისი თითქოს ცხოვრებით დაღლისა, რომელიც შემდეგ თავისთავად წარმოქმნიდა პასიურობის და ინერტულობის განწყობას მკითხველში. ასეთი ინტერპრეტაცია კი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ბაირონის სულს, მისი შემოქმედების ძირითად მრწამსს, ეწინააღმდეგება, პირველ ყოვლისა, ლექსის კონცეპტსა და შინაარსს.

მსგავსად ქარქაშიდან ამოღებული ხმლისა, სული ძლიერია, სული, რომელიც ტოვებს ხორციელ არსებას და თავის არსებობას განაგრძობს, სული, რომლის გაგება ბაირონთან მისი რელიგიური ინტერპრეტაციის მიღმა თავისუფლების, ბრძოლის, კეთილშობილური საქმის გაგრძელებას ნიშნავდა. ჩვენ ვიცით, რომ პოეტს სწამდა მისი საქმის უკვდავებისა, სწამდა იმ ბრძოლისა, რომელიც მან თავისუფლების მაღალ იდეალს დაუკავშირა და რომელსაც თავისი პირადი ცხოვრება და სიცოცხლე უსასყიდლო ზვარაკად მიუძღვნა.

სული იცოცხლებს და იარსებებს მსგავსად უქარქაშო ხმლისა (ტექსტში იქმნება `უქარქაშო ხმლის~ კონკრეტული ხატი ქარქაშის გაცვეთისა და ხმლის ხანგრძლივი არსებობის აზრის გატარების შედეგად), სული, რომელიც ამაღლდება მიწიერსა და ხორციელზე. სიყვარული კი, ისეთივე მიწიერი, როგორიცაა თავად ჩვენი არსება, შვებას ითხოვს, რადგან ვერ წვდება მას (სტროფში იქმნება გარკვეული სემანტიკური რიგი სიტყვებისა “heart”, “loving”, “breast”, როგორც მიწიერი ცნებებისა, რომელთაც უპირისპირდებიან ცნებები “sword” და “soul”).

აი ასეთია მეორე და საკვანძო სტროფის კონცეპტუალური ინფორმაცია. ამასთან კავშირში გვახსენდება მისი გამოსათხოვარი ლექსის “On this day I complete my 36 years” (დღეს შემისრულდა 36 წელი) სტროფი, სადაც პოეტის სულის ხატი განსაკუთრებული ჟღერადობითა და სიძლიერითაა წარმოდგენილი:

Awake! (not Greece – she is awake!)
Awake, my spirit! think through whom
Thy life-blood tracks its parent lake
And then strike home!
(11, p. 110)

ბაირონის შემოქმედებისათვის ჩვეული მწუხარება, უდავოა, იგრძნობა ლექსის ყოველ სტროფში, მაგრამ მეორე სტროფი გვამცნობს, რომ მწუხარება სამყაროს ნაადრევი ფილოსოფიური ჭვრეტისა გამსჭვალულია სულის ამაღლების სავსე იმედით. ეს ის ტკივილია, რომელსაც ახლის დანახვის სიხარული ახლავს. ეს ის უფსკრულია, რომლის ხილვა მასზე ამაღლებას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ ბაირონის თხზულებათა სრულ კრებულში ჩვენს საილუსტრაციო ლექსს ახლავს შემდეგი კომენტარი:

`I went to most of the ridottos, and though I did not dissipate much upon the whole, yet I found the sword wearing out the scabbard, though I have but just turned the corner of twenty-nine” – Lord Byron to Mr. Febr. 28. 1817 (`მე თითქმის არც ერთი მეჯლისი არ გამიცდენია, და თუ ვერ ვიტყვი დიდად გავერთე-თქო, იმას მაინც მივხვდი, რომ ხმალს ქარქაში უკვე გასცვეთია, თუმცა, ოცდაცხრა წელს ეს-ესაა გადავაბიჯე.~)

ეს გახლავთ ნაწყვეტი ბაირონის წერილისა ტომას მურისადმი, რომელიც 1817 წლის 28 თებერვლითაა დათარიღებული.

გარდა იმისა, რომ აქ მოყვანილი ნაწყვეტი ბაირონის წერილიდან ასაბუთებს მის ნაადრევ სიმწიფეს, ის, პირველ ყოვლისა, ამტკიცებს ზემოხსენებული კონცეპტის რეალიზაციას _ მეჯლისებზე სიარულს მისთვის, მართალია, სევდა არ გაუქარწყლებია, მაგრამ პოეტი მიხვედრილა, რომ მისი ცხოვრების ქარქაში უკვე გაცვეთილია, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა.

მესამე და დასკვნითი სტროფი კვლავ პირველ სტროფში გატარებულ შინაარსს უბრუნდება, უფრო აძლიერებს და შთამბეჭდავს ხდის მას. გარდა ამისა, ამ სტროფის კონცეპტი აუცილებლად გულისხმობს მიწიერი სიცოცხლის ხანმოკლეობის მომენტს, რომელიც ტექსტში ღამის ხანმოკლეობაშია გადმოცემული _ “Though the night was

made for loving, And the day returns too soon” (`თუმც, ღამე სიყვარულისთვის შექმნილა და დღე ძალიან მალე ბრუნდება~).

ცხოვრება წაუბიძგებს ადამიანს დაეწაფოს მიწიერ სიამოვნებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოეტი მაღლდება მასზე, ამ აზრის მარკერად სიტყვა “yet” გვევლინება. იგი მაღლდება იმიტომ, რომ მისი ცხოვრების ხედვა მომწიფებულია და ის გასცდა გრძნობათა ღელვის სისუსტეს.

პოეტი დგას ვითარცა ამოღებული ხმალი და ხედავს თავისი სულის სიძლიერეს _ *აი, ასეთია ბოლო სტროფის კონცეპტი,* რომელიც თითქოს აგროვებს წინა სტროფების შინაარსობრივ ინფორმაციას და *მთელი ლექსის კონცეპტს გადმოსცემს:* ცხოვრება წარმტაცია, სიყვარული კვლავ მომაჯადოებელი, მაგრამ პოეტის სულში ჩამდგარა ახალი ძალა სიმწიფისა, ძალა მიწიერ ვნებათაღელვაზე ამაღლებისა, რაც ცხოვრების ფილოსოფიურ წვდომასა და ამაღლებული სულის დასაცავად ბასრი ხმლით დგომას ნიშნავს.

1938 წელს ბაირონის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა გივი გაჩეჩილაძის პატარა წიგნი `ბაირონი~, სადაც მთარგმნელი ამავე დროს გვევლინება კომენტარების ავტორად.

შევჩერდეთ ჩვენთვის საინტერესო ლექსზე:

ჩვენ არასდროს აღარ გავალთ

ჩვენ არასდროს აღარ გავალთ
სასეირნოდ ღამით გარეთ,
თუნდ გულს ტრფობა სურდეს კვალად
და დაადგეს ჩვენ გზას მთვარე.

უკვე ქარქაშს ნატრობს ხმალი,
სული მკერდში იწვევს დაღლას,
გულს სიმშვიდის იპყრობს ძალი,
შესვენების გრძნობა ახლავს.

და თუმც სწრაფად სიყვარულში
ჩნდება დილა ღამის მიღმა,
მაინც მთვარის ცისფერ რულში
სასეირნოდ ნუღარ მიხმობ!

(14, გვ. 63)

როგორც ვხედავთ, ლექსის თარგმანში კონცეპტი საპირისპიროდ აღმოჩნდა შეცვლილი. ნაცვლად ქარქაშის გაცვეთისა და ხმლის, ვით სულის მარადიულობისა, აქ დაღლილი ხმალი თვითონ ნატრობს ქარქაშს.

არასწორი ინტერპრეტაცია თავს იჩენს აგრეთვე ლექსის კომენტარის ასევე არასწორ წარმოჩენაში. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ნაწყვეტი ბაირონის წერილიდან ტომას მურისადმი და დავურთეთ მას ჩვენი სიტყვასიტყვითი თარგმანი. რაც შეეხება გ. გაჩეჩილაძის თარგმანის კომენტარს, ის შემდეგნაირია: `ამ პერიოდში ბაირონი სწერდა მურს: `მე ვპოულობ ხმალს, დაღლილს უქარქაშოდ, თუმცა, ახლახან გადავუხვიე ოცდაცხრა წლის კუთხეს~. აღნიშნულ შეცდომას გივი გაჩეჩილაძე თავად გაასწორებს შემდგომ გამოცემებში, სადაც ლექსის თარგმანს უკვე მეორე ვარიანტით შემოგვთავაზებს:

არა, ერთად აღარ გავალთ

არა, ერთად აღარ გავალთ
სასეირნოდ ღამით გარეთ,
თუნდ გულს ტრფობა სურდეს კვალად
და დაადგეს ჩვენ გზას მთვარე.

ხმალი ქარქაშს სცვეთავს თუმცა,
თუმც მკერდსაც ღლის სულის ყოფა,
ამოსუნთქვა უნდა გულსაც,

დასვენება უნდა გრძნობას.

თუმც, ტრფიალში ღამეს კვალად
მალე შესცვლის დილის არე,
მაინც ერთად აღარ გავალთ
მთვარიანი ღამით გარეთ.

(18, გვ. 150)

საყურადღებოა, რომ ს. მარშაკის რუსულ თარგმანში ლექსი კონცეპტისა და ქვეტექსტის სწორი რეალიზაციით არის წარმოდგენილი.

Íå áðîäèòü íàì ââ÷åð öåëûé

Íå áðîäèòü íàì ââ÷åð öåëûé
Ïîä ëóíîé ãäâîåì.
Õîòü ëþáîâü íå îñêóäåëà
È â ïîëÿõ ñâåòëî êàê äíåì.

Ïåðåæèâåò íîæíû êëèíîê,
Äóøà æèâàÿ – ãðóäü.
Ñàìîé ëþáâè ïðèõîäèò ñðîê
Îò ñ÷àñòüÿ îòäîõíóòü.

Ïóñòü äëÿ ðàäîñòè è áîëè
Íî÷ü äàíà òåáå è ìíå –
Íå áðîäèòü íàì áîëüøå â ïîëå
Â ïîëíî÷ü ïðè ëóíå!

(27, ò. II, ñ. 106)

ს. მარშაკის თარგმანები ახალი რუსული მთარგმნელობითი სკოლის აღიარებულ ნიმუშებს წარმოადგენს. ეს სკოლა, მოგეხსენებათ, თეორიისა და პრაქტიკის გამთლიანებას ეყრდნობოდა და საკადრისი ხარისხით გამოირჩეოდა. მისი უპირატესობა, პირველ ყოვლისა, მოქნეულ ლექსსა და დახვეწილ გემოვნებაში მდგომარეობს. საკმარისია, ს. მარშაკის თარგმანი შევადაროთ 1864 წელს გამოქვეყნებული გერბელის თარგმანს,(Äåìyðîàà, 1979, ст. 422.) რომ განსხვავება აშკარა გახდეს:

Íàì íåëüçÿ ïîëóíî÷íûõ ãóëÿíèé
Ïðîâîëæàòü â ÷àñ âñåîáøåãî ñíà,
Õîòÿ ñåðäöå æäåò òåõ æå ñâèäàíèé,
È ëóíà, êàê è ïðåæäå, ÿñíà.

Îò êëèíêà ïðîòèðàþòñÿ íîæíû,
Îò ñòðàñòåé ðàçðûâàåòñÿ ãðóäü:
Íóæåí ñåðäöó ïîêîé íåâîçìîæíûé,
Äà äîëæíà è ëþáîâü îòõîóòü.

È õîòü íî÷ü ñîçäàíà äëÿ ëîáçàíèé,
Òåõ ëîáçàíèé, ÷òî äíþ íå âèäàòü,
Ìû ñ òîáîé ïîëóíî÷íûõ ãóëÿíèé,
Ìèëûé äðóã, íå äîëæíû ïðîâîëæàòü.

ეს თარგმანი არა მარტო სუსტი და მდარე ლექსით არის წარმოდგენილი რუსულ ენაზე, ინტერპრეტაციაც მცდარი და არაადეკვატურია. კონცეპტის რეალიზაციის საკვანძო სტროფს შუა, ანუ მეორე სტროფი წარმოადგენს, სადაც სული, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამშვინველი, ქარქაშის დამცველთ ხმალთანაა შედარებული. ი. გერბელთან კი სული ვნებებამდეა დაყვანილი - “îò ñòðàñòåé ðàçðûâàåòñÿ ãðóäü”. როგორც ჩანს, თუ ერთის მკერდი სულის წრიალით იღლება, სხვისი მხოლოდ ვნებათა თარეშით. ბაირონისათვის სული და ვნება სრულიად განსხვავებული კატეგორიებია. ლექსის ის ინტერპრეტაცია, რომელიც წარმოვადგინეთ, უფლებას გვაძლევს აღნიშნული სტროფი და მთლიანად ლექსი შემდეგნაირად წარმოვსახოთ ჩვენს თარგმანში:

დე, ნუღარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ

დე, ნუღარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ,
ამიერიდან მთვარიან ღამეს,
თუმცა გულს ტრფობა კვლავ არ დაინდობს,
ან რა მოაკლებს ღამით ეშხს მთვარეს,

ხმალს ხომ უცვდება თვისი ქარქაში,
სულის წრიალით იღლება მკერდიც,
გულთან თვით სუნთქვის წყდება თამაში,
და სიყვარულიც ხომ შვებას ელტვის.

თუმც სიყვარული ღამით ზეიმობს,
თუმც აღმოხდების მზე, ვიცით, მალე,
მაინც არ გავალთ ჩვენ სასეირნოდ
ამიერიდან მთვარიან ღამეს.

ბაირონის შემოქმედებაში სულის ამაღლება დროსთან შერკინებას და დროის კატეგორიაზე გამარჯვებას ნიშნავს. თუ ა. პუშკინი თავისი ლექსით ხელთუქმნელ ძეგლს დაიდგამს (ß ïàìÿòíèê ñááå âîçäâèã íåðóêîòâîðíûé), რომ ჟამთა სვლას გაუძლოს, შექსპირი დროს, როგორც სიბერის მომტანს, ლექსში მოქცეულ მარადიულ სიმხნევესა და ახალგაზრდობას დაუპირისპირებს:

Yet do thy worst, old Time! Despite thy wrong,
My love shall in my verse ever live young.

მაგრამ თუ გინდა, შენი ცელით ყველა გათიბე,
ეს ჩემი ლექსი გადაარჩენს მის სინატიფეს.
(თარგმანი რ. თაბუკაშვილისა 24, 19 სონეტი)

And all in war with Time for love of you,
As he takes from you, I engraft you new.

და რადგან ვიცი შენს სიბერეს ვერ გადავიტან,
მე ჩემი ლექსით სიჭაბუკეს ვამყნობ თავიდან.
(თარგმანი რ. თაბუკაშვილისა _ 24, 14 სონეტი)

ბაირონი ებრძვის დროს და მას მთელ თავის არსებას, შემოქმედებასა და სულს უპირისპირებს. ანალოგიურია დროისა და სულის გააზრება გ. ტაბიძის შემოქმედებაში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამჯერად გავიხსენოთ ისევ ბაირონის ლექსი “To Time” (დროს), რომლის სრული ტექსტი ზემოთ, ნაშრომის მეორე ნაწილშია (თავი III) წარმოდგენილი.

ლექსის ფილოსოფიური დანიშნულებაა, რომ პოეტმა გამოიწვიოს დრო, შეერკინოს მას, ამაღლდეს და გაიმარჯვოს მასზე. ამავე დროს ლექსი უაღრესად საინტერესო და ეფექტურია კონცეპტუალური შინაარსის განვითარების თვალსაზრისითაც. ეფექტს აქ ქმნის საკუთრივ ლექსის ბოლო სტრიქონი:

And I can smile to think how weak
Thine efforts shortly shall be shown,
When all the vengeance thou canst wreak
Must fall upon – a nameless stone.

ბაირონის ეს ორმოცსტრიქონიანი ლექსი გრაფიკულადაც ერთ უწყვეტ მთლიანობაშია წარმოდგენილი, რაც მიგვანიშნებს მის დაუნაწევრიანობასა და გამთლიანებაზე. ლექსი თითქოს ერთი ამოსუნთქვით ჩაიკითხება. ყურადღებით წავიკითხოთ ეს ლექსი და დავრწმუნდებით, რომ ოცდაცხრამეტი სტრიქონის მანძილზე აქ ლაპარაკია მხოლოდ მიწიერი ცხოვრების ამაოებაზე, წარმავლობაზე, იმ სევდაზე, რომელიც ნებისმიერ მოაზროვნე მოკვდავს უფლებას აძლევს საკუთარი თავი წუთისოფლის სტუმრად გაიაზროს. ეს ზოგადი განცდა, რასაკვირველია, დრამატიზებულია თვით პოეტის ინდივიდუალური მწუხარებითა და სევდიანი დამოკიდებულებით ცხოვრებასთან.

დროისადმი მიმართული გამოწვევის ყველაზე მკვეთრი აკორდი ლექსის ბოლო სტროფი გახლავთ: “And I can smile to think how weak Thine efforts shortly shall be shown” (და მე შემიძლია გავიღიმო, როდესაც ვფიქრობ, თუ როგორი სუსტია შენი მცდელობანი, რომელთაც შენ უმალ გამოამჟღავნებ) “When all the venqeance – thou canst wreak”, როდესაც მთელი შენი რისხვა, რომელიც შენ შეგიძლია თავს დაატეხო, უნდა დაეცეს (must fall upon) უსახელო ქვას (a nameless stone), ე. ი. მხოლოდ იმ საფლავის ქვას, რომელსაც სახელი არ აწერია, არა აქვს, რაც, რასაკვირველია, უსახელო სიკვდილს გულისხმობს.

აი, როგორი სუსტი და დამარცხებულია *დრო*, რომელიც პოეტმა ორთაბრძოლაში გამოიწვია. ლორდ ბაირონის სახელს დრომ მართლაც ვერაფერი დააკლო, პირიქით, სამუდამოდ დაამკვიდრა და უკვდავყო იგი.

ლექსის ამგვარმა გააზრებამ საშუალება მოგვცა მისი ფინალი შემდეგნაირად გვეთარგმნა:

შენზე ჩემს ფიქრებს ღიმილი თან სდევს,

სუსტი რადგან ხარ, ქედსაც მოიხრი,
რისხვას შენ მხოლოდ იმას დაატეხ,
ვინც უსახელო სიკვდილს მოიმკის.

ჩვენს თარგმანში, როგორც ნათელია, გამოირიცხა შესიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით რეალიზაცია. ლექსის კონცეპტის წარმოდგენილი ინტერპრეტაციის საფუძველზე უსახელო საფლავის ქვა მისი გადატანითი მნიშვნელობის ერთმნიშვნელიანი რეალიზაციით ამეტყველდა ჩვენს თარგმანში. როგორც ვხედავთ, ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ ის დედნისეული ეფექტი, რომელსაც ქმნის შესიტყვება "nameless stone" (უსახელო ქვა) თავისი ორაზროვანი ხმარებით _ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობებით, რადგან თარგმანში შევჩერდით ისეთ სახეზე (მხედველობაშია `უსახელო სიკვდილი~), რომელიც დედნისათვის დამახასიათებელი ორაზროვნებით ვეღარ გათამაშდებოდა ქართულ ტექსტში. ასეთი არჩევანით უპირატესობა მივანიჭეთ კონცეპტის გამოკვეთას, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, სხარტი პოეტური ფორმის გამონახვას ქართულში, რაც არ ეწინააღმდეგება შესიტყვების კონტექსტუალურ მნიშვნელობას (მხედველობაშია დედანი).

სამწუხაროდ, ტატიანა გნედიჩისეულ რუსულ თარგმანში, რომელიც ბოლოდროინდელ ყველა რუსულ გამოცემაშია შეტანილი, კონცეპტი, თამამად შეიძლება ითქვას, წარუმატებლადაა რეალიზებული. მთარგმნელი მიჰყვება კონცეპტუალური შინაარსის განვითარების ხაზს და ბოლომდე ერთგული რჩება იმ პესიმისტური განწყობისა, რომელიც ლექსის ოცდაცხრამეტ ხაზს ახასიათებს, იმ დროს, როდესაც ბაირონისათვის ჩვეული პესიმიზმი აქ ფონის როლს ასრულებს იმ ოთხი ხაზის მიმართ, სადაც პოეტმა დროზე საბოლოო გამარჯვება მოიპოვა.

ზემოთ, ლექსის სრულ ტექსტთან ერთად ჩვენ წარმოვადგინეთ მისი რუსული თარგმანი. ხელახლა მივუბრუნდეთ ამ თარგმანს და ყურადღებით ჩავიკითხოთ ის (ნაწილი II, თავი III).

დამეთანხმებით, ეს სხვა ლექსია, რამეთუ მისი ავტორი დროსთან დამარცხებული ჟამთამჭვრეტელია, რომელმაც კარგად იცის, რომ დრო ყველაფერს გაანადგურებს და გაანადგურებს ბოლოს თვით საფლავის ქვასაც. აი, ასეთია ამ რუსული ლექსის კონცეპტი, რომელსაც აღარაფერი აქვს საერთო დედნისეული ტექსტის კონცეპტთან, სადაც დროის ფენომენთან დიდებული შერკინებაა წარმოჩენილი, ის შერკინება, რომელიც პოეტის მედიდური გამარჯვებით სრულდება. სამწუხაროდ, მთარგმნელი ვერ შესწვდა დედნის სიმაღლეს და საკუთარი წარმოსახვით ვერ გაიზიარა ის. და ეს მოხდა ერთადერთი სიტყვის მნიშვნელობის უგულებელყოფის, მისი არასათანადო წვდომის

გამო. ეს სიტყვა გახლავთ ზედსართავი სახელი “nameless”, რომელიც, როგორც განმსაზღვრელი, ერთვის სიტყვას “stone” და ქმნის შესიტყვებას, რომელიც ტექსტში ორი მნიშვნელობითაა რეალიზებული, ე. ი. `უწარწერო, უსახელო ქვა~, და `უსახელო სიკვდილი~, რომელიც განვითარდა სიტყვის “nameless” მეორე მნიშვნელობიდან, როგორც `უცნობი~, `ნაკლებად ცნობილი~. სიტყვის ეს მნიშვნელობები სათანადოდაა ასახული არა მარტო ინგლისური ენის, არამედ დიდ ინგლისურ-რუსულ ლექსიკონშიც:

nameless:

1. Áåçûìÿííûé; íå èìåþùèé èìåíè, íàçâàíèÿ;

2. Håíàçâàííûé; àíîíèìíûé;

3. Håèçâåñòíûé, ìàëîèçâåñòíûé;

4. Håâûðàçèìûé, íåñêàçàííûé;

5. Hå ïîäàþùèéñÿ ïîèñàíèþ, îòâðàòèòåëüíûé;

6. Håçàêîííîðîæäåííûé.

(ÁÀÐÑ)

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი დაკვირვების ობიექტის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რიგით პირველი და მესამე მნიშვნელობების რეალიზაციას. რაც შეეხება კონცეპტუალურ შინაარსს, ის სიტყვის რიგით მესამე მნიშვნელობის რეალიზაციის საფუძველზე გამოიკვეთა, როდესაც “stone”-s განუვითარდა `სიკვდილის~ მნიშვნელობა, რაც ნაწილობრივ მის ოკაზიონალურ რეალიზაციაზე მიანიშნებს, ხოლო “nameless”-თან ერთობაში შეიქმნა `უსახელო სიკვდილის~ შინაარსი.

ტ. გნედიჩის თარგმანში ინგლისური ზედსართავი “nameless” შეცვალა რუსულმა ზედსართავმა “ðëàäíûé”, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანია `საფლავის ქვის~ ნიშანთაგან, რითაც ერთიანი კონტექსტუალური შინაარსის გაზრდა და ამოზიდვა ვერ მოხერხდებოდა.

დედნისეული შინაარსის რეალიზაციას შედარებით მიუახლოვდა ნ. ხოლოდკოვსკი, რომლის თარგმანი რევოლუციამდელ ბროკგაუზისეულ გამოცემაშია შეტანილი:

È âîò ñ óëûáêîé ìûñëþ ÿ
Êàê áóäåò ãíåâ áåññëåí òâîé,
Êîãäà âñÿ çåìñòü è ìåñòü òâîÿ
Ïîñòèãíåò êàìåíü ëèøü íåìîé.

(26, ò. II, c. 205)

თავისი პირდაპირი მნიშვნელობით შესიტყვება “íåìîé êàìåíü” არ უტოლდება შესიტყვებას “nameless stone”, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით, როგორც აღსავსე

სიჩუმითა და დუმილით (“èñïîëíåíîé áåçìîëâèÿ, òèøèíû”[20]) ის გვაახლოებს მნიშვნელობასთან `საფლავის ქვა, რომელიც არაფერს გვამცნობს~.

შესიტყვების _ “nameless stone” ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის პირდაპირ დადასტურებად, რასაკვირველია, ლექსის ერთიანი კონცეპტის ფონზე, მიგვაჩნია ანალოგიური აზრის გამოხატვა შესიტყვებით “nameless graves”, როგორც `უსახელო საფლავის~ და `უსახელო სიკვდილისა~ ბაირონის შედარებით ადრეულ ლექსში:

Denied in death a monumental stone,
Whilst to the gale in mournful cadence wave
To sighing weeds that hide their nameless grave;
(11, p. 32)

ზემოაღნიშნულს ეხმიანება პოეტის ეს სტრიქონებიც:

Some few who never will be forgot
Shall burst the bondage of the grave.
(11, p. 37)

აქ წარმოდგენილი ლექსის კონცეპტი დადასტურებას პოულობს ბაირონის ერთიან პოეტურ სამყაროში, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ფილოსოფიურ მრწამსში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ მისი ცნობილი სტრიქონები:

Not in the air shall these my words dispperse,
Though I be ashes; a far hour shall wreak
The deep prophetic fulness of this verse,
And pile on human heads the mountain of my curse!
(11, p. 237)

ან

Íî ìåñòü ìîÿ òåïåðü â ìîèõ ñòèõàõ,
Êîãäà ÿ áóäó òëåòü, åùå æèâûå,
Îíè, çâó÷à ïðîðî÷åñêè â âåêàõ,
Ïðåîäîëåâ ïðîñòðàíñòâà è ñòèõèè,
Ïàäóò ïðîêëÿòèåì íà ãîëîâû ëþäñêèå.
(27, ò. II, c. 275)

[20] ñì. Ñëîâàðü ðóññêîãî ÿçûêà, Ì., 1958, ò. 2., ñòð. 627-628.

აგრეთვე, სტრიქონები:

But I have lived, and have not lived in vain:
My mind may lose its force, my blood its fire,
And my frame perish even in conquering pain;
But there is that within me which shall tire
Torture and Time, and breathe when I expire;

(11, p. 238)

Çàòî ÿ æèë, è æèë ÿ íå íàïðàñíî!
Õîòü, ìîæåò áûòü, ïîä áóðåþ íåâçãîä,
Áîðüáîþ ñëîìåí, ðàíî ÿ óãàñíó,
Íî íå÷òî åñòü âî ìíå, ÷òî íå óìðåò,
×åãî íè ñìåðòü, íè âðåìåíè ïîëåò,
Íè êëåâåòà âðàãîâ íå óíè÷òîæèò.

(27, ò. II, ñ. 276)

ეს სტრიქონები, როგორც ზემოთქმულის მტკიცება, `ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობიდანაა~ აღებული. ეს პოემა კი ბაირონის ის ნაწარმოებია, რომელშიც დროის ხატმა განსაკუთრებული ფილოსოფიური ჟღერადობა შეიძინა, და რომლის მეშვიდე გამოცემაში 1814 წელს გამოქვეყნდა თვით ლექსიც “To Time” (`დროს~).

როგორც უკვე ითქვა, სულისა და დროის გააზრება ანალოგიურ გამოძახილს პოულობს გალაკტიონის პოეტურ სამყაროში.

გავიხსენოთ გალაკტიონის ცნობილი ოთხი ტაეპი:

გულო ჩემო მღელვარევ,
სულო ჩემო მყივარო _
ერთი დღეც არ გქონიათ
მშვიდი, უსატკივარო.

(33, გვ. 166)

ივანე ქვაჩახიას თარგმანში ლექსი ასე ჟღერს:

Ñêîìêàíà, ðàñòîïòàíà,
Òû, äóøà ìîÿ, –
Ìèðíîãî, ñïîêîéíîãî
Íå áûëî è äíÿ!

(33, ñ. 167)

თარგმანი სხარტი და პოეტურია, მაგრამ არა დედნისეული. ნუთუ გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ მღელვარე გული საერთოდ ნომინაციის მიღმა დარჩა თარგმანში? რასაკვირველია, არა. გულდასაწყვეტი ისაა, რომ სულის, როგორც ლექსის, ესოდენ ფაქიზი და მნიშვნელოვანი საყრდენის, ინტერპრეტაცია, სრულიად შეიცვალა თარგმანში.

როგორია სულის ინტერპრეტაცია გალაკტიონის სხვა ნაწარმოებებში?

გავიხსენოთ გალაკტიონის ცნობილი ლექსი `შერიგება~:

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

დღეს ყველგან მზეა. ეხლა ამ ბაღებს
და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,
მაისი ალით ააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი, შუქთა მარადი ნთებით:
მე _ მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს _ უმძიმეს იაგუნდებით.

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!

(33, გვ. 36)

`თეთრი აკლდამა~ (სხვა შემთხვევაში `მარმარილო~) გალაკტიონთან საფლავის ქვის მნიშვნელობით იხმარება. ის აქ სიკვდილის სინონიმია, შესაძლოა – სიმბოლოც.

შედგება ფიქრი თეთრ აკლდამაზე
გაუნელებელ ცეცხლის, ნაცარის,
სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე...
ლოგოსი... აზრი მისი, რაც არის.

(`წარწერა წიგნზე~, _ 33, გვ. 180)

ისევე როგორც ბაირონთან, გალაკტიონთანაც სული იმარჯვებს სიკვდილზე, იმარჯვებს ლექსით (მშვენიერების ლექსით მქებელი), და ამგვარი ამაღლებით და მხოლოდ ამაღლებით პოეტი ურიგდება სიკვდილს, მაგრამ სიკვდილს მხოლოდ ფიზიკურს, რამეთუ მარადიული სიცოცხლე მას პოეზიაში ელოდება:

მარმარილოს ქვეშ (მწუხარება უამრავ დროთა!
მე პოეზიამ დავიწყების ცელს ამარიდა).
(`მგლოვიარე სერაფიმები~ _ 33, გვ. 64)

ბაირონის მსგავსად, პოეტი თავისი ლექსით იმარჯვებს დროზე, რამეთუ სწამს, რომ მის ლექსს დავიწყება არ უწერია. ამგვარად, გალაკტიონთან ერთად მკითხველიც ზეიმობს მის გამარჯვებას სიკვდილსა და დროზე (შევადაროთ ბაირონის ზემოთ განხილულ ლექსს `დროს~, სადაც დროზე გამარჯვება პოეტს სახელოვანი სიკვდილით წარმოუდგენია).

კვლავ დავუბრუნდეთ `შერიგებას~, საკუთრივ მის ბოლო სტროფს და შესაბამის რუსულ ინტერპრეტაციას ივ. ქვაჩახიას თარგმანში:

Ïðèìèðåíèå

Óì÷àëè ìàðò ïîëîçüÿ ïîòðà –
Âêîíåö ïîêîí÷åíî ñ íåíàñòüåì...
Êàê Ìîöàðò, ïåñíü ïî áåëó ñâåòó
Íåñó äóøîé, îòêðûòîé íàñòåæü.

Êàçáåê – âëàäûêà äóì âåðøèíîõ,
Ìå÷òàòåëü – âûçâîëåí èç ìðàêà,
È ñêîðî ìàé çàææåò äîëèíû
Îãíÿìè èðèñîâ è ìàêîâ.

Ó íàñ ñ âåðøèíîé ñèíåãëàâîé –
Îäíè è ðàäîñòè è áîëè,
Óâåí÷àí ÿ âåíöîì èç ëàâðà,
Êàçáåê – èç ÿõîíòîâ òÿæåëûõ.

Âîññòàâ èç ïåïëà ñåðäöå áüåòñÿ,
Ëåòèò äóøà íàâñòðå÷ó âåòðó...
Ñåãîäíÿ êðàñîòà è ñîëíöå
Íàñ ïðèìèðÿò – ìåíÿ ñî ñìåðòüþ.

(33, ñ. 37)

ამაღლების დიდი ზეიმი, როგორც ლექსის ძირითადი კონცეპტუალური შინაარსი, მართალია, ბოლო სტროფშია ძირითადად გახსნილი მთელი სიმძლავრით, მაგრამ ის

თანდათან გროვდება და ვითარდება წინა სტროფებში, დაწყებული პირველი სტროფებიდან, სადაც პოეტი საკუთარ პიროვნებას მოცარტს _ ჰანგების ჯადოქარს ადარებს. მეორე სტროფში ის მყინვარს გვიხატავს `ვით მადალ ზრახვათა მეფეს~, რათა მომდევნო სტროფში მას ისევ საკუთარი `მე~ შეადაროს. მას და მყინვარს თურმე გვირგვინებიც ოდნავ მსგავსი აქვთ. (მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ზემოთ წარმოდგენილ რუსულ თარგმანში მსგავსების ეს ნატიფი ელემენტი, საკუთრივ `ოდნავ მსგავსი~, შეუფერებლად აღმოჩნდება ტრანსფორმირებული _ "Ó íàñ ñ âåðøèíé ñèíåãëàâîé îäíè è ðàäîñòè è áîëè").

პოეტი თანდათანობით უახლოვდება ლექსის ძირითად კონცეპტუალურ ჩანაფიქრს _ გამარჯვება იზეიმოს სიკვდილზე ლექსით, პოეზიით, იმ ლექსით, რომელიც მშვენიერების მაქებარია მარად.

რაც შეეხება სტრიქონებს:

"Âîññòàâ èç ïåïëà ñåðäöå áüåòñÿ
Ëåòèò äóøà íàâñòðå÷ó âåòðó..." –

ისინი ვერ ასახავენ იმ კონცეპტუალურ სიმრთელესა და სიღრმეს, რომელიც გალაკტიონის სტრიქონში `ამაღლდი სულო თეთრ აკლდამაზე~ არის მოცემული. თარგმანში დაკარგულია აგრეთვე კონცეპტუალური შინაარსის რეალიზაციის მეორე მნიშვნელოვანი პირობა: სულის ამაღლება, როგორც სიკვდილზე გამარჯვება, ხომ ლექსით ხდება _ `მშვენიერების ლექსით მქებელი~. ეს კი თარგმანში უკუგდებულია. რუსული ტექსტის მიხედვით, ფერფლიდან აღდგება გული, ხოლო სული მიქრის, რათა ქარს მიეგებოს..., რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს სულის ამაღლებას და მის ზეიმს მიწიერი ცხოვრების წარმავლობაზე.

ამ ლექსის თავისუფალი თარგმანის საინტერესო ვარიანტს გვთავაზობს ვლადიმერ ლეონოვიჩი:

Ïðèìèðåíèå

Èãðàåò íåáî îáëàêàìè,
Ïðîñòðàíñòâî äâèæåòñÿ ðûâêàìè –
Êëóáèòñÿ – ðóøèòñÿ – ëåòèò –
Íà ìèã åäèíûé âîïëîòèò

Ìÿòóùóþñÿ äóøó ìàðòà,
Íå ïîçàáîòÿñü ñîðàíèòü....
ß æèçíü âîñïåë è ñìåðòü âîçâûñèë,
È íåò ðàçëàäà ìåæäó íèõ!

Èòàê, ïðåêðàñíî âñå. Èòàê,
Áûë ñíåã è îáëàêà êëóáèëèñü,
À ìåñÿö Ìàé – ïðîõëàäíûé èðèñ.
ß çàãëÿæóñü â ëèëîâûé ìðàê...

(34, ñ. 20)

როგორც ვხედავთ, წინა თარგმანისაგან განსხვავებით, ვლადიმერ ლეონოვიჩი არ მისდევს სტროფს სტროფით ან სტრიქონს სტრიქონით, არამედ სწორედ ძირითადი კონცეპტის ტრანსფორმაციას ისახავს მიზნად, რასაც, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებულად ართმევს თავს:

ß æèçíü âîñïîåë è ñìåðòü âîçâûñèë,
è íåò ðàçëàäà ìåæäó íèõ!

ეს ორი სტრიქონი, გალაკტიონის სულის ამაღლებას რომ ასახავს რუსულ თარგმანში, ვფიქრობთ, ზედმეტ კომენტარს აღარ საჭიროებს თავისი სისრულის, სისწორისა თუ პოეტურობის გამო.

მაგრამ აქვე დგება სხვა საკითხი: მართალია, მთლიანობაში ლექსის კონცეპტი შენარჩუნებულია წარმატებით, მაგრამ რამდენად დაშორებულია თარგმანი ცალკეულ სტროფებში მოქცეული ინფორმატულობისაგან, თუნდაც ისევ კონცეპტის რეალიზაციის თვალსაზრისით. მაგალითისათვის შევეხებით ლექსის პირველ სტროფს, მით უმეტეს, რომ მ. კვესელავას ზემოთ წარმოდგენილ აზრში (II ნაწილი, თავი II) გალაკტიონის თარგმანის სირთულის შესახებ, სტრიქონი `ოცნება, ნახაზი საგანთა უარით~ სწორედ რომ `შერიგების~ პირველ სტრიქონთან ერთად იყო მოყვანილი, საკუთრივ შემდეგთან _ `ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი~. დავუბრუნდეთ დედანს:

`ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
თეთრ სამოსელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით...~…

და შემდეგ:

`დღეს ყველგან მზეა და სილამაზე...
მაისი ალით ააზამბახებს...~

ეს ხომ გაზაფხულის მოსვლაა _ მზიანი, აყვავებული გაზაფხულისა. რა არის `ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი~? ეს არის აუცილებლად მარტის თვის გასვლა და აპრილისა და მაისის მოლოდინი, უფრო ზუსტად – აპრილის მოსვლა და მაისის მოლოდინი. გადავხედოთ ზმნას `გადაჰყვა~ ქართულ ენაში, სადაც მას, ანუ ზმნას `გადაყოლება~ ძირითად პირდაპირ მნიშვნელობასთან (`თან გაყოლება~) ერთად აქვს არაერთი გადატანითი მნიშვნელობა: 1. შეწირვა, მსხვერპლად მიტანა, 2. ზედმეტის გაყოლება, გატანება, ზედმეტის მიცემა (ქსე, ტ. II, 1951).

ლექსის კონტექსტი გამორიცხავს მეორე გადატანით მნიშვნელობას, მაგრამ ააელვარებს მთელი სისრულით პირველს, ე. ი. `შეწირვას, მსხვერპლად მიტანას~.

თუ ვამბობთ `ის დარდს გადაჰყვა~, `ქალი მშობიარობას გადაჰყვა~ და სხვა, რატომაა უცხო, თუ მარტი ქარის ქროლვას შეეწირება, მისი მსხვერპლი გახდება, რაც საოცრად მრავლისდამტევია თავისი ხატოვანებითა და ექსპრესიულობით. ამასთან ერთად, ზმნაში `გადაჰყვა~ აქცენტირდება მიყოლების, გაყოლების შინაარსი: წავიდნენ ქარები, წავიდა მარტიც, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს სტრიქონის შინაარსს.

სამწუხაროდ, ეს ხატი თუ სხვა არაერთი სტრიქონი აუმეტყველებელი რჩება ვ. ლ. ალეინიკოვის თავისუფალ თარგმანში.

შედარებით წარმატებულად გამოიყურება ივ. ქვაჩახიას ვარიანტი როგორც პირველი სტრიქონისა, ასევე მთელი სტროფისა. თუმც, აღსანიშნავია, რომ აქ შეწირვისა და მსხვერპლად მიტანის ასპექტი შინაარსისა გამქრალია.

ლექსის წარმოდგენილი ინტერპრეტაციის საფუძველზე გთავაზობთ პროფ. ი. მერაბიშვილის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანს:

Reconciliation

To windy branches when March yields,
In white costume I’ll be clad,
Like Mozart walking in the wind,
With waves of songs in heart I’ll tread.

The sunny day is full of light
And icy Kaff[21], the king of dreams,
Draws hues of iris from May skies,
As that to lover passion brings.

We both have crowns that look alike,
Eternal light shines over them,

[21] **Kaff** – წინა საუკუნეებში ინგლისურ პოეზიაში კავკასიონი აღინიშნება ამ სიტყვით.

My wreath of laurel is so light,
But Kaff's – of glacial heavy gems.

Oh, spirit, rise over tomb white
With praise of beauty in bard's words:
The sunny day is full of light
To reconcile me with my Death!

(38, p. 29)

დავუბრუნდეთ ისევ გალაკტიონის ოთხტაეპიან ლექსს, რომლის რუსულ თარგმანში სული არის შეკუმშული და გათელილი (ñêîìêàíà, ðàñòîïòàíà...), რაც ეწინააღმდეგება დედნისეული ტექსტის კონცეპტუალურ შინაარსს:

დედნისეული ტექსტის კონცეპტისა და, საერთოდ, შინაარსის რეალიზაცია პარალელური ელემენტების თანხვედრით ხორციელდება. აქ `მღელვარე გულს~ ერთვის განსაზღვრება `მშვიდი~, როგორც საპირისპირო ცხოვრების ამსახველი, `მყვინვარე სულს~ _ `უსატკივარო~, რაც აზუსტებს და ავითარებს ლექსის შინაარსობრივ მოცულობას: პოეტის გული არის მღელვარე, და ამიტომაც, მას არც ერთი დღეც არ ჰქონია მშვიდი, სული პოეტისა მარად განიცდის ტკივილს და ყივის მარად, რამეთუ მას არც ერთი დღე არ ჰქონია უსატკივარო.

როგორც ჩატარებული კვლევა ნათელყოფს, მთარგმნელი ხშირად ეძებს ირიბ, არაპირდაპირ გზებს კონცეპტისა თუ ფაქტობრივ-შინაარსობრივი ინფორმაციის ასახვისა თარგმანის ენაზე, და ამ დროს ნომინირებას უკეთებს არა საგანს, მოვლენას, მოქმედებას თუ საერთოდ კონცეპტს, არამედ მათ მიზეზს, ან მათ შედეგს, მაგალითად, იმ მიზეზს ან იმ შედეგს, რომელსაც მათთან პირადი მენტალური თუ სულიერი ურთიერთობისას თვითონ წარმოადგენს და წარმოსახავს. არცთუ ისე იშვიათად ეს შედეგობრივი მედიტაცია არ ემთხვევა დედნისეულ მონაცემებს და საპირისპირო ან საწინააღმდეგო შინაარსს წარმოშობს.

შტრიქონები _ Ñêîìêàíà, ðàñòîïòàíà / Òû äóøà ìîÿ _ ჩვენი რწმენით, შედეგია იმ მეორადი ნომინაციისა, რომლის უფლებასაც მთარგმნელი აძლევს საკუთარ თავს, როდესაც `მყივარ სულს~ კი არ ასახელებს თარგმანში, არამედ წარმოადგენს, თუ რა მდგომარეობაშია სული, რომელიც ყივის. მისი წარმოსახვით `მყივარი~ სული არის შეკუმშული, არის გათელილი. გალაკტიონის ლექსის ასეთი ინტერპრეტაცია ჩვენთვის არაა უცხო, მითუმეტეს, რომ ზემოთ, მეორე ნაწილის მეორე თავში, უკვე წარმოვადგინეთ ანალიზი ლექსისა, `სილაში ვარდი~, სადაც, პოეტი ვარდზე შემდეგ სიტყვებს ამბობს: `ნება აქვს ზეცას სულ დააჭკნოს ის, ბრბოსაც ნება აქვს, ფეხით გასთელოს!~

მაგრამ გალაკტიონის ლექსში `მღელვარე გულთან~ თანაარსებობს `სული~, რომელიც ყივის არა იმიტომ, რომ ის გათელილია და დათრგუნული, არამედ იმიტომ, რომ მას არ დაუკარგავს ძალა იგრძნოს, განიცადოს და გამოხატოს ტკივილი, დიდი ტკივილი პოეტისა.

ამდენად, მღელვარე გული და `მყივარი~ სული ერთობაში ქმნიან იმ ღრმა შინაარსს, რომელსაც დიდი პოეტის ლექსი ჰქვია.

თავი 3

შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია

IV ნაწილის I თავში ჩვენ განვიხილეთ ბაირონის ლექსი "Hills of Annesley" და მისი შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია. მიუხედავად სიყვარულში დიდი იმედგაცრუებისა თუ უბედობისა, როგორც ლექსის ძირითადი კონცეპტისა, ქვეტექსტის სახით გამოსჭვივის პოეტის გაუნელებელი სიყვარული მერისადმი.

ი. რ. გალპერინის მონოგრაფიაში ქვეტექსტი სუბიექტურ კატეგორიად არის წარმოდგენილი. მისგან განსხვავებით, ჩვენ ქვეტექსტს ობიექტურ კატეგორიად წარმოვადგენთ, რამეთუ ვხედავთ, რომ ის ენობრივი მასალის საშუალებითაა ექსპლიცირებული ტექსტში და მისი ამოცნობაც ამ ფაქტორს ემყარება, რაგინდ სუბიექტური არ უნდა აღმოჩნდეს მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობები.

ლექსში “Hills of Annesley” ბაირონი, მართალია, გულისწყრომით უყურებს მისთვის ერთ დროს სანატრელ ადგილს, მაგრამ თვითონ მერისადმი დამოკიდებულებას არ ცვლის. დაიკარგა იმედი ბედნიერი მომავლისა, მაგრამ მერის მის გულში ისევ ის ადგილი უკავია. იმედის დაკარგვა არაა გამოწვეული მერის მიმართ დამოკიდებულების შეცვლით, მისდამი გულისწყრომითა თუ აღშფოთებით. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, დამოკიდებულება მერისადმი, რასაც ისევ სიყვარული ჰქვია, მტკიცდება ერთი პატარა სიტყვით, ეს სიტყვა გახლავთ პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი “my” (ჩემი) – “Now no more my Mary smiling makes you seem a Heaven to me” – `ამიერიდან ჩემი მერის ღიმილი თქვენს თავს სამოთხედ ვერ მომაჩვენებს~. საყურადღებოა ისიც, რომ ლექსში იქმნება შეფასებითი კონტრასტი _ ბაირონი უარყოფითი ეპითეტებით (“barren”, “bleak” და სხვა) აფასებს ენსლის _ მისთვის ერთ დროს უმშვენიერეს ადგილს, იმ დროს, როდესაც მერის მოიხსენიებს სიტყვით “my” (ჩემი). მერი იყო მისი და დარჩა ასე სამუდამოდ, მიუხედავად მათი ტრაგიზმით აღსავსე ურთიერთობისა. ამას ამტკიცებს პოეტის შემდგომი შემოქმედება და მთელი მისი ცხოვრება.

ისმის კითხვა: შეძლეს თუ არა მთარგმნელებმა ამ უფაქიზესი ფენის შენარჩუნება ლექსის სხვა ენაზე ამეტყველების დროს?

გ. ნიშნიანიძის თარგმანში დედნისეულ შეფასებათა კონტრასტი `ენსლი და მერი~ გადაინაცვლებს სხვაგვარ კონტრასტში, საკუთრივ შემდეგში: ენსლის სილამაზე და სუსხიანი ქარები (`ო, მთაო, მთაო, შენს ლამაზ მკერდზე რა სუსხიანი ქრიან ქარები!~). რაც შეეხება მერის, ის აქ თითქმის მისდამი დამოკიდებულების გამოხატვის გარეშე რჩება. ქართველი მკითხველისათვის ძნელი გასაგებია, როგორია პოეტის ბოლოდროინდელი დამოკიდებულება მერისადმი, რამ გამოიწვია გულისწყვეტა, პროსტრაცია, იმედგაცრუება, რამ ააქროლა მთის `ლამაზ მკერდზე~ `სუსხიანი ქარები~. ისმის კითხვა: ეს არის მერისადმი სიყვარულის კვდომა, თუ კვდომა იმედისა, რომ სიყვარული ბედნიერებით დაგვირგვინდება?

არსებული თარგმანის მიხედვით, დედნის ტექსტის გარეშე, ჩვენი აზრით, ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. აღნიშნული თარგმანით იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტს სურს გარიდება, მთასთან განშორება, რაც ვერ გამოხატავს მერისადმი სიყვარულის გაგრძელებას.

შეფასებათა კონტრასტი _ *ენსლი* და *მერი* _ წარმატებით განხორციელდა ა. ბლოკის რუსულ თარგანში, სადაც მერისადმი დამოკიდებულება და სიფაქიზის

განცდა ჩინებულად გამოხატა ზედსართავმა “ìèëîé”, რომელიც მერის სახელს ერთვის: “Âàì íåáîì äëÿ ìåíÿ â óëûáêå Ìåðè ìèëîé óæå íå çàáëåñòàòü”.

პოეტის უფაქიზესი და ამავე დროს ურყევი დამოკიდებულება მერისადმი პროფ. ი. მერაბიშვილმა გამოხატა ფრაზით `ცისიერი მისი მშვენება~ _ `მერის ღიმილი, ცისიერი მისი მშვენება ვედარასოდეს მომაჩვენებს თქვენს თავს სამოთხედ~.

ქვეტექსტის რეალიზაციის ფრიად საინტერესო მაგალითს გვთავაზობს ბაირონის “Ode to Napoleon Buonaparte” – `ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი~.

ქვემოთ მოგვყავს ნაწარმოების სრული ტექსტი:

I

‘Tis done – but yesterday a King!
And arm’d with Kings to strive –
And now thou art a nameless thing:
So abject – yet alive!
Is this the man of thousand thrones,
Who strew’d our earth with hostile bones,
And can he thus survive?
Since he, miscall’d the Morning Star,
Nor man nor fiend hath fallen so far.

II

Ill-minded man! why scourge thy kind
Who bow’d so low the knee?
By gazing on thyself grown blind
Thou taught’st the rest to see.
With might unquestion’d, – power to save, –
Thine only gift hath been the grave,
To those that worshipp’d thee;
Nor till thy fall could mortals guess
Ambition’s less than littleness!

III

Thanks for that lesson – It will teach
To after-warriors more,
Than high Philosophy can preach,
And vainly preach’d before.
That spell upon the minds of men
Breaks never to unite again,
That led them to adore
Those Pagod things of sabre sway
With fronts of brass, and feet of clay.

IV

The triumph and the vanity,
    The rapture of the strife –
The earthquake voice of Victory,
    To thee the breath of life;
The sword, the sceptre, and that sway
Which man seem'd made but to obey,
    Wherewith renown was rife –
All quell'd! – Dark Spirit! what must be
The madness of thy memory!

V

The Desolator desolate!
    The Victor overthrown!
The Arbiter of others' fate
    A Suppliant for his own!
Is it some yet imperial hope
That with such change can calmly cope?
    Or dread of death alone?
To die a prince – or live a slave –
Thy choice is most ignobly brave!

VI

He who of old would rend the oak,
    Dream'd not of the rebound:
Chain'd by the trunk he vainly broke –
    Alone – how look'd he round?
Thou, in the sternness of thy strength,
An equal deed hast done at length,
    And darker fate hast found:
He fell, the forest prowlers' prey;
But thou must eat thy heart away!

VII

The Roman, when his burning heart
    Was slaked with blood of Rome,
Threw down the dagger – dared depart,
    In savage grandeur, home –
He dared depart in utter scorn
Of men that such a yoke had borne,
    Yet left him such a doom!
His only glory was that hour
Of self-upheld abandon'd power.

VIII

The Spaniard, when the lust of sway

Had lost its quickening spell,
Cast crowns for rosaries away,
An empire for a cell;
A strict accountant of his beads,
A subtle disputant on creeds,
His dotage trifled well:
Yet better had he neither known
A bigot's shrine, nor despot's throne.

IX

But thou – from thy reluctant hand
The thunderbolt is wrung –
Too late thou leav'st the high command
To which thy weakness clung;
All Evil Spirit as thou art,
It is enough to grieve the heart
To see thine own unstrung;
To think that God's fair world hath been
The footstool of a thing so mean;

X

And Earth hath spilt her blood for him,
Who thus can hoard his own!
And Monarchs bow'd the trembling limb,
And thank'd him for a throne!
Fair Freedom! we may hold thee dear,
When thus thy mightiest foes their fear
In humblest guise have shown.
Oh! ne'er may tyrant leave behind
A brighter name to lure mankind!

XI

Thine evil deeds are writ in gore,
Nor written thus in vain –
Thy triumphs tell of fame no more,
Or deepen every stain:
If thou hadst died as honour dies,
Some new Napoleon might arise,
To shame the world again –
But who would soar the solar height,
To set in such a starless night?

XII

Weigh'd in the balance, hero dust
Is vile as vulgar clay;
Thy scales, Mortality! are just
To all that pass away:

But yet methought the living great
Some higher sparks should animate,
    To dazzle and dismay:
Nor deem'd Contempt could thus make mirth
Of these, the Conquerors of the earth.

XIII

And she, proud Austria's mournful flower,
    Thy still imperial bride;
How bears her breast the torturing hour?
    Still clings she to thy side?
Must she too bend, must she too share
Thy late repentance, long despair,
    Thou throneless Homicide?
If still she loves thee, hoard that gem, –
'Tis worth thy vanish'd diadem!

XIV

Then haste thee to thy sullen Isle,
    And gaze upon the sea;
That element may meet thy smile –
    It ne'er was ruled by thee!
Or trace with thine all idle hand
In loitering mood upon the sand
    That Earth is now as free!
That Corinth's pedagogue hath now
Transferr'd his by-word to thy brow.

XV

Thou Timour! in his captive's cage
    What thoughts will there be thine,
While brooding in thy prison'd rage?
    But one – "The world was mine!"
Unless, like he of Babylon,
All sense is with thy sceptre gone,
    Life will not long confine
That spirit pour'd so widely forth –
So long obey'd – so little worth!

XVI

Or, like the thief of fire from heaven,
    Wilt thou withstand the shock?
And share with him, the unforgiven,
    His vulture and his rock!
Foredoom'd by God – by man accurst,
And that last act, though not thy worst,
    The very Fiend's arch mock;

He in his fall preserved his pride,
And, if a mortal, had as proudly died!

XVII

There was a day – there was an hour,
While earth was Gaul's – Gaul thine –
When that immeasurable power
Unsated to resign
Had been an act of purer fame
Than gathers round Marengo's name
And gilded thy decline,
Through the long twilight of all time,
Despite some passing clouds of crime.

XVIII

But thou forsooth must be a king,
And don the purple vest,
As if that foolish robe could wring
Remembrance from thy breast.
Where is that faded garment? where
The gewgaws thou wert fond to wear,
The star, the string, the crest?
Vain froward child of empire! say,
Are all thy playthings snatched away?

XIX

Where may the wearied eye repose
When gazing on the Great;
Where neither guilty glory glows,
Nor despicable state?
Yes – one – the first – the last – the best –
The Cincinnatus of the West,
Whom envy dared not hate,
Bequeath'd the name of Washington,
To make man blush there was but one!

(22; 11; 72-74)

აღნიშნული ნაწარმოების ქვეტექსტის ამოსაცნობად საჭიროა არა მარტო მისი მრავალჯერადი წაკითხვა, არამედ თვით პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების კარგი ცოდნა, განსაკუთრებით ნაწარმოების შექმნის წინაპირობისა, რაც აუცილებლად მისი კონცეპტუალური შინაარსის სწორ გააზრებასაც გულისხმობს.

`ჩაილდ ჰაროლდისა~ და `კორსარის~ ავტორმა, ოცდაექვსი წლის ლორდ ბაირონმა განაცხადა, ლექსის წერაზე ხელი ავიღეო. და ეს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ პოეზიაზე მაღლა იგი საქმეს აყენებდა. `უკეთესი საქმე რომ იშოვოს კაცმა, კალამი ხელში რა ასაღებიაო", _ ამბობდა იგი და იქვე დასძენდა: `იყო პირველი კაცი _

არა დიქტატორი _ არა სულა,[22] არამედ ვაშინგტონი ან არისტიდე _ წინამძღოლი ნიჭით და სიმართლით _ ეს ნიშნავს იყო ღმერთკაცი~.

1814 წლის 9 აპრილს ტომას მურისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: `ლექსებს მეტად აღარ დავწერ, უფრო ზუსტად, მათ ჩემგან ნუღარ ელით. მე მივდივარ ამ სცენიდან და ამიერიდან აღარ მსურს მასხარაობა. მე მქონდა ჩემი დრო და ვიცი, რომ ის დასრულდა... ამ დროებით სახელს იმის ხარჯზე მივაღწიე, რომ საყოველთაოდ მიღებულ აზრებსა და ცრურწმენას კრიჭაში ჩავუდექი, მმართველ ძალას არასოდეს ვეპირფერებოდი და არასოდეს დამიფარავს თუნდაც ერთი აზრი, რომელიც მე ამაღელვებდა...~

იმავე საღამოს ბაირონს გაზეთით შეუტყვია ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომის ამბავი, რასაც ერთიანად შეუძრავს პოეტი: `იქნებ გვირგვინი არც ღირს თავის მოკვლად, მაგრამ როგორ შეძლო აქამდე მისვლა მან, ვინც ლოდის[23] ბრძოლა მოიგო. ამ არსებასთან შედარებით თავი მწერი მგონია, და მაინც გაცილებით პატარა რაიმეს გამო სიცოცხლე გამიწირავს~, _ აღშფოთებული მოთქვამდა ბაირონი, _ `ო, ღმერთო ჩემო! ამ საიმპერიო ალმასს ზადი ჰქონია და ახლა მეშუშეს თუ გამოადგება თავის საჭრელში, თორემ ისტორიკოსის კალამს ის ერთ დუკატადაც არ უღირს. თუმც დღეს ის ყველა თაყვანისმცემელმა მიატოვა და მას ყველა გაურბის, მე ზურგს მაინც არ შევაქცევ~ (Byron, 1972, . 197.).

ნაპოლეონის გადაგომის ამბავმა ბაირონს სიტყვა გაატეხინა. მეორე დილას მას ნიაღვარივით წასკდა რითმები: `ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც მე თავი ფიზიკურად ვერ შევიკავე~, _ წერდა ამის შესახებ პოეტი თავის მეგობარსა და გამომცემელს, ჯონ მარის.

10 აპრილს ბაირონს დღიურში ჩაუწერია: `ყოველდღიურად ვვარჯიშობ კრივში ჯეკსონთან[24] ერთად... რაც უფრო მეტად ვიღლები, მით უფრო უკეთესი განწყობილება მეუფლება. დღეს ერთი საათის მანძილზე ვივარჯიშე, დავწერე ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი _ გადავწერე _ შევჭამე ექვსი გალეტი _ დავლიე ოთხი ბოთლი სოდიანი წყალი...~[25]

---

[22] სულა, ლუციუს კორნელიუს (ძვ. წ. 138-78) – რომაელი სარდალი და დიქტატორი, რომელმაც გაანადგურა მტერი, აღადგინა სენატი და თავისი ნებით გადადგა მმართველობიდან.
[23] ლოდი – ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ნაპოლეონმა ავსტრიის ჯარი დაამარცხა.
[24] ჯეკსონი, ჯონი – ბრიტანული კრივის სიამაყე, დაუმარცხებელი ჩემპიონი, ბაირონის მეგობარი.
[25] იხ. კომენტარები წიგნში: The Poetical Works of Lord Byron, Complete in one volume, New York, 1869, p. 264-265;
ლორდ ბაირონი, ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ინესა მერაბიშვილმა, თბ., 1996.

ასე შეიქმნა `ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი~ _ გენიოსის ცივი გონებითა და მგზნებარე პოეტური განცდით დაწერილი განაჩენი იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ბაირონი კერპადაც მიიჩნევდა.

ბაირონის მიზანია გამოააშკარაოს ნაპოლეონის ავსულობა და სიმწირე (`Dark spirit", "All Evil spirit as thou art", "Nor till thy fall could mortals guess Ambition is less than littleness" და ა. შ.), რათა დაგვანახვოს მისი წარსული დიდებისა და ძალაუფლების ამაოება, რაც `ოდის~ ძირითად კონცეპტს, მის მთავარ კონცეპტუალურ შინაარსს წარმოადგენს. აღნიშნული ნაწარმოები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ კონცეპტი აქ არაერთგვაროვანია: ზემოაღნიშნული კონცეპტი ტექსტში ემიჯნება მეორე კონცეპტუალურ ხაზს, რომელიც მომავლისადმი რწმენაში გამოიხატება:

გთავაზობთ მეათე სტროფს პროფ. ი. მერაბიშვილის თარგმანში:

X

რაც დედამიწამ შენთვის ომში სისხლი დაღვარა!
გაღმერთებული შენს საკუთარს მუდამ ზოგავდი,
წინ მიგიძღოდა გამარჯვებულს ბუკი, ნაღარა
და კანკალებდა უმოწყალოდ შენს წინ მონარქი!
თავისუფლებავ! შენს ხატის წინ ლოცვად ვიდგებით,
რადგან უღირს მტერს აღარ სწყალობს შუქი დიდების,
ნიღაბთან ერთად მან დაკარგა უკვე ქომაგიც.
ღმერთმა არა ჰქნას ოდეს იშვას ქვეყნად ტირანი,
ვინ _ კვლავ ცდუნებით მოუტანოს ხალხს სატკივარი!

(22, gv. 37)

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ბაირონს თექვსმეტი სტროფი შეუქმნია და ბოლო სამი სტროფი მისი გამომცემლის, ჯონ მარის, თხოვნით მიუმატებია, ცხრამეტივე სტროფმა გენიოსის ხელში სრული კომპოზიციური და შინაარსობრივი სიმრთელე შეიძინა და კონცეპტმაც თავის კულმინაციას დასკვნით სტროფში მიაღწია. აქ ჯორჯ ვაშინგტონი არის ის კონტრასტული ფიგურა, რომელიც პოეტმა ნაპოლეონს დაუპირისპირა, როგორც იდეალი მომავალი თაობებისა, კაცი, რომელმაც დათმო ძალაუფლება აღზევების ხანაში, რომელსაც ბაირონმა რომაელი ლეგენდარული პიროვნების დარად `დასავლეთის ცინცინატუსი~ უწოდა. ამავე დროს გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ, როდესაც ბაირონი `ოდაში~ ნაპოლეონს ვაშინგტონს ადარებდა, ამით იგი მიანიშნებდა იმ მარცხზე, რომელიც განიცადა საფრანგეთის რევოლუციამ და რომელიც არასწორი გზით განვითარდა ამერიკის რევოლუციასთან შედარებით.

“To make man blush there was but one” გახლავთ `ოდის~ ბოლო სტრიქონი, რომელიც აუცილებლად ნაპოლეონის პორტრეტის ბოლო შტრიხს გულისხმობს, რათა უფრო გამოკვეთოს, ერთი მხრივ, ჯორჯ ვაშინგტონის ფიგურა, ხოლო, მეორე მხრივ, ნაპოლეონის არსების უკიდურესად უარყოფითი შეფასება. ნაპოლეონის პორტრეტის შავ ფერებს კიდევ უფრო ამძაფრებს ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტის სინათლე:

Yes, – One – the first, – the last, – the best –
The Cincinnatus of the West.

გთავაზობთ ამ სტროფის ი. მერაბიშვილისეულ თარგმანს:

XIX

დიდ პიროვნებებს წარსულისას შევავლოთ თვალი!
სამაგალითოს და საგმიროს ცოტა გვიამბობს.
შეუბღალავი ვინ დატოვა დიდების კვალი,
არადეს იყო ვინ უღირსი და უნიათო?
გამორჩეული სიმამაცით, სინდის-ნამუსით
მოჩანს ბნელეთში დასავლეთის ცინცინატუსი –
ჯორჯ ვაშინგტონი _ ვით ანდერძი, მარად კიაფობს!
ქვეყნად ის იყო ერთადერთი, პირველიც, ბოლოც,
შემარცხვენელი კაცთა მოდგმის ერთია მხოლოდ!

ამდენად, ბოლო სტრიქონი “To make man blush there was but one” ჩვენ მიერ შემდეგნაირადაა ინტერპრეტირებული: ადამიანს უნდა რცხვენოდეს მხოლოდ ერთი კაცის გამო, ანუ ადამიანის შემარცხვენელი ერთია მხოლოდ.

ამ დასკვნამდე მისვლას წინ უძღვის მთელი რიგი შედარებებისა, რამეთუ ბაირონი გვიხატავს გალერეას ძლიერთა ამა ქვეყნისათა: მილონ კროტონელი, ლუციუს კორნელიუს სულა, ესპანეთის მეფე კარლოს I, თემურლენგი. ხოლო XVI სტროფში ნაპოლეონს მან პრომეთე დაუპირისპირა.

XVI

მსგავსად ტიტანის, ვისი მადლით ცეცხლი ანთია,
იქნებ შენც შეძლო ყოველ დარტყმას გმირულად შეხვდე,
განაწამები მიეგები ახალ განთიადს,
ორბმა რომ გკორტნოს მიჯაჭვული ფრიალო კლდეზე!
ღმერთმა გაგწირა, შეგაჩვენა ძემ კაცთა მოდგმის,
შენი დაცემა გრძნეულ ეშმას დღეს სხვას რას მოჰგვრის,
თუ არა ღვარძლით სავსე ღიმილს, კვლავ მსხვერპლს რომ ეძებს;

ზევსთან მებრძოლმა, მან ღირსება რომ არ დაკარგა,
ის თვით მოკვდავიც მოკვდებოდა მხოლოდ ამაყად!

XVI სტროფი გახლავთ ის ნაწილი, რომელშიც მოქცეულია ნაწარმოების ქვეტექსტური შინაარსი _ პოეტის მისწრაფება, რეალობად აქციოს მითი და იხილოს მოკვდავი, რომელიც ისევე ამაყად მოკვდებოდა, ვითარცა პრომეთე: “And, if a mortal, had as proudly died!”

ამდენად, ნაპოლეონთან კონტრასტს ქმნის ორი ფიგურა: პრომეთე და ჯორჯ ვაშინგტონი. ამ უკანასკნელსაც, როგორც მოგეხსენებათ, ბაირონი ღმერთკაცს გაუტოლებს, როდესაც მსჯელობს მისი პრაქტიკული ქმედებისა და ზოგადად სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობის უპირატესობაზე: `იყო პირველი კაცი _ არა დიქტატორი, არა სულა, არამედ ვაშინგტონი ან არისტიდე _ წინამძღოლი ნიჭით და სიმართლით _ ეს ნიშნავს იყო ღმერთკაცი~.

კონტრასტი ამ შემთხვევაში ბაირონისათვის იდეალი და მისწრაფებაა. არის თუ არა ეს მოწოდება მისწრაფებისაკენ, რომელიც სხვას უნდა წაადგეს მაგალითად? რასაკვირველია, არის, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს გახლავთ თვით ბაირონის მისწრაფება ამ იდეალისაკენ.

ორი ანტითეზიდან: `ნაპოლეონი _ პრომეთე~ და `ნაპოლეონი _ ვაშინგტონი~, რაც ლინგვისტურად სათანადოდ გამოხატულია XVI და XIX სტროფებში, იქმნება ფარული აზრობრივი ანტითეზა `პრომეთე _ ვაშინგტონი~, როგორც ობიექტი ავტორის მისწრაფებისა.

ბაირონი ირჩევს პრომეთეს, როგორც ჯერ არარსებულს, არნახულს... არსებულს მხოლოდ მითში, მხოლოდ ლეგენდად. რაც შეეხება ვაშინგტონს, ბაირონი მას რეალურ მოვლენად აღიქვამს და ამაყობს მისი გმირობით. პრომეთე მისთვის ფაქტობრივად მომავლის იდეალია, როდესაც მოკვდავს შეეძლება მოკვდეს ისევე ამაყად, როგორც ეს პრომეთემ გააკეთა, მან, რომელმაც ორთაბრძოლაში თვით ზევსი გამოიწვია.

რა არის ეს, ტიპიური ალუზია, როგორც სტილისტური ხერხი, თუ კიდევ სხვა რამ? ბაირონის შემთხვევაში ალუზია არა მარტო ლიტერატურული ფენომენია, არამედ ძალიან ხშირად თავად ცხოვრების წესია პოეტისათვის, იმ პოეტისათვის, რომელიც მითოლოგიურ გმირებსა თუ ლიტერატურულ პერსონაჟებს ანსახიერებდა ცხოვრებაში.

რომეო და ჯულიეტა ბაირონისა და მერი ჩავორსის სიყვარულში განსხეულდება, ლეანდრის მითი _ ბაირონის მიერ ჰელესპონტის გადაცურვაში, მედეა _ მედეას მსგავსი ქალის ძებნაში და მარგარიტა კონისადმი ტრფიალში და ა. შ. და ა. შ.

რაც შეეხება პრომეთეს, მან უდიდესი გავლენა იქონია პოეტის შემოქმედებაზე. `მანფრედის~ ავტორს არაერთგზის მიანიშნეს ფაუსტის გავლენაზე. ბაირონს კი ასეთი პასუხი მიუგია: `რის ფაუსტი, რა ფაუსტი. მარლოს ფაუსტი არც წამიკითხავს და არც დადგმული მინახავს, გოეთეს `ფაუსტიდან~ მხოლოდ რამდენიმე ადგილი მითარგმნეს. აი, რაც შეეხება ექსილეს `პრომეთეს~ _ ეს სწორედ ისაა, რამაც უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე, პრომეთე ყველაფერშია, რაც კი მე ოდესმე შემიქმნიაო~.

ამდენად, მეთექვსმეტე სტროფში რეალიზდება ნაწარმოების ქვეტექსტური შინაარსი, რომელიც პრომეთესადმი, მისი გმირობისადმი მიწიერ მისწრაფებას ნიშნავს.

ბაირონი, ქმნიდა რა `ოდას~ (merabiSvili, 2005, 264-279), წერდა ტრაგიზმით აღსავსე განაჩენს ნაპოლეონის _ მისთვის ესოდენ სათაყვანებელი პიროვნების მიმართ, და ამავე დროს გამოხატავდა საკუთარ მისწრაფებას იდეალური გმირისაკენ. პრომეთე ახლა მისთვის უკვე ცხოვრების მიზნად იქცა. ამ მიზნის განხორციელებას ბაირონმა ზუსტად ათი წელი მოანდომა დღიდან `ოდის~ შექმნისა. იგი 1824 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა საბერძნეთის ქ. მისოლუნგში. მისი სიცოცხლე საბერძნეთის განთავისუფლებას შეეწირა. იგი იქცა უანგარო პატრიოტიზმის სიმბოლოდ და საბერძნეთის ეროვნულ გმირად. ამ შემთხვევაშიც პრომეთესადმი ალუზია მისი ცხოვრებით გამართლდა. ვითარც პრომეთე, ის, როგორც მოკვდავი, მოკვდა ამაყად...

ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა ის ფაქტი, რომ `ოდის~ ძირითადი ქვეტექსტი, როგორც პრომეთესადმი, მისი გმირობისადმი მისწრაფება გამოხატულებას პოულობს XIV სტროფში, რომელიც ვალერი ბრიუსოვის მიერ სწორად არის ინტერპრეტირებული თარგმანში:

Î, åñëè á òû, êàê ñûí ßïåòà,
Áåññòðàøíî âñòðåòèë âèõðè ãðîç,
Ñ íèì ðàçäåëèâ íà êðàå ñâåòà
Çíàêîìûé êîðøóíó óòåñ!
À íûíå íàä òâîèì ïîçîðîì
Õîõî÷åò òîò ñ íàдмåíûì âçîðîì,
Êòî ñàì ïàäåíüÿ óæàñ ñíåñ,
Îñòàëñÿ â ïðåèñïîäíåé òâåðäûì,
È óìåð áû, – áóäü ñìåðòåí, – ãîðäûì!

(27, c. 69)

ი. მერაბიშვილის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი `ოდისა~ პირველად 1989 წელს გამოქვეყნდა. ამდენად, საქართველოში ბაირონის ამ ნაწარმოებს

მკითხველი XIX საუკუნიდან მოყოლებული ვალერი ბრიუსოვის რუსული თარგმანით ეცნობოდა. ეს თარგმანი ერთადერთია, რომელიც შესულია ბაირონის ყველა რუსულ გამოცემაში, დაწყებული ბროკჰაუზით, დამთავრებული თანამედროვე გამოცემებით.

გალაკტიონ ტაბიძეს უთარგმნია ოდის პირველი ორი სტროფი, მაგრამ ეს თარგმანი შესრულებულია არა ბაირონის დედნისეული ტექსტიდან, არამედ რუსულიდან, ე. ი. ვ. ბრიუსოვის თარგმანიდან. ვითვალისწინებთ რა ნებისმიერი მკითხველის ინტერესს, ქვემოთ მოგვყავს გალაკტიონის თარგმანი ვ. ბრიუსოვის ტექსტითურთ, რომელიც, საოცრად უახლოვდება შინაარსითა და სტილით ვ. ბრიუსოვის ტექსტს. რაც შეეხება გალაკტიონის თარგმანს, ის მხოლოდ ორ სტროფს შეიცავს და ჩვენ აქ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქვეტექსტის, როგორც შინაარსის უფაქიზესი ფენის რეალიზაციაზე.

I

გათავდა! გუშინ მძლეთამძლეობა
გვირგვინოსანი მეფე მეფეთა
დღეს უსახელო ხარ სახეობა,
რომელს დაცემის გზა შეეფეთა.
იგი, ვინც ტახტებს აძლევდი მონებს,
სიკვდილს სწირავდი მთელ ლეგიონებს,
მაშინ შეგეძლო რომ შეგებედა _
ეხლა? დაცემის ასეთის მერე
შენ სცოცხლობ _ როგორც სიცალიერე.

II

უგონოვ! ჰკლავდი მათრახის ცემით,
ვინც შენს წინაშე თავს ხრიდა, ყველას,
დაბრმავებული მწველ დიადემით,
სხვებს უპირებდი თვალთა ახელას.
ჯილდოს მიცემა შეგეძლო დიდი,
შენ კი ერთგულებს მწარეთ უხდიდი,
ბნელი სამარით აძლევდი შველას.
შენ დაგვიმტკიცე, ვით იწურება
არარას სულში მედიდურობა.

(16, ტ. 7, გვ. 193)

აქვე მოგვყავს ვ. ბრიუსოვის შესაბამისი ტექსტი

I

Âñå êîí÷åíî! Â÷åðà âåí÷àííûé
Âëàäûêà, ñòðàõ öàðåé çåìíûõ,
Òû íûí÷å – îáëèê áåçûìÿííûé!

Òàê íèçêî ïàñòü – è áûòü â æèâûõ!
Òû ëü ýòî, ðàçäàâàâøèé òðîíû,
Íà ñìåðòü áðîñàâøèé ëåãèîíû?
Îäèí ëèøü äóõ ñ âûñîò òàêèõ
Áûë ñâåðãíóò áîæèåé äåñíèöåé:
Òîò – ëîæíî íàçâàííûé Äåíèöåé!

II

Áåçóìåö! Òû áûë áè÷ íàä òåìè,
Êòî âûè ïðåä òîáîé êëîíèë.
Îñëåïøèé â ÿðêîé äèàäåìå,
Äðóãèì îòêðûòü ãëàçà òû ííèë!
Òû ìîã áû îäàðÿòü áîãàòî,
Íî âñåì ïëàòèë åäèíîé ïëàòîé
Çà âåðíîñòü: òèøèíîé ìîãèë.
Òû äîêàçàë íàì, ÷òî âîçìîæíî
Òùåñëàâèå â äóøå íè÷òîæíîé.

(27, ò. II, ñ)

რაც შეეხება ვ. ბრიუსოვის სრულ ტექსტს, აქ ქვეტექსტი დედნისეული ტექსტის შესაბამისად როდია რეალიზებული. აი, რაში გამოიხატება ეს: როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ნაწარმოების კონცეპტი, რეალიზაციის თვალსაზრისით, კულმინაციას მეცხრამეტე, ანუ დასკვნით სტროფში აღწევს. აქ მოცემულია ანტითეზა: `ნაპოლეონი _ ვაშინგტონი~. ვაშინგტონი, წარსულის დიდ პიროვნებებთან შედარებული, მიჩნეულია იმ პირველ და უკანასკნელ იდეალურ პიროვნებად, ვისთვისაც დიდება არაა დანაშაულით ნასაზრდოები (`Where neither gilty glory glows”), რომელსაც მტერიც ვერ დაძრახავს (`Whom envy dared not hate”), და რომელმაც საკუთარი ნებით დათმო ძალაუფლება, ანუ რომელიც არის დასავლეთის ცინცინატუსი (`The Cincinatus of the West”).

ვაშინგტონის დიდების ფონზე, იმ დროს, როდესაც ქებისა და ხოტბის ღირსი ვაშინგტონი ერთადერთია, ნაპოლეონიც ერთადერთია, ვის გამოც სირცხვილი იგემა ადამიანმა (“To make man blush there was but one”). ვ. ბრიუსოვის ინტერპრეტაციაში ბოლო სტრიქონი გაგებულია არა როგორც ნაპოლეონის დახასიათება, არამედ როგორც ვაშინგტონისა: “Ïîçîð äëÿ ïëåìåíè çåìíîãî, ×òî Âàøèíãòîíà íåò äðóãîãî!”.

დასკვნითი სტროფის თარგმანს გთავაზობთ სრულად:

XIX

Íî åñòü ëè ìåæ âåëèêèõ âåêà,
Íà êîì ïîêîèòü ìîæíî âçãëÿä,
Êòî âûñèò èìÿ ÷åëîâåêà,

Ïðåä êåì êëåâåòíèêè ìîë÷àò?
Äà åñòü! Îí – ïåðâûé, îí – åäèíûé!
È çàâèñòü ÷òèò òâîи ñåäèíû,
Àìåðèêàíñêèé Öèíöèíàò!
Ïîçîð äëÿ ïëåìåíè çåìíîãî,
×òî Âàøèíãòîíà íåò äðóãîãî!

(27, ò. II, c.70)

აქვე აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ XIX სტროფის პირველივე ხაზი შეიცავს ფაქტობრივი ინფორმაციის ისეთ შეცვლას, რომელიც მოქმედებს კონცეპტის ტრანსფორმაციაზე: იმ დროს, როდესაც `ოდის~ ინგლისური ტექსტი გვთავაზობს მთელ გალერეას ძლიერთა ამა ქვეყნისათა უძველესი დროიდან მოყოლებული ნაპოლეონის ხანამდე, და დასკვნითი სტროფი კიდევ ერთხელ აჩერებს ყველა მათგანზე მზერას: “Where may the wearied eye repose When gasing on the Great”, ვ. ბრიუსოვი წერს: “Íî åñòü ëè ìåæ âåëèêèõ âåêà, Íà êîì ïîêîèòü ìîæíî âçãëÿä”.

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ დასკვნითმა სტროფმა შეაჯამოს წინა სტროფები, აღმოჩნდება, რომ იგი, წინა სტროფებისაგან დამოუკიდებლად, მზერას აპყრობს მხოლოდ XIX საუკუნის დიდ პიროვნებებზე და აქედან გამოყოფს ჯორჯ ვაშინგტონს. ვაშინგტონის მიმართ კი ბრიუსოვი ქმნის შემდეგ დამოკიდებულებას: ვაშინგტონი პირველი და ერთადერთია, და სირცხვილი დედამიწის მოდგმას, რომ მას მეტი ვაშინგტონი არ ჰყავს _ “Äà åñòü! Îí – ïåðâûé, îí – åäèíûé!.. Ïîçîð äëÿ ïëåìåíè çåìíîãî, ÷òî Âàøèíãòîíà íåò äðóãîãî” (იმ დროს, როდესაც ბაირონთან ვაშინგტონი არის ერთი _ პირველი _ უკანასკნელი _ “one – the first – the last – the best”).

ამგვარი ინტერპრეტაციით იქმნება ქვეტექსტი ახალი `ვაშინგტონისადმი~ მისწრაფებისა, რაც ჩრდილავს და აბათილებს დედნისეულ ქვეტექსტს _ მისწრაფებას პრომეთესადმი, მისწრაფებას, რომელიც ავტორისეულია ჭეშმარიტად.

ის, რომ სტროფი “To make man blush there was but one” ეხება ნაპოლეონს, მტკიცდება XI სტროფში მოქცეული ანალოგიური სტრიქონებით:

Some new Napoleon might arise,
To shame the world again

მომავალს იქნებ კიდევ ეშვა სხვა შენებრ დიდი,
თუკი სირცხვილი კაცთა მოდგმას კვლავ უწერია.

XVI სტროფი რუსულ თარგმანში არ გამორიცხავს დედნისეული ტექსტის სწორ რეალიზაციას, მაგრამ მისი დაჩრდილვა ხდება აქცენტის გადატანით სხვა აზრსა და

სხვა შინაარსზე XIX სტროფში. ამდენად, ქვეტექსტი თარგმანის შემთხვევაში აღმოჩნდება არასათანადოდ რეალიზებული მხოლოდ იმიტომ, რომ გაყალბდა ტექსტი XIX სტროფში. ეს სტროფი კი, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მთელი ნაწარმოების კონცეპტს იტევს.

თავი 4
ალუზია, არა მხოლოდ როგორც სტილისტური ხერხი, არამედ, როგორც ცხოვრების წესი

ბაირონის პოეზია უმშვენიერესი მაგალითია ტექსტისა, რომელიც რემინისცენციებისა და ალუზიების სიუხვით გამოირჩევა. ბაირონის ცნობიერებაში მთელი სამყარო გარდატეხილა, როგორც შედეგი მისი ინტენსიური კითხვისა და განსაკუთრებით შთამბეჭდავი წარმოსახვისა. თუმც, ჩვენი ღრმა რწმენით ბაირონის შემთხვევაში ალუზია, როგორც სტილისტური ხერხი, უნიკალურ შინაარს იძენს, როდესაც პოეტი არა მარტო ქარაგმით მოუხმობს მითოლოგიურ, ბიბლიურ, ლიტერატურულ და ისტორიულ სახეებს, არამედ მისტიკურ ურთიერთობაში შედის მათთან და ხშირად შეჯიბრში იწვევს, რათა მათი ცხოვრების რეინკარნაცია მოახდონოს. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ მოწამეობრივი ცხოვრებისა და გმირული აღსასრულის გამო ბრიტანელმა პროფესორმა გ.ვ. ნაითმა (G. W. Knight) ლორდ ბაირონი იესო ქრისტეს შეადარა.

გადავავლოთ კიდევ ერთხელ თვალი ბაირონის ცხოვრებას.

ტომას მურის თანახმად, 5 წლის ასაკში ბაირონი ხარბი და გაუმაძღარი მკითხველია. 8 წლის ასაკში მას უკვე რამდენიმეჯერ აქვს გადაკითხული ძველი მსოფლიოს ისტორია, ძალიან მოწონს „არაბული ღამეები“ და თითქმის ზეპირად იცის ბიბლია. ნაპოლეონი მას მოსვენებას არ აძლევს. მისი იდეები ნაპოლეონზე შთაგონებულია ექსცენტრული დედის, მისის ბაირონის, მიერ, რომელიც აღრფთოვანებას ვერ ფარავდა ნაპოლეონის მიმართ.

ათი წლის ასაკში ჯორჯ ბაირონმა მემკვიდრეობით მეექვსე ლორდ ბაირონის ტიტული და ნიუსტედის სააბატო, საგვარეულო ციხე-დარბაზი, მიიღო V ლორდ ბაირონისაგან მემკვიდრეობით. ოჯახის ადვოკატმა, მისტერ ჰანსონმა, ბაირონს დაათვალიერებინა თვალუწვდენელი არემარე და მათ მომიჯნავე მამულში, ენსლი ჰოლშიც (Annesly Hall), თავად წაიყვანა. ეს იმ ჩავორსების მამული გახლდათ, რომელთა წინაპარი სრულიად უმიზეზოდ მოკლა დუელში

„ბოროტ ლორდად“ წოდებულმა მეხუთე ლორდ ბაირონმა. მიუხედავად ამისა, ჩავორსების ოჯახი ახალ მეზობელს შუბლგახსნილი შეგებებია. განსაკუთრებით გახარებია მათი სტუმრობა პატარა გოგონას, მერი ენ ჩავორსს, რომელიც ბაირონზე ორი წლით უფროსი ყოფილა.

„აი, ვინ უნდა შეირთო ცოლად, როცა გაიზრდები. მამულებს გააერთიანებთ და ბედნიერად იცხოვრებთ“, – უთქვამს მისთვის ჰანსონს. კარგად ნაკითხ ბიჭუნას პასუხი არ დაუყოვნებია: „რას ბრძანებთ, მისტერ ჰანსონ, სად გაგონილა მონტეგისა და კაპულეტის შეუღლებაო?“

ვინაიდან ნიუსტედი საცხოვრებლად მიუღებელი აღმოჩნდა, მისის ბაირონი და მისი ვაჟიშვილი ქალაქ ნოტინგემში, ნაქირავებ ბინაში დასახლდნენ. 1801 წელს ჯონ ჰანსონის დახმარებით ჯორჯი ლონდონის მახლობლად ჰაროუს სახელგანთქმულ კერძო სკოლაში მიაბარეს.

ჰაროუს სკოლაში, როგორც დღეს, ისევე იმხანადაც, მხოლოდ გამოჩენილი და მდიდარი ოჯახის შვილები სწავლობდნენ. მათ პოლიტიკური და დიპლომატიური კარიერისათვის ამზადებდნენ.

ჰაროუს სკოლაში სწავლისას ბაირონზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პრომეთესა და მედეას მითი.

პრომეთესა და ამირანს შორის არსებული ტიპოლოგიური მსგავსება მითოლოგიაში საშუალებას გვაძლევს სულიერი სიახლოვე ამოვიკითხოთ ბაირონსა და საქართველოს შორის.

ბაირონის აზროვნებაში პრომეთესეული მსოფლგაგების სიძლიერეზე მეტყველებს მის მიერ 1816 წლის ივლისში დიოდატში დაწერილი ლექსი „პრომეთე”. ეს ლექსი ბაირონმა უკვე მოწიფულ ასაკში დაწერა და იგრძნობა კიდეც პოეტურ სახეთა სიძლიერითა და დახვეწილობით, რომ ლექსის ავტორი, მართლაც, შესანიშნავად ძერწავს აჯანყებული სულის სახებას. სწორედ ამ პერიოდში სამშობლოდან დევნილმა პოეტმა დაწერა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: პოემები, სატირები, დრამები. ამ პერიოდში ბაირონი ლექსებს ნაკლებად წერდა და ვფიქრობ, ეს გარემოებაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბაირონს საოცრად აინტერესებდა პრომეთეს სახე.

საყურადღებოა, რომ იმავე წელს ე.ი. 1816წ. და იმავე თვეში — ივლისში ბაირონი წერს ლექსს, „წყვდიადი”. ლექსის შინაარსი ასეთია: პოეტი ხედავს სიზმარს, უფრო ზუსტად ხილვას, რომ თიქოს ჩაქრა მზე და დედამიწაზე ათასი აპოკალიფსური უბედურება დატრიალდა. მხოლოდ ერთადერთი ძაღლი

რჩება თავისი ბატონის გვამის ერთგული და პატრონის ხელის ლოკვაში გარდაიცვალა. მხოლოდ ორი მოქალაქე გადარჩა დიდებული დედაქალაქიდან, რომლებიც ძველად მტრები იყვნენ. ისინი ერთმანეთს საკურთხეველთან შეხვდნენ, ცეცხლი გაჩხრიკეს და როცა ერთმანეთი იცვნეს ამ საშინელებისაგან ორივემ განუტევა სული, მასთან ერთად მთელი სამყარო დაიღუპა – მოკვდა მთვარე, გაქრა, ქარი და ღრუბლები, არ სჭირდებოდა წ'ვდიადს მათი დახმარება, იგი ყველგან მეფობდა.

სწორედ ამ უსაზღვრო მწუხარების ფონზე უფრო საოცრად იკითხება ლექსი, „პრომეთე", რომელიც, თითქოს, ამ „წყვდიადში" აღწერილი მწუხარების წინააღმდეგ აჯანყებული პიროვნებისადმი მიძღვნილ ქებად შეიძლება აღვიქვათ. ჩემი აზრით, ბაირონის პრომეთე ესქილეს პრომეთესაგან განსხვავდება. ბაირონის ლექსში, პრომეთე, ისეთივე ლაღი ბუნების გმირია, როგორც ქართული ხალხური თქმულების ამირანი. ესქილეს პოემაში პრომეთეს ვრცელი მონოლოგები უფრო საკუთარ დამსახურებათა ჩამოთვლაა, ქართულ თქმულებაში ამირანი ღმერთთან მოდავე პიროვნებად გვევლინება. უკვე ყველა ბოროტ არსებაზე გამარჯვების მერე იგი ლაღი მზიური გმირია და ის, რომ ამირანის ერთგული ძაღლი ჯაჭვს ლოკავს და ამით წვრილდება ჯაჭვიც, თითქოს იმედიც არის, თუმცა დიდ ხუთშაბათს მჭედლები გრდემლზე ჩაქუჩს დაჰკრავენ და ამით ამრთელებენ.

ბაირონი პრომეთეს სწორედ ხალხური გმირის სახით მოიაზრებს, იგი ასე მიმართავს გმირს:

"Titan! to whose immortal eyes

The sufferings of mortality,

Seen in their sad reality,

Were not as things that gods despise;

What was thy pity's recompense?"

„ტიტანო ღმერთო! შენი თვალის უკვდავი სხივი

სხვა მოკვდავების წამებას და მოწამვლას სისხლის

და სავალალო სახეების შორეულ კივილს

სხვა ღმერთებივით არ უმზერდნენ რისხვით და ზიზღით,

მაგრამ რა მოგცეს სიბრალულის სანაზღაუროდ? (ბაირონი, 1965).

პოეტის თქმი, პრომეთემ სიკეთის ნაცვლად მხოლოდ ტანჯვა მიიღო. „ამირანის" თქმულებაშიც ამირანი იტანჯება, მას ღმერთი სჯის ამპარტავნობისთვის, ივიწყებს მის დამსახურებას ადამიანთა მოდგმის წინაშე. ბაირონი პრომეთეს სასჯელს განიხილავს, როგორც სასჯელს სიკეთისათვის.

"Thy God crime was to bekind,

To render with thy precepts less

The sum of human wretchedness".

„ მაგრამ ეს ჯილდოც გადიტანე და გრიგალებთან

შენი უთქმელი სულის გმინვა მზესავიტ ბრწყინავს".

ბაირონის მიხედვით ღმერთი პრომეთეს სიკეთისათვის სჯის და შემდეგ, როცა ღმერთი—ზევსი თავის ბედისწერას ეკითხება, პრომეთე არ პასუხობს, მაგრამ ზევსი მისი დუმილით ხვდება თავის ბედისწერას.

საინტერესოა, რომ მითის ბერძნულ ვერსიაში უფრო წინ არის წამოწეული თვით ზევსისა და პრომეთეს დაპირისპირება და არა პრომეთეს სიკეთის ყოვლისმომცველობა, ამირანი კი პრომეთეს მსგავსად მებრძოლი სულის ადამიანია.

ბაირონისეული მებრძოლი სული, მსოფლიო მწუხარება განსაკუთრებული სიძლიერითაა ასახული დრამატულ პოემაში, „მანფრედი". ბაირონის თანამედროვენი დიდ მსგავსებას პოულობდნენ ბაირონის „მანფრედსა" და ფაუსტის თემას შორის, განსაკუთრებით კი გოეთეს „ფაუსტს" შორის, მითუმეტეს, რომ ორივე ნაწარმოები ერთსა და იმავე ეპოქაში შეიქმნა და ორივე ცოდნის პრობლემაზე აღმოცენებული ტრაგედიის მატარებელი გახლდათ. ამის საპასუხოდ ბაირონი წერდა თავის გამომცემელს და მეგობარს, ჯონ მარის: „რის ფაუსტი, რა ფაუსტი. მარლოს „ფაუსტი" არც კი წამიკითხავს, დადგმულიც არსად მინახავს. გოეთეს „ფაუსტიდან" კი მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი მითარგმნეს ზეპირად. იქიდან ზოგიერთი მომეწონა, ზოგიერთი კი არა. ხოლო რაც შეეხება ესქილეს „პრომეთეს", ეს სწორედ ისაა, რამაც ბავშვობიდანვე შემძრა. ეს იმ ბერძნულ პიესათაგანია,

რომელსაც ჰაროუს სკოლაში წელიწადში სამჯერ მაინც ვკითხულობდით. ამ პიესებიდან ჩემს სულს მხოლოდ ორი ეხმიანებოდა – „პრომეთე“ და „მედეა“. თუ „პრომეთეს“ მონაწილეობა მე ყოველთვის არ დამისახავს შემოქმედებითი გეგმებით, ის იმდენადაა ჩემში გამჯდარი, რომ დღეს არცთუ ძნელი მისახვედრია, რაოდენ დიდია მისი გავლენა ყველაფერზე, რაც კი ოდესმე დამიწერია“. ჭეშმარიტად პრომეთესეული ცეცხლი ანთია მანფრედის ხასიათში და პრომეთესეულია მისი მოქმედების ასპარეზიც.

ბაირონის ალუზიათა და რემინისცენციათა დიდ გალერეაში განსაკუთრებით მაინც პრომეთე გამოირჩევა. ის ისეთივე გზნებით ეძებს პრომეთეს რეალობაში, როგორც ეძებს მედეას პირად ცხოვრებაში.

და მაინც, რით იყო გამოწვეული ბაირონის მეამბოხე სულის კავშირი პრომეთე-ამირანსა და ნაპოლეონს შორის. რამ წაიყვანა იგი საბერძნეთის წმინდა მიწის დასაცავად?

ბაირონს დიდი ყალისხმევა არ დასჭირვებია, რომ თავის თანამედროვე ეპოქაში პრომეთეს საკადრისი პიროვნება ამოეცნო. იმ დროისათვის, როდესაც ბაირონმა სასკოლო ასაკს მიაღწია, ნაპოლეონ ბონაპარტე უკვე დომინირებს ევროპაში. თვალი გადავავლოთ თუ რა აკავშირებს ერთმანეთთან ნაპოლეონსა და ბაირონს.

ნაპოლეონის ბიოგრაფიაში 1796 წლის 10 მაისი განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, როდესაც ნაპოლეონმა ავსტრიელები დაამარცხა იტალიის ჩრდილოეთი და ლოდის ბრძოლა მოიგო, ამით პირველად გამოაფხიზლა ევროპა. მაშინ 26 წლის გენერალი თეთრ ცხენზე ამხედრებული დაჰქროდა. გამარჯვებით შთაგონებულმა მან მილანში 5 დღის შემდეგ ახალი ტრიუმფი იზეიმა. ავსტრიელთა ჯარების დამარცხება ძველი იდეების დამარცხებას მოასწავებდა. თავგანწირვა ახლა უკვე მოდად ქცეულიყო. ტომას მურის თანახმად 5 წლის ასაკში ბაირონი გაუმაძღარი, ხარბი და ყოვლის შთანმთქმელი მკითხველია. 8 წლის ასაკში მას ნაპოლეონი მოსვენებას არ აძლევს. მისი იდეები ნაპოლეონზე დიდად არის შთაგონებული მისი ექსცენტრიული დედის, მისის ბაირონის მიერ, რომელიც აღფრთოვანებას ვერ ფარავს ნაპოლეონით.

მეორე მოვლენა, რამაც ახალგაზრდა ბაირონზე დიდი ზეგავლენა მოახდინა, იყო ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობა, რომელსაც თავად ნაპოლეონზე მოუხდენია დიდი ზეგავლენა. „მაღალ რეპუტაციას მხოლოდ აღმოსავლეთში შეიძლება მიაღწიო”, – უთქვამს მას, და კიდევ: „ეგვიპტეში გატარებული დრო უმშვენიერესი ხანაა ჩემი ცხოვრებისაო”.

1789 წელს საფრანგეთის რევოლუციამ, რომელმაც გზა მისცა დესპოტიზმის განადგურებას, მზერა აღმოსავლეთისაკენ მიაპყრო. ინგლისისა და საფრანგეთისათვის აღმოსავლეთი იყო ის ადგილი, რომელზედაც წერდნენ და რომლისკენაც მიისწრაფვოდნენ, თუმცა 1803-05 წლებში ბრიტანეთში შეინიშნება შიში იმისა, რომ ნაპოლეონი ინგლისში შემოაღწევს. აპოლეონმა, რომელმაც წარმატებით დაამხო მონარქები და გაანთავისუფლა ჩაგრული ხალხი, ლიბერალურად მოაზროვნე ახალგაზრდა ლორდისათვის კერპად იქცა. ამ ანტიფრანგულ და ანტინაპოლეონურ კონტექსტში 15 წლის ბაირონი გაშმაგებით იცავს ნაპოლეონისეულ ბიუსტს იმ სტუდენტებისაგან, რომლებიც მის დამსხვრევას ლამობენ.

ბაირონს არ აშინებდა დროისა და სივრცის მანძილი, როცა სურს განახორციელოს და გააცოცხლოს თავისი ცხოვრებით ძლიერნი ამა ქვეყნისა. და მაინც, ნაპოლეონი ხომ ისაა, ვინც ძალიან ახლოა – დროშიც, სივრცეშიც და იდეებშიც.

ბაირონის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი რულია. ბაირონი ნაპოლეონს პრომეთესთან აიგივებს და, ამავე დროს, თავად მიისწრაფვის ნაპოლეონისაკენ, რამეთუ ის განმათავისუფლებლად მიაჩნია. როგორც ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, დევიდ მარკჰამი, აღნიშნავს, „ბაირონი იყენებს ნაპოლეონს, რათა მისგან გმირი შექმნას. ის ცდილობს ნაპოლეონის მითი ჩამოაყალიბოს. ამავე დროს იგი ყურადღებით ადევნებს თვალს მისი კარიერის ისტორიულ განვითარებას&# (Makham, 1996, .662)

თუმცა, ნაპოლეონის მითი მის სიცოცხლეშივე არსებობდა, გავრცელებული იყო ხმები, რომ მას რაღაც ზებუნებრივი ძალა მართავდა და ის უძლეველი იყო.

ყოველივე ეს ბაირონს საშუალებას აძლევს ერთმანეთისაგან განასხვავოს დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი და კონტინენტზე დომინირების აზრით შეპყრობილი იმპერატორი.

ბაირონი არაფრის იდიალიზებას არ ახდენს. მისი სიტყვებია: „მე არაფერს ვუარყოფ, მაგრამ ყველაფერში ეჭვი შემაქვს". იგი ამბივალენტურია არა მარტო საკუთარი დედისა და სამშობლოს მიმართ, არამედ საბერძნეთისა და ნაპოლეონის მიმართ. ბაირონი აღფრთოვანებაში მოჰყავს ნაპოლეონის ძალაუფლებას, როდესაც ის განმათავისუფლებლად გვევლინება, მაგრამ ბაირონი გულწრფელად უბედურია მაშინ, როდესაც ნაპოლეონი თავადვე შეურაცყოფს თავის ძალაუფლებას.

დროთა განმავლობაში ბაირონიც იმ პოეტთა რიგში ჩადგება, რომლებიც არ პატიობენ ნაპოლეონს დამპყრობლურ მოქმედებას. მათ შორის არიან კოლრიჯი, საუთი, ვოდსვორთი, სკოტი, შელი. ნაპოლეონით იმედგაცრუებულ ბაირონს მოთხოვნილება უჩნდება თავად ჩაიდინოს საგმირო საქმენი. ეს მას ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე პოეზიის შექმნა. „ჩაილდ ჰაროლდისა" და „კორსარის" ავტორმა 26 წლის ლორდ ბაირონმა განაცხადა: „ლექსის წერაზე ხელი ავიღე, უკეთესი საქმე რომ იშოვოს კაცმა, კალამი ხელში რა ასაღებიაო" და იქვე დასძენდა: „იყო პირველი კაცი – არა დიქტატორი – არა სულა[26] არამედ ვაშინგტონგი ან არისტიდე – წინამძღოლი ნიჭით და სიმართლით, ეს ნიშნავს იყო ღმერთკაცი." ხოლო 1814წ. 9 აპრილს მას ტომას მურისათვის მიუწერია: „ლექსებს მეტად აღარ დავწერ, უფრო ზუსტად, მათ ჩემგან ნუდარ ელით. მე მივდივარ ამ სცენიდან და აღარ მსურს მასხარაობა. მე მქონდა ჩემი დრო და ვიცი, რომ დასრულდა ... ამ დროებით სახელს იმის ხარჯზე მივაღწიე, რომ საყოველთაოდ მიღებულ აზრებსა და ცრუ რწმენას კრიჭაში ჩავუდექი, მმართველ ძალას არასოდეს ვპირფერობდი და არასოდეს დამიფარავს თუნდაც ერთი აზრი, რომელიც მე ამაღელვებდა&# (Byron, 1972; . 197).

იმავე საღამოს ბაირონს გაზეთით შეუტყვია ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომის ამბავი, რასაც ერთიანად შეუძრავს პოეტი. იგი წერს დღიურში: „იქნებ გვირგვინი არც ღირს თავის მოკვლად, მაგრამ როგორ შეძლო აქამდე მოსვლა მან, ვინც ლოდში ბრძოლა მოიგო, ამ არსებასთან შედარებით თავი მწირი მგონია, და მაინც, გაცილებით პატარა რამის გამო სიცოცხლე გამიწირავსო. ჰ, ღმერთო ჩემო! ამ საიმპერიო ალმაზს ზადი ჰქონია და ახლა ის მეშუშეს თუ გამოადგება თავის საჭრელში, თორემ ისტორიკოსს ის ახლა ერთ დუკადადაც აღარ უღირს. თუმც, დღეს ის ყველა თაყვანისმცემელმა მიატოვა და ყველა გაურბის, ზურგს მე მას მაინც არ შევაქცევ." სწორედ ნაპოლეონის გადადგომის ამბავმა გაატეხინა სიტყვა ბაირონს და მეორე დღეს მას ნიაღვარივით წასკდა რითმები. მის დღიურში ვკითხულობთ: „ვივარჯიშე კრივში ჯეკსონთან ერთად, რაც უფრო მეტად ვიღლები, მით უფრო უკეთესი განწყობილება მეუფლება. დავწერე „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი", გადავწერე, შევჭამე 6 გალეტი, დავლიე 4 ბოთლი სოდიანი წყალი." აი, ასე შეიქმნა „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი" –''ODE TO NAPOLEON BUONAPARTE'',

[26] სულა, ლუციუს კორნელიუს (ძვ.წ.138-78) – რომაელი სარდალი და დიქტატორი, რომელმაც გაანადგურა მტერი, აღადგინა სენატი და თავისი ნებით გადადგა მმართველობიდან

უმკაცრესი განაჩენი ნაპოლეონის მიმართ, რომელიც კი ოდესმე გადმოცემულა პოეტური ენით.

საქართველოში ბაირონის ამ ნაწარმოებს მკითხველი XIX საუკუნიდან მოყოლებული ვალერი ბრიუსოვის რუსული თარგმანით ეცნობოდა. ეს თარგმანი ერთადერთია, რომელიც შესულია ბაირონის ყველა რუსულ გამოცემაში, დაწყებული ბროკჰაუზით, დამთავრებული თანამედროვე გამოცემებით, ბუნებრივია, გამომდინარე იქიდან, რომ არის ერთ-ერთი უძლიერესი რუსული თარგმანი ბაირონიდან.

გალაკტიონ ტაბიძეს უთარგმნია ოდის პირველი ორი სტროფი, მაგრამ ეს თარგმანი შესრულებულია არა ბაირონის დედნისეული ტექსტიდან, არამედ რუსულიდან, ე. ი., ვ. ბრიუსოვის თარგმანიდან. აქვე მოგვყავს გალაკტიონის თარგმანი:

I

‘Tis done – but yesterday a King!
And arm’d with Kings to strive –
And now thou art a nameless thing:
So abject – yet alive!
Is this the man of thousand thrones,
Who strew’d our earth with hostile bones,
And can he, thus survive?
Since he, miscall’d the Morning Star,
Nor man nor fiend hath fallen so far.

II

Ill-minded man! why scourge thy kind
Who bow’d so low the knee?
By gazing on thyself grown blind
Thou taught’st the rest to see.
With might unquestion’d, – power to save, –
Thine only gift hath been the grave,
To those that worshipp’d thee;
Nor till thy fall could nortals guess
Ambition’s less than littleness! (მერაბიშვილი, 1995, 9-12).

I

გათავდა! გუშინ მძლეთამძლეობა
გვირგვინოსანი მეფე მეფეთა
დღეს უსახელო ხარ სახეობა,
რომელს დაცემის გზა შეეფეთა.

იგი, ვინც ტახტებს აძლევდი მონებს,
სიკვდილს სწირავდი მთელ ლეგიონებს,
მაშინ შეგეძლო რომ შეგებედა –
ეხლა? დაცემის ასეთის მერე
შენ სცოცხლობ – როგორც სიცალიერე.

II

უგონოვ! ჰკლავდი მათრახის ცემით,
ვინც შენს წინაშე თავს ხრიდა, ყველას,
დაბრმავებული მწველ დიადემით,
სხვებს უპირებდი თვალთა ახელას.
ჯილდოს მიცემა შეგეძლო დიდი,
შენ კი ერთგულებს მწარეთ უხდიდი,
ბნელი სამარით აძლევდი შველას.
შენ დაგვიმტკიცე, ვით იწურება
არარას სულში მედიდურობა.

გალაკტიონმა მხოლოდ ორი სტროფი თარგმნა, ისიც ვ. ბრიუსოვის რუსული თარგმანის მიხედვით. მდენად, შეუძლებელია, იმსჯელო მის მიერ ბაირონისეული ტექსტის შინაარსის ინტერპრეტაციაზე. რაც შეეხება გამორჩეულად ნიჭიერ რუს მთარგმნელს, ვალერი ბრიუსოვს, მასთან სადავო ნამდვილად გვაქვს, ი. მერაბიშვილის თარგმანი პირველად 1989 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, რომლის მიზანი იყო დედნისეულ ტექსტში მოქცეული შინაარსობრივი ინფორმაციის სწორი რეალიზაცია. ი. მერაბიშვილის ძალისხმევით მოხერხდა ვ. ბრიუსოვის თარგმანში დაშვებული უხეში შეცდომების შესწორება. აი, რაში მდგომარეობს ეს ყოველივე:

ოდა ცხრამეტი სტროფისაგან შედგება. მისი მოქალაქეობრივი ჟღერადობა განსაკუთრებით ფინალში გამოიკვეთება. ბაირონი წარმოადგენს მთელს გალერეას ძლიერთა ამა ქვეყნისა: სულა, დიონისე უმცროსი, კარლ V, თემურ ლენგი, ჯორჯ ვაშინგტონი, რომელიც რომაელ დიქტატორთან და ლეგენდარულ გმირთან, ცინცინატუსთან, არის შედარებული.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ბაირონს თექვსმეტი სტროფი შეუქმნია და ბოლო სამი სტროფი მისი გამომცემლის, ჯონ მარის, თხოვნით მიუმატებია, ცხრამეტივე სტროფმა გენიოსის ხელში სრული კომპოზიციური და შინაარსობრივი სიმრთელე შეიძინა და ნაწარმოების დედააზრი კულმინაციას დასკვნით სტროფში აღწევს. აქ ჯორჯ ვაშინგტონი არის ის კონტრასტული ფიგურა, რომელიც პოეტმა ნაპოლეონს დაუპირისპირა, როგორც იდეალი მომავალი თაობებისა, კაცი, რომელმაც დათმო ძალაუფლება აღზევების ხანაში,

რომელსაც ბაირონმა რომაელი ლეგენდარული პიროვნების დარად „დასავლეთის ცინცინატუსი“ უწოდა. ამავე დროს გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ, როდესაც ბაირონი „ოდაში“ ნაპოლეონს ვაშინგტონს ადარებდა, ამით იგი მიანიშნებდა იმ მარცხზე, რომელიც განიცადა საფრანგეთის რევოლუციამ და რომელიც არასწორი გზით განვითარდა ამერიკის რევოლუციასთან შედარებით.

„To make man blush there was but one“ გახლავთ „ოდის“ ბოლო სტრიქონი, რომელიც აუცილებლად ნაპოლეონის პორტრეტის ძალზე მნიშვნელოვან შტრიხს გულისხმობს, რათა უფრო გამოკვეთოს, ერთი მხრივ, ჯორჯ ვაშინგტონის ფიგურა, ხოლო, მეორე მხრივ, ნაპოლეონის არსების უკიდურესად უარყოფითი შეფასება. ნაპოლეონის პორტრეტის შავ ფერებს კიდევ უფრო ამძაფრებს ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტის სინათლე:

Yes, – One – the first, – the last, – the best –
The Cincinnatus of the West.

ბაირონის მიზანია გამოააშკარაოს ნაპოლეონის ავსულობა და სიმწირე („Dark spirit”, „All Evil spirit as thou art“, „Nor till thy fall could mortals guess Ambition is less than littleness“ და ა. შ.), რათა დაგვანახოს მისი წარსული დიდებისა და ძალაუფლების ამაოება, რაც „ოდის“ ძირითად აზრს წარმოადგენს. აღნიშნული ნაწარმოები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ შინაარსი აქ არაერთგვაროვანია: ზემოაღნიშნული დედააზრი ტექსტში ერთვის მეორე შინაარსობრივ ხაზს, რომელიც მომავლისადმი რწმენაში გამოიხატება.[i]

ნაპოლეონი, ბაირონის ღრმა რწმენით, ჯობდა მომკვდარიყო, ვიდრე კაცობრიობას ის გადამდგარი და დამარცხებული ენახა:

რომ მომკვდარიყავ, შენ, აღსავსე ღირსების სხივით,
მომავალს იქნებ კიდევ ეშვა სხვა შენებრ დიდი,
თუკი სირცხვილი კაცთამოდგმას კვლავ უწერია.

ეს თვალსაზრისი არის ძირითადი მიზეზი იმ სასოწარკვეთისა და იმედგაცრუებისა, რომელმაც პოეტი ტრაგიკულ განცდამდე მიიყვანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ნაწარმოების დედააზრი კულმინაციას მეცხრამეტე, ანუ დასკვნით სტროფში აღწევს. აქ მოცემულია ანტითეზა: „ნაპოლეონი – ვაშინგტონი“. ვაშინგტონი, წარსულის დიდ პიროვნებებთან შედარებული, მიჩნეულია იმ პირველ და უკანასკნელ იდეალურ პიროვნებად,

ვისთვისაც დიდება არაა დანაშაულით ნასაზრდოები („Where neither gilty glory glows“), რომელსაც მტერიც ვერ დაძრახავს („Whom envy dared not hate“), და რომელმაც საკუთარი ნებით დათმო ძალაუფლება, ანუ რომელიც არის დასავლეთის ცინცინატუსი („The Cincinatus of the West“).

ვაშინგტონის დიდების ფონზე, იმ დროს, როდესაც ქებისა და ხოტბის ღირსი ვაშინგტონი ერთადერთია, ნაპოლეონიც ერთადერთია, ვის გამოც სირცხვილი იგემა კაცობრიობამ, იგემა ადამიანმა: „To make man blush there was but one“ (ადამიანის შემარცხვენელი მხოლოდ ერთი იყო). ვ. ბრიუსოვის ინტერპრეტაციაში ბოლო სტრიქონი გაგებულია არა, როგორც ნაპოლეონის დახასიათება, არამედ როგორც ვაშინგტონისა: „Позор для племени земного, что Вашингтона нет другого”.

აქვე აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ რუსულ თარგმანში XIX სტროფის პირველივე ხაზი შეიცავს ინფორმაციის ისეთ შეცვლას, რომელიც მოქმედებს შინაარსზე: იმ დროს, როდესაც „ოდის“ დედნისეული ტექსტი გვთავაზობს მთელ გალერეას ძლიერთა ამა ქვეყნისათა უძველესი დროიდან მოყოლებული ნაპოლეონის ხანამდე, და დასკვნითი სტროფი კიდევ ერთხელ აჩერებს ყველა მათგანზე მზერას: „Where may the wearied eye repose When gasing on the Great“, ვ. ბრიუსოვი წერს: „Но есть ли меж великих века, на ком покоить можно взгляд“.

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ დასკვნითმა სტროფმა შეაჯამოს წინა სტროფები, აღმოჩნდება, რომ იგი, წინა სტროფებისაგან დამოუკიდებლად, მზერას აპყრობს მხოლოდ XIX საუკუნის დიდ პიროვნებებზე და მათგან გამოყოფს ჯორჯ ვაშინგტონს. ვაშინგტონის მიმართ კი ბრიუსოვი ქმნის შემდეგ დამოკიდებულებას: ვაშინგტონი პირველი და ერთადერთია, და სირცხვილი დედამიწის მოდგმას, რომ მას მეტი ვაშინგტონი არ ჰყავს – „Да есть! Он – первый, он – единый!.. Позор для племени земного, что Вашингтона нет другого“ (იმ დროს, როდესაც ბაირონთან ვაშინგტონი არის ერთი – პირველი – უკანასკნელი – „one – the first – the last – the best”).

ამგვარი ინტერპრეტაციით რუსულ ტექსტში იქმნება შინაარსის ახალი ფენა, „ვაშინგტონისადმი“ მისწრაფება, რაც ჩრდილავს და აბათილებს დედნისეულ შინაარსს, როგორც, მისწრაფებას პრომეთესადმი, მისწრაფებას, რომელიც ავტორისეულია ჭეშმარიტად. ის, რომ სტროფი „To make man blush there was but one“ ეხება ნაპოლეონს, მტკიცდება XI სტროფში მოქცეული ანალოგიური სტრიქონებით:

Some new Napoleon might arise,
To shame the world again

მომავალს იქნებ კიდევ ეშვა სხვა შენებრ დიდი,
თუკი სირცხვილი კაცთა მოდგმას კვლავ უწერია.

XVI სტროფი რუსულ თარგმანში არ გამორიცხავს დედნისეული ტექსტის სწორ რეალიზაციას, მაგრამ მისი დაჩრდილვა ხდება აქცენტის გადატანით სხვა აზრსა და სხვა შინაარსზე XIX სტროფში. ამდენად, ქვეტექსტი, რომელიც მოქცეულია XVI სტროფში, თარგმანის შემთხვევაში აღმოჩნდება არასათანადოდ რეალიზებული მხოლოდ იმიტომ, რომ გაყალბდა ტექსტი არა მის შესაბამის XVI სტროფში, არამედ XIX სტროფში. ეს სტროფი კი, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მთელი ნაწარმოების კონცეპტს იტევს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი დამარცხებულია მითოლოგიურ პრომეთესთან და ისტორიულ ვაშინგტონთან მიმართებაში, ამოსავალ წერტილად პრომეთე რჩება. ნაპოლეონით იმედგაცრუებული ბაირონი ახლა თავად მიისწრაფვის, თუნდაც გაუცნობიერებლად, პრომეთეს რეინკარნაციისაკენ.

აი, ასეთი სიტყვებით მიმართვას ბაირონი თავის ყოფილ კერპს: „So abject“ – „მთლად დაცემული“, „Ill-minded man“ – „შეშლილად გრაცხავ“, „Dark Spirit“ – „სული ბოროტი“, „a thing so mean“ – „შენებრ ფლიდი“, „Thine evil deeds are writ in gore“ – „გმირობა შენი ავი სულით ნამოქმედარი“ და სხვა.

ჯორჯ ვაშინგტონთან შედარებით ყველა ძლიერი ამა ქვეყნისა მარცხდება. საუბედუროდ, ყველასთან მიმართებაში მარცხდება თავად მისი ყოფილი კერპი. აღსანიშნავია, რომ კონტრასტი ვაშინგტონისა ნაპოლეონთან მიმართებაში ქმნის დამატებით ქვეტექსტს და ამერიკის პირველი პრეზიდენტი წარმოჩინდება, როგორც მაგალითი მომავალი თაობებისათვის, იდეალი კაცობრიობის ნათელისა. სტროფის ბოლო ხაზი – „შემარცხვენელიც კაცთა მოდგმის ერთია მხოლოდ“ – დასკვნითი განაჩენია ნაპოლეონის მიმართ, რომელიც მე-11 სტროფში გამოხატული აზრითაა განმტკიცებული: „თუკი სირცხვილი კაცთამოდგმას კვლავ უწერია“.

ამდენად, ბოლო ხაზი ნაპოლეონისადმი მიმართული ალუზიაა, რაც, სამწუხაროდ, არასწორადაა ინტერპრეტირებული ვალერი ბრიუსოვის რუსულ თარგმანში:

XIX

Но есть ли меж великих века,
На ком покоить можно взгляд.
Кто высит имя человека,
Пред кем клеветнеки молчат?
Да, есть! Он - первый, он _ единый!
И зависть чтит твои седины,
Американский Цинциннат!
Позор для племени земного,
Что Вашингтона нет другого!

აღნიშნული ნაწარმოების სიღრმისეული შინაარსის ამოსაცნობად საჭიროა არა მარტო მისი მრავალჯერადი წაკითხვა, არამედ თვით პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების კარგი ცოდნა, გასაკუთრებით ნაწარმოების შექმნის წინაპირობისა. როგორც აღინიშნა, „ოდა“ თავდაპირველად მხოლოდ თექვსმეტი სტროფისაგან შედგებოდა, და მომდევნო სამი სტროფი პოეტს გამომცემლის თხოვნით შეუსრულებია. ამდენად, ლექსის ფინალი პრომეთესადმი იყო მიძღვნილი. ბაირონს სწამდა, რომ ნაპოლეონი პრომეთეს რეინკარნაციას შეძლებდა, რაც საუბედუროდ არ მოხდა:

XVI

Or, like the thief of fire from heaven,
Wilt thou withstand the shock?
And share with him, the unforgiven,
His vulture and his rock!
Foredoom’d by God – by man accurst,
And that last act, though not thy worst,
The very Fiend’s arch mock;
He in his fall preserved his pride,
And, if a mortal, had as proudly died!

XVI

მსგავსად ტიტანის, ვისი მადლით ცეცხლი ანთია,
იქნებ შენც შეძლო ყოველ დარტყმას გმირულად შეხვდე,
განაწამები მიეგებო ახალ განთიადს,
ორბმა რომ გკორტნოს მიჯაჭვული ფრიალო კლდეზე!
ღმერთმა გაგწირა, შეგაჩვენა ძემ კაცთა მოდგმის,
შენი დაცემა გრძნეულ ეშმას დღეს სხვას რას მოჰგვრის,
თუ არა ღვარძლით სავსე ღიმილს, კვლავ მსხვერპლს რომ ეძებს;
ზევსთან მებრძოლმა, მან ღირსება რომ არ დაკარგა,
ის თვით მოკვდავიც მოკვდებოდა მხოლოდ ამაყად!

ბაირონს „ოდის“ შექმნიდან ზუსტად 10 წელი დასჭირდა, რათა საბერძნეთის განმათავისუფლებელი გმირის მისია შეესრულებინა და მომკვდარიყო ისევე ამაყად, როგორც ამას პრომეთე გააკეთებდა. „ოდა“ 1814 წლის აპრილში შეიქმნა, ბაირონი 1824 წლის აპრილში გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა შეძრა მსოფლიო და გაამთლიანა ელადა.

ისმის კითხვა: როგორი იყო ბაირონისათვის ეს 10 წელი? როგორ მივიდა ის თავგანწირვამდე და უკვდავებამდე? შეაქცია თუ არა მან ნაპოლეონს ზურგი? პასუხი ერთია: არამც და არამც. მან შეასრულა ის პირობა, რომელიც 1814 წლის 9 აპრილს დადო: „თუმც, იგი ყველამ მიატოვა, მე მას ზურგს მაინც არ შევაქცევო“.

ნაპოლეონის გადადგომისთანავე ბაირონი და მისი მეგობარი, ჯონ კემ ჰობპაუზი, აპირებენ ერთად გაემგზავრონ საფრანგეთს და ნაპოლეონის ნაკვალევი მოინახულონ, თუმც, იმ ხანად ბაირონმა ეს ვერ განახორციელა. მოგვიანებით, 1816 წლის 23 აპრილს, ბაირონი მეორედ მიემგზავრება ინგლისიდან. ამჯერად გეზი მას შვეიცარიასა და იტალიისკენ აქვს აღებული. ამ მოგზაურობისათვის ბაირონმა დაუკვეთა ნაპოლეონის ეტლის ზუსტი ასლი, რომელიც ასევე იქნებოდა აღჭურვილი ბიბლიოთეკით, ჭურჭლის კარადითა და სასადილო მოწყობილობით. ნაპოლეონის მსგავსად მას თან მიყავს პირადი ექიმი და ბიოგრაფი. ნაპოლეონის ეტლი ბაირონს მშფოთვარე ცოვრებისაკენ მიაქანებდა.

ანტვერპენში ბაირონი დიდ აღტაცებაში მოჰყავს ნაპოლეონის საზღვაო ფლოტის ბაზებს. ეს ყოველივე მასზე გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე თავად ფლამანდური სკოლის ფერწერული ტილოები. ამავე ეტლით ბაირონი გაივლის სიმპლონის ნაპოლეონისეულ გზას ალპებზე. მილანში ბაირონი შეხვდება პოეტ მონტსის და ჰენრი ბეილს, ცნობილს, როგორც სტენდალს. ბაირონის აღაფრთოვანებს მონტის მიერ ნაპოლეონის სადიდებლად შექმნილი ლექსი. სტენდალი ბაირონში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, როგორც ნაპოლეონთან დაახლოებული პიროვნება რუსეთის ლაშქრობის დროს.

პროფ. ჯონ კლაბის თანახმად, 1818 წლის ივლისი ფატალური თვეა ბაირონის ლიტერატურულ ცხოვრებაში, რამეთუ იგი ერთდროულად იწყებს მუშაობას „დონ ჟუანსა“ და „მემუარებზე“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ პასუხი ორივე შემთხვევაში ერთია. ბაირონი ნაპოლეონითაა შთაგონებული. ამ პერიოდში მისი გამომცემელი ჯონ მარი ჭარბად ამარაგებს ბაირონს ნაპოლეონზე არსებული ლიტერატურით. ბაირონი ეცნობა ნაპოლეონის ავტობიოგრაფიას. ნაპოლენის საგმირო საქმეებით აღფრთოვანებული, იგი ვერ გუობს მის სიტყვას.

ბაირონს არ სურს სიტყვის სამყარო ნაპოლეონს დაუთმოს. პროფ. კლაბის აზრით, „ნაპოლეონმა“ სამყარო ბრძოლებით დაიპყრო. ბაირონს სურს, ის სიტყვით დაიპყროს. ჩვენ აღვგვაფრთოვანებს პროფესორ კლაბის აზრი, როდესაც ის იტყვის: „სიტყვით მიღწეული ტრიუმფი გაცილებით უფრო დღეგრძელია, ვიდრე საგმირო საქმით მიღწეული ტრიუმფიო.“ და მაინც, ამ შვენიერ აზრს არ შეგვიძლია არ დავუპირისპიროთ აზრი იმის შესახებ, რომ ბაირონისეული გამარჯვება, ეს არაა მხოლოდ სიტყვებით მიღწეული გამარჯვება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაირონმა გამარჯვებას თავდადებითა და თავგანწირვით მიაღწია. მის შემთხვევაში მოხდა სიტყვისა და საქმის თანხვედრა, რასაც მისი სიცოცხლე შეეწირა. მან სამყაროს სიკვდილისათვის მზადყოფნა განუცხადა და სიცოცხლე საბერძნეთს მიუძღვნა. აი, ის, რაც აკლდა ნაპოლეონისეულ ლეგენდას. „დონ ჟუანში“ ბაირონი იტყვის: „მე ვიომებ სიტყვებით, და როცა საშუალება მომეცემა – საქმით“.

ბაირონის გარდა საბერძნეთს ბევრი გულშემატკივარი და მხარდამჭერი ჰყავდა ევროპელ მწერალთა და პოეტთა შორის. მაგრამ ევროპელ ფილელენისტებს საკუთარი სიცოცხლე საბერძნეთისათვის ზვარაკად არ გაუღიათ. მათ შემთხვევაში სისხლი მხოლოდ სტრიქონებში იღვრებოდა.

სურს, გავიხსენოთ ლედი ბაირონის ნათქვამი საკუთარ მეუღლეზე: „ის იყო სიტყვების აბსოლუტური მონარქი და მათ ისევე იყენებდა, როგორც ბონაპარტე ადამიანების სიცოცხლეს, როდესაც ის მათ შინაგან ღირებულებას უგულებელყოფდა.“

ლედი ბაირონს ხასიათში ჰქონდა არასწორად ემსჯელა დიდი ინგლისელი პოეტის შესახებ. სიტყვები, რომლებიც განცდათა სიღრმიდან მოედინებოდნენ, და რომლებიც საბრძოლველად განაწყობდნენ, არასოდეს ყოფილან მოკლებულნი შინაგან ღირებულებებს. ბაირონს თავად აღაშფოთებდა ნაპოლეონის უგულო დამოკიდებულება სხვათა მიმართ.

„რაც დედამიწამ შენთვის ომში სისხლი დაღვარა, გაღმერთებული, შენ საკუთარს მუდამ ზოგავდი“, – ამ სიტყვებით მიმართავდა ბაირონი ნაპოლეონს.

გადიოდა წლები. ნაპოლენისეულ ეტლს ახლა უკვე მწვანე საღებავიც ალაგ-ალაგ გასცვივნოდა, მაგრამ ბაირონი მხოლოდ ამ ეტლით განაგრძობდა მოგზაურობას. 1822 წელს, იტალიაში, ბაირონმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ გარდაცვლილიყო მისი სიდედრი ლედი ნოელი. ანდერძის თანახმად, ბაირონს უფლება ეძლეოდა მისი გვარის ტარებისა – ნოელ ბაირონი. ამ გვარის მიღებით მას შეეძლო სიამაყით მოეწერა ხელი ნაპოლეონ ბონაპარტის მსგავსი

ინიციალებით – „N B“. მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ბაირონი ამას ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ აკეთებდა (ნაპოლეონი გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს).

როგორც ირკვევა, ბაირონის მისწრაფება ნაპოლეონისადმი განსაკუთრებით ხანგრძლივია, უფრო ზუსტად, კი, მუდმივი. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის არტისტული მისწრაფება, განასახიეროს და ითამაშოს ცხოვრებაში ნაპოლეონი. ეს არ არის თამაში კოპირებით, ეს არის თამაში სრულქმნით, სრულყოფით. ბაირონი თამაშობს ნაპოლეონს და სულს შთაბერავს მის განმათავისუფლებელ მისწრაფებებს. ის სრულქმნის მას საკუთარი თავდადებითა და თავგანწირვით.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაირონმა სიკვდილით გააკეთა ის, რაც ვერ გააკეთა სიცოცხლით, და რამაც საბერძნეთი ბოლო გამარჯვებამდე მიიყვანა. გმირული სიკვდილი იყოს ის, რაც აკლდა ნაპოლეონის ლეგენდას. მის თანამედროვეობაში არსებული ლეგენდის უფსკრული ბაირონმა საკუთარი სიკვდილით შეავსო. ეს იყო საგმირო სიკვდილი და ამით იგი პრომეთეს მიუახლოვდა. უფრო მეტიც, მან თავად პრომეთეს რეიკარნაცია განახორციელა.

მაგრამ დიდების, მითისა და უკვდავებისაკენ მიმავალ მისტიკურ გზაზე ბაირონს არ ტოვებდა თავისი ჭეშმარიტი იდეალი – ჯორჯ ვაშინგტონი.

ალბათ, ამიტომაც მოხდა ისე, რომ განგების წყალობით ბაირონის უკანასკნელი დღეები, თითქოსდა, ვაშინგტონის უკანასკნელ დღეებს იმეორებენ:

სიკვდილის წინ ხომ ორივე მათგანი პოლიტიკური დაპირისპირებით იყო შეძრწუნებული;

ორივე მათგანი სიკვდილის სარეცელზე ექიმებმა სისხლისაგან დაცალეს;

სიკვდილს წინ მათ თითქმის ერთი და იგივე უკანასკნელი ფრაზები წარმოთქვეს;

„მე მიჭირს სიკვდილი, მაგრამ წასვლის არ მეშინია”, – უთქვამს ჯორჯ ვაშინგტონს.

„ჩემი დროც დადგა, მე სიკვდილის არ მეშინია”, – უთქვამს ლორდ ბაირონს.

როდესაც ჩვენ ვაფასებთ ბაირონის მითსა და მის როლს კაცობრიობის ისტორიაში, გვმართებს გვახსოვდეს, რომ ბაირონისეული გამარჯვება მიღწეულია არა მხოლოდ იმ კაცის მიერ, რომელიც გახლდათ პირდაპირი შთამომავალი მამაცი და ექსცენტრული არისტოკრატებისა, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, თავად მარი სტიუარტისა, არამედ იმ კაცის მიერ, რომელმაც შესძლო და საკუთარ პიროვნებაში გააცოცხლა მრავალი ძლიერი ამა ქვეყნისა,

განსაკუთრებით პრომეთე, და განსაკუთრებით ნაპოლეონი. ჯორჯ ვაშინგტონი ბაირონის იდეალად დარჩა.

თავი 5

ქართული ხალხური ლექსის, „თავფარავნელი ჭაბკის“, მითოლოგიური სიახლოვე ბერძნულ მითოსთან, ბაირონის ლექსთან – „სესტოსიდან აბიდოსამდე“ და პოემასთან – „აბიდოსელი სარყლო“

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად მითოლოგიის (ხალხური სიტყვიერების) და ლიტერატურის ურთიერთმიმართების საკითხი, რომლის საფუძვლიანი შესწავლა უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ხალხური შემოქმედების მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის ისტორიაში. შეუძლებელია სხვადასხვა უძველეს ხალხთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასება ფოლკლორისა და მითოლოგიის გათვალისწინების გარეშე. ეს სიტყვები რასაკვირველია პირდაპირ ვრცელდება როგორც ბერძნულ, ისე ქართულ კულტურაზე.

ქართული ფოლკლორისტიკის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს უკანასკნელ ხანს გამოცემული ქართული მითოლოგიური პოეზია, რომელიც საფუყველს ქმნის მომავალში მეტად საინტერესო სფეროს უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის (ჩიქოვანი, 1972).

როდესაც საუბარია ლიტერატურული ძეგლების ჩამოყალიბების პროცესზე უთუოდ გასათვალისწინებელია ხალხური სიტყვიერება, როგორც ლიტერატურული ძეგლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და პირიქით ლიტერატურის გავლენა ხალხურ სიტყვიერებაზე.

როგორც პ. გრინცერი აღნიშნავს, «...проникновение мифологической композиционной схемы в литературу происходит и за предели эпической поэзииу Схема эта присутствует в разного рода фольклорных жанраху» (Гринцер, 1971, 181) სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო ძველი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების განხილვა. ანტიკური მითოლოგიის მრავალრიცხოვანი მოტივები არა მხოლოდ ძველქართულ მითოლოგიურ ლექსებშია საძიებელი, არამედ

ფოლკლორის სხვა ჟანრებშიც – ზღაპრებში, ბალადებსა და თქმულებებში. ბერძნულ მითოლოგიაში გავრცელებული არაერთი ამბავი ანალოგიას სწორედ ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში პოულობს (ჩიქოვანი, 1971; 8).

ბერძნული ფილოსოფია, ისევე როგორც ქართული, ოკეანეა მითებისა. ძნელია, იფიქრო და იმსჯელო იმ თემაზე, რომელიც საუკუნეების წინ მოხდა, მაგრამ დიდია ინტერესი, წყურვილი ძველი, წინაპრისეული აჩრდილებისა, რომლებიც ისტორიის თავფურცლად ქცეულა, ისტორიის წიაღიდან გვიცქერენ გადაშენების ზღვარზე მდგარი და ერთხელ კიდევ შეგვახსენებენ: „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ.” რით ამაყობს ქართველი ერი, რითი მოგვაქვს თავი მთელი მსოფლიოს წინაშე? ისევ და ისევ უძველესი ქართული მითით, „მითი არგონავტებზე” ჩვენი ერის მარგალიტია. ამ მითით ხომ კიდევ ერთხელ გვაღიარა მსოფლიომ, როგორც ერთ-ერთი უძველესი ცივილიზებული ქვეყანა.

დიდი ქართველი მწერალი, კ. ამსახურდია, ერთგან შენიშნავს „კრიზისი უმითოდ ყოფნაა – ჩვენთვის არყოფნა... პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა... მითი იყო უპირველესი განსაზღვრა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა, და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება, ალბათ, მითი.”

ერთი რამ ცხადია, უძველესი დროიდან დღემდე მწერლობასა და ხელოვნებას მითოლოგია ულევ მასალას აწვდის მხატვრული აზროვნებისათვის. დღევანდელი თვალსაწიერიდან მთელი მსოფლიოს წინაშე რეალობასავის გაცოცხლებულა უძველესი მითოლოგიური თქმულებები. ტიმ სევერინმა საბერძნეთიდან-საქართველომდე (ისტორიულ კოლხეთამდე) გაცურვით ძველელადური ნიმუშის ხომალდით, „არგო”, გააცოცხლა არგონავტების მითი, ჰაინრიხ შლიმანმა ტროას გათხრებით – ჰომეროსის „ილიადა”, ხოლო ჯ. . გორდონ ბაირონმა ლეგენდარული ჰელესპონტის, დარდანელის სრუტის გადაცურვით – ლეანდრისა და ჰეროს სიყვარულის ლეგენდა.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკამ”, ჰომეროსის „ილიადასა” და „ოდისეას” გვერდით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ევროპული სტილის აზროვნების საძირკვლის შემქმნელ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, და ამიტომ განათლებული ევროპელისათვის „არგონავტიკა” და მისი გმირები, ჯერ კიდევ ყრმობის დროიდან მის აზროვნებაში მყარად დამკვიდრებულ მასალას წარმოადგენენ. კოლხეთის დიდი მეფის, აიეტის, სამეფო და მისი თვალსხივოსანი ასული, მედეა, ბაირონის ყურადღების არეალში მოექცა და ბუნებრივია ამ უძლიერესი ნიჭის შემოქმედებაში მართლაც თავისებური ასახვა

ჰპოვა. როგორც ცნობილია, ბერძნული მითის თანახმად, ბერძენმა გმირებმა, რომლებიც ძირითადად სხვადასხვა ღმერთების შთამომავლები იყვნენ, იოლკოსის ტახტის კანონიერი მემკვიდრის, იასონის, მეთაურობით და ქალღმერთ ათენას თხოვნითა და რჩევით ააგეს ხომალდი „არგო", რომლის სახელის მიხედვითაც მას არგონავტები ეწოდათ. არგონავტებმა ბოტიელი უფლისწულის, ფრიქსეს, გადამრჩენი ოქროს ვერძის მოსაპოვებლად გასცურეს შორეული კოლხეთისაკენ..

ქალღმერთების, ჰერას, ათენასა და აფროდიტეს, ჩარევის გამო კოლხეთის დიდი მეფის, აიეტის ქალიშვილმა, თვალსხივოსანმა მედეამ, რომელიც ქურუმი იყო, შეიყვარა იასონი და დაეხმარა მას აიეტის ძნელი დავალების შესრულებაში. მედეას მიერ შემზადებულმა წამლებმა, ხელი შეუწყო იასონს დაეძლია ცეცხლისმფრქვეველი ხარები და სპილენძის მეომრები, ხოლო შემდეგ სწორედ ისევ მედეას წამალი გამოიყენა იასონმა ოქროს საწმისის მცველი დრაკონის დასაძინებლად.

კოლხეთის დიდი მეფის ასულის უიღბლო ისტორია, მართლაც საშინელი ტრაგედიით დასრულდა. იასონმა საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ სხვა შეიყვარა, ხოლო მედეას კი საკუთარი შვილების დახოცვა დასწამეს.

მედეას სახე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული სახე, შემდეგში, მართლაც, გახდა მწერალთა შთაგონების წყარო, მართალია დიდმა ბერძენმა დრამატურგმა, ევრიპიდემ, თავის ტრაგედიაში „მედეა" იგი საკუთარი შვილების დახოცვაში დაადანაშაულა, მაგრამ თვით ტრაგედია ნამდვილად დიდი მხატვრული სიძლიერით გამოირჩევა და ამიტომ შემდეგში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მედეას სტერეოტიპის ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება მედეას სახეს, ბაირონი მრავალჯერ მიმართავს მას, დაწყებული პირველი თავისუფალი ფრაგმენტული თარგმანებიდან (იგულისხმება ევრიპიდეს „მედეა"), დამთავრებული გზაზე შეწყვეტილი „დონ ჟუანით". კოლხი ქალის ტრაგიკულ ბედსა და მგზნებარე ხასიათს სულის სიღრმემდე შეუძრავს და მოუნუსხავს პოეტი. ბაირონისეული სინაზე ამოიკითხება მედეასადმი თანაგრძნობაში. „მშვენიერი ვენერა", „ჩემი მის მედეა", – ასე მოიხსენიებს მას ხშირად პოეტი. მედეას სახე ბაირონთან არგონავტების, ოქროს საწმისის, იასონისა და კოლხეთის გარემოცვაშია წარმოდგენილი.

ბაირონის მკითხველს კარგად მოეხსენება გამიჯნურებათა მონაცვლეობა მის პირად ცხოვრებაში. და, აი, ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებული მომხიბვლელობით იკვეთება პოეტის სულიერი იდეალი, რომელსაც იგი

ცხოვრების მანძილზე ესწრაფვოდა. ერთხელ, როდესაც, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ბაირონი თავის უიღბლო ქორწინებას მოსთქვამდა, დასცდენია, მე მედეა უნდა შემხვედროდაო, ჩემთვის მედეა იყო საჭირო, რადგან ყველასთან იგივე მელოდაო.

ვენეციაში ყოფნისას ბაირონს შეუყვარდა უბრალო ქალი, მარგარიტა კონი, რომელიც, მისი აზრით, მედეას ჩამოგავდა. ბაირონმა დიდხანს არ დააყოვნა და მარგარიტა კონი საცხოვრებლად თავისთან „პალაცო მოჩენიგოში“ გადაიყვანა, თუმც, არც ეს რომანი იყო ხანგრძლივი.

ბაირონისეული ალუზია ანუ ქარაგმა როგორც, სტილისტური ხერხი კიდევ ერთხელ იძენს უნიკალურ დანიშნულებას ბაირონისათვის, როცა ის მოუხმობს მითოლოგიურ, ბიბლიურ თუ ისტორიულ გმირებს და მისტიკურ ურთიერთობაში შედის მათთან მთელი თავისი ცხოვრებით, უფრო ზუსტად, ის მუდმივ კავშირშია მათთან. ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ამ ასპექტზე პირველად ყურადღება გაამახვილა ქართველმა მკვლევარმა პროფ. ინესა მერაბიშვილმა ბაირონოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც 1996წ. დუისბურგის უნივერსიტეტში გაიმართა.

ბაირონის ბერძნული მითოლოგიური სამყაროთი დაინტერესება გამოსჭვივის ასევე ლექსიდან, „სესტოსიდან აბიდოსამდე”, „მინერვას წყევლა”, პოემიდან „აბიდოსელი სარძლო”, რომელსაც თავდაპირველად ერქვა „ზულეიკა”, აბიდი, ანუ აბიდოსი – ძველი ბერძნული ქალაქია ჰელესპონტის ყველაზე ვიწრო ნაწილის აზიურ ნაპირზე. აბიდოსის პირდაპირ, მეორე ნაპირზე მეორე ბერძნული ქალაქის, სესტას, შენობები მოჩანს, ძველი საბერძნეთის ტერიტორიის ამ ადგილთანაა დაკავშირებული ლეანდრისა და მზეთუნახავ ჰეროს მითიური სიყვარულის ამბავი. ბაირონი შემოქმედებით ციებ-ცხელებას შეეპყრო. ოთხ ღამეში დაამთავრა პოემის პირველი მონახაზი, ხოლო ორი კვირის შემდეგ საბოლოო რედაქცია გაუკეთა. ბერძენი ჰერო მშვენიერ ზულეიკად იქცა, ხოლო ლეანდრი სელიმად, ჯაფირ ფაშა ინიანის ფაშას, ალის მოგვაგონებს. იგი ზრდის ძმისწულს სელიმს, რომლის მამაც მან საკუთარი ხელით მოკლა და არ იცის, რომ სელიმი მისი ღვიძლი ქალიშვილის, ზულეიკას, ძმაა, ამ კოლიზიაზე იქმნება ბაირონის პოემის სიუჟეტური კვანძი, რომელიც ჰეროსა და ლეანდრის ძველებური მითის გართულებული სახეა.

The winds are high on Helle’s wave,
As on that night of stormy water

When Love, who sent, forgot to save
The young, the beautiful, the brave,
The lonely hope of Sestos' daughter.
Oh! when alone along the sky
Her turret-torch was blazing high,
Though rising gale, and breaking foam,
And shrieking sea-birds warn'd him home;
And clouds aloft and tides below,
With signs and sounds, forbade to go,
He could not see, he would not hear,
Or sound or sign foreboding fear;
His eye but saw that light of love,
The only star it hail'd above;
His ear but rang with Hero's song,
'Ye waves, divide not lovers long!' –
That tale is old, but love anew
May nerve young hearts to prove as true.

«Над Геллеспонтом ветер дует,
Клубит волнами и бушует,
Как бушевал перед грозой,
Когда погиб вночи ужасной
Тот юный, смелый и прекрасный,
Что был единственной мечтой
Сестоса девы молодой.
Бывало _ только лес сгустится,
И вещий факел загорится, _
Тогда, хоть ветер и шумит,
Хоть море гневное кипит
И с пеной к берегу несется,
И небо тмится черной мглой,
И птиц морских станица вьется.
Перекликаясь перед грозой, _
Но он смотреть, внимать не хочет,
Как небо тмится _ вал грохочет.
Все факел светится в очах,
Звездой любви на небесах,
Не шум грозы, но томной девы
Все слышатся ему напевы:
«Неси, волна, в полночной тьме,

Скорее милого ко мне!»
Вот сторина _ и нам дивиться
Не должно ей _ быть может, вновь
Пылать сердцам велит любовь,

И это быль возобновится.» (Байрон, т. 3, 61).

„აბიდოსის სარძლომ" – ''THE BRIDE OF ABYDOS'' – ბაირონის პირადი ცხოვრებისადმი კვლავ ცხოველი ინტერესი გამოიწვია, თითქოს, ვინმეს დავალებას ასრულებსო, ინგლისური კრიტიკა და მაღალი წრის საზოგადოება ყოველ დეტალში ბაირონის ცხოვრებისეულ ამბოხს ეძებდა.

